მადონა მეგრელიშვილი

ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1986

81. 2 Англ
ბ 477

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია ზმნის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა (ტემპორალობის, ასპექტობის, პერფექტობის) შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებში, განსაკუთრებით მეტყველებაში მათი ფუნქციობისას; აღნიშნულ კატეგორიათა ფარგლებში გამოვლენილი და დადგენილია ამ ორი არამონათესავე ენის გამოხატულებისა და შინაარსის პლანთა შორის მსგავსება-განსხვავება, ანუ იზომორფიზმი და ალომორფიზმი.

წიგნი განკუთვნილია რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის უცხოური და ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, ასპირანტებისა და საშუალო სკოლის მასწავლებლებისათვის.

რედაქტორი პროფ. მ. ნათაძე
რეცენზენტები: პროფ. ლ. ბარხუდაროვი
პროფ. ე. ბაბუნაშვილი

M 60200 — 001 / M — 602 (08) 86 რეზ — 1986

© გამომცემლობა „განათლება", 1986

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წიგნში წარმოდგენილია ზმნის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა (ტემპორალობა, ასპექტობა, პერფექტობა) შეპირისპირებითტიპოლოგიური ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებში, განსაკუთრებით მეტყველებაში მათი ფუნქციობისას. ხდება ამ ორი სხვადასხვა სისტემის ენისთვის დამახასიათებელი სტრუქტურულ-სემანტიკურ თავისებურებათა გამოვლენა.

ბოლო დროს ენათმეცნიერებაში დიდად გავრცელდა ენათა შეპირისპირებითი (კონტრასტული) შესწავლა, რომლის მთავარი მიზანი ენათა შორის მსგავსება-განსხვავების დადგენაა, მიუხედავად იმისა შესაპირისპირებელი ენები მონათესავეა თუ არამონათესავე. ასეთ კვლევას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თარგმნის თეორიისა და პრაქტიკისათვის, მანქანური თარგმნისთვის, ლექსიკოგრაფიისა და უცხოური ენის სწავლების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკისათვის, რომელიც სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში შეიძლება იქნეს გამოყენებული.

განსხვავებული სისტემის ენათა შეპირისპირების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისა და ქართული უმაღლესი და საშუალო სკოლების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ტემპორალურ-ასპექტურ მიმართებათა გამოხატვის საშუალებების კონტრასტული ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში, მათ შორის მსგავსება-განსხვავებულობის გამოსავლენად და დასადგენად.

მიუხედავად შრომათა დიდი რაოდენობისა, რომლებიც ამ კატეგორიების შესწავლას მიეძღვნა, პრობლემა, რომელიც ჩვენი შრომის საფუძველია, საენათმეცნიერო ლიტერატურაში კვლევის საგანი არ გამხდარა. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად გავხსნათ ის პროცესები, რომელთა ექსპლიცირება გამოააშკარავებს საკვლევ ენობრივ კატეგორიათა დიალექტიკურ ბუნებას, მათ ევრისტიკულ პოტენციალს, წარმოგვიდგენს ენას, როგორც შემოქმედებითად მოქმედ მექანიზმს.

ამიტომაც შევეჯიდეთ როგორც ზოგადენათმეცნიერული ხასიათის ზოგიერთ ამოცანას (უნივერსალიების, ენათა იზომორფიზმისა და ალომორფიზმის დადგენა), ისე ინგლისური ენის პრაქტიკულად დაუფლების პრობლემას. სინტაგმურ ასპექტში კვლევამ მოგვცა შესაძლებლობა გვეძია ზმნის მიერ გამოხატულ მოქმედებათა კანონზომიერება. საკითხისადმი ასეთი მიდგომა არის თანამედროვე ენათმეცნიერების ფუნქციურ-სემანტიკურ თეორიათა გამოძახილი.

წიგნის ამოსავალი ცნებაა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, გაგებული როგორც კომპლექსური კატეგორია, რომელიც ენის სხვადასხვა დონის მონაწილეობით ყალიბდება — როგორც შინაარსისა და გამოხატულების პლანების რთული ერთობა. გამოხატულების პლანი მოიცავს არა მარტო მორფო-სინტაქსურ, არამედ ლექსიკურ, სიტყვათწარმოებით დონეებსაც და ენის ერთეულთა სხვადასხვა კონტექსტუალურ კომბინაციებს.

ასეთი ფუნქციურ-სისტემობრივი შეპირისპირება ქმნის საფუძველს, რომ დადგინდეს ერთი და იგივე ენობრივი მოვლენის სხვადასხვაგვარი ქცევა სხვადასხვა ენაში და იძლევა ორნაირ შედეგს: ერთი მხრივ, თვალსაჩინოს ხდის იმ განსხვავებას, რომელიც შესადარებელ ენებში დასტურდება, ანუ ავლენს მათ სპეციფიკას, მეორე მხრივ, წარმოაჩენს ცალკეული ენის შიგნით შესასწავლი მოვლენის ბევრ ახალ მანამდე გაუთვალისწინებელ მხარეს, აზუსტებს მათ გამოვლენას ენასა და მეტყველებაში, გვიჩვენებს ენობრივი საშუალებების დისტრიბუციას და მათი რეალიზაციის თავისებურებებს.

გვინდა უღრმესი მადლიერებით მოვიხსენიოთ ის მკვლევარები, რომელთა საუბარმა და კონსულტაციებმა გაგვიწიეს დიდი დახმარება და განსაზღვრეს ჩვენი შრომის მიმართულება და ძირითადი შინაარსი — პროფესორები ფ. პალმერი, პ. სტრევენსი, ლ. ბარხუდაროვი, ზ. ტურაევა, მ. ბლოხი, ე. შენდელსი, ვ. პლოტკინი, მ. ნათაძე, ე. ბაბუნაშვილი, ზ. სარჯველაძე, ბ. ჯორბენაძე და სხვები.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

§ 1. სხვადასხვა სისტემის ენათა შეპირისპირებითი შესწავლის თეორიული წინაპირობა

თანამედროვე ენათმეცნიერება დიდ ინტერესს იჩენს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე (სხვადასხვა სისტემის) ენების შეპირისპირებითი და ტიპოლოგიური ანალიზისადმი. უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არამონათესავე ენების შეპირისპირებითს (კონტრასტულ) შესწავლას, რასაც მოწმობს ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სტატიების, მონოგრაფიების, შეპირისპირებითი გრამატიკებისა და დისერტაციების დიდი რაოდენობა. ასეთი ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ კონტრასტული გამოკვლევები გვეხმარება, შევიჭრათ ენობრივი პროცესების არსში და უფრო ღრმად გავიაზროთ კანონები, რომლებსაც ეს პროცესები მართავენ. ამიტომ კონტრასტული ლინგვისტიკა ის ზონაა, სადაც თეორიისა და პრაქტიკის გზები ერთმანეთს ჰკვეთს (Ярцева 1981, 4; Реформатский 1962, 24).

როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების შეპირისპირებითი შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოვავლინოთ შესასწავლი ენების თავისებურებანი, რადგან „დედაენაში არაფერია შესამჩნევი — მასში ყველაფერი მარტივი და თავისთავად ცხადია, და არავითარ ეჭვს არ იწვევს. უცხოური ენა კი, რომელიც შეპირისპირებით პლანში შეისწავლება, შესაძლებლობას იძლევა ვადმოვცეთ იგივე აზრები სხვა საშუალებებით. გარდა ამისა, იგი გვეხმარება გამოვამჟღავნოთ გამოხატვის სხვადასხვა საშუალება დედაენაშიც... შევამჩნიოთ განსხვავებული ელფერი აზრის გამოხატვისა, რომელიც აქამდე ვერ შევნიშნეთ დედაენაში“ (Щерба 1947, 44). ენათა გრამატიკული აგებულების სრულ განსაზღვრას მხოლოდ შედარებითი შეპირისპირება იძლევა (Мещанинов 1967, 3).

რომ ეს ასეა, რომ საენათმეცნიერო კონტრასტული ანალიზი ბევრ შემთხვევაში გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე შიდაენობრივი, რადგან იძლევა საშუალებას, აღმოვაჩინოთ ამა თუ იმ ენის ისეთი თავისებურებები, რომელთა დადგენა ძნელი იქნებოდა მხოლოდ ერთი

ენის კვლევისას, დადასტურებულია ჩატარებული ენათმეცნიერული გამოკვლევებით.

ენათა შეპირისპირებითი შესწავლა ღირებულია ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც, იგი „ფასეულია განსაზღვრული გრამატიკული კატეგორიების ფორმირებისა და განვითარების ზოგადი საკითხების შესასწავლად, ზოგადი პროცესებისა და კანონზომიერებათა შესათვისებლად, რომლებიც ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაა აქტუალური“ (Чикобава 1957, 3).

შეპირისპირებითი ლინგვისტიკის მეთოდიკა და ხერხები სხვადასხვაგვარია, მისი გამოყენება შესაძლებელია ენათა როგორც სინქრონიულად, ისე დიაქრონიულად შესწავლისას, როგორც სხვადასხვა სისტემის ენათა, ისე ახლომონათესავე ენათა მიმართ.

მიზნებისა და ობიექტების მ-ხედვით ენათმეცნიერებაში გამოყოფენ ენათა შეპირისპირებითი შესწავლის (ლინგვისტური კონფრონტაციის) სამ მეთოდს: ისტორიულ-შედარებითს, ტიპოლოგიურს და შეპირისპირებითს (კონტრასტულს), მაგრამ ზღვარი მათ შორის ჯერ კიდევ საკმაოდ მერყეობა, არ არის საყოველთაოდ აღიარებული და მკვეთრი. ამიტომ მომდევნო პარაგრაფში მიზნად დავისახეთ დაგვედგინა ისტორიულ-შედარებითს, ტიპოლოგიურსა და კონტრასტულ ანალიზებს შორის არსებული კავშირების ხასიათები, უფრო დეტალურად შეგვესწავლა შეპირისპირების თავისებურებები გრამატიკაში და გაგვესაზღვრა კონტრასტული კვლევის ზოგადი პრინციპები.

I. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, ტიპოლოგია და შეპირისპირებითი ლინგვისტიკა

შედარება, როგორც შესასწავლ მოვლენათა შორის მსგავსება-განსხვავების გამოვლენის მეთოდი, კვლევის ძირითადი საშუალებაა როგორც ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში, ისე ტიპოლოგიაში. შეპირისპირებითი გამოკვლევები, რომლებიც მხოლოდ ორი ენით შემოიფარგლება, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში მომრავლდა. ამით აიხსნება ტერმინების „შეპირისპირებითი“ (contrastive) და „შედარებითი“ (comparative) ლინგვისტიკა (გრამატიკა და ა. შ.) გამოყენება, რომლებიც ენათა შედარებას ემყარება ისტორიულ-შედარებითს (კომპარატულ) და შეპირისპირებით (კონტრასტულ) ენათმეცნიერებაში. შედარება — ეს ის საერთოა, რომელიც ჩამოთვლილ დისციპლინებს აერთიანებს და ამავე დროს ენის ერთიანი შედარებითი თეორიის შექმნის საშუალებებს იძლევა (Ellis 1966, 32).

შეხედულება კონტრასტულ და ისტორიულ-შედარებით ენათმეც-

ნიერებებს შორის არსებული სხვაობის შესახებ პირველად გამოითქვა შ. ბალის მიერ. იგი თვლიდა, რომ ერთმანეთს ორი ენა ისტორიული და სტატიკური თვალსაზრისით შეიძლება შეუპირისპირდეს. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება მიზნად ისახავს დაამტკიცოს ენების საერთო წარმოშობა, რომელიც ევოლუციის პროცესში წარმოდგა, სტატიკური კი ცდილობს გამოავლინოს ენათა ორიგინალობა და ზოგადი ტიპი.

ამგვარად, განსხვავება ისტორიულ-შედარებითსა და კონტრასტულ მეთოდებს შორის დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტების ურთიერთდაპირისპირებაში მდგომარეობს. პირველ შემთხვევაში იგი ცალკეული ენებისა და ენათა ჯგუფების (რომლებიც გენეტიკურ კავშირშია ერთმანეთთან) ისტორიული (დიაქრონიულ) შესწავლას აწარმოებს. „შედარებითი გრამატიკის აგებას განსაკუთრებული პრინციპები აქვს. სხვადასხვა მონათესავე ენის ასახვა მათში არსებული ფორმებისა და ბგერების ძველი სახის რეკონსტრუქციის მიზნით ხდება“ (Серебренников 1957, 10).

კონტრასტული გამოკვლევა კი ენათა შორის არსებულ იზომორფიზმს (სტრუქტურების მსგავსებას) და ალომორფიზმს (სტრუქტურების განსხვავებას) ადგენს. კონტრასტული კვლევა წარმოებს მხოლოდ და მხოლოდ სინქრონიულ ასპექტში. ისტორიული, დიაქრონიული ასპექტი მხედველობაში არ მიიღება.

ამრიგად, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ემყარება დიაქრონიულ ასპექტს, მისი მიზანია ენათა შორის გენეტიკური მსგავსების დადგენა, ამა თუ იმ ენის ან ენათა ფორმების რეკონსტრუქცია, ხოლო კონტრასტული ანალიზი მხოლოდ სინქრონიულია. მისი მიზანია შესაპირისპირებელ ენათა სტრუქტურებს შორის მსგავსება-განსხვავების დადგენა.

მეორე განსხვავება ისტორიულ-შედარებითსა და შეპირისპირებით მეთოდებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველი მათგანი ადგენს მხოლოდ მსგავსებას ენათა შორის, მეორე კი მიმართულია აგრეთვე კონტრასტების დაძებნისაკენ, „შეპირისპირების შედეგად ვლინდება არა ნათესაური კავშირები ენათა შორის, არამედ ამ ენათა დამახასიათებელი თავისებურებები“ (Ярцева 1960, 3).

როგორც ცნობილია, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი მხოლოდ მონათესავე ენების შედარებით შემოისაზღვრება. ისტორიული ასპექტი ამ შემთხვევაში წამყვან როლს თამაშობს. კონტრასტული ანალიზისას კი შეპირისპირდება როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენები. ამრიგად, ისტორიულ-შედარებითსა და კონტრასტულ გამოკვლევებს აქვთ საერთო ობიექტიც — მონათესავე ენები, მაგრამ აქაც მათი მიზანი განსხვავებულია: მონათესავე ენების კონტრასტული შე-

პირისპირების მიზანი არის მსგავსება-განსხვავებათა გამოვლენა ორ ენას შორის სინქრონიულ ასპექტში.

შემდეგი, ძირითადი განსხვავება ისტორიულ-შედარებითსა და კონტრასტულ ანალიზს შორის ფორმისა და შინაარსის იერარქიაში, მათი იერარქიული დამოკიდებულების ხასიათში მდგომარეობს.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის პირველადი ამოსავალია გამოხატულების პლანი, ე. ი. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება პირველ რიგში ფორმათა მნიშვნელობას აქცევს ყურადღებას. სემანტიკა აქ მეორეხარისხოვანია, რაც, რასაკვირველია, არ ნიშნავს შესასწავლ ერთეულთა მნიშვნელობის სულ უგულველყოფას. ენათა კონტრასტული შესწავლისას კი პირველ ადგილზეა ჰიპოტეზა მათი სემანტიკური ერთიანობის შესახებ, ხოლო ენობრივი გამოხატვის თავისებურებანი მეორე ადგილზე გადაინაცვლებს. ენათა შეპირისპირებითი შესწავლისას გამოხატულების პლანში დამთხვევები ყოველთვის შემთხვევითია. ამ საკითხთან დაკავშირებით ჰ. იაკობსონი წერს: „ენათა შეპირისპირებითი აღწერის წინაპირობა არის ერთი ენის სემანტიკური შინაარსის გადმოცემა მეორეთი, რადგან სხვადასხვა ენა ერთსა და იმავე არაენობრივ სამყაროს ასახავს — ანუ ლინგვისტური ტერმინებით რომ ვთქვათ, არსებობს უნივერსალური სემანტიკური სისტემა, მეტაენა, ანუ აბსტრაქცია, რომელიც ამ ენათა საკუთარი კანონების შესაბამისად მხოლოდ ბუნებრივი ენებით რეალიზდება. რაც უფრო სპეციფიკურია ეს კანონები ანუ წესები ყოველი ენის სისტემისათვის, მით უფრო სპეციფიკურია ენობრივი ინფორმაციის ფორმაც“ (Якобсон 1979, 81).

კიდევ ერთი ლინგვისტური დისციპლინა, რომელიც შედარებას ემყარება, არის ტიპოლოგია.

ტიპოლოგია, როგორც ენათმეცნიერების დარგი, მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩაისახა. მე-19 საუკუნეშივე ვ. ჰუმბოლდტის მიერ იქნა შემუშავებული ენათა კლასიფიკაციის კლასიკური სისტემა, რომელიც შემდეგში განავითარა ა. შლაიხერმა. ამ კლასიფიკაციებმა დიდი როლი ითამაშეს ბევრი არაინდოევროპული ენის ოჯახის საზღვრების დადგენის საქმეში. განსაკუთრებით დიდია ტიპოლოგიურ გამოკვლევათა მნიშვნელობა კავკასიურ ენათა შესწავლისათვის, რადგან კავკასიურ ენათა კლასიფიკაცია და მათ შორის გენეტიკური კავშირის დადგენა შეუძლებელია ტიპოლოგიის თეორიის გამოყენების გარეშე (იხ. ა. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, გ. კლიმოვი და სხვები).

ტიპოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა არის ენათა სტრუქტურული იზომორფიზმის დადგენა, იმ ზოგადი პრინციპების კვლევა, რომლებიც სხვადასხვა ენობრივ სტრუქტურას უდევს საფუძვლად,

ენათა ინვარიანტული მახასიათებლებისა და ლინგვისტური უნივერსალიების დადგენა ენათა სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე.

ცხადია, განსხვავება ტიპოლოგიასა და კონტრასტივიკას შორის ნაკლებადაა გამოკვეთილი, ვიდრე ისტორიულ-შედარებითსა და კონტრასტულ მეთოდებს შორის. ტიპოლოგიური და კონტრასტული კვლევა წარმოებს სინქრონიულ ასპექტში და ორივეს საკვლევი ობიექტია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენები.

მაშ, რაში მდგომარეობს ამ მეთოდებს შორის განსხვავება? ძირითადი განსხვავება ტიპოლოგიურ და კონტრასტულ ანალიზს შორის, როგორც ჩანს ისაა, რომ პირველი მოიცავს მრავალ ენას, მეორე კი მხოლოდ ორს.

ტიპოლოგია, რომელიც ენათა ოჯახების დაჯგუფებას სწავლობს დიდად ვერ ეხმარება პედაგოგიკას — ტიპოლოგიაში არსებული კლასიფიკაციები ვერ ახდენს ენობრივი ფორმისა და მნიშვნელობის დეტალურ აღწერას, ვერ იძლევა ენობრივ მოვლენათა მნიშვნელოვან განზოგადებას.

კვლევის მეთოდიკა და ამოცანათა ერთიანობა საშუალებას იძლევა კონტრასტივიკა, რომელიც შეისწავლის შესაპირისპირებელ ორ ენას შორის მსგავსება-განსხვავებას სინქრონულ ასპექტში, განხილულ იქნას როგორც ტიპოლოგიის შემადგენელი ნაწილი, რომლის კომპარატული ხასიათი მკვეთრად განსხვავდება ტრადიციული კომპარატივისტიკისაგან იმით, რომ ეს უკანასკნელი დიაქრონიულ ასპექტში ადარებს ერთმანეთს გენეტიკურად დაკავშირებულ ენებს.

ბოლო დროს კონტრასტული ლინგვისტიკა სწრაფი ტემპით ვითარდება შეპირისპირებითი გრამატიკების სახით და პერსპექტული ზრდის ტენდენციას ამჟღავნებს (იხ. Ярцева 1960; 1981; Будагов 1963; Крушельницкая 1961; Бархударов 1972; Fries; 1957; Nickel 1971; Di Pietro 1971; Filipovic 1971; Burgschmidt 1974; Hansen 1975 და სხვები). მიუხედავად ამისა, დღეისათვის მაინც არ არის განსაზღვრული და დადგენილი როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების შეპირისპირების მიზნები და მეთოდები.

რაც შეეხება კონტრასტივიკას და მისი მეთოდის თეორიულ ამოსავალ წერტილს, ამაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ასე, მაგალითად, ე. კოსერიუ 60-იანი წლების ზოგიერთი შეპირისპირებითი გრამატიკის განხილვისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათ დამოუკიდებელი აღწერითი თუ თეორიული ღირებულება არა აქვთ, რადგან ისინი შემოიფარგლებიან შესასწავლი ენების გრამატიკებში უკვე ცნობილი ფაქტების შეპირისპირებით (Coseriu 1970,9-30). ჰ. იაკობსონიც იზიარებს ე. კოსერიუს აზრს, რომელიც აღნიშნავს: „დღესდღეობით

არა გვაქვს არც ისეთი საყოველთაოდ აღიარებული ლინგვისტური თეორია, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ამ დარგის მეცნიერებას და არც მისი კვლევის შესატყვისი მეთოდი" (Якобсон 1979, 79).

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იგივენი (ე. კოსერიუ და ჰ. იაკობსონი) ხშამაღლა აღიარებენ კონტრასტული ლინგვისტიკის მნიშვნელობას ენობრივი უნივერსალიების გამოვლენის, შეპირისპირებითი გრამატიკების შედგენისა და ენათა შორის მსგავსება-განსხვავებულობის დადგენის საქმეში.

შეპირისპირებითი მეთოდის ადგილის საკითხთან დაკავშირებით ენათმეცნიერებაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ შეპირისპირებითი ანალიზი გამოყენებით ლინგვისტიკას განეკუთვნება, ზოგიერთი კი მას წმინდა თეორიულ დისციპლინად მიიჩნევს (Zabroski 1970, 31-52).

ზემონათქვამის საფუძველზე კონტრასტულ ლინგვისტიკაში შეიძლება კვლევის მიმართულების მიხედვით გამოკვლევათა ორი ჯგუფი გამოიყოს:

1. ზოგადთეორიული კონტრასტული გამოკვლევები, რომელთა ამოცანაა შესაპირისპირებელ ენებს შორის იზომორფიზმისა და ალომორფიზმის დადგენა.

2. კონკრეტული კონტრასტული გამოკვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს შესაპირისპირებელ ენებს შორის ინტერფერენციის დადგენას და არსებულ სიძნელეთა იერარქიის წინასწარ განჭვრეტას (Fisiak 1973).

ამ ბოლო დროს დიდი მნიშვნელობა ენათა შესწავლის შეპირისპირებით-ტიპოლოგიურ მიდგომას მიენიჭა. „ენათა შეპირისპირებითი შესწავლა, რომელსაც მიზნად აქვს ენათა (მონათესავეა ის თუ არამონათესავე) შორის მსგავსება-განსხვავების გამოვლენა, უკანასკნელ პერიოდში დაუახლოვდა ლიგვისტურ ტიპოლოგიას, ზოგადი ენათმეცნიერების დარგს, რომელიც ენათა შედარების საფუძველზე ცდილობს ჩაწვდეს ენებისათვის დამახასიათებელ საერთო თვისებებს (უნივერსალიები), რომ მათ ფონზე გამოავლინოს მოცემული ენის სპეციფიკა" (Гак 1974, 52). დედაენისა და უცხოური ენის ასეთ შედარებით შესწავლას შეპირისპირებითი (შედარებითი) ტიპოლოგია შეიძლება ვუწოდოთ.

შეპირისპირებით ტიპოლოგიას აქვს ერთდროულად შეპირისპირებითი და ტიპოლოგიური ხასიათი. მისი შეპირისპირებითი ხასიათი გამოიხატება იმაში, რომ იგი შემოიფარგლება ენათა განსაზღვრული რაოდენობით (როგორც წესი, იკვლევენ ორ ენას), ტიპოლოგიური ხასიათი კი იმაშია, რომ იგი აწარმოებს მოცემული კონკრეტული ენების თავისებურებათა გამოვლენას ადამიანის ენის ზოგად სა-

შუალებათა მიმართ, რომელიც მოცემულ შემთხვევაში აბსტრაქტული ენა-ეტალონის სახით გვხვდება.

როგორც კვლევის ახალ მეთოდს, შეპირისპირებით ტიპოლოგიას აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ბევრი მისი დასკვნა შეიძლება გამოყენებული იქნეს უცხოური ენის შესწავლის, ერთი ენის მეორე ენაზე თარგმნისა და მანქანური თარგმნის საქმეში.

შედარებითი ენათმეცნიერების ამ ახალი დარგის დიდ ღირებულებაზე მიუთითებს მრავალი ფუნდამენტური შრომა, რომელიც ბოლო დროს გამოქვეყნდა (იხ. Гак 1977; 1979; Аракин 1979; Уфимцева 1966; Махароблидзе 1970; Голетиани 1970; Кошевая, Дубовский 1980; Сыроваткин 1977; Юсупов 1980; ნათაძე 1975 და ა. შ.)

მიუხედავად იმისა, რომ კონტრასტული ლინგვისტიკის თეორიული საფუძვლები შედარებით ნაკლებადაა დამუშავებული, ამ მიმართულებით არსებული გამოკვლევები შესაძლებლობას იძლევა დავასახელოთ კონტრასტული ანალიზის აგების ზოგიერთი ზოგადი პრინციპი.

2. შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ზოგადი პრინციპები

კონტრასტული ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია საკვლევ ენათა შესაპირისპირებელი ობიექტების დადგენა.

შეპირისპირებითი შესწავლის ობიექტი შეიძლება იყოს ორი ენის სისტემა თავისი ქვესისტემებითა და კატეგორიებით. ამიტომ თანამედროვე კონტრასტულ გამოკვლევებს თამამად შეიძლება ეწოდოს ქვესისტემათა, ცალკეულ დონეთა და კატეგორიათა ტიპოლოგია. ენა, როგორც „სისტემათა სისტემა“ (Tesniére 1959) ელემენტთა განსაზღვრული ჯგუფებისაგან შედგება. ისინი ურთიერთმოქმედებენ და ქმნიან უფრო რთულ მთლიანობას (Солнцев 1977, 20). სხვადასხვა ენის შესაბამისი სისტემები და ქვესისტემები შეპირისპირებას ექვემდებარება მრავალნაირი პარამეტრით.

ტიპოლოგია ამა თუ იმ პარამეტრის საფუძველზე განსაზღვრავს ენის ტიპს და ადგენს, რომელ ენობრივ სისტემას განეკუთვნება ესა თუ ის ენა. არამონათესავე ენების კონტრასტული შესწავლა კი ადგენს ფუნქციურ მსგავსება-განსხვავებას ორ ენას შორის და განსაზღვრავს იმ კატეგორიათა ფუნქციობის თავისებურებებს, რომლებსაც მატერიალური გამოხატულება მსგავსი არა აქვთ.

ცნობილია, რომ „ყოველი ენის სტრუქტურა განუმეორებელი, უაღრესად თავისებური და სპეციფიკური სისტემაა, რომელიც არ ემთხვევა არც ერთ სხვა ენის სისტემას“ (Бархударов 1972, 67). ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ენებს შორის სულ არაფერია

საერთო. მიუხედავად განსხვავებულობისა ყოველ ენას აქვს რაღაც ისეთი, რაც ანათესავებს მას სხვა დანარჩენ ენებთან. ეს ის საერთო თვისებებია, რომლებიც არა მხოლოდ ამა თუ იმ ენას, არამედ ამავე დროს ყოველ ენასაც ახასიათებს. მაშასადამე, ორი არამონათესავე ენის კვლევის ობიექტის განსაზღვრისათვის საჭიროა აღმოვაჩინოთ მათ შორის რაღაც საერთო, რომელიც შემდეგში შეპირისპირების საფუძველი გახდება. ისტორიულ-შედარებითი ანალიზისაგან განსხვავებით, რომელიც კვლევისას განსხვავებულიდან ზოგადისაკენ მიემართება, კონტრასტული შეპირისპირებისას კვლევა წარმოებს, პირიქით, ზოგადიდან განსხვავებულისაკენ. ამიტომაც ძირითადი ამოცანა იმ წინაპირობათა ახსნაა, რომელთა საფუძველზეც მოცემული კონტრასტული ანალიზი უნდა ვაწარმოოთ.

კონტრასტული მეთოდი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ იკვლევს შესაპირისპირებელ ენებს შორის რეალურ, გენეტიკურ და ისტორიულ კავშირებს. ამიტომ კვლევისას ამოსავლად ფორმას ვერ მივიჩნევთ. კონტრასტული ანალიზი პრინციპულად განსხვავებულ მეთოდებსა და საშუალებებს იყენებს, რადგან შეპირისპირების საფუძველი ცნებათა კატეგორიებია ანუ განყენებული ზოგადი მნიშვნელობები, რომლებიც შესაპირისპირებელ ენებში ამა თუ იმ გამოხატულებას პოულობს. ენათმეცნიერული გამოკვლევის საფუძვლად ცნებათა კატეგორიები მხოლოდ იმიტომ შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომ მათ ენობრივი კატეგორიები შეუძლიათ განასახიერონ. მიუხედავად იმისა, რომ ცნებათა კატეგორიები არა მხოლოდ გრამატიკული ფორმებით, არამედ მთელი რიგი სხვა საშუალებებით (როგორიცაა მაგალითად, ლექსიკური, სინტაქსური, კონტექსტური და ა. შ.) გადმოიცემა, მაინც ყველაზე თანამიმდევრულად ენა გრამატიკულ კატეგორიებს იყენებს. ესენი — გრამატიკული კატეგორიები — სემიოტური ერთეულებია, რომლებშიც ლექსიკური და ლექსიკო-სინტაქსური კატეგორიებისაგან განსხვავებით გამოხატულებისა და შინაარსის პლანები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. (ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი I თავის § 1-ში).

არამონათესავე ენების კონტრასტული ანალიზის შემდეგი აუცილებელი წინაპირობაა აღწერის პრინციპი — ენისა და მისი სხვადასხვა დონის შესწავლისადმი სისტემური და ფუნქციური მიდგომა. ენის სისტემური შესწავლა ენობრივი მოვლენების მთელი კომპლექსის განხილვას ითვალისწინებს. ფუნქციური მიდგომისას კი ენობრივი ფაქტები მათი ფუნქციის თვალსაზრისითა და იმ როლით განიხილება, რომელსაც ისინი საკომუნიკაციო პროცესში ასრულებენ. ფუნქციური მიდგომა საშუალებას იძლევა, აღმოვაჩინოთ ერთი და იგივე ენობრივი მოვლენის სტილიზაციის სხვადასხვა საშუალება შესაპირისპირე-

ბელ ენებში, რაც მათი სტრუქტურულ თავისებურებათა უფრო ღრმად ანალიზის წინაპირობაა.

ენის გაგებამ, როგორც სისტემურად ორგანიზებული ერთიანობისა, სადაც ყველა შემადგენელი ნაწილი ურთიერთკავშირშია და ურთიერთგანპირობებული, საშუალება მოგვცა დაგვედგინა, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან შესაპირისპირებელ ენათა სისტემები. ფუნქციური მიდგომა კი დაგვეხმარა განგვესაზღვრა ერთი და იმავე ენობრივი მოვლენის ფუნქციობის სხვადასხვა საშუალება შესასწავლ ენებში, რაც აღსაწერი ენების სტრუქტურულ თავისებურებათა უფრო ღრმა ანალიზის საშუალება გამოდგა.

წინამდებარე წიგნში შევეცადეთ, ფუნქციური ანალიზის დახმარებით უფრო სრულად აგვეხსნა ენისა და მეტყველების სტრუქტურა, გამოგვეკვლინა ენობრივ საშუალებათა შიდასისტემური დისტრიბუცია და აღმოგვეჩინა მათი სამეტყველო რეალიზაციის სპეციფიკა.

ენათმეცნიერთა დიდი ჯგუფი, რომელიც ენათა კონტრასტული შეპირისპირების პრობლემებზე მუშაობს, შეუძლებლად მიიჩნევს შესაპირისპირებელ ენათა შორის მხოლოდ ცალკეული ფორმების მსგავსება-განსხვავების გამოვლენას. მათი თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, საჭიროა კატეგორიულ, სისტემურ მოვლენათა შეპირისპირება და „არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მოცემული მოვლენის ფორმალური აღწერით ჯერ ერთ, ხოლო მერე მეორე ენაში“ (Ярцева 1981, 8). აუცილებელია მოცემული გრამატიკული მოვლენის ფუნქციური ღირებულების შესწავლა და მისი ადგილის განსაზღვრა ენის გრამატიკულ სისტემაში მთლიანად.

სისტემურობა კონტრასტული კვლევის წამყვანი პრინციპია. ამ პრინციპის გარეშე შეუძლებელია არამონათესავე ენების გრამატიკული წყობის მეცნიერული შეპირისპირება, რადგან სისტემურობა არა ცალკეული ფაქტების შედარება-შეპირისპირებას, არამედ მთლიანად ორი ენის სისტემის (რომელიც საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება) შეპირისპირებას ითვალისწინებს. ამ დროს პირველ რიგში უნდა მოხდეს ენის სისტემის ანალიზი და, როცა მოცემულ კონკრეტულ ენაში სისტემურ კავშირებსა და ურთიერთობებს დავადგენთ, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფუნქციათა ანალიზი.

არამონათესავე ენების (ისე როგორც საერთოდ ენათა) გრამატიკული სტრუქტურების შეპირისპირებისას არსებითია აღწერის მიმართულების განსაზღვრა: ფორმიდან შინაარსისაკენ, თუ შინაარსიდან ფორმისაკენ. თუმცა ყველა ენის შედარების ეტალონის ძიებისას ზოგიერთი ლინგვისტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „კონტრასტული ანალიზისას უნდა ამოვიდეს ცნებათა სისტემიდან, რომელიც თავის

გამოხატულებას ენაში პოულობს. ასე წარმოიშვა კვლევის მიმართულება შინაარსიდან ფორმისაკენ" (Ярцева 1967, 204).

ამ პრინციპის გამოყენებით შესაძლებელია წარმატებით შევისწავლოთ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები, ე. ი. მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, კონტექსტური გამოხატვის საშუალებანი, რომლებიც ზოგად სემანტიკურ ინვარიანტად ერთიანდება. ეს პრინციპი დაედო საფუძვლად ჩვენს შრომაში ტემპორალობის, ასპექტობის და პერფექტობის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა შესწავლას.

ტრადიციული და კარგად აპრობირებულია აღწერა: ფორმა→ფუნქცია→მნიშვნელობა. ასეთი კვლევის დროს ამოსავალია გრამატიკული კატეგორიები, მორფოლოგიური ფორმები, სინტაქსური კონსტრუქციები, რაც ითვალისწინებს მათ მიერ გამოხატულ მნიშვნელობათა დიაპაზონის დადგენასა და ენის სისტემაში ან რომელიმე ქვესისტემაში მათი ადგილის კვლევას.

ასეთი აღწერის ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტს ყოველ ცალკე აღებულ შესაპირისპირებელ ენაში შესასწავლი კატეგორიების მარტივი აღწერა წარმოადგენს, რაც კვლევისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას ბადებს.

ფორმალურობის თავიდან აცილების მიზნით უფრო სწორად მიგვაჩნია კვლევა შინაარსიდან ფორმისაკენ ვაწარმოოთ, რომელიც, მართალია, დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ უტყუარია. ძირითადი სიძნელე, რომელიც ასეთი კვლევისას წარმოდგება იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ დაუმუშავებელია რაციონალური და ემპირიულად დასაბუთებული სემანტიკა, რომელიც ლინგვისტური შეპირისპირების საფუძველი გახდებოდა. ამ მიმართულების სასარგებლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სემანტიკის სფეროში ენათა შორის გაცილებით მეტია მსგავსება, ვიდრე მათ გამოხატვის ფორმალურ საშუალებებში. ამიტომაც სხვადასხვა სისტემის ენათა გრამატიკული წყობის შეპირისპირებისას მათ შორის შესატყვისობა სემანტიკის დონეზე უფრო ადვილი დასადგენია, ვიდრე ფორმის.

ენათა შეპირისპირებითი შესწავლისას (უფრო ვიდრე ერთი ენის კვლევისას) დიდი მნიშვნელობა აქვს იმის განსაზღვრას ნაშრომი ონომასეოლოგიის (ნომინაციის თეორია), თუ სემასიოლოგიის (რეფერენციის თეორია) პლანზეა ორიენტირებული. ამ ორ მიდგომას შორის განსხვავება მხოლოდ კვლევის ხაზოვან მიმართულებაში როდია. მისი პრინციპული მხარის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ ერთსა და იგივე ნიშანს აქვს უნარი რამდენიმე სხვადასხვა ცნებას უწოდოს სახელი და იმის, რომ ერთსა და იმავე ცნებას აქვს შესაძლებლობა, რამდენიმე ნიშნის დახმარებით გამოიხატოს.

სემასიოლოგიური მიდგომისას მკვლევარს საქმე აქვს საანალიზო ფორმის მრავალმნიშვნელობიანობასთან. მაგალითად, ინგლისურ ენაში ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმა გამოხატავს საუბრის მომენტისათვის აქტუალურ მოქმედებას ('How do you feel?' O. K.'), გავრცობილს (I still believe that he is a great man), იტერატულს (This is what I always wear at home), მუდმივს (London is the capital of England), ზოგადს (The sun rises in the east and sets in the west) და ა. შ.

სემასიოლოგიური მიდგომა შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც შიდაენობრივ, ისე საენათაშორისო პლანში.

რაც შეეხება ონომასიოლოგიურ მიდგომას, იგი პირველ რიგში ფორმათა ფუნქციურ სინონიმიასთანაა დაკავშირებული, სადაც ეს ფორმები ამოსავალი ცნების ნიშნითაა სინონიმური. მაგალითად, ინგლისურ ენაში ახლანდელი დრო გამოიხატება ფორმებით: ახლანდელი განუსაზღვრელით (She lives with her mother), ახლანდელი განგრძობითით (Why are you smiling?), ახლანდელი პერფექტ-განგრძობითით (You've been fooling me for two years) და ა. შ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ონომასიოლოგიური მიდგომისას ფუნქციურ-სემანტიკური პრინციპი ფორმათა სპეციფიკურობაზე სრულ წარმოდგენას ვერ იძლევა, რადგანაც მარტო პერიფერიული საშუალებები კი არ არის მრავალმნიშვნელობიანი, არამედ ბირთვულიც. მრავალმნიშვნელობიანობა კი შეიძლება იქნეს შესწავლილი მხოლოდ სემასიოლოგიური გზით.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ორივე მიდგომის კომბინირების აუცილებლობის დასკვნა. გვეძლევა საშუალება, რომ აღწერის მიმართულების ფორმირება წარმოვიდგინოთ როგორც სემასიოლოგიურ და ონომასიოლოგიურ მიდგომათა შეხამება, რომელიც წინამდებარე წიგნში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

1. ორივე საკვლევ ენაში — ინგლისურსა და ქართულში — ზმნის ასპექტ-დროის ფორმათა ინვენტარის დადგენა. რომელიც რომელიღაც უნივერსალურ-ლოგიკურ კომპონენტს შეესატყვისება (ონომასიოლოგიური მიდგომა);

2. საანალიზო ფორმების ვარიანტულ მნიშვნელობათა განსაზღვრისათვის ყველაზე უფრო ადეკვატური ეტალონის შერჩევა (სემასიოლოგიური მიდგომა);

3. ყოველი ფორმის მნიშვნელობის შეპირისპირება და განზოგადება რომელიმე დიფერენციალური პროცედურის გზით, მაგალითად, კონტექსტურ-იერარქიული (სემასიოლოგიური მიდგომა).

კონტრასტიციის ერთ-ერთი წინაპირობა შემდეგში მდგომარეობს, რომ როგორც წესი, ენათა შეპირისპირებისას კვლევა აღწერის უკვე გამ-

ზადებულ შედეგებს ეყრდნობა. ასეთ დროს შეპირისპირება მხოლოდ შესასწავლი ობიექტების ერთგვაროვანი აღწერისას არის შესაძლებელი ცალკე აღებულ ორივე ენაში. ერთგვაროვანი აღწერა კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შესაპირისპირებელი მოვლენების ანალიზი ყოველ შესასწავლ ენაში ერთი და იგივე მეთოდით იწარმოებს და გამოყენებული იქნება კლასიფიკაციის ერთი და იგივე კრიტერიუმი. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოაშკარავებული განსხვავებანი კვლევის მეთოდთა სხვადასხვაობით იქნება განპირობებული და არა ენობრივი სინამდვილით. ამიტომაც არამონათესავე ენათა გრამატიკულ სისტემათა შეპირისპირებისას ისეთი პრინციპების შერჩევაა საჭირო, რომლებიც დამაკმაყოფილებელ შედეგებს მოგვცემს.

ჩვენი კვლევისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ქართული ენის გრამატიკა (შანიძე 1973), რომელიც წარმოადგენს ქართული ენის ნორმატიულ სახელმძღვანელოს, საბჭოთა ლინგვისტური სკოლისათვის დამახასიათებელი პრინციპითა და კატეგორიებითაა აღწერილი. გარდა ამისა უკანასკნელ წლებში ბევრი ფასეული შრომა შეიქმნა ქართული ენის მორფოლოგიის, სინტაქსისა და სხვა სფეროში, რომლებმაც აღნიშნულ პრობლემაზე დიდად შეგვიმსუბუქეს მუშაობა (იხ. თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ზ. სარჯველაძის, ნ. ჭანიშვილის, ზ. ჭუმბურიძის, ა. დავითიანის და სხვათა შრომები).

ინგლისური ენის შესატყვისი სისტემის შერჩევა კი გაცილებით დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნეში ინგლისური ენის გრამატიკული სისტემის სისტემატიზაცია ერთიანი არ ყოფილა. ინგლისური ენის სასკოლო გრამატიკის გვერდით, რომელიც ინგლისში შეიქმნა, არსებობს აგრეთვე მრავალი სხვა გრამატიკა, რომლებიც ინგლისის გარეთაა დაწერილი — ამერიკაში, დანიაში, ჰოლანდიაში (იხ. შრომები: ლ. ბლუმფილდისა, ო. ჯესპერსენისა და სხვათა) და ინგლისური ენა ტრადიციული სქემით არ არის წარმოდგენილი. ასე, მაგალითად, თუ ინგლისური და ქართული ენების შედარებისას გამოვიყენებთ ინგლისური ენის სისტემის აღწერას, რომელსაც ამერიკელი ენათმეცნიერი ლ. ბლუმფილდი (Bloomfield 1933) ან დანიელი ლინგვისტი ო. ჯესპერსენი (Jespersen 1943) გვთავაზობენ, მაშინ ქართული ენის აღწერა ახლებურად — ლ. ბლუმფილდის ან ო. ჯესპერსენის სისტემათა მიხედვით მოგვიხდებოდა, ეს კი, ცხადია, შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, რადგან ამ ენათა მიმართ გამოყენებული აღწერის პრინციპი განსხვავებული იქნებოდა. საბჭოთა ანგლისტიკაში ეს ურთულესი ამოცანა ა. ი. სმირნიცკის (Смирницкий 1959) მიერ იქნა გადაწყვეტილი. მის შრომებში ინგლისური ენის გრამატიკის ფაქტების პრინციპულად განსხვავებული გაგებაა წარმოდგენილი. ამი-

ტომ ჩვენს გამოკვლევაში ინგლისური ენის თეორიულ აღწერას ეს შრომები დაედო საფუძვლად.

ენათა შეპირისპირებისას დიდი მნიშვნელობა ენათა კონტრასტული კვლევის მეთოდიკას ენიჭება. ენათმეცნიერებაში ასეთი კვლევა ძირითადად ორი გზით წარმოებს.

პირველი — ესაა ორი ან ორზე მეტი ენის შეპირისპირება რომელიმე ბუნებრივი ან ხელოვნური ფუძე-ენის საშუალებით, რომელიც „ათვლის წერტილი“ ანუ შეპირისპირების ბაზაა. ეს ის საფუძველია, რომელთან მიმართებაშიც შესაპირისპირებელი ენის სპეციფიკა განისაზღვრება. ასე, მაგალითად, გვაქვს გამოკვლევა, სადაც გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ლათინური და ბერძნული ენების გრამატიკული აგებულება შეპირისპირებულია ჰიპოთეტიკურ ინდო-ევროპულ ფუძე-ენასთან და ყოველი (შესაპირისპირებელი) ენის სტრუქტურის სპეციფიკა ამ ფუძე-ენასთან დამოკიდებულებითაა განსაზღვრული (Sommer 1931).

მეორე გზა — რეალურად არსებული ენების (ორი ან ორზე მეტი) უშუალო შეპირისპირებაა ფუძე-ენის გარეშე. კონტრასტულ გამოკვლევათა უმრავლესობა უმთავრესად ამ გზას ირჩევს, რადგან იგი შედარებით მარტივი და თვალსაჩინოა, თუმცა პირველ შემთხვევაში შეპირისპირება მკაცრად შემოსაზღვრულ ჩარჩოებშია მოქცეული.

ენათა შეპირისპირების შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემა აღწერის სიმეტრიულობა თუ ასიმეტრიულობაა. ენათა სიმეტრიული აღწერისას ორივე ენა თანაბარი უფლებით სარგებლობს. ასიმეტრიული შეპირისპირებისას კი ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ერთ ენაზე — ინვარიანტზე, ხოლო მეორე ენის შესატყვისი მოვლენები ვარიანტებად მიიჩნევა. ასეთი კვლევის დროს საქმე გვაქვს შეპირისპირების პირველ წევრთან — წყარო ენა (source language) და მეორე წევრთან — მიზანი ენა (target language). ჩვენი აზრით, ენათა შეპირისპირებითი შესწავლა არ შეიძლება შემოისაზღვროს მხოლოდ ასიმეტრიული შეპირისპირებით, როცა ემპირიულად აიწერება, თუ როგორ გადმოიცემა ესა თუ ის მოვლენა ერთი ენიდან მეორეზე. უფრო საიმედო და ზუსტად გვესახება ორი ენის სისტემების სიმეტრიული შეპირისპირება.

საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ, პედაგოგიური ასპექტის ადგილის საკითხზე კონტრასტული ლინგვისტიკის კვლევის სფეროში.

დღეს ბევრი მკვლევარი შეპირისპირებით ლინგვისტიკას უცხოურ ენათა სწავლების მეთოდიკის ნაწილად თვლის. ზოგიერთი მათგანის აზრით, ენის სწავლება და შესწავლა შეპირისპირებითი ანალიზია. ამ თვალსაზრისის მიხედვით შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ძირითად კატეგორიას „ინტერფერენცია“ წარმოადგენს, რომელიც ჩვენს

ნაშრომში შემდეგნაირად განისაზღვრება: „ნორმისაგან ის გადახრა, რომელიც ბილინგვთა (ადამიანთა, რომლებიც პარალელურად ორ ენას ხმარობენ) მეტყველებაში შეიმჩნევა ამ ორ ენათაგან რომელიმე მათგანის გამოყენებისას, და რომელიც ამ ენათა ურთიერთქმედების შედეგად მიიღება. ინტერფერენციის მოვლენას წარმოადგენს“ (Weinreich 1968. 1).

შეპირისპირებითი მეთოდი, როგორც უცხოურ ენათა სწავლების მეთოდიკის საყრდენი, უდაოდ დიდად უწყობს ხელს უცხოური ენის ეფექტურ შესწავლას და ამით დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს მას. ამიტომ ყველა შრომა ენათა შეპირისპირებითი შესწავლის სფეროში, ჩვენი აზრით, პრაქტიკულად ფასეულია იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი შემოსაზღვრულია მხოლოდ ემპირიული და არა თეორიული კვლევით. ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ შეპირისპირებითი კვლევა, როგორც ლინგვისტური შესწავლის მეთოდი, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების მიმართულება, რომელსაც პრეტენზია აქვს ისტორიულ-შედარებით მეთოდს გაუტოლდეს, შეიძლება გავაიგივოთ იმ წმინდა პრაქტიკულ რეკომენდაციებთან, რომლებიც შესაძლოა ამ მეთოდის გამოყენების შედეგად იქნეს მიღებული: „შეპირისპირებით მეთოდს განსაზღვრული ღირებულება აქვს არა მხოლოდ უცხოური ენის ფაქტების გადმოსაცემად მისი შესწავლის პროცესში, არამედ იგი უაღრესად ფასეულია მეცნიერული ანალიზისათვის და აგრეთვე ყოველი ენის აღსაწერად (მათ შორის დედაენისაც). სხვადასხვა ენის (მიუხედავად მათი წარმოშობისა) ფაქტების შედარება-შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს უკეთ შევამჩნიოთ, დავახასიათოთ და გავიაზროთ ყოველი შესასწავლი ენის სპეციფიკური თავისებურებანი. ეს კი, ცხადია, უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა იმისა, რომ აღმოვაჩინოთ და ყოველმხრივ გამოვიკვლიოთ ენის განვითარების შინაგანი კანონები“ (Смирницкий 1953. 3).

ამიტომაც ვერ დავეთანხმებით იმ მკვლევარებს, რომლებიც შეპირისპირებითი ანალიზის ამოცანას მხოლოდ უტილიტარულ მიზნებში ხედავენ. ამოცანის ასეთ დავიწროებას შეუძლია ზარალი მიაყენოს უცხოური ენის სწავლების მეთოდიკასაც, რადგან ზოგიერთი მკვლევარი დედაენის მაინტერფერირებელ გავლენას უცხოური ენის შესწავლის ერთადერთ სიძნელედ მიიჩნევს. საყოველთაოდ კი არის ცნობილი, რომ უცხოური ენის დაუფლებისას წარმოშობილი ყველა სიძნელე არ არის დაკავშირებული დედაენის მაინტერფერირებელ გავლენასთან (ინტერლინგვისტური ინტერფერენცია). ამის დამადასტურებელია ის ცნობილი ფაქტი, რომ უცხოური ენის უკვე შეთვისებული ჩვევები არანაკლებად ძლიერ უარყოფით გავლენას ახდენს შესასწავლ ენაზე (ინტრალინგვისტური ინტერფერენცია).

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია, შევჩერდეთ კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. კერძოდ, ორი არამონათესავე ენის — ინგლისურისა და ქართულის — გრამატიკულ სტრუქტურათა ზოგად მახასიათებელთა ხასიათზე.

ინგლისური ენის წყობა ანალიზურია, ქართულისა კი სინთეზური. ყველასათვის ცნობილია, რომ ანალიზური წყობის ენები გრამატიკულ მნიშვნელობათა გადმოსაცემად სიტყვათა რიგს და დამხმარე სიტყვებს იყენებენ მაშინ, როცა სინთეზური აგებულების ენები გრამატიკულ საშუალებად ძირითადად ფლექსიას ხმარობენ. უნდა გვახსოვდეს, რომ „ენების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფა პირობითი და მიახლოებითია. არ არსებობს წმინდა ანალიზური და სინთეზური ენა, მაგრამ თითქმის ყოველი სახის ენის წყობაში შეინიშნება როგორც ანალიზური (სიტყვათა რიგი, დამხმარე სიტყვები), ისე სინთეზური (ფლექსია, სიტყვათცვალებადობა) საშუალებები“(Бархударов 1972, 69).

ინგლისური ენის ანალიზურობა განსაკუთრებით მკაფიოდ ზმნის სფეროში იჩენს თავს, თუმცა აქ ფლექსიურ ფორმათა განსაზღვრული გამოყენებაც შეინიშნება. ქართული ზმნა კი ფლექსიის დიდი განვრცობით ხასიათდება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქართული ენისათვის ძირითადად ჯგუფური ფლექსიაა დამახასიათებელი (Finck 1923, 132-149). აქ „ზმნის კატეგორიის მაჩვენებლები უშუალოდ უკავშირდება ბრუნვის მაჩვენებლებს სახელში. მთელი წინადადება ფორმდება ზმნური მაჩვენებლებით“ (Чанишвили 1981, 81). თუმცა, ზოგჯერ ანალიტიკური კონსტრუქციებიც (მაგალითად, კონსტრუქციები დამხმარე ზმნებით) გამოიყენება.

ინგლისურ ენაში ანალიზურობა მთლიანად იმ გრამატიკული საშუალებებით შემოისაზღვრება, რომლებიც წინადადებაში სიტყვათა შორის სინტაქსურ კავშირებს უშუალოდ გამოხატავს. გრამატიკულ ფორმებს (ამ შემთხვევაში ზმნის დროთა ფორმები) ანალიტიკური კონსტრუქციებით შეცვლით მიდრეკილება არა აქვთ. ასე, მაგალითად, ინგლისურ ენაში ისეთი ანალიტიკური კონსტრუქციები, როგორიცაა პერფექტი, განგრძობითი ასპექტი და სხვები წარმოიშვნენ როგორც კატეგორიათა მაჩვენებლები (დროთა მიმართება, ასპექტი და ა. შ.) და ზმნის სისტემიდან ძველი სინთეზური ფორმების გამოდევნა ვერ შეძლეს.

ქართულ ენაში კი სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს. ქართული ზმნა რთულ სინთეზურ კონსტრუქტს წარმოადგენს, რომლის აგებულებაში წარმოდგენილია ყველა აქტანტი, როგორც სტრუქტურის სავალდებულო წევრი. ქართულში ზმნა ხშირად მთელი წინადადების ბადალია (მაგალითად, ვზივარ და ა. შ.). მასში აღინიშნება როგორც ქვემდებარის,

ისე პირდაპირი და ირიბი დამატების პირი, რამაც განაპირობა აბსოლუტური და რელატიური უღლების არსებობა ქართულში.

ქართულ ენაში. როგორც ცნობილია, ზმნები შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი. მაგალითად:

1. V+S: პრაზობ-ს ის. დუმ-ს ის, ტირიან ის და ა. შ. (ამ ერთპირიან ზმნებში სუბიექტური პირის (III) მორფემა მარკირებულია და წარმოდგენილია ალომორფით (ს).

2. V+S+O_1+$(O)_2$: ს-ძულ-ს ის მას (ამ ზმნაში სუბიექტის (III) პირი მარკირებულია სუფიქსით (ს), ხოლო ირიბი ობიექტის (III) პირი — პრეფიქსით (ს). აშენებ-ს ის მას, კერავ-ს ის მას და ა. შ. (ამ ზმნებში მარკირებულია მხოლოდ სუბიექტის პირი (III). იგი წარმოდგენილია ალომორფით (ს). რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს, მას ქართულში მესამე პირში ნიშანი არა აქვს).

3. V+S+O_1+O_2: აძლევ-ს ი'ს მას მას (ამ ზმნაში როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ობიექტის (III) პირი წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფით მაშინ, როცა ამ ზმნაში სუბიექტის III პირს ნიშანი აქვს — სუფიქსი (ს). მ-წერ-ს ის მე მას (ამ ზმნაში კი სუბიექტის III პირი მარკირებულია სუფიქსით (ს), ირიბი ობიექტის (I) პირი კი პრეფიქსით (მ), ხოლო პირდაპირი ობიექტის (III) პირი, ჩვეულებრივ, უნიშნოა). გვ-პარავ-ს ის ჩვენ მას (ამ სიტყვაში მარკირებულია სუბიექტის (III) პირი სუფიქსით (ს) და ირიბი ობიექტის პირი (I მრ. რიცხვი) — პრეფიქსით (გვ), პირდაპირი ობიექტის (III) პირი კი, ჩვეულებრივ, არამარკირებულია).

ინგლისურში კი ზმნა ერთ სინტაქსურ ცნებას — შემასმენელს გამოხატავს. ინგლისურში ზმნა ყოველთვის ერთპირიანი იყო. ამჟამად ეს ერთპირიანობაც კი შემოსაზღვრულია. ამიტომაა, რომ ინგლისურ ზმნას (16 სიტყვაფორმიდან) პირისა და რიცხვის ცვალებადობის მიხედვით მხოლოდ 22 ფორმა აქვს მაშინ, როცა ქართულში რელატიური წყობის ზმნა ფორმათა ასეთ რაოდენობას მხოლოდ ერთ მწკრივში უჩვენებს. საერთოდ კი აბსოლუტურ ზმნას ყველა მწკრივში შეიძლება ქონდეს 66 ფორმა, ხოლო რელატიურს — 144 (შანიძე 1973, 233-234)

მარტო ეს ფაქტიც ადასტურებს იმას, რომ შესაპირისპირებელი ენები — ინგლისური და ქართული—სტრუქტურულად არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ ორი ენის კონტრასტული შეპირისპირება სერიოზულ ლინგვისტურ ანალიზს მოითხოვს, რომლის თეორიული საფუძველიც შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა ამ პარაგრაფში. რაც შეეხება პრობლემის მეორე მხარეს — პრაქტიკულს, იგი შემდგომი კვლევის საქმეა.

არამონათესავე ენების სისტემური, განსაკუთრებით კი ფუნქციური

შეპირისპირება შესაძლებლობას მოგვცემს დეტალურად შევისწავლოთ ამ ორი ენის იზომორფიზმი, ალომორფიზმი და აგრეთვე შესაპირისპირებელი კატეგორიების გამოყენების პირობები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიის შემდგომი გაღრმავებისათვის, პრაქტიკისათვის, უცხოური ენის დაუფლებისათვის, რადგან ენათა ფუნქციობის შედეგად მიღებული მსგავსება-განსხვავებათა აღნუსხვა საშუალებას იძლევა, წინასწარ განვჭვრიტოთ უცხოური ენის შემსწავლელთა შეცდომების წყარო — დედაენის მაინტერფერირებელი გავლენა.

§ 2. კვლევის ზოგიერთი ზოგადთეორიული საკითხი

ენათმეცნიერება ისე, როგორც ყველა სხვა მეცნიერება ენის მოვლენებისა და ფაქტების აღსაწერად ქმნის კვლევის საკუთარ მეთოდებსა და საშუალებებს, ცნებებსა და ტერმინებს, რომლებითაც იგი ოპერირებს. ამიტომაც წინა პარაგრაფში დეტალურად განვიხილეთ ჩვენი კვლევის ძირითადი მეთოდის — შეპირისპირებითი მეთოდის თეორიული საფუძველი.

გარდა შეპირისპირებითი მეთოდისა, წარმოდგენილ წიგნში გრამატიკული ფორმის სემანტიკური პოტენციალის დასადგენად ვიყენებთ, როგორც გრამატიკულ ფორმათა მეტყველებაში ფუნქციობის უშუალო ანალიზს, ისე ფუნქციურ-სემანტიკურ მეთოდს. შესაპირისპირებელ ენათა ტემპორალურ-ასპექტურ მნიშვნელობათა ანალიზისათვის მართებული გამოდგა ბინარული მიდგომა ოპოზიციათა შეპირისპირების საფუძველზე. კვლევის სინტაგმურ დონეზე ვისარგებლეთ კომპონენტური ანალიზის მეთოდით, რითაც გადავწყვიტეთ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა — შევარჩიეთ ისეთი აზრობრივი სტრუქტურები და სემათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც საერთო ან განსხვავებული იქნებოდა ინგლისური და ქართული ენებისათვის. იმ ნაწილებში კი, რომლებიც დროთა ფორმების ფუნქციობას მიეძღვნა ტექსტში, გამოვიყენეთ კონტექსტური ანალიზი. მაგალითად ტექსტობრივი ანალიზისათვის მივმართეთ მე-20 საუკუნის ავტორთა მხატვრული ლიტერატურის ორიგინალურ ნაწარმოებებს ინგლისურ და ქართულ ენაზე.

კვლევის შედეგების სწორად გადმოცემის მიზნით ტერმინოლოგიის სხვადასხვაგვარობის გამო, ამ პარაგრაფში შევეცადეთ წარმოგვედგინა ზოგიერთი ლინგვისტური ცნების ანალიზი, რათა აგვეხსნა ჩვენი თვალსაზრისი ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით.

ფუნქციური მიდგომისას ზმნის დროთა ფორმების შინაარსის გამოსავლენად გვერდს ვერ ავუვლიდით ისეთ ცნებებს, როგორიცაა გრამატიკული ფორმის „ძირითადი (პირველადი) „და „კერძო (მეორადი)",

„პირდაპირი“ და „გადატანითი“, „პარადიგმული“ და „სინტაგმური“ მნიშვნელობა.

ლინგვისტურ ლიტერატურაში გრამატიკულ ფორმათა მნიშვნელობების მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული კლასიფიკაცია გვხვდება, რომლებიც ფორმის სემანტიკური სტრუქტურის და მასში შემავალ ელემენტთა იერარქიისადმი განსხვავებულ მიდგომას ასახავს. ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილ ცნებებს გრამატიკული ფორმის „ძირითადი“ და „კერძო“ მნიშვნელობები — საფუძვლად დაედო დიფერენციალურ-სემანტიკურ ნიშანთა ოპოზიციური ანალიზის პრინციპი, რომელიც საფუძვლიანადაა შესწავლილი ა. ვ. ბონდარკოს, ე. ი. შენდელსის, ე. კრუიჯკოვას, გ. დოკულილის, ე. კურილოვიჩის შრომებში. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია მნიშვნელობათა ორწევროვანი დაპირისპირება — ძირითადი (პირველადი) და კერძო (მეორადი) (იხ. Курилович 1976; Кржижкова 1966; Шендельс 1970; Докулил 1967).

ძირითადი მნიშვნელობა მეღავნდება „ნეიტრალურ კონტექსტში“, სადაც გრამატიკული ფორმა სამეტყველო პირობათა გავლენას არ განიცდის და გვხვდება საკუთრივ მისი მნიშვნელობით, ყოველგვარი დაშრევების გარეშე (Шендельс 1970, 27). ეს ძირითადი მნიშვნელობა გრამატიკული კატეგორიის შიგნით დიფერენციალურ-სემანტიკური ნიშნების ოპოზიციათა საფუძველზე დგინდება.

ჩვენს შრომაში დიფერენციალურ-სემანტიკურ ნიშანთა კრებული განიხილება როგორც ფორმის სემანტიკური პოტენციალი, რომელიც ფორმის ვარიანტულ მნიშვნელობებში მთლიანად ან ნაწილობრივ რეალიზდება. ფორმის სემანტიკური პოტენციალი შეიძლება მოიცავდეს ფაკულტატურ ნიშნებს (ეს ის ნიშნებია, რომლებიც ფორმის ყველა ვარიანტულ მნიშვნელობებში ყოველთვის არ გვხვდება).

ლინგვისტურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზმნის ზოგიერთ ფორმას (მაგალითად, ახლანდელი და წარსული დროის ფორმებს, პერფექტს და ა. შ) ძირითადი (პირველადი) მნიშვნელობა, რომელიც კონტექსტის დახმარებით ზუსტდება. სხვადასხვა სახის შეიძლება ჰქონდეს, სადაც კონტექსტი ზმნის დროის ფორმის სისტემურ მნიშვნელობაზე გავლენას არ ახდენს.

ფორმის ძირითად მნიშვნელობას უპირისპირდება მისი კერძო (მეორადი) მნიშვნელობა. იგი ფორმის ძირითადი მნიშვნელობის კონტექსტურად განპირობებული ვარიანტია, რომელიც „გრამატიკული ფორმისა და კონტექსტის ურთიერთქმედების შედეგად მიიღება“ (Бондарко 1971 (2), 8). ამ შემთხვევაში ზმნის ფორმის დროითი მნიშვნელობა კონტექსტითაა განპირობებული — კონტექსტი აკონკრეტებს და აზუსტებს ზმნის ფორმის დროით მნიშვნელობებს.

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ადგილი აქვს

სხვა შემთხვევებსაც, როცა გრამატიკული ფორმის დროითი და კონტექსტის ტემპორალური მნიშვნელობები ერთმანეთს სცილდება, ე. ი. როცა სდება ერთი დროს პლანის ტრანსპორტირება მეორეში.

როგორც ცნობილია, ტრანსპოზიცია ფორმის გადატანითი მნიშვნელობაა, რომელიც ფორმის ძირითადი მნიშვნელობისა და კონტექსტის ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშობა. ტრანსპოზიციის დროს ფორმის გრამატიკული მნიშვნელობა კონტექსტის საწინააღმდეგო მნიშვნელობას ღებულობს. მაგალითად, ფორმას აქვს ახლანდელი დროის მნიშვნელობა (მიდის ის...). მაგრამ კონტექსტი მიუთითებს წარსულზე (გუშინ ქუჩაში...).

ტრანსპოზიციის შემთხვევა მჭიდრო კავშირშია მეორე ენობრივ მოვლენასთან — ნეიტრალიზაციასთან. ნეიტრალიზაცია წინამდებარე ნაშრომში განისაზღვრება, როგორც „პროცესი, რომლის დროსაც განსაზღვრულ სინტაგმურ პირობებში ოპოზიციის მოწინააღმდეგე წევრის აზრობრივი დიფერენციალური ნიშანი იხსნება“ (Шендельс 1970, 15). ამავე დროს ნიშნის მნიშვნელობა მის საწინააღმდეგო მნიშვნელობაში გადადის, ე. ი. ფორმა იხმარება არა საკუთარი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით. ნეიტრალიზაცია, როგორც წესი, ოპოზიციის ერთი წევრის მეორე წევრად გამოყენების სფეროში ხდება ტრანსპოზიციის გზით.

ინგლისურ ენაში ნეიტრალიზაციის ერთ-ერთ ძლიერ ფაქტორს წარმოადგენს ლექსიკური დეტერმინანტები: tomorrow, next week, next month, next year, on Sunday, on Monday, რომელთა დახმარებითაც ახლანდელი დროის ტრანსპოზიცია ხდება მომავლის სფეროში. მაგალითად:

'I put stamps on my manuscripts and started them off to the editors again. Tomorrow I start to work.' (J. London, Martin Eden).

'I'm taking Enid down to Montauk to her mother's tomorrow morning for the week but I'll be coming back myself on Sunday.' (Ir. Shaw. Rich Man, Poor Man).

იგივე მოვლენას აქვს ადგილი ქართულ ენაშიც:

— თბილისს **მივდივარ** მოვალ კვირას და თუ დამხვდა მუშნი შინ, მოვილაპარაკებ მასთან, რას იტყვის ნეტავი? (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

წინამდებარე ნაშრომში ტრანსპოზიცია განხილულია, როგორც დროის ამა თუ იმ ფორმის გადატანითი მნიშვნელობა, რომელიც ფორმას მისი პირდაპირი გამოყენების დროს არ ახასიათებს. საენათმეცნიერო ლიტერატურაში იგი განსაზღვრულია როგორც წინააღმდეგობა „ფორმის მნიშვნელობისა და მეტყველების რეალურ პირობებს შორის“ (Пешковский 1956, 208).

ამგვარად, ტრანსპოზიციის შემთხვევაში დროის ესა თუ ის ფორმა კონტექსტის საწინააღმდეგო მნიშვნელობას იძენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მიუხედავად ამისა, „კონტექსტი ვერ ცვლის და ვერც ახშობს ფორმის მნიშვნელობას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მის ნათელ, სრულ და განსაკუთრებულ გამოხატვას" (Бондарко 1971 (2), 171). ყველაზე მეტად ტრანსპოზიცია ახლანდელ დროს ახასიათებს როგორც წარსულში, ისე მომავალში. საილუსტრაციოდ მივმართოთ ინგლისური ენის ტექსტს:

The show wasn't as bad as some I've seen. It was five hundred thousand years in the life of this one old couple. It **starts** out when they're young and all, the girl's parents **don't want** her to marry the boy, but she **marries** him anyway. Then they **keep** getting older and older. The husband **goes** to war and the wife **has** this brother that's a drunkard. (J. Salinger, The Catcher in the Rye).

'They come in once or twice a week. There's a Committee for the legal Protection of inmates. The next time one **comes** in I'll tell him about you.' (J. Cheever, Falconer).

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა ახლანდელი დროის გარდა დროის კატეგორიის სხვა წევრთა ტრანსპოზიციაცაა შესაძლებელი, მაგრამ ეს უფრო იშვიათად გვხვდება. ენათმეცნიერთა აზრით დროთა ტრანსპოზიცია ცალკეულ ენებში ერთნაირი ხარისხით არ გვხვდება, თუმცა ახლანდელი ისტორიული და ახლანდელი პროსპექტული ზოგადენობრივი მოვლენაა (Кржижкова 1966; Бондарко 1971 (1,2); Тураева 1979).

ტრანსპოზიციისა და ნეიტრალიზაციის მოვლენის შესწავლას ჩვენი გამოკვლევისათვის (რომელიც კონტრასტული ხასიათისაა) უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ენები ამ მიმართულებით ავლენენ როგორც მსგავსებას, ისე განსხვავებას. მათი შესწავლა კი ძალიან ღირებულია შესაპირისპირებელ ენებში დრო-ასპექტის ფორმათა ფუნქციობის სრული აღწერისათვის.

ტრანსპოზიციის და ნეიტრალიზაციის მოვლენა მჭიდრო კავშირშია გრამატიკული სიტყვაფორმის მრავალმნიშვნელობიანობის პრობლემასთან.

მრავალმნიშვნელობიანობა განკერძოებული მოვლენაა როგორც ლექსიკაში, ისე გრამატიკაში, თუმცა ორივეგან სხვადასხვაგვარად ვლინდება. ასე, მაგალითად, ე. ი. შენდელსმა, რომელმაც დეტალურად შეისწავლა მრავალმნიშვნელობიანობის მოვლენა, გამოყო მისი სამი სახე: სინქრონიული, კომპონენტური და პოტენციური. სინქრონიული

მრავალმნიშვნელობიანობა, ავტორის აზრით, იმაში ვლინდება, რომ ერთი და იგივე ფორმა რამდენიმე ოპოზიციის შემადგენლობაში შედის, ე. ი. ყოველ ფორმას სხვადასხვა კატეგორიული მნიშვნელობის შეთავსება შეუძლია, მაგალითად, პირის, დროის, კილოს და ა. შ. ეს მოვლენა ლინგვისტურ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც „აღნიშნულთა შეთავსება“ (Балли 1955) ან „მნიშვნელობათა სინკრეტიზმი“ (Ельмслев 1962, 195). კომპონენტური მრავალმნიშვნელობიანობა (სემებად დაყოფა), როგორც ე. ი. შენდელსი აღნიშნავს, დაკავშირებულია გრამატიკული ფორმის მნიშვნელობის მინიმალური ერთეულის — სემის — განსაზღვრის პრობლემასთან. პოტენციური მრავალმნიშვნელობიანობა კი გრამატიკული ფორმის სხვადასხვა მნიშვნელობაა, რომელსაც იგი განსხვავებულ პირობებში იძენს.

გრამატიკული ფორმის მრავალმნიშვნელობიანობა მეტყველების ყველა ნაწილთან გვხვდება. ზმნის დროთა ფორმების პოლისემიურობა უკვე საკმარისადაა შესწავლილი ე. ი. შენდელსის (გერმანული ზმნისათვის), ა. ვ. ბონდარკოს (რუსული ზმნისათვის), ზ. ი. ტურაევას (ინგლისური ზმნისათვის), ე. ნ. ფირსოვას (ესპანური ზმნისათვის) და ა. შ. შრომებში.

განსხვავებულ სამეტყველო პირობებში ზმნის დროის ფორმის ხმარებისას ამ ფორმის დამატებითი მნიშვნელობები წარმოიშობა. მნიშვნელობათა მთლიანი მოცულობა, რომელსაც ფორმა ღებულობს სამეტყველო პირობებში, ითვლება ფორმის პოტენციურ მრავალმნიშვნელობიანობად.

ზემოთ ნათქვამის დასადასტურებლად წარმოვადგენთ ორ მაგალითს ახლანდელი განუსაზღვრელი დროის ფორმებით:

'He doesn't take notes' said Brissenden. 'He remembers it all'.

'That's sufficient for me.' The cub was trying not to look worried. (J. London, Martin Eden)

'The more she knows, the less she'll love him'. (ibid.)

ახლანდელი განუსაზღვრელი დროის ფორმას აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა და შესაბამისად განსხვავებული (ნაწილობრივ მაინც) სემები. პირველ შემთხვევაში სახეზეა სემები: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში, 2) მოქმედებათა ცალკეულობა, 3) მოქმედების ლოკალიზება. მეორე შემთხვევაში კი წარმოდგენილია სემები: 1) პროსპექტულობა, რომელიც მოჰყვება ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულს და კონტაქტშია მასთან, 2) მოქმედებათა ცალკეულობა, 3) მოქმედების ლოკალიზება.

ამგვარად, ფორმის მნიშვნელობის ცვლასთან ერთად იცვლება დი-

ფერენციალურ ნიშანთა სემანტიკური შემადგენლობა. ზემოთ განხილულ ორ მავალითში პირველი სემები განსხვავებულია, მეორენი და მესამენი კი ემთხვევიან. ყოველივე ეს იძლევა საფუძველს იმისა, რომ ვილაპარაკოთ ახლანდელი განუსაზღვრელი დროის ფორმის ორ მნიშვნელობაზე: აქტუალურსა და პროსპექტულზე (ფუტურალურზე), რომლებიც ერთი ღირებულებისანი არ არიან. აქტუალური მნიშვნელობა ძირითადია, პარადიგმულია ამ ფორმისათვის, ხოლო პროსპექტული მეორადია, სინტაგმური.

მრავალმნიშვნელობიანი ფორმის სემანტიკური სტრუქტურის სწორად გამოსავლენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორ დონეს — პარადიგმულსა და სინტაგმურს. ახლანდელი განუსაზღვრელი დროის ფორმის მნიშვნელობის შეცვლა გამოწვეულია სამეტყველო პირობების შეცვლით.

შრომაში ვიყენებთ ავრეთვე ცნებებს „პარადიგმული მნიშვნელობა“ და „სინტაგმური მნიშვნელობა“. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ფ. დე სოსიურმა ჩამოაყალიბა და ერთმანეთისაგან გამიჯნა ცნებები „პარადიგმული“ და „სინტაგმური“. ელემენტთა ურთიერთობას სწორხაზოვანი თანამიმდევრობით სინტაგმური უწოდა, ხოლო ელემენტთა როგორც სხვადასხვა კლასების წევრებს შორის ურთიერთობას პარადიგმული (ასოციაციური) (Соссюр 1977, 155-156). დროის ფორმების პარადიგმულ და სინტაგმურ პარამეტრთა შესწავლა აუცილებელია, რომ სემანტიკურად სწორად დავახასიათოთ ისინი.

გრამატიკული ფორმის პარადიგმული მნიშვნელობა გამოდის ფორმიდან ენის სისტემაში. ეს მნიშვნელობა გვეძლევა სისტემაში, ეყრდნობა რელევანტურ ურთიერთდაპირისპირებას და სისტემის შიგნით პოზიციებითაა განპირობებული. სინტაგმურ ასპექტში დროთა ფორმების ფუნქციობის ხასიათი კი მხოლოდ ამ ფორმათა კონტექსტური პირობების გათვალისწინების შესწავლის შედეგად შეიძლება გაირკვეს. სინტაგმური მნიშვნელობა არის ფორმის მნიშვნელობა კონტექსტში.

სინტაგმური მიმართებანი ასრულებენ ენის მთავარ ფუნქციას — კომუნიკაციურს, ე. ი. მათი დახმარებით ენა ფუნქციობს როგორც ურთიერთობის საშუალება, რადგანაც სინტაგმური მიმართების რეალიზაციით ენის ელემენტებისაგან წარმოიშობა სამეტყველო ნაწარმოებები — წინადადებანი, რომლებიც ინფორმაციას გადმოცემენ. ამგვარად, ენის კომუნიკაციური ფუნქციის რეალიზება სინტაგმურ მიმართებებში ხდება და ამავე დროს ეყრდნობა მას.

ყოველი ელემენტი სამეტყველო ჯაჭვში (სინტაგმატიკაში) იკავებს განსაზღვრულ ადგილს ანუ პოზიციას. ცნება „პოზიცია“ უაღრესად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დავახასიათოთ ელემენტის როლი სინტაგმურ ჯაჭვში. იგი, გარდა ამისა, ახასიათებს ელემენტს როგორც ამა

თუ იმ პარადიგმის წევრს. რადგანაც ცნება „პოზიცია“ ელემენტის რიგითი ნომერის დადგენაზე არ დაიყვანება მეტყველების ჯაჭვის განსაზღვრულ მონაკვეთში, ამიტომაც ძალიან ძნელია განვსაზღვროთ ელემენტის პოზიცია მასში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუძლებელია დავადგინოთ პოზიციის ათვლის ფიქსირებული წერტილი სამეტყველო ჯაჭვში.

ცნება „ელემენტის პოზიცია“ განუყრელადაა დაკავშირებული ცნებასთან „ელემენტის ფუნქცია“ და მის სხვა ელემენტებთან მიმართებასთან. ფუნქცია ვიწრო გაგებით ელემენტის გამოყენებაა ზოგიერთი მნიშვნელობის გამოსახატად ან განსასხვავებლად. ხოლო უფრო ფართე გაგებით — „ეს არის მოცემული ენობრივი ერთეულის როლი სამეტყველო პროცესში“ (Мартине 1960, 60). მეტყველებაში ელემენტის პოზიცია განისაზღვრება იმ ფუნქციით, რომელსაც იგი ასრულებს მოცემულ სამეტყველო ჯაჭვში და, რომელიც დამოკიდებულია მის ურთიერთქმედებაზე გარემომცველ ელემენტებთან.

შრომაში სინტაგმატიკისა და პარადიგმატიკის ურთიერთდაპირისპირება დაფუძნებულია „ენისა“ და „მეტყველების“ ობიექტურად არსებულ დიქოტომიურ გაყოფაზე, რომლის თანახმად ენა გაგებულია, როგორც სინტაქსურ კონსტრუქციათა სისტემა, ხოლო მეტყველება როგორც ტექსტი. რომელიც ამ სისტემის რეალიზებას, აქტუალიზაციას ახდენს.

ამრიგად, გრამატიკულ ფორმათა მრავალმნიშვნელობიანობის გამოსავლენად დიქოტომია „ენა-მეტყველება“ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, რომელიც ენათმეცნიერებაში ფ. დე სოსიურის დროიდან დამყარდა: ენა, როგორც საშუალებათა სისტემა და ენა—აქტუალური მეტყველება. თანამედროვე ენათმეცნიერებაში როგორც საბჭოურში, ისე საზღვარგარეთულში, ეს დიქოტომია ენათმეცნიერთა ერთი ჯგუფისაგან სრულიად იგნორირებულია, მეორესაგან მხოლოდ სამეცნიერო პრობლემასთანაა გატოლებული, რომელიც დღესაც მძაფრ დისკუსიას იწვევს, მესამე ჯგუფის წარმომადგენლებს კი იგი ენის ონთოლოგიური პლანიდან მეცნიერული აღწერის პლანში გადააქვთ (იხ. შარაძენიძე 1974).

როგორც ცნობილია, ნ. ხომსკიმ შემოიტანა ცნებები „კომპეტენცია“ (competence) — ენის იდეალური ცოდნა მოლაპარაკისა და მსმენელის მიერ და „გამოყენება“ (performance) — ენის რეალური გამოყენება კონკრეტულ სიტუაციებში. ნ. ხომსკი ენათმეცნიერებას, როგორც აზროვნების შემსწავლელ დარგს ვარაუდობს, რომ მთავარი ენის შესწავლაში იმ აზროვნებითი პროცესებისა და სტრუქტურების ხასიათის გაგებაა, რომლებსაც ისინი ქმნიან და იყენებენ (Chomsky 1965). ნ. ხომსკის კონცეფცია აგებულია ენისა და აზროვნებითი პროცესების

სამეტყველო აქტის წარმომშობ მექანიზმთა გაიგივებაზე. სწორედ მართლაა, რომ იგი ცვლის სოსიურისეულ ტერმინებს „ენა“ და „მეტყველება“ ტერმინებით — „კომპეტენცია“ და „გამოყენება“. როცა ნ. ხომსკი ლაპარაკობს კომპეტენციასა და გამოყენებას შორის გამიჯვნის განსაკუთრებულ ხასიათზე, იგი უარყოფს ფ. დე სოსიურის მიერ შემოთავაზებულ კონცეფციას ენაზე როგორც ერთეულთა სისტემატიზებულ ინვენტარზე და უბრუნდება ჰუმბოლდტისეული ფარული კომპეტენციის (როგორც წარმომშობ მექანიზმთა სისტემას) კონცეფციას (Chomsky 1965, 4).

ამგვარად, წარმომშობი ლინგვისტიკა ფ. დე სოსიურის სოციოლოგიზმს უპირისპირებს თავის ფსიქოლოგიურ მიდგომას. იგი ლინგვისტიკის საბოლოო მიზანს აზროვნებითი პროცესების მექანიზმის განსაზღვრაში ხედავს. ამ პროცესებს იგი ენობრივი მოქმედების საფუძვლად მიიჩნევს. სოსიური კი ენის განსაზღვრას საფუძვლად უდებდა სოციალურ ფაქტორებს და მხოლოდ მეტყველებას განაკუთვნებდა ფსიქოლოგიას (ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. Звегинцев 1976, 8-12).

ენა, როგორც კატეგორიათა განზოგადებულ ნიშანთა სისტემა და მათი შეხამებების ასევე ზოგადი მოდელი, როგორც „მიზნობრივი არსებობს მხოლოდ in potentia, არ ეძლევა მკვლევარს in corpore“ (Бодуэн де Куртенэ 1963).[1] მკვლევარს ენა ეძლევა მეტყველების ან სამეტყველო ნაწარმოების სახით, რომელთაგანაც ის ამოიღება და კონსტრუირდება როგორც მთლიანი ობიექტი (სისტემა). მეტყველება — ენის ფუნქციობის რეალური ფორმაა, ენის საშუალებათა რეალური გამოყენებაა რაიმე ინფორმაციის გადმოსაცემად. ენა არსებობს მეტყველებაში, მეტყველება კი არსებობს ენის არსებობის საფუძველზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა აძლევს მეტყველებას განსაზღვრულ სტანდარტულ სტრუქტურებს, რომელთა ტრანსფორმაციასაც იგი (მეტყველება) განსაზღვრული კომუნიკაციური შინაარსის გადმოსაცემად ახდენს.

ჩვენი გამოკვლევა ეყრდნობა სოსიურისეულ დიქოტომიიდან აძოსელ კონცეფციას („ენისა“ და „მეტყველების“ გაგების შესახებ), რომლის თანახმად „ენა არსებობს მეტყველებაში, სამეტყველო ნაწარმოებში — ტექსტში, რომელიც კომუნიკაციის პროცესში წარმოიქმნება. ენა არ დაიყვანება მეტყველებაზე. ენა ძირითადი და უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ყოველი სამეტყველო ნაწარმოებისათვის. იგი ის მასა-

[1] ლინგვისტს თვალწინ ცოცხალი ენების აგებულებაც კი არა აქვს (თუმცა ესმის მისი ბგერები). მან მხოლოდ შეპირისპირებისა და სხვადასხვა მოსაზრების საფუძველზე უნდა შექმნას წარმოდგენა მაშინ, როცა ნატურალისტს ზოგჯერ შეუძლია ცალკეული მკვდარი ორგანიზმის აგებულება ხელახლად შექმნას მათ რეალურ ნაკვალევზე (Бодуэн де Куртенэ 1963, 231).

ლაა, რომლისგანაც მეტყველება უნდა აიკოს" (Бархударов 1975(2), 59).

ასეთი გაგების ერთ-ერთი წინაპირობაა მიდგომა ენისადმი, როგორც გლობალური, ერთიანი მოვლენისადმი, რომელიც ორი განსხვავებული მოვლენის — სისტემისა და მეტყველების — დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს. ენის ეს ორგანზომილებიანი სტრუქტურულ-სემიოტური ორგანიზაცია — სისტემა და მეტყველება — თავის ასახვას ჰპოვებს ტექსტში.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ენის ფუნქციური ასპექტის დამუშავება, მისი ერთეულების მეტყველებაში (ტექსტში) ფუნქციობის მექანიზმის აღწერა. მოცემულ სიტუაციაში ერთიანი სამეტყველო ნაწარმოები — ტექსტი — ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც ფოკუსი, რომელშიც ყველაზე ნათლად მჟღავნდება ენისადმი ფუნქციური მიდგომა.

ბოლო დრომდე ლინგვისტური თეორია ძირითადად წინადადებაზე იღებდა ორიენტაციას, როგორც ენის იერარქიული სტრუქტურის ბოლო ერთეულზე. შეგვიძლია „მოვახდინოთ წინადადების სეგმენტირება, მაგრამ არ შეგვიძლია გავხადოთ იგი უფრო მაღალი დონის, რომელიმე სხვა ერთეულის ინტეგრანტად" (Бенвенист 1965, 440). მიუხედავად ამ თვალსაზრისისა, რომელიც წინადადებას ენის სისტემის უმაღლეს საფეხურად მიიჩნევს, ენის კომუნიკაციურმა ხასიათმა წარმოშვა მეორე შეხედულება, რომ ეს უმაღლესი საფეხური წინადადება კი არ არის, არამედ ტექსტია, რომელიც ენის დონეთა იერარქიაში იმის გამო ხედება, რომ ინფორმაცია, რომელსაც ტექსტი გადმოცემს არ უტოლდება წინადადებით ან ფრაზათა თანამიმდევრობით გადმოცემულ ინფორმაციას, რადგან ესენი დასრულებულ მთლიანობას არ წარმოადგენენ.

ტექსტის, როგორც განსაკუთრებული დონის სისტემის (უმაღლესი რანგის) განხილვა გულისხმობს ყველა იმ მიმართებათა შესწავლას, რომლებიც ტექსტის ელემენტებს აკავშირებს, კერძოდ კი პარადიგმულის, სინტაგმურისა და იერარქიულის (ინტეგრალურის ე. ბენვენისტის მიხედვით).

პარადიგმული და სინტაგმური მიმართება ერთი დონის ერთეულებს აკავშირებს, იერარქიული კი — სხვადასხვა დონისას. იერარქიულ დამოკიდებულებათა შუქზე ასპექტ-დროის სისტემის შესწავლა გვეხმარება, ამ სისტემის ფუნქციობის პრინციპი ტექსტის დონეზე აიხსნას. ტექსტის ინტეგრირებისას ასპექტ-დროის ფორმები ახალ თვისებას იძენენ, სახელდობრ კი, მორფოლოგიურ დონეზე არასისტემური, იქცევა სისტემურად უფრო მაღალი დონის — ტექსტის თვალსაზრისით. მხატვრულ ტექსტში ასპექტ-დროის ფორმათა თვისობრივად უაღ-

რესად თავისებური ფუნქციობის გასაგებად არსებითია სწორედ იერარქიული (ინტეგრალური) კავშირების დადგენა. რადგანაც ყოველ დონეზე (გამონათქვამის დონე, ტექსტის დონე) ენობრივი საშუალებები ახალ თვისებას იძენს. ამიტომაა, რომ ბოლო პერიოდში დროის გრამატიკული კატეგორია მხატვრულ ტექსტში ენათმეცნიერთა ღრმა დაკვირვების საგანი გახდა (Тураева 1979; Лихачов 1971; Meyerhoff 1968).

ლინგვისტურ ლიტერატურაში არაერთხელ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონტექსტი გრამატიკული ფორმის ფუნქციობისას, რომელთანაც იგი ურთიერთმოქმედებს და მის მნიშვნელობათა რეალიზაციის მოდიფიცირებას ახდენს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონტექსტის ზეგავლენით შეიძლება შეიცვალოს გრამატიკული ფორმის მნიშვნელობა საპირისპირო მნიშვნელობაში გადასვლამდეც კი. ფორმის მთელი სემანტიკური პოტენციალი არასოდეს რეალიზდება ერთიანად, რადგან ყოველ ცალკე აღებულ შემთხვევაში კონტექსტი ახდენს ერთი, ან მეორე მნიშვნელობის აქტუალიზაციას.

ამრიგად, კონტექსტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მრავალმნიშვნელობიანობის მოხსნაში. პარალინგვისტური ფაქტორების გავლენით კონტექსტი ენის ამა თუ იმ მრავალმნიშვნელობიან ერთეულს „უხსნის" ყველა მნიშვნელობას გარდა ერთისა და ამით ერთმნიშვნელობიანად აქცევს.

კონტექსტის ძირითადი ელემენტი, რომელიც აფართოებს, ამცირებს ან ასუსტებს ფორმის მნიშვნელობას, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობაა, რომლის შემადგენელ ნაწილსაც გრამატიკული ფორმა წარმოადგენს. ზოგჯერ ურთიერთმოქმედებს ორივე ფაქტორი: ლექსიკური და გრამატიკულიც. ამგვარად, გრამატიკულ ფორმათა კერძო მნიშვნელობების ლექსიკური განპირობებულობა შეიძლება სამი სახის იყოს: 1. შინაგანი ლექსიკური განპირობებულობა (გრამატიკულ ფორმაზე ლექსიკურის მოქმედება), 2. გარეგანი ლექსიკური განპირობებულობა (ლექსიკური გარემოცვის ზემოქმედება გრამატიკულ ფორმაზე), 3. სინკრეტული ლექსიკური განპირობებულობა (გრამატიკული ფორმის ლექსიკური შევსება და ლექსიკური გარემოცვის ზემოქმედება გრამატიკულ ფორმაზე) (Шенделъс 1962).

წინამდებარე შრომაში ვიყენებთ ტერმინს „ხელსაყრელი კონტექსტი", რომელიც ფორმის ამა თუ იმ მნიშვნელობის რეალიზაციასა და აქტუალიზაციას უწყობს ხელს.

კონტექსტის ზოგადი ცნების ფარგლებში განასხვავებენ მიკროკონტექსტსა და მაკროკონტექსტს. მიკროკონტექსტი წინადადების კონტექსტია, მაკროკონტექსტი კი სცილდება ერთი წინადადების ფარგლებს.

მაკროკონტექსტისა და მისი მოცულობის შედარებით უფრო სრულ განსაზღვრას იძლევა ლ. ს. ბარხუდაროვი წიგნში „ენა და თარგმანი". იგი აღნიშნავს, რომ მაკროკონტექსტი „ეს ტექსტის კონტექსტია, ე. ი. ენობრივ ერთეულთა ერთობლიობაა, რომლებიც წინადადების ფარგლებს გარეთ მოქმედებენ. მაკროკონტექსტის ზუსტი ჩარჩოების მითითება შეუძლებელია — ეს შეიძლება იყოს წინადადებათა ჯგუფის, აბზაცის, თავის ან მთელი ნაწარმოების კონტექსტიც კი (მაგალითად, მოთხრობის ან რომანის) (Бархударов 1975 (2), 169).

ენათმეცნიერებაში ცნებათა „სისტემა" და „სტრუქტურა" სხვადასხვაგვარი განმარტება გვხვდება. ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაზუსტდეს, თუ რა იგულისხმება ამ ტერმინებში. როგორც ცნობილია, ენის სისტემა არსებობს დამოუკიდებლად ინდივიდისაგან, რომელიც ამ ენაზე მეტყველებს, „ცნებაში სისტემა კონცენტრირებულია მთლიანობა, რომელიც განპირობებულია ენის ელემენტების შინაგანი ურთიერთკავშირით" (Чикобава 1974, 151). „სისტემა ელემენტთა ერთობლიობა და მათ შორის ურთიერთობაა" (Солнцев 1977, 20), ხოლო სტრუქტურა ენის ამ ელემენტთა განსაზღვრული შინაგანი ორგანიზაცია, რომელსაც სისტემა ემყარება.

ენათა შორის განსხვავება სისტემის დონეზე შეიძლება იყოს შემდეგი: 1) ერთი და იგივე კატეგორიის შიგნით დაყოფა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, 2) გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც სინამდვილის სხვადასხვაგვარ დანაწევრებას ასახავენ, არასრულად ემთხვევიან ერთმანეთს შინაარსით, 3) ერთ ენაში გვხვდება კატეგორია, რომელიც მეორე ენისთვის არაა დამახასიათებელი.

განვიხილოთ ზემონათქვამი მაგალითების ილუსტრირებით.

1 — ერთი და იგივე კატეგორიის შიგნით დაყოფა სხვადასხვაგვარია.

ინგლისურ ენაში აბსოლუტურ დროთა ღერძი ორად იყოფა: წარსული—არაწარსული (ე. წ. „ახლანდელი"), მაგალითად: write—write, read — read, went — go, cut — cut და ა. შ. ქართულ ენაში კი ზმნის დროთა სისტემა სამ ფორმას მოიცავს: წარსულს — ახლანდელს — მომავალს, რომლებიც ერთი დიფერენციალური ნიშნით — მოქმედების საუბრის მომენტთან (აბსოლუტური დრო) მიმართებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ კატეგორიის (აბსოლუტური დრო) შიგნით ფორმათა დაყოფა შემდეგნაირად ხდება: ა) აბსოლუტური დროის სრული ასპექტის ზმნები იყოფიან ორად: წარსული-მომავალი (ანუ არაწარსული), მაგალითად: დავწერე — დავწერ, დავხატე — დავხატავ, გავაკეთე—გავაკეთებ და ა. შ. ბ) აბსოლუტური დროის არასრული ასპექტის ზმნებიც ორად იყოფიან: წარსული-ახლანდელი (არაწარსუ-

ლი): ვწერდი-ვწერ. ვკითხულობდი-ვკითხულობ, ეხატავდი-ეხატავ და ა. შ.

როგორც ეხედავთ, აბსოლუტური დრო უნივერსალური კატეგორიაა როგორც ინგლისურში, ისე ქართულ ენაში, მაგრამ იგი ამ ორ ენაში განსხვავებულადაა დანაწევრებული. ქართულ ენაში ამ კატეგორიის შიგნით ასპექტისაგან გამომდინარე ორი ოპოზიცია გვხვდება, ინგლისურში კი მხოლოდ ერთი ოპოზიციაა (თუ ავცდებით ასპექტსა და დროთა მიმართებას). შესაპირისპირებელ ენებში გრამატიკული კატეგორიის წევრების რაოდენობას შორის განსხვავება ყოველთვის არ იწვევს ამ მნიშვნელობის უქონლობას ერთ ენაში, ან მის არსებობას მეორეში, რადგან, როგორც ცნობილია, ერთი ენის გრამატიკული კატეგორიის ერთ-ერთ წევრს შეუძლია გამოხატოს რამდენიმე გრამატიკული მნიშვნელობა, რომელსაც მეორე ენაში თავისი საკუთარი კატეგორიული ფორმები გააჩნია. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ინგლისური ენა, რომელშიც გრამატიკული კატეგორია (აბსოლუტური დრო) წარმოდგენილია ორწევრა ოპოზიციით. მეორე წევრი — არაწარსული (ფორმა ე. წ. „ახლანდელი დროის") გამოხატავს როგორც ახლანდელ, ისე მომავალ დროსაც. მაგალითად:

'You think the way I talk is funny.' She shrugged.

'I **read** a lot.'

'I **know**'. (Ir. Shaw, Rich Man, Poor Man)

'They do everything that's proper. Tomorrow,' she said 'they **go** to Southampton.' (H. James, The Golden Bowl)

პირველ მაგალითში ახლანდელი განუსაზღვრელი დროის ფორმა ახლანდელ დროს გამოხატავს, ხოლო მეორეში — მომავალს.

II — ორივე ენაში შესაპირისპირებელი გრამატიკული კატეგორიები ნაწილობრივ ჰკვეთს ერთმანეთს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს საენათაშორისო შესატყვისობის ნაწილობრივ სხვაობასთან. ყოველი ენის გრამატიკული ფორმების დიდი უმრავლესობა ხასიათდება მრავალმნიშვნელობიანობით, რომლის დროსაც ერთი ენის ერთ გრამატიკულ ფორმას არა ერთი, არამედ რამდენიმე სემანტიკური ექვივალენტი შეესატყვისება. მაგალითად, ახლანდელი პერფექტის სემანტიკა ქართულ ენაში გადმოიცემა მწკრივებით: I თურმეობითით, აწმყოთი, წყვეტილით (სრულით) და უწყვეტლით. მაგალითად:

'But you **heve not slept** yet, old man,' he said aloud.

'It is half a day and a night and now another day and you **heve not slept**. (E. Hemingway, The Old Man and the Sea)

— მაგრამ ბერიკაცო, შენ ხომ თვალიც **არ მოგიხუჭავს**, თქვა ხმამაღლა. გავიდა ნახევარი დღე და ერთი ღამე, მერე კიდევ ერთი დღე, შენ კი სულ არ **დაგიძინებია**. (მოხუცი და ზღვა, თარგმნა ა. რატიანმა)

'My God, he's grown another twenty inches.' (J. Salinger, The Catcher in the Rye)

— ღმერთო ჩემო, ოცი გოჯით კიდევ გამაღლებულა. (თამაში ჭვავის ყანაში, თარგმნა ვ. ჭელიძემ).

პირველ ტექსტში ახლანდელი პერფექტის ფორმას ქართულში შეესატყვისება I თურმეობითი უარყოფით, ხოლო მეორე შემთხვევაში — უარყოფის გარეშე. მაგალითად:

'Hay,' I said. 'I' ve read The same sentence about twenty times since you came in.' (J. Salinger, The Catcher in the Rye)

— ეი — ვუთხარი მე, — რაც შენ შემოხვედი, აგერ მეოცედ ვკითხულობ ერთ წინადადებას. (თამაში ჭვავის ყანაში, თარგმნა ვ. ჭელიძემ).

აქ სიტყვაფორმას have read შეესატყვისება სიტყვაფორმა „ვკითხულობ" აწმყოში.

'How can I go back to the studio?' he said wearily. 'They' re there. I've left it to them'.

'Then it's not your wife who's left you; it's you who've left your wife.' (W. S. Maugham, The Moon and Sixpence).

— აბა როგორ მივიდე სახელოსნოში? — მილეული ხმით მითხრა მან, ისინი ხომ იქ არიან, სახელოსნო იმათ დავუტოვე.

— მაშასადამე, ცოლი კი არ გაგექცა, შენ გაექეცი. (მთვარე და ექვსპენიანი, თარგმნა ა. ჭეიშვილმა) .

ამ შემთხვევაში ახლანდელი პერფექტის ფორმებს ქართულ ენაში შეესატყვისება წყვეტილის (სრული) ფორმები: დავუტოვე, გაგექცა, გაექეცი.


'Hitherto you have livedsolely your own.' (J. London, Martin Eden).

—დღემდე თქვენ მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობდით. (მარტინ იდენი, თარგმნა ს. თავაძემ)

ამ მაგალითში სიტყვაფორმას have lived-ს ქართულში შეესატყვისება „ცხოვრობდით" (უწყვეტლის მწკრივი).

თეორიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ნაწილობრივი შესატყვისობის შემთხვევა, როცა გრამატიკული სემანტიკის მნიშვნელობის არადიფერენციაციას აქვს ადგილი ერთ ენაში მეორესაგან განსხვავებით. ეს ხდება მაშინ, როცა ერთი რომელმე ენის სიტყვაფორმას, რომელიც უფრო ფართო არადიფერენცირებულ ცნებას გამოხატავს, მეორე ენაში შეესატყვისება ორი ან რამდენიმე სიტყვაფორმა. ყოველი მათგანი გამოხატავს უფრო ვიწრო, დიფერენცირებულ ცნებას. ასე, მაგალითად, ქართულ ენაში ახლანდელი დროის ფორმა წარმოდგენილია ერთი კატეგორიული ფორმით, რომელსაც ას-

პექტური კორელატი არ გააჩნია, მაგალითად: ვწერ, ვკითხულობ, ვხატავ, ვცეკვავ და ა. შ. მოქმედების მიმდინარეობის ნაირგვარი ხასიათი აწმყოში გამოიხატება ახლანდელი დროის ასპექტური სახესხვაობებით — მოქმედებათა სახეებით. ინგლისურ ენაში სიტყვაფორმები — writes, is writing, has written, has been writing — რამდენიმე კატეგორიის მატარებელია. ეს ფორმები ერთმანეთისაგან სამი ურთიერთგადამკვეთი კატეგორიის—დროის, ასპექტისა და დროთა მიმართების—სხვადასხვა კომბინაციითაა ნაწარმოები:



დროის გრამატიკული კატეგორია ანალიზურ ფორმებში (განგრძობითი ასპექტი, პერფექტული მიმართება) გადმოიცემა დამხმარე ზმნების to have-ისა და to be-ის მეშვეობით.

ქართული ზმნის აწმყოს მწკრივის სიტყვაფორმის არადიფერენციაციისაგან გამომდინარე, არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, თითქოსდა ქართულ ენას არ გააჩნდეს საშუალებები, რომ იგივე მნიშვნელობები, რომლებიც ინგლისურში სხვადასხვა სიტყვაფორმებით (is writing, has written, has been writing) გადმოიცემა, გამოხატოს. ქართული ენა

ამისათვის სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იყენებს (ამ საშუალებებს დაწვრილებით განვიხილავთ მე-5 თავში). ჩვენ ვეთანხმებით ლ. ს. ბარხუდაროვს, რომელიც თვლის, რომ „ყველა ენას შესწევს უნარი აღნიშნოს ნებისმიერი ცნება — ლაპარაკია მხოლოდ მისი გამოხატვის სხვადასხვა საშუალებაზე“ (Бархударов 1975 (2), 83).

შესაპირისპირებელი ენების ერთი და იგივე დასახელების კატეგორიებში კატეგორიული ნიშნები სრულად არ ემთხვევა ერთმანეთს, ე. ი. ერთი ენის ამა თუ იმ ფორმას არ გააჩნია პირდაპირი შესატყვისი მეორე ენაში. ზმნათა უდიდეს უმრავლესობას ქართულ ენაში ასპექტის ორი ფორმა — სრული და უსრული — აქვთ. ინგლისურ ენაში კი ასპექტის კატეგორია ორი კატეგორიული ფორმის — არაგანგრძობითისა და განგრძობითი ასპექტის — ურთიერთდაპირისპირებითაა წარმოდგენილი. ამრიგად, ინგლისურ და ქართულ ენებში ერთი და იმავე კატეგორიის შიგნით დაყოფა სხვადასხვაგვარია. მაშასადამე, „ერთნაირი კატეგორიები სხვადასხვა ენაში შეიძლება დაიყოს ერთეულებად, რომლებიც ერთმანეთს არ ემთხვევა“ (Смирницкий 1959, 323). ამ ერთეულთაგან ზოგიერთს შეიძლება ჰქონდეს მონათესავე კატეგორიული მნიშვნელობა. როგორც ფაქტიური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ინგლისური არაგანგრძობითი ასპექტი ქართულის სრულ ასპექტზე უფრო ფართოდ გამოიყენება, იმ აზრით, რომ რეგულარულად წარმოებული მოქმედება ინგლისურში ძირითადად გამოიხატება არაგანგრძობითი ასპექტით, ქართულში კი ასეთი სახის მოქმედებები შეიძლება გადმოიცეს როგორც უსრული (უწყვეტლის მწკრივი), ისე სრული ასპექტითაც (ხოლმეობითის მწკრივი). მაგალითად:

I **went** over there afternoons and afterward **stopped** at the café and **had** a drink and read the papers. (E. Hemingway, A Farewell to Arms!)

ნასადილევს დავდიოდი ხოლმე იქ, მერე კი კაფეში **შევივლიდი, ვსვამდი** და **ვკითხულობდი**. (მშვიდობით იარაღო! თარგმნა ვ. ჭელიძემ)

ქართული სრული ასპექტი და ინგლისური არაგანგრძობითი ასპექტი მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს — ორივე აღნიშნავს მოქმედების ფაქტს. რაც შეეხება დასრულებულობის, ზღვრადობის, ხოლმეობითობის მნიშვნელობებს იგი ინგლისური ზმნის ასპექტს არ გააჩნია. მაგალითად:

One day in the afternoon we **went** to the races. (ibid.)

ერთ დღეს, ნასადილევს დოლზე **წავედით**. (მშვიდობით იარაღო! თარგმნა ვ. ჭელიძემ)

ეს წინადადება ერთ განსაზღვრულ მომენტს აღნიშნავს წარსულში

და ამიტომ გამოიყენება არაგანგრძობითი ასპექტი, ქართული ენა კი ამ შემთხვევაში იყენებს სრულ ასპექტს.

რაც შეეხება ინგლისური განგრძობითი და ქართული უსრული ასპექტის შეპირისპირებას, უნდა შევნიშნოთ, რომ პირველი მეორისაგან იმით განსხვავდება, რომ გარდა პროცესუალობის მნიშვნელობისა იგი გამოხატავს კონკრეტულ მოქმედებას მაშინ, როცა მეორე (ქართული) მიუთითებს მოქმედების დასრულებულობაზე კონკრეტულობის მითითების გარეშე, რომელიც აქ უფრო სრულ ასპექტთან არის დაკავშირებული. მაგალითად:

The skiff was still shaking with the destruction the other shark was doing to the fish. (E. Hemingway, The Old Man and the Sea).

ნავი ისევ **ძიგძიგებდა**, რადგან ახლა მეორე ზვიგენი **გლეჯდა** თევზს. (მოხუცი და ზღვა, თარგმნა ა. რატიანმა).

He rowed slowly and steadily toward where the bird was circling. (ibid.)

მოხუცი ნელა და თანაბრად **მიაცურებდა** ნავს იქეთკენ, სადაც ფრინველი **წრეს უვლიდა**. (მოხუცი და ზღვა, თარგმნა ა. რატიანმა)

მაგრამ, როცა ინგლისურ ტექსტში ზმნები მოქმედების მსვლელობის ხასიათზე არ უთითებენ, ქართულში ამ დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ თანაბრად როგორც სრული, ისე უსრული ასპექტის ფორმა. მაგალითად:

When I looked at Susan she gave me a frank full-hearted smile. (J. Braine, Room at the Top)

ა) როცა სიუზენს **შევხედე**, მანაც გულწრფელი ბედნიერი ღიმილით **მიპასუხა** (ერთგზისი მოქმედება).

ბ) როცა სიუზენს **შევხედავდი**, ისიც გულწრფელი ბედნიერი ღიმილით **მპასუხობდა** (მრავალგზისი მოქმედება).

ამგვარად, ინგლისურის ერთსა და იმავე წინადადებას ქართულში შეესატყვისება ორი და ამავე დროს მნიშვნელობები, რომლებიც ქართულ წინადადებებშია გაღმოცემული ერთნაირი არ არის: პირველში მოქმედება ერთგზისია, მეორეში კი — მრავალგზისი.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ამ მნიშვნელობათა გადმოცემა ინგლისურ ენას არ შეეძლოს. აქ, მაგალითად, მრავალგზისი მოქმედების გადმოსაცემად ინგლისური ენა იყენებს კავშირებითს ზმნიზედას whenever (იხ. Whenever I looked at Susan she gave me a frank full-hearted smile), რომელიც გამოხატვის ლექსიკო-გრამატიკულ საშუალებებს განეკუთვნება.

ამგვარად, მოქმედების მიმდინარეობის ხასიათი ინგლისურ ენაში არ გამოიხატება დაპირისპირებით სრული-უსრული ასპექტი, ქართულ

ზმნაში კი ფორმალურ გამოხატულებას ვერ პოულობს ოპოზიცია არა-განგრძობითობა-განგრძობითობა.

ქართულ ენაში არ არის „დროთა მიმართების“ კატეგორია, მაგრამ არის დროთა თანამდევრობისა (იხ. შანიძე 1973, 212-215), რომელიც სემანტიკურად მოქმედების მიმართებას გამოხატავს დროის რომელიმე შემდგომ მომენტთან ან სხვა მოქმედებასთან (ერთდროულთან, შემდგომთან). თანამდევრობის კატეგორია სამ დიფერენციალურ ნიშანს — წინამავლობას, ერთდროულობასა და შემდგომობას — ემყარება.

თანამედროვე ინგლისურ ენაში დროთა მიმართების გრამატიკული კატეგორია წინამავლობისა და ერთდროულობის კატეგორიულ ფორმებს ემყარება, იგი გრამატიკულ ფორმათა ოპოზიციის არაპერპექტი-პერპექტის სახით რეალიზდება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დროთა თანამდევრობის კატეგორიას ქართულ ენაში და დროთა მიმართებისას ინგლისურში ბევრი აქვს საერთოც, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა, ე. ი. საბაზო ნაწილობრივი განსხვავებულობის საენათაშორისო შესატყვისობა. ასე, მაგალითად, ქართული ენა ისე, როგორც ინგლისური წარსულში განასხვავებს მოქმედებას, რომელიც სრულდება წარსულში და წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ერთდროულია (წყვეტილი, წარსული განუსაზღვრელი) და მოქმედებას, რომელიც ამ მომენტს უსწრებს (II თურმეობითი, წარსული პერფექტი).

Brown looked at the chicken the waiter **had** just **brought**. (J. Braine, Room at the Top)

ბრაუნმა წიწილას **დახედა**, რომელიც ოფიციანტს ის-ის იყო **შემოეტანა**. (გზა მაღალი საზოგადოებისაკენ, თარგმნა ც. თოფურიძემ და ნ. ბადრიაშვილმა).

The boy **had brought** them in a two-decker metal container from the Terrace. (E. Hemingway, The Old Man and the Sea).

ბიჭს ერთმანეთზე შედგმული ლითონის ქვაბებით ტერასიდან საჭმელი **შემოეტანა**. (მოხუცი და ზღვა, თარგმნა ა. რატიანმა).

პირველ მაგალითში ერთი მოქმედება had brought უსწრებს მეორე მოქმედებას looked at. მეორე მაგალითში კი მიუხედავად იმისა, რომ ორი მოქმედების დაპირისპირება არა გვაქვს, ფორმა had brought წინამავლობას გამოხატავს. ქართულ ენაში წინამავლობის კატეგორიული ფორმა გადმოიცემა ანტერიორობის კატეგორიული ფორმით, რომელიც II თურმეობითით გამოიხატება.

ამგვარად, შესაპირისპირებელი ენები — ინგლისური და ქართული, მიუხედავად იმისა, რომ ენათა სხვადასხვა ოჯახს განეკუთვნება, ანტე-

რიორობის გამოხატვაში განსაზღვრულ მსგავსებას ავლენენ. წინამავლობას ორივე ენაში გრამატიკული გამოხატულება აქვს, ე.ი. თვით ზმნის ფორმით გადმოიცემა. ქართული ზმნა კი ინგლისურისაგან განსხვავებით გარდა წინამავლობისა გადმოცემს უნახავ აქტსაც. მაგალითად:

ზვიადი გვიან **დაბრუნებულიყო** უფლისციხიდან, მაინც გააღვიძეს ნამგზავრი. (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა)

Zviad **was said to have returned** from Uplistsikhe late that evening, nevertheless they wakened him from his sleep. (The Hand of a Great Master translated by V. Eristavi)

დამოკიდებულ წინადადებაში წინამავლობის აღსანიშნავად, რომელიც მთავარ წინადადებაში აღნიშნული მოქმედების წინამავალია, გამოიყენება არა მარტო I თურცობითი, არამედ წყვეტილის, უწყვეტლისა და ხოლმეობითის მწკრივებიც. მაგალითად:

ველარ მომითმინა გულმა, ვკითხე ერთ დღეს დათას,—რამდენი **მიეცი** ბუდარებს, ასე რომ **აივსნენ** და **აშენდნენ** მეთქი. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

როგორც მთავარი წინადადების (მომითმინა, ვკითხე), ისე დამოკიდებულის (მიეცი, აივსნენ, აშენდნენ) ყველა ზმნა ერთი და იგივე ფორმით — წყვეტილი სრულით გადმოიცემა. მაგრამ რამდენადაც ფორმები „მიეცი“, „აივსნენ“, „აშენდნენ“ დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება, ისინი იხმარება რელატიური მნიშვნელობით, ე. ი. წინამავლობას გამოხატავენ. ასეთ დროს ინგლისური ენის დამოკიდებულ წინადადებაში წარსული პერფექტის ფორმები გამოიყენება, ხოლო მთავარში — წარსული განუსაზღვრელის. მაგალითად:

They came. But they **didn't** come as the Mako **had come.** (E. Hemingway, The Old Man and the Sea)

I **remembered** something that Peggie **had said** in the evening of the Carstairs' party. (J. Braine, Room at the Top)

III—როცა ორივე ენაში შესაპირისპირებელ გრამატიკულ კატეგორიებს არც ერთი საერთო ელემენტი არა აქვთ, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს საენათაშორისო შესატყვისობის სრულ განსხვავებულობასთან. ასე, მაგალითად, ინგლისურ ენაში არ გვხვდება უნახავი აქტის კატეგორია, რომელიც ქართულ ენაში ნახული და უნახავი აქტის ფორმათა ურთიერთდაპირისპირებით გადმოიცემა. მაგალითად:

— საყვარელი **ეაურთმევია** მისთვის, ერთი ძალიან ლამაზი ქალი რომ ჰყავს, ბეჩუნი პერტია. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ინგლისურ ენაში არა გვაქვს ასპექტ-დროის ისეთი ფორმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ მოლაპარაკე არ ესწრებოდა მოქმედების შესრულებას. ამიტომაც ქართული უნახავი აქტის ფორმებს ინგლისურში რე-

გულარულად შესატყვისი ფორმები არ გააჩნიათ. ინგლისური ენის ზმნის ფორმები არცერთ შემთხვევაში არ გადმოცემს უნახავი აქტის კატეგორიას. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ინგლისურ ენაში ზმნები, რომლებიც მოქმედების შესრულების უნახაობას გვიჩვენებენ, როგორც წესი, არავითარ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული. ინგლისურ ენაში მათ გამოსახატავად ლექსიკური საშუალებები — რთული კონსტრუქცია — ზმნა to say პასივში — გამოიყენება. მაგალითად:

ადრე კეტავენო ციხეს, ჭიაბერ ერისთავს და თალაგვა კოლონკელიძეს ძალად **უთაყვანებია** ოვსნი და ძურძუკნი, მეფე თავდასხმას მოელისო ჩრდილოეთიდან. (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა)

They close the castle early now. Chiaber Eristavi and Talagva Kolonkelidze **are said to have forced** the Ossetians and Dzurdzukians to render allegiance to them, and the king is fierful of an assault from the North. (The Hand of a Great Master translated by V. Eristavi).

როგორც ვხედავთ, ინგლისურ მაგალითში გამოიყენება კონსტრუქცია are said+Perfect infinitive. ამ კონსტრუქციის გარეშე ქართული ტექსტი ინგლისურის სემანტიკურად ტოლფასი აღარ იქნება. ინგლისურ ტექსტში ამ კონსტრუქციის გამოყენება იმითაა გამოწვეული, რომ იგი იგივე ინფორმაციას გადმოცემს, რასაც ქართულ ტექსტში თურმეობითი. უნახაობის აქტის მნიშვნელობის ლექსიკური საშუალებებით გადმოცემა ჩვეულებრივი და დამახასიათებელია ინგლისური ენისათვის.

გრამატიკის სფეროში ენათა შორის განსხვავება გრამატიკულ კატეგორიათა შეხამებაშიც გვხვდება. მაგალითად, ინგლისური ენა დროისა და პირობითს დამოკიდებულ წინადადებებში კავშირების if, even though, no matter how და ა. შ. შემდეგ არ იყენებს კონსტრუქციებს „shall/will+ინფინიტივი" მაშინ, როცა ქართულ ენაში სავსებით დასაშვებია ასეთი სახის დამოკიდებულ წინადადებაში მყოფადის მწკრივის გამოყენება. მაგალითად:

'I'll do anything you like. I'll 'go abroad with you, if you but say a word'. (H. James, The Golden Bowl)

გაის გაზაფხულზე, გზები როცა **გაიხსნება**, პოლიციის ხელიდან მიიღებს მუჰამედ გუტე თავის ლურჯას. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

გრამატიკულ კატეგორიათა წევრების სემანტიკურ სტრუქტურათა შედარებისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვყოთ ამ კატეგორიათა წევრების პირველადი და მეორადი მნიშვნელობები, რადგანაც შესაპირისპირებელი გრამატიკული კატეგორიების წევრთა მეორად მნიშვ-

ნელობებს შორის არსებული განსხვავებანი ხშირად საენათაშორისო ინტერფერენციას იწვევს.

მაგალითად, წარსული და ახლანდელი დრო ყველა ენაში ინარჩუნებს თავის სპეციფიკას, ე. ი. აღნიშნავს მოქმედებას წარსულში ან ახლანდელში. ხშირად ახლანდელი დრო გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით, მაგალითად, ახლანდელი ისტორიული. ახლანდელი დროის ფორმისათვის ეს ფუნქცია მეორადია. ამიტომ სხვა ენის სამეტყველო ნორმების შესაბამისად, იგი შეიძლება გადმოიცეს წარსული დროის ფორმით.

ისტორიული აწმყო გვხვდება როგორც ინგლისურში, ისე ქართულ ენაშიც. ამ ენებში ისტორიული აწმყოს ფუნქციობის კანონზომიერებანიც ემთხვევა ერთმანეთს. ორივე ენაში ისტორიულ აწმყოს მივმართავთ მაშინ, როცა საჭიროა წარსულში მომხდარი მოვლენები გადმოიცეს უფრო დინამიკურად და მეტი გამომხატველობით.

ფორმის ასეთი გამოყენების დროს მიიღწევა განსაზღვრული სტილისტური და ემოციური ეფექტი. მაგალითად:

It was all about this English guy Alec something, that was in the war and loses his memory in the hospital and all. He comes out of the hospital carrying a cane and limping all over the place, all over London, not knowing who the hell he is. He is really a duke, but he doesn't know it. Then he meets this nice, honey, sincere girl getting on the bus. Her goddam hat blows off and he catches it, and they go upstairs and sit down and start talking about Charles Dickens. (J. Salinger, The Catcher in the Rye)

ერთი ინგლისელია, ალეკი ქვია, გვარი არ მახსოვს. ომში **მიდის** და ჰოსპიტალში მეხსიერებას კარგავს. **გამოდის** ჰოსპიტლიდან, ხელში ჯოხი უპირავს. საცოდავად მოჩლაჩუნებს, მთელს ლონდონს შემოივლის, მაგრამ თავისი ვინაობა არ **იცის**! სინამდვილეში ჰერცოგია, მაგრამ არ **ახსოვს** და რა ქნას. მერე უცებ ერთ უბრალო შეუხედავ ალალ გოგოს გადაეყრება. ავტობუსში **ადის** გოგო და ქარი ქუდს მოსტაცებს, კაცი სტაცებს ქუდს ხელს და მისცემს. ავლენ ავტობუსში, დასხდებიან და ჩარლზ დიკენსზე **იწყებენ** საუბარს. (თამაში ჭვავის ყანაში, თარგმნა ვ. ჭელიძემ)

ქართველი, რომელიც ინგლისურად ლაპარაკობს, თუ მან კარგად არ იცის ინგლისური ენის ასპექტ-დროის ფორმათა კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციები, ეცდება აიცილოს ისტორიული აწმყოს გამოყენება და მის ნაცვლად წარსული დროის ფორმა იხმაროს. რასაკვირველია, ასეთი სახის დარღვევები ენობრივ შეცდომებს არ იწვევენ,

მაგრამ სამაგიეროდ მოლაპარაკის მეტყველებას ერთგვაროვანსა და ნაკლებად იდიომატურს ხდიან. გამონათქვამი გრამატიკის თვალსაზრისით სწორია, მაგრამ მაინც არ არის ნათქვამი ისე, როგორც ამას იტყოდა ინგლისელი.

სისტემიდან გადახრებს ხშირად არა ინდივიდუალური, არამედ კანონზომიერი ხასიათი აქვს. ისინი ამ ორ ენას (ინგლისური და ქართული) შორის ობიექტურად არსებული განსხვავებითაა განპირობებული. გვხვდება აგრეთვე, ისეთი გადახრებიც, რომლებიც ამა თუ იმ ენობრივი ან ექსტრალინგვისტური ფაქტების არცოდნით და ა. შ. არის გამოწვეული. ასეთი სახის გადახრების კვლევას, ცხადია, კონტრასტული გრამატიკა ვერ დაისახავს მიზნად.

ენათა შორის არსებული განსხვავებანი ხშირად საენათაშორისო ინტერფერენციას იწვევს. ამ წიგნში წარმოდგენილი შეპირისპირებითი ანალიზი ხელს შეუწყობს საენათაშორისო ინტერფერენციის შემთხვევათა დადგენას, რაც უცხოური ენის სწავლების მეთოდიკის შემდგომი სრულყოფის წინაპირობაა.

წინამდებარე წიგნში დროის გრამატიკული კატეგორია ინგლისურ და ქართულ ენებში ერთიანი კლასიფიკაციის საფუძველზეა შესწავლილი, სადაც ამოსავალ წერტილად ზმნის დროთა ფორმების ოპოზიციათა იზომორფიზმი მივიჩნიეთ. ამ კლასიფიკაციის თანახმად დროის გრამატიკული კატეგორია ორი ურთიერთდაპირისპირებული კატეგორიული ფორმისაგან არაწარსული-წარსულისაგან შედგება. თუმცა სინამდვილეში ასე მარტივად არ არის საქმე. ამ ენებში ზმნის დროთა ფორმები სხვადასხვა ხარისხის დიფერენციაციითაა წარმოდგენილი: ინგლისურში იგი უფრო მეტადაა დანაწევრებული, დიფერენცირებულია, ქართულში კი არც თუ ისეა დანაწევრებული, უნიფიცირებულია. სწორედ ამაში მდგომარეობს შესაპირისპირებელ ენებს შორის ობიექტური სინამდვილის ასახვაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი განსხვავება. ასე, მაგალითად, ინგლისურ ენაში ყოველი კატეგორიული ფორმა სამ ნიშანს მოიცავს — დროს, ასპექტსა და დროთა მიმართებას. ამასთანავე ყოველი ფორმის მახასიათებლად როგორც ნიშნის მარკირება, ისე არამარკირებაც გამოიყენება.

ინგლისური ენის ზმნის დროის, ასპექტისა და დროთა მიმართების ფორმები და ქართული ზმნის მწკრივები წინამდებარე წიგნში კლასიფიცირებულია ტემპორალურ-ასპექტური პრინციპით. ამის საფუძველზე გამოვყავით ფორმის ვარიანტული მნიშვნელობები, რომლებზედაც შემდეგ თავებში გვექნება საუბარი.

თავი I

ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და დროის გრამატიკული კატეგორია

ტრადიციულ ენათმეცნიერებაში ენას უმეტესად იკვლევდნენ, როგორც სტატიკურ ერთეულთა სისტემას, როგორც ნიშანთა უძრავ ერთობლიობას, რომელთა გადასვლა ერთმანეთში და, მითუმეტეს მათი დიალექტიკური თანაარსებობა ერთი და იგივე ერთეულის ფარგლებში მეცნიერებს საეჭვოდ მიაჩნდათ. თანამედროვე ენათმეცნიერებაში კი, ძირითადად შეისწავლება ენის დინამიკური ასპექტი (ენა როგორც წარმომშობი მექანიზმი, როგორც ინვარიანტი, რომელშიც ვარიანტების მუდმივი ცვლაა, მუდმივი მოძრაობაა და გარდასახვაა ერთი მოვლენისა მეორეში).

ამ გარემოებითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ მრავალი ლინგვისტური მოვლენა, რომელიც ადრე შესწავლილი იყო ენათმეცნიერების რომელიმე დარგში, ახლა კვლავ ახალ დაბადებას ზეიმობს, ახალ დინამიკურ ასპექტში შეისწავლება და კვლავ აქტუალურ საკითხად გვევლინება თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

ენის დინამიკური ასპექტის მეცნიერული შემეცნების მიზნით საბჭოთა ლინგვისტიკაში შემუშავებულია ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა თეორია. ამ პრობლემისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ჩვეულებრივ გრამატიკული ფორმების (რომლებიც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცენტრია) პერიფერიულ ელემენტებთან ურთიერთქმედების შინაარსობრივი ხასიათია გაანალიზებული. ამასთანავე განსაკუთრებული აქცენტია გადატანილი მორფოლოგიურ კატეგორიებზე. რაც შეეხება პერიფერიას, აქ ყურადღების ცენტრშია ტიპური პერიფერიული ელემენტების გამოყოფა. პერიფერიული ელემენტები, რომლებიც ერთმანეთისაგან როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი პლანით განსხვავდება, ურთიერთმოქმედებენ არა მარტო ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიის გრამატიკულ ცენტრთან, არამედ ურთიერთთანაც.

დროთა მიმართებები ენაში არა მარტო დროის გრამატიკული კატეგორიითაა რეალიზებული, არამედ საშუალებებით, რომლებიც ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნება. ობიექტური დრო ენაში ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიით გადმოიცემა, რომელსაც

ყოველ ცალკე აღებულ ენაში თავისი კონკრეტული გამოხატულება აქვს მორფოლოგიური, ლექსიკო-სემანტიკური, სინტაქსური და კონტექსტური საშუალებების სახით.

§ 1. ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია

ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას აქვს გამოხატულებისა და შინაარსის პლანები. ამ კატეგორიის გამოხატულების პლანი ენობრივი საშუალებებია, რომლებიც ენის სხვადასხვა დონეს — მორფოლოგიურს, სინტაქსურს, სიტყვათმწარმოებლურს, ლექსიკურს და კონტექსტში სხვადასხვა საშუალების კომბინაციებს — განეკუთვნება. მაშასადამე, ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია კომპლექსური, ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედი კატეგორიაა.

ფუნქციურ-სემანტიკურისა და მორფოლოგიური კატეგორიების ურთიერთმიმართების კვლევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი ენობრივი ერთიანობა და არა უნივერსალურ-ლოგიკურის ლინგვისტურთან დაპირისპირება. განსხვავება მათ შორის შემდგომში მდგომარეობს: მორფოლოგიური კატეგორია ენის ერთ დონეს — სიტყვაფორმის დონეს განეკუთვნება. იგი წარმოადგენს ენაში აბსტრაქციის პირველ საფეხურს. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ენის გაცილებით უფრო ფართო სფეროს მოიცავს, რომელშიც შედის როგორც მორფოლოგიური კატეგორიები, ისე მათთან დაკავშირებული სემანტიკურ-ფუნქციური ელემენტები, რომლებიც ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნება. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცენტრი ანუ ბირთვია მორფოლოგიური კატეგორია. ეს ბირთვი განსაზღვრული დიფერენციალური სემანტიკური ნიშნებით ხასიათდება. მის გარშემო ჯგუფდება ენობრივი ელემენტები, რომლებიც მორფოლოგიურ კატეგორიასთან ურთიერთქმედებს. ამ „პერიფერიულ“ სფეროში თავის გამოხატულებას პოულობს ახალი ნიშნები, რომლებიც ბირთვის სემანტიკურ შესაძლებლობებს ავსებენ.

დროთა მიმართებების გამოხატვის მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ საშუალებათა ერთიანობა ქმნის ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას ენაში. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის შინაარსის პლანი ის სემანტიკური სფეროა, რომელშიც წარმოდგენილია გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობები. მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელობები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაინც ისინი ერთ ზოგად ცნებაში ერთიანდებიან.

ინგლისურ ენაში ისე, როგორც ქართულში ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გრამატიკული ცენტრი, ანუ მორფოლოგიური ბირთვი არის გრამატიკული დრო — თხრობითი კილოს ზმნის დროთა სისტემა. ამ „ცენტრის“ მიმართ სხვა კომპონენტები „პერიფე-

რიას“ ქმნიან. ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიაში „პერიფერიული“ მდგომარეობა სინტაქსურ და ლექსიკურ საშუალებებს უკავია. უნდა შევნიშნოთ, რომ ლექსიკურ საშუალებებს შეუძლია გააძლიერონ ან შეასუსტონ ზმნის დროის ფორმის მნიშვნელობა, შეუძლია ფორმის დროის მნიშვნელობის „ვადამრთველებად“ გამოვიდნენ (ე. ი. შენდელსი), ან კიდევ „დროის ორიენტაციის ცვლილება მოახდინონ“ (ა. ვ. ბონდარკო).

ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას ენათა შეპირისპირებითი შესწავლისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც იგი მრავალდონიანობით ხასიათდება. თუმცა ყოველი კონკრეტული ენის სისტემას გააჩნია მთელი რიგი ფორმებისა, რომელთაც შეუძლია ეს კატეგორია გადმოცეს. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ერთი რომელიმე ენის ერთი დონის ერთეულები შეიძლება გადმოიცეს იმავე დონის ერთეულებით მეორე ენაში. ბირთვული და პერიფერიული ელემენტები კი შესაძლოა დაემთხვეს და შეიძლება არა. იმის და მიხედვით ეს ერთეულები ემთხვევიან თუ არა, განისაზღვრება შესაპირისპირებელი ენების სიახლოვე. რადგან სხვადასხვა დონის ელემენტები ენაში ყოველთვის ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაშია, ყოველი კონკრეტული მორფოლოგიური ფორმის სრული დახასიათება მხოლოდ სინტაქსურ გარემოცვაში ხდება. მაშასადამე, მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეთა კავშირისა და დამოკიდებულების გარეშე შეუძლებელია ტემპორალობის კატეგორიის აღწერა და გამოკვლევაც.

როგორც ცნობილია, ენა იერარქიულად აგებულ სისტემას წარმოადგენს, სადაც განსაზღვრული სტრუქტურული პრინციპების თანახმად მცირე ერთეულები უფრო დიდის შემადგენლობაში შედის. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ენის ყველა დონე ურთიერთკავშირია, ურთიერთგანპირობებულია და არ არსებობს მაღალი დონე დაბალის გარეშე. კომუნიკაციის პროცესი ენის ყველა დონის უშუალო მონაწილეობით ხორციელდება. ესენი ურთიერთმიმართებაში უნდა განიხილებოდეს მაშინაც კი, როცა ერთი რომელიმე განსაზღვრული დონეა ლინგვისტური კვლევის საგანი.

ენათა შეპირისპირებითი შესწავლისას ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების გამოყენებასა და მნიშვნელობაზე წერს ა. ვ. ბონდარკოც: „ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია შეიძლება გამოვიყენოთ შეპირისპირებითი კვლევისას. ინტერესს იწვევს ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების სტრუქტურის შეპირისპირებითი ანალიზი სხვადასხვა ენაში, კერძოდ კი, მორფოლოგიური ბირთვის ქონა-არქონის, მოცემული კატეგორიის კომპონენტების შემადგენლობის ურთიერთმოქმედებისა და ამ კომპონენტთა შორის სემანტიკური ნიშნების განაწილების თვალსაზრისით. დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემული კატეგორიის შე-

პირისპირებით კავშირებს სხვა კატეგორიებთან (მათ კონფიგურაციათა შეპირისპირება)... სხვადასხვა ენაში ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა ველების რთული გადახლართვის შედარებისას აღმოჩნდა, რომ ნაწილობრივი მსგავსების გვერდით შეიმჩნევა განსხვავებაც როგორც ამ ველთა დაჯგუფების, ისეთ მათ შორის საზღვრების დადგენის მხრივ, რომ არაფერი ვთქვათ მათ სტრუქტურულ სხვაობაზე (Бондарко 1971 (I), 69-70).

§ 2. დროის გრამატიკული კატეგორია

ენაში დროთა მიმართებების ასახვის პრობლემა ერთ-ერთი უძნელესი საკითხია. ეს განპირობებულია როგორც თვით დროის კატეგორიის სირთულით, ისე მისი მრავალასპექტობით. „არცერთი სხვა გრამატიკული პრობლემა არ არის ისეთი რთული, როგორც გრამატიკული დროის პრობლემა". (Roberts 1954, 131).

დროთა მიმართების გამოხატვის ძირითადი საშუალება ენაში დროის გრამატიკული კატეგორიით ზმნაა. ყოველი ზმნის გრამატიკულ სემანტიკაში დროის ფაქტორია მოქცეული. მაშასადამე, ზმნა, პირველ ყოვლისა, მეტყველების ტემპორალური ნაწილია.

გრამატიკულ წყობას (ფორმალური წყობის ერთ-ერთ ასპექტთაგანს) აქვს თავისი შინაარსი და ფორმა, ე. ი. შინაარსის პლანი და გამოხატულების პლანი. გრამატიკული წყობის შინაარსის პლანი ყველა გრამატიკულ მნიშვნელობათა ერთობლიობაა, რომლებიც ზოგადად, აბსტრაქტულად გამოხატავენ სინამდვილის სხვადასხვა ცნებას და ამ ცნებათა შორის ურთიერთკავშირებსა და მიმართებებს. „გრამატიკული კატეგორიის გამოხატულების პლანი კი სისტემურად ორგანიზებული გრამატიკული საშუალებებია" (Бондарко 1976, 30).

სხვადასხვა ენაში გრამატიკული მნიშვნელობები ხშირად ემთხვევა, ანუ იდენტურია, რაც სხვა სახის უნივერსალიების მსგავსად ადამიანის აზროვნებისა და ლოგიკის ერთნაირობითაა განპირობებული, რომელიც ერთი და იმავე სამყაროს მოვლენებსა და კანონებს ასახავს.

რაც შეეხება ამ მნიშვნელობათა გამოხატვის საშუალებებს, ანუ გამოხატულების პლანს, ისინი ენებში სხვადასხვაგვარად ვლინდება. ეს კი, პირველ ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ ყოველ ენას გრამატიკულ მნიშვნელობათა გადმოსაცემად თავისი განსაკუთრებული სისტემა აქვს, რაც ამა თუ იმ ენის გრამატიკული აგებულების სპეციფიკაში აისახება.

როგორც ცნობილია, ენათმეცნიერებაში გრამატიკულ კატეგორიაზე, მის გამოხატულებისა და შინაარსის პლანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. მკვლევართა ერთი ჯგუფი გრამატიკულ კატეგორიას განიხილავს როგორც ორმხრივ

მოვლენას, რომელიც არა მხოლოდ გრამატიკულ მნიშვნელობებს, არამედ მათი გამოხატვის ფორმალურ საშუალებებსაც მოიცავს (იხ. Щерба 1974, 78-79; Пешковский 1956, 23-29; Виноградов 1972,124; Смирницкий 1957; Бондарко 1976, 25-33 და სხვები). მკვლევართა მეორე ჯგუფი კი ცალმხრივად ხსნის გრამატიკული კატეგორიის ცნებას, როცა საფუძვლად ან მხოლოდ შინაარსს, ან მხოლოდ გამოხატულებას იღებს (Шахматов 1941, 420-421; Воронцова 1960, 93, 104; Никитевич 1963, 8 და სხვები).

ამ წიგნში გრამატიკული კატეგორია განსაზღვრულია, როგორც ფორმისა და შინაარსის დიალექტიკური ერთიანობა. ამიტომაც კონცეფცია ორმხრივ შინაარსობრივ-ფორმალურ გრამატიკულ კატეგორიაზე ავტორისათვის სავსებით მისაღებია.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, აგრეთვე, ისიც, რომ „ყოველი გრამატიკული კატეგორია აუცილებლად ორი კატეგორიული ფორმით უნდა იქნეს წარმოდგენილი. ამის გარეშე იგი ვერ იარსებებს, რადგანაც იგი არის ზოგადი კერძოში“ (Смирницкий 1959, 8).

ამგვარად, გრამატიკული კატეგორია განისაზღვრება როგორც ზოგად გრამატიკულ მნიშვნელობათა ერთიანობა, უმაღლესი ხარისხის აბსტრაქცია და ერთმანეთთან დაპირისპირებული რიგი ფორმათა (არა ნაკლებ ორისა), რომლებიც ამ მნიშვნელობის დანაწევრებას გამოხატავენ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გრამატიკული მნიშვნელობა გარე სამყაროს მოვლენებთანაა დაკავშირებული და ერთმანეთთან მიმართებაში მყოფი კერძო მნიშვნელობებისაგან შედგება. გრამატიკული მნიშვნელობა ის ზოგადი მნიშვნელობაა, რომელიც კერძოსა და კონკრეტულისაგან აბსტრაგირებით აერთიანებს ენის ერთი რანგის ერთეულებს და საერთოა მოცემული სიტყვისათვის. იგი გრამატიკული კატეგორიის შინაარსია და გრამატიკული ფორმით გადმოიცემა.

გრამატიკული კატეგორიის ორმხრივი ფუნქციურ-სტრუქტურული კონცეფცია ენას განიხილავს როგორც ორმხრივ მოვლენას, რომელიც შინაარსისა და გამოხატულების პლანებისაგან შედგება. გრამატიკული კატეგორია ერთ-ერთი ყველაზე ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა გრამატიკაში, რომელიც ლინგვისტურ ელემენტებს ყველაზე უფრო ზოგადი ნიშნებით აერთიანებს და, რომელიც ვლინდება გრამატიკული მნიშვნელობის (შინაარსის პლანი) და სისტემურად ურთიერთთანდაპირისპირებული გრამატიკული ფორმების (გამოხატულების პლანი) ერთიანობაში.

დროის გრამატიკული კატეგორიის არსებობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, თუ ზმნას აქვს ფორმალურ საშუალებათა სისტემა, რომელიც მოქმედების მიმართებას გამოხატავს საუბრის მომენტთან ან მეორე მოქმედების დროსთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დროის კა-

ტეგორიის ბირთვს როგორც ინგლისურ ენაში, ისე ქართულშიც წარმოადგენს თხრობითი კილოს ზმნის დროთა სისტემა.

ამგვარად, თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში ზმნის დროის კატეგორია შემდეგ განმარტებას მიიღებს: გრამატიკული ზმნის დრო არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს მოქმედების მიმართებას საუბრის მომენტთან, რომელიც მიღებულია ათვლის წერტილად. დროის ყველა ფორმა ინდიკატივში განსაზღვრულ დამოკიდებულებაშია ამ ორიენტირის მიმართ: როცა მოქმედება საუბრის მომენტს ემთხვევა, მაშინ მას აქვს დიფერენციალური ნიშანი „საუბრის მომენტთან ერთდროულობა“ და იგი ახლანდელი დროის ფორმით გადმოიცემა. თუ მოქმედება საუბრის მომენტზე ადრე ხდება, მაშინ იგი საუბრის მომენტთან წინამავლობას გამოხატავს და წარსული დროის ფორმით გადმოიცემა. იმ შემთხვევაში კი, როცა მოქმედებას მხოლოდ მოელის შესრულება, მაშინ მას აქვს ნიშანი „შემდგომობა საუბრის მომენტთან მიმართებით“ და მომავალი დროის ფორმით გადმოიცემა. დროთა მიმართებების ყველა ეს ნიშანი ქმნის დროის მონაკვეთს, ფორმათა ერთიან სისტემას, რომელიც საუბრის მომენტის ირგვლივ ჯგუფდება და ცნობილია აბსოლუტურ დროთა ქვესისტემის ანუ ახლანდელი დროის პლანის სახელწოდებით. ამ შემთხვევაში ზმნის მოქმედების დროის ერთიან ცენტრს გრამატიკული საუბრის მომენტი წარმოადგენს (მაგალითად, რუსული ენის დროთა სისტემა), ინგლისური და ქართული ენების დროთა სისტემის ანალიზისათვის კი აუცილებელია კიდევ ერთი ახალი ცნების — დროითი ცენტრის შემოტანა.

დროითი ცენტრი, საუბრის მომენტთან მიმართებაშია და თავის მხრივ დროთა მიმართებებს გამოსახატავად ათვლის წერტილს წარმოადგენს. იგი შეიძლება როგორც წარსულში, ისე მომავალში მოთავსდეს. დროითი ცენტრი შეიძლება საუბრის მომენტს უსწრებდეს ან კიდევ მას მოჰყვებოდეს. ასეთ შემთხვევაში (შესატყვისი დროის მონაკვეთებისათვის) წარსულსა და მომავალში დროითი ცენტრებია ათვლის წერტილები და მათ მიმართაც იგება დროთა მიმართებანი — წინამავლობის, ერთდროულობისა და შემდგომობის — სახით.

ამრიგად, შეიძლება ვილაპარაკოთ წარსულისა და მომავლის დროთა მიმართებებზე, რომლებიც რელატიურ დროთა ერთიან ქვესისტემას ქმნიან. ლინგვისტურ გამოკვლევებში მათ „დროთა მიმართების“ სახელწოდება მიიღეს (Смирницкий 1959, 274-316).

რამდენადაც საკომუნიკაციო აქტი რეალურად ახლანდელსა და წარსულში მიმდინარეობს, ჩვენ შესაბამისად გამოვყოფთ ათვლის ორ წერტილს: საუბრის მომენტს — ახლანდელში და დროით ცენტრს — წარსულში. საუბრის მომენტი, რომელიც დროის ღერძზე მუდმივად მოძრაობს, საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ საუბრის ცენტრზე მომა-

ვალში, რომელიც მხოლოდ ლინგვისტური დროის უნივერსალური მოდელის ასაგებად შეიძლება გამოდგეს (Bull 1960).

ექსტრალინგვისტური სინამდვილისადმი საუბრის მომენტის მიმართება ახლანდელ დროში და დროითი ცენტრისა წარსულში სხვადასხვაგვარია. საუბრის მომენტი ახლანდელში არაენობრივი საუბრის მომენტის ასახვაა, იგი ობიექტური დროის ელემენტია. წარსულში კი ნებისმიერი მოვლენის დროის მომენტი შეიძლება დროითი ცენტრი იყოს.

ზემონათქვამიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დროთა ფორმების ორიენტირების ამოსავალ წერტილს საუბრის მომენტი წარმოადგენს. იგი არავითარ განსაკუთრებულ კონტექსტურ დაზუსტებას არ საჭიროებს. შესაძლებელია აგრეთვე დროით ცენტრებთან არა უშუალო მიმართებაც.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ზოგიერთი ენათმეცნიერი, „ცნება საუბრის მომენტი და აგრეთვე, ცნება დროითი ცენტრი რელევანტურია გამონათქვამის დონისათვის. ისინი გულისხმობენ მიმართებას ერთ-ერთი ემპირიული დროის პლანთან, რომელიც უშუალო ურთიერთობის აქტის დროს მართლაც არსებობს და აისახება გამონათქვამში“ (Тураева 1979, 47). დგება საკითხი, თუ რომელი ცნებაა რელევანტური ტექსტისათვის. ვიდრე ამ საკითხს გავცემდეთ პასუხს, საჭიროა, განვიხილოთ ორი კომუნიკაციური პლანი, რომელიც ზმნის ფორმების გრამატიკული მნიშვნელობის ორ განსხვავებულ რიგზეა დაფუძნებული.

ფრანგი ენათმეცნიერი ე. ბენვენისტი ფრანგული ზმნის დროთა ფორმების გამოყენებას ორ სისტემად ყოფს: ისტორიულად და საუბრის პლანად. ისტორიული პლანი წარსულში მომხდარ მოვლენათა მოსათხრობად, წარსულის ფაქტების გადმოსაცემად გამოიყენება, როცა მოსაუბრე, თავის მხრივ, არ ერევა თხრობაში. საუბრის პლანი კი მოსაუბრესა და მსმენელს გულისხმობს (Бенвенист 1974, 271-284).

საბჭოთა ენათმეცნიერი ნ. ს. პოსპელოვიც ორ პლანს განასხვავებს ენაში: კომუნიკაციურს და ინფორმაციულს. ამ დაყოფას რაღაც აქვს საერთო ე. ბენვენისტის კლასიფიკაციასთან, მაგრამ მას მთლიანად მაინც არ ემთხვევა, რადგანაც „ისტორიული პლანი“ შეიცავს უფრო ფართო ინფორმაციას, რომლის შემადგენლობაში თხრობის გარდა შედის ყველა შემთხვევა ცალკეულ მოვლენაზე (Поспелов 1962, 47).

ზ. ი. ტურაევა კომუნიკაციის ამ ორ სახეს განსაზღვრავს როგორც უშუალო ურთიერთობისა და სიუჟეტის პლანებს. მათ შორის განსხვავება შემდგომში მდგომარეობს: უშუალო ურთიერთობას გრამატიკულ საუბრის მომენტზე აქვს ორიენტირი, რომელიც არაენობრივი საუბრის მომენტის (ობიექტური დროის ელემენტის) ასახვაა ენაში.

სიუჟეტის პლანი კი ორიენტირებას ვექტორულ ნულზე ახდენს, სადაც ნიშნის უკან კონკრეტული რეალობა არ დგას (Тураева 1979,78).

„ვექტორული ნული“ — ეს ის ახალი ცნებაა, რომელიც ტექსტისთვისაა რელევანტური. იგი დროის კატეგორიის პირობითს, რელატიურ ხასიათს გამოხატავს ტექსტის დონეზე. მას შეუძლია იმ მოქმედებათა თანამიმდევრობის წესრიგი გადმოცეს, რომლებიც დროის კონტინუუმშია განლაგებული, მაგრამ ვერ გადმოცემს მიმართებას ერთერთ ემპირიული დროის პლანთან (Тураева 1979, 47). ცნება „დროის ვექტორი“ (time vector) აღნიშნავს ორ მიმართულებას, რომლებშიც შესაძლოა განლაგდეს მოვლენები (event) ათვლის წერტილთან მიმართებაში (Bull 1960). ამ შემთხვევაში საუბრის მომენტი ვექტორული ნულის სახით გვხვდება, რომლის მიმართაც ზმნით გამოხატული მოქმედების დრო შეიძლება დადგინდეს. მაშასადამე, განხილულ სისტემათა ყოველი ფორმისათვის ერთი საერთო ნიშანი — ვექტორული ნიშანი — შეიძლება გამოვყოთ. ვექტორული სისტემის ტერმინებით დროის ფორმების აღწერა პასუხობს მოთხოვნას, რომ მოვლენა მაქსიმალურად, ყველა ნიშან-თვისებიანად აისახოს, რამდენადაც ვექტორული დრო შეეფარდება როგორც ობიექტურ დროს, რომელსაც ერთი მიმართულება აქვს და შეუბრუნებადია, ისე კონცეპტუალურ დროსაც.[1] იგი აბსტრაქტული კატეგორიაა და ორი მიმართულება აქვს (დადებითი და უარყოფითი).

ზემოგანხილული სამი ნიშან-თვისება — მოქმედების მიმართება საუბრის მომენტთან, მოქმედების მიმართება დროით ცენტრთან და ვექტორული მნიშვნელობა — ვერ ხსნის მთლიანად დამოკიდებულებათა იმ სისტემას, რომელიც დროის მრავალრიცხოვან ფორმებს შორის არსებობს. ამიტომაა, რომ ბევრ ენას ამათ გარდა მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებები აქვთ. ასე, მაგალითად, ქართული ენისათვის დამახასიათებელია დროთა ფორმების დაპირისპირება ასპექტის (სრული/უსრული) თვალსაზრისით. ასევეა რუსულ ენაშიც. ინგლისურ ენაში კი ზმნის ფორმები ერთმანეთს მოქმედების განგრძობითობა/არაგანგრძობითობის თვალსაზრისით უპირისპირდება.

§ 8. დროთა მიმართებების გამოხატვა ლექსიკური საშუალებებით

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ენათმეცნიერებაში დროის კატეგორიის შესწავლის საქმეში უპირატესობა „ველის“ იდეას აქვს. იმისდამიხედვით, თუ რა ამოცანა დგას კვლევის წინაშე ცნება „ველი“

[1] ტერმინი „კონცეპტუალური“ ასახავს აბსტრაქტულ სახეს, რომელიც შემეცნების პროცესში გამოიყენება, კონცეპტუალური დრო ეს ის აბსტრაქტული, მათემატიკური მოდელია, რომელიც რეალური დროის თვისებებს ასახავს.

მკვლევართა მიერ სხვადასხვაგვარად განიხილება (Шур 1974). ასე, მაგალითად, ე. ვ. გულიგა, ე. ი. შენდელსი (Гулыга, Шенделъс 1969), აგრეთვე, ა. ვ. ბონდარკო (Бондарко 1971 (1) და ზოგიერთი სხვა ენათმეცნიერი განიხილავს ველს როგორც მიკროველთა სისტემას, რომელიც მოიცავს როგორც გრამატიკულ, ისე ლექსიკურ საშუალებებს. არც მ. მ. გუხმანი განიხილავს გრამატიკულ ველს როგორც ერთდონიან სისტემას, რომელიც ძირითადად გრამატიკული საშუალებებითაა გამოხატული (Гухман 1968). ვ. გ. ადმონი ველის ცნებას იყენებს ერთდონიანი მორფოლოგიური ანალიზისათვის, რომლის დროსაც ლექსიკა მხოლოდ გრამატიკულ ფორმასთან მისი ურთიერთმოქმედებისას მიიღება მხედველობაში (Адмони 1964).

„ველის“ სტრუქტურის იდეით არ ამოიწურება დროთა მიმართებათა შესწავლის მეთოდიკა. ვ. ა. ჟერებკოვი (როცა იგი იკვლევდა დროის კატეგორიას გერმანულ ენაში) ზმნის დროთა ფორმების ინვენტარის დასადგენად და ამ ფორმათა ამოსავალ მნიშვნელობების გამოსახატავად ეტალონის სახით იყენებს ამ ენის ტემპორალური ლექსიკის სისტემას (Жеребков 1970, 23).

ბევრ ნაშრომში ტემპორალური ლექსიკა ზმნის დროსთან კავშირში განიხილება, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ტემპორალური ლექსიკის, ლექსიკურ საშუალებათა გრამატიკულ საშუალებებთან ურთიერთმოქმედების შესწავლა, რომელიც უმთავრესად დროის გამოხატვის ლექსიკურ საშუალებებზეა ორიენტირებული, დიდად იზიდავს მკვლევართა ყურადღებას (იხ. Рудометкина 1972, 189; Демченко 1971, 80 და სხვები). საჭიროა ისიც ვაღიაროთ, რომ როგორი ყურადღებაც არ უნდა მიექცეს ტემპორალური ლექსიკის შესწავლის პრობლემას და მის კომუნიკაციურ ღირებულებას, ძირითადი როლი ლინგვისტური დროის აღნიშვნაში მაინც ზმნას ეკუთვნის, თუმცა ისიც ცხადია, რომ ზმნის დრო ლექსიკურ განმსაზღვრელებსა და დამზუსტებლებს აუცილებლად საჭიროებს.

დროის ლექსიკური განმსაზღვრელები ძირითადად „ზმნის შინაგან და გარეგან განმსაზღვრელებს“ (Балли 1955, 141) მოიცავს. უფრო დაწვრილებით ეს საკითხი ე. ი. შენდელსმა შეისწავლა, რომელიც „შინაგანი ლექსიკური განპირობებულობის“ გვერდით გამოყოფს, აგრეთვე, „გარეგან ლექსიკურ განპირობებულობას“ (Шенделъс 1970, 17). ცნებების „გარეგანი და შინაგანი ლექსიკური განპირობებულობის“ დახმარებით შეიძლება ავხსნათ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებათა ურთიერთქმედების მექანიზმი, რომელიც ლინგვისტურ დროს გამოხატავს.

მაშასადამე, ენის ისეთი „კომპლექსური“ კატეგორიის შესასწავ-

ლად, როგორიცაა ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, საჭიროა ლექსიკისა და გრამატიკის გაერთიანება.

გრამატიკის შესწავლის დროს ლექსიკის მიზიდვის აუცილებლობა (და პირიქით) იმითაც არის გამოწვეული, რომ ენაში მთელი რიგი მნიშვნელობები გამოიხატება როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური საშუალებებით. ამასთან დაკავშირებით გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ფ. დე სოსიური გვთავაზობდა ლექსიკოლოგიისა და გრამატიკის გაერთიანებას.

ლექსიკური და გრამატიკული დონეების კავშირს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენათა კონტრასტული შესწავლისას აქვს. გრამატიკის სფეროში არის სისტემათა დიდი რაოდენობა, რომლებიც ძალიან რთულად ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთთან. ლექსიკაში კი არის ღია რიგები, რომლებიც ერთმანეთთან ძალიან მარტივ ურთიერთობებშია, მაგრამ ყოველ მათგანში შერჩევის გაცილებით დიდი ამპლიტუდაა და მათი საზღვრების დადგენა ძალიან ძნელია. გარდა ამისა, ყოველ ენაში არის შემთხვევები, რომლებიც მსგავსი გრადაციის საშუალო ზონაში იმყოფება, როცა შესაძლებლობათა შერჩევის რიცხვი, მართალია, ლიმიტირებულია, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდია (Halliday 1964, 122).

ორი ენის შეპირისპირების შედეგად წარმოშობილი სიძნელეები ლექსიკისა და გრამატიკის სფეროების გამოყოფისას იმითაც რთულდება, რომ ერთ ენაში სტრუქტურულად მსგავს მოდელთა გრამატიკულობის ხარისხი შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე მეორეში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება განვასხვაოთ სინონიმურ ცვლათა დონე. ორ ენაში ლექსიკისა და გრამატიკის სფეროს გამიჯვნისას აღმოჩნდება, რომ ამ „ენებში დაყოფის შიდა ხაზები ყოველთვის არ ემთხვევა. ასევე ერთი და იგივე ელემენტების ლექსიკო-გრამატიკული კლასების წევრები ფუნქციურ-გრამატიკულ ასპექტში ძალიან იშვიათად ემთხვევა“ (Ярцева 1981, 44).

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ვ. ნ. იარცევას თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ, პირველ ყოვლისა, განსასაზღვრია ის ლინგვისტური სივრცე, რომლის ფარგლებშიც ენის ერთეულთა ლექსიკო-გრამატიკული მიმართებები შეისწავლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გადასაწყვეტია, საკმარისია ამისათვის სინტაქსურად უმარტივესი სიტყვათშეხამებების კონტექსტი თუ ფრაზის ან წინადადების უფრო ფართო კონტექსტია საჭირო. ამასთან ერთად, წარმოდგება ძველი პრობლემა პარადიგმულ და სინტაგმურ მიმართებებზე, რომელიც არსებობს იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ გამოხატავენ მათ ტერმინოლოგიურად ამა თუ იმ ლინგვისტური მიმართულების მიმდევრები.

ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ჩარჩოებში

აუცილებელია, ხაზი გაესვას ტემპორალურ მნიშვნელობათა გამოხატვისას სხვადასხვა დონის საშუალებათა არაერთგვაროვნებასა და არაერთნაირღირებულებას. გრამატიკული ფორმები ობიექტური სინამდვილის მოვლენებს შორის ურთიერთობებს უფრო ზოგადად გამოხატავს. ლექსიკური საშუალებები, რომლებიც ჩვეულებრივ ნომინაციურ ფუნქციას ასრულებენ, გრამატიკული ფორმებისაგან განსხვავებით ობიექტური სინამდვილის მოვლენებს ან ამ მოვლენებს შორის მიმართებებს აღნიშნავენ და უფრო აკონკრეტებენ მათ. ამგვარად დროით მიმართებათა გამოხატვის ყოველ საშუალებას თავისი დანიშნულება აქვს.

გრამატიკული დროები ზოგად დროით პლანს — წარსულს, ახლანდელსა და მომავალს — აღნიშნავენ. ლექსიკური საშუალებები კი აკონკრეტებენ ამ პლანს. ისინი ასპექტ-დროის ფორმების დროით მნიშვნელობებს აზუსტებენ და მათს მოდიფიცირებას აწარმოებენ. ზოგჯერ ლექსიკური საშუალებები შეიძლება დროის ფორმაზე უფრო „ძლიერი“ აღმოჩნდნენ, მოახდინონ მისი მნიშვნელობის ნეიტრალიზაცია და გადატანა ერთი დროული პლანიდან მეორეში.

გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობებს შორის, თუმცა ისინი ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნებიან, მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, არ უნდა დავუშვათ ლექსიკური და გრამატიკული კატეგორიების აღრევა, რადგანაც ეს მნიშვნელობები, პირველ ყოვლისა, გამოხატვის საშუალებებით განსხვავდებიან (Смирницкий 1959, 46).

ამგვარად, სხვადასხვა საშუალება, რომელიც განსაზღვრულ ცნებით სფეროს განეკუთვნება, ერთ მთლიანში ერთიანდება. ყველა ეს საშუალება არაერთგვაროვანია: ზოგიერთი ძირითადია, ზოგიც მეორეხარისხოვანი, ერთნი გამოიყენება შედარებით ხშირად, მეორენი კი იშვიათად, ეპიზოდურად.

თავი II

ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და ასპექტის გრამატიკული კატეგორია ინგლისურ და ქართულ ენებში

ენაში დროთა მიმართებებს გამოხატვის პრობლემა შეუძლებელია ასპექტის კატეგორიასთან კავშირის გარეშე განვიხილოთ. უფრო მეტიც, ინგლისური და ქართული ენების დროთა ფორმების სემანტიკის შეპირისპირებით-ტიპოლოგიური შესწავლა არასრული იქნებოდა ასპექტის კატეგორიის ცნების განსაზღვრის გარეშე, რადგანაც გრამატიკული ასპექტი ზმნის ფორმაში იზოლირებულად კი არ გვხვდება, არამედ ყოველთვის დროის კატეგორიასთანაა შეხამებული (Haarman 1976, 70-73).

ამ კატეგორიათა (დრო და ასპექტი) „შეუღლების“ გამო, ისინი არც თუ იშვიათად ერთმანეთში ერეოდათ. ასეთი აღრევა, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ დროითი და ასპექტური მნიშვნელობები ურთიერთმოქმედებენ და ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ამიტომაც უფრო სწორია ვილაპარაკოთ ერთიან ასპექტ-დროის სისტემაზე. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ეს არ ქმნის დაბრკოლებას, რომ ეს კატეგორიები ერთმანეთისაგან გამოვყოთ. მათი ერთმანეთთან დაცილება არ არის ძნელი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი თითქმის შერწყმულია.

ზმნის ასპექტის კლასიკურ ნიმუშს იძლევა ძველი ბერძნული ენა (რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდება პრეზენსი, აორისტი და პერფექტი) და სლავური ენები (სადაც აგრეთვე სრული და უსრული ასპექტი არსებობს). საერთოდ ზმნის ასპექტი მხოლოდ ზემოთითებული ენების კუთვნილება როდია. რეალურად გვხვდება, აგრეთვე, სხვა სახის ასპექტური ოპოზიციებიც, მაგალითად, ინგლისურ ენაში. მართალია, მათი არსებობა ხშირად ეჭვს იწვევს, მაგრამ მათ მაინც ბევრი მკვლევარი აღიარებს. ჩვენ ამოვდივართ ა. ი. სმირნიცკის კონცეფციიდან, რომლის თანახმადაც ინგლისური ენის ზმნის სისტემაში ორი სახის ასპექტი გამოიყოფა: Non-Continuous-Continuous (Смирницкий 1959, 321-327).

ყველა ენაში მოქმედების მიმდინარეობის ხასიათი გარდა ასპექტის გრამატიკული კატეგორიისა გამოიხატება სხვადასხვა არაგრამატიკული საშუალებით. ეს ის საშუალებებია, რომლებიც „ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიაში“ მისი პერიფერიული ელემენტების

სახით შედის. აქ პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ზღვრადობა/უზღვრადობის კატეგორია, რომელიც უთუოდ დიდ გავლენას ახდენს ასპექტური ფორმების მნიშვნელობასა და ფუნქციობაზე. ასპექტის კატეგორიის პერიფერიული კომპონენტებია აგრეთვე: ზმნების სემანტიკური კლასები, რომლებიც გამოიყოფიან ზმნით გამოხატული მოქმედების დროის მიმდინარეობისა და განაწილების მსგავსების საფუძველზე; ასპექტობის არაზმნური ლექსიკური მაჩვენებლებია, მაგალითად, ზმნიზედები, რომლებიც მიუთითებენ მოქმედების ერთგზისობასა და მრავალგზისობაზე, განგრძობითობასა და მომენტობრიობაზე, დასრულებულობასა და დაუსრულებლობაზე და სინტაქსური საშუალებები.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, ზმნაში ასპექტური მნიშვნელობა ზმნის ასპექტის ფორმების საშუალებით გამოიხატება. იგი გადმოიცემა, აგრეთვე, ზმნების ასპექტური კლასებით (როგორიცაა, მაგალითად, ზღვრადი/უზღვრადი ზმნები, მოქმედებისა/მდგომარეობის გამომხატველი ზმნები და ა. შ.) და მოქმედებათა სახეებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ასპექტობის გამოხატვის ზმნურ საშუალებებს შორის მკვეთრი ზღვარის დადგენა დიდხანს ვერ შესძლეს ლინგვისტებმა. მხოლოდ 1908 წელს პირველმა ა. აგრელმა მიუთითა ორ პრინციპულად განსხვავებულ მოვლენაზე — ასპექტის გრამატიკულ კატეგორიაზე (Aspect) და მნიშვნელობათა ნიუანსებზე, რომელთაც არა აქვთ გრამატიკული გამოხატულება.

ასპექტისა და მოქმედებათა სახეების აღრევამ ბევრი ენათმეცნიერი მიიყვანა მრავალი სახის ასპექტის არსებობის მტკიცებაზე, რის გამოც ძნელი შეიქნა გრამატიკულ და ლექსიკურ მოვლენებს შორის ზღვარის გაელენა (Diver 1963, 141-181). უ. დაივერთან ინგლისური ზმნის სისტემა ოცდაათი ნიშნით ხასიათდება, იგი ერთმანეთისაგან ვერ გამოყოფს ასპექტს, დროსა და მოქმედებათა რიგობითობას. მის სისტემაში ასპექტი მოქმედებათა სახეებთანაა გათანაბრებული. მოძღვრებამ მოქმედებათა სახეებზე ბოლო ხანებში დიდი გავრცელება ჰპოვა როგორც საბჭოურ, ისე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში. განსაკუთრებით მაღალ დონეს ამ მიმართულებით სლავურმა ასპექტოლოგიამ მიაღწია (Маслов 1978).

რას წარმოადგენს მოქმედებათა სახეები?

მოქმედებათა სახეები — ზმნების სემანტიკური კლასებია, რომლებიც მოქმედების მიმდინარეობისა და განაწილების მსგავსების საფუძველზე გამოიყოფა. ისინი სულ სხვა სიბრტყეზე მდებარეობენ, ვიდრე ასპექტი, მაგრამ მაინც ურთიერთმოქმედებენ მასთან. ასპექტი და მოქმედებათა სახეები, პირველ ყოვლისა, გამოხატულების პლანით განსხვავდებიან. მოქმედებათა სახეებისა და ასპექტის შეპირისპირებისას

ი. ს. მასლოვი აღნიშნავს, რომ, როცა გვაქვს ასპექტის გრამატიკული კატეგორია, აუცილებლად სახეზეა გრამატიკული დაპირისპირება. რომელიც მკაცრ „პარადიგმულ" ხასიათს ატარებს, ზმნის მთელ ლექსიკას ან მის საკმაოდ დიდ ნაწილს მოიცავს და შეუძლია გამოვლინდეს ერთი ლექსიკური მნიშვნელობის ფარგლებში... ასპექტის საპირისპიროდ მოქმედებათა სახეები გრამატიკული კატეგორიები არ არიან, ვრც მკვეთრ პარადიგმულ ოპოზიციებს ქმნიან, არამედ ზმნების ლექსიკურ სხვაობათა ჩარჩოებში რჩებიან (Маслов 1962,10). ნათქვამიდან ცხადია, რომ ასპექტისა და მოქმედებათა სახეების გამოხატულების პლანი არ ემთხვევა, თუმცა ამ მიმართულებით ისინი ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთს. მაშასადამე, ასპექტი და მოქმედებათა სახეები ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის სხვადასხვა კომპონენტებია.

ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, ალბათ, შეიძლება ჩავთვალოთ უნივერსალიად, რომელიც ბევრ ენას ახასიათებს, თუმცა გარდა იმ კომპონენტებისა, რომლებიც საერთოდ ენებს ახასიათებს, მასში შედის ელემენტებიც, რომლებიც მოცემული კონკრეტული ენისთვისაა სპეციფიკური. მაშასადამე, როგორც კონკრეტული შემადგენლობა, ისე ასპექტობის იერარქიული ორგანიზაცია ენებში განსხვავებულია.

რაც შეეხება ქართულ ენას, მასში ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის იერარქიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ შეუსწავლელია, მაგრამ ქართველ ენათმეცნიერთა შრომები (შანიძე 1973, 262-280; მაჭავარიანი 1974; ჭუმბურიძე 1967, 336-357 და სხვები). გვაძლევს საქ ფუძველს ვილაპარაკოთ ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის შესახებ ქართულ ენაშიც.

§ 1. ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში

როგორც ცნობილია, თეორია ასპექტის შესახებ გერმანიკულ ენებში სლავური ზმნის სახის უშუალო გავლენითა და მასთან შეპირისპირებით წარმოიშვა. მოძღვრება ასპექტის შესახებ ზმნათა ლექსიკური ჯგუფების ანალიზს ითვალისწინებდა, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ცდილობდა უყურადღებოდ არ დაეტოვებია ფორმალური მხარეც. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ გერმანიკულ ენებში ასპექტის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით დიდი ხნის განმავლობაში მკვლევარებმა ვერ შეძლეს მისულიყვნენ ერთ თვალსაზრისამდე. საქმე ისაა, რომ ისინი არაერთგზის იღებდნენ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ „სხვადასხვა ენას თავისი სპეციფიკური თავისებურება გააჩნია, რომელიც ართულებს მოვლენათა ერთგვარ შეპირისპირებას სხვადასხვა ენაში" (Смирницкий 1959, 317).

უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ ავტორებსაც კი (მაგალითად, ინგლისური ენის გრამატიკებისა), რომლებიც აყენებდნენ საკითხს ამ კატეგორიის შესახებ, არ შეჰქონდათ ასპექტი ინდიკატივის პირიან ფორმებში განსახილველად, გამოყოფდნენ მხოლოდ ცალკე ქვედანაყოფს, რომელიც დაკავშირებული იყო ზმნის პირიანი ფორმების შინაარსის განხილვასთან. ასპექტი დროის ფორმებთან ერთად ერთიან სისტემას არ ქმნიდა და ამ ორი კატეგორიის ურთიერთდამოკიდებულება განხილვის საგანი არ გამხდარა (Sweet 1950; Poutsma 1926; Jespersen 1965).

იმის გამო, რომ სლავურისაგან განსხვავებით ინგლისურ ენაში გვაქვს ასპექტის გამოხატვის სულ სხვა საშუალებანი, ა. ი. სმირნიცკი გამოყოფს ორ ასპექტურ ფორმას—არაგანგრძობითსა და განგრძობითს. (Смирницкий 1959, 317-327).[1]

ასპექტის კატეგორიის საკითხის განხილვისას ინგლისურ ენაში, ი. პ. ივანოვა სამართლიანად მიუთითებდა, რომ „საჭიროა, მყისვე გატარდეს გამოცალკავების პრინციპული ხაზი ასპექტის კატეგორიასთან სლავურ ენებში. სლავური სახე გამოიხატება წყვილი თანაფარდი ზმნების საშუალებით, ხოლო ასპექტი ინგლისურში გადმოიცემა ერთსა და იმავე ზმნაში სიტყვაცვლილებით, თანაც სიტყვაცვლილების განსაკუთრებული წესით—ზმნის ანალიტიკური ფორმებით“ (Иванова 1961, 9).

გერმანისტთა შორის ინგლისური ზმნის ფორმების ასპექტური შინაარსის შესახებ დღემდე არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი. საკითხი ეხება, იმას, თუ რა კატეგორიული ნიშნების საფუძველზე უპირისპირდება განუსაზღვრელის ფორმათა ჯგუფი განგრძობითს, ერთი მხრივ, და განუსაზღვრელისა პერფექტულს, მეორე მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა მრავალრიცხოვანია, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ძირითად თვალსაზრისზე შევჩერდებით:

ერთი თვალსაზრისის თანახმად, განუსაზღვრელი ფორმები წმინდა დროული ფორმებია, ხოლო განგრძობითი — ასპექტ-დროისა. პერფექტულ ფორმათა ასპექტურ შინაარსს წარმოადგენს მნიშვნელობა

---

[1] ცნობილია, რომ ასპექტურ ფორმათა გადმოსაცემად ინგლისურ ენაში სხვადასხვა ტერმინი იხმარება: „განგრძობითი ასპექტი“ (Смирницкий 1959; Бархударов 1975(I); „განგრძობითი ჯგუფი“ (Иванова 1961); „პროგრესული“ (Palmer 1965; Leech 1971); „გაერცობილი ფორმა“ (Jespersen 1943) — ფორმებისათვის is/was doing; „ზოგადი ასპექტი“ (Смирницкий 1959; Бархударов 1975); „ზოგადი ჯგუფი“ (Иванова 1961); „არაპროგრესული“ (Чейф 1975); „მარტივი ფორმა“ (Hatcher 1951) — ფორმებისათვის do/does/did. წინამდებარე ნაშრომში ვიყენებთ ტერმინებს „არაგანგრძობითი“ და „განგრძობითი“ ასპექტი.

„მოქმედების სისრულე, მისი შესრულება“, ხოლო პერფექტ-განგრძობითის—„პროცესის განხილვა მთელს მის მსვლელობაში“ (Иванова 1961, 171). მეორე თვალსაზრისის თანახმად, პერფექტი თანამიმდევრობითი ანუ ტრანსმისიული ასპექტია (Воронцова 1960, 202-203). ანალოგიურად განსაზღვრავს პერფექტს ზოგიერთი საზღვარგარეთელი ენათმეცნიერი (იხ. Jespersen 1949, 143; Charleston 1941,24,27,31). ისინი პერფექტს რეტროსპექტულ ასპექტს უწოდებენ, რომელიც შედეგს ან მდგომარეობას ახლანდელს უკავშირებს.

როგორც არაგანგრძობითი, ისე განგრძობითი ფორმების ასპექტური მნიშვნელობის საკითხს ბევრი ენათმეცნიერი ახლაც მსგავს ასპექტში განიხილავს. ეს ალბათ, იმითაცაა გამოწვეული, რომ განგრძობითის ფორმებს განგრძობითობის ასპექტური კატეგორიული მნიშვნელობა აქვს, არაგანგრძობითის ფორმებს კი არავითარი კონკრეტული ასპექტური მნიშვნელობა არა აქვს, ისინი მოქმედებას ყველაზე უფრო ზოგადად გადმოცემენ, რითაც უპირისპირდებიან განგრძობით ფორმებს. ინგლისური ენის ორასპექტიანობის შესახებ თვალსაზრისმა დიდი გავრცელება ჰპოვა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც. მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტები სხვადასხვა ტერმინს იყენებენ თავიანთ შრომებში, მაინც მათ მიერ ასპექტის მნიშვნელობათა განსაზღვრის არსი უმთავრეს შემთხვევაში ანალოგიურია (Смирницкий 1959; Бархударов 1975(I); Joos 1965). განგრძობითი ასპექტის ფორმა (Continuous) ბინარული ოპოზიციის მარკირებული წევრია როგორც ფორმალური გამოხატვის — be+ing, ისე მისი ფუნქციის თვალსაზრისითაც: განგრძობითი ასპექტის ფორმა აღნიშნავს მოქმედებას მისი მიმდინარეობის კონკრეტულ მომენტში. ო. ჯესპერსენი ამ ფორმებს უწოდებს „გავრცობილს“ (expanded tenses), რითაც ხაზს უსვამს მოქმედების განგრძობითობას, რომელიც დროის განსაზღვრულ პერიოდში მიმდინარეობს. „გავრცობილი ფორმების დანიშნულება — წერს იგი, იმაში მდგომარეობს, რომ გამოხატოს არა განგრძობითობა, როგორც ასეთი, არამედ სხვა მოქმედების შეფარდებითი განგრძობითობა უფრო მცირე განგრძობითობასთან შედარებით“ (Есперсен 1958,328). ინგლისურ ენაში პროცესუალობისა და კონკრეტულობის ნიშნებზე, რომლებიც ყველაზე უფრო განგრძობითი ასპექტისთვისაა დამახასიათებელი, ყველა ის ანგლისტი ლაპარაკობს, რომლებიც ინგლისური ზმნის ფორმების ფუნქციობას განიხილავს (Comrie 1976; Ota 1963; Joos 1965; Prior 1968; Schopf 1974; Palmer 1977; Hirtle 1975).

ამგვარად, განგრძობითი ასპექტი აღნიშნავს, პირველ ყოვლისა, მოქმედებას პროცესში, მიმდინარეობაში, რომელიც ჯერ კიდევ დაუსრულებელია და, მეორე მხრივ, მოქმედებას, რომელიც კონკრეტულ,

განსაზღვრულ მომენტს ან დროის მონაკვეთს განეკუთვნება. მაგალითად:

'I must go, Martin, Arthur **is waiting** for me.' (J London, Martin Eden)

'Can he paint still?'

'He' **s painting** the walls of the house. '(W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

ინგლისურ ენაში არაგანგრძობითი ასპექტი ოპოზიციის არამარკირებული წევრია, როგორც ფორმალურად (ნულოვანი მაჩვენებელი), ისე ფუნქციურად (მოქმედებას არაგანგრძობითი ასპექტის კატეგორიული ფორმა თვითონ არავითარ განსაზღვრულ დახასიათებას არ აძლევს). მოქმედებას, რომელიც არაგანგრძობითი ასპექტის ფორმით გადმოიცემა, შეიძლება შემდეგი მნიშვნელობები ჰქონდეს:

ა) ერთჯერადი, მომენტობრივი, მაგალითად:

He **opened** his eyes in the soft dawn light and **looked** at his wife. she sleeps, he thought. (Ir. Shaw, Beggarman, Thief).

ბ) მრავალგზისი — განმეორებადი, მაგალითად:

She **cooked**, and all **ate**, in the kitchen, where she likewise **washed, starched** and **ironed** clothes on the days of the week. (J. London, Martin Eden)

გ) დასრულებული, მაგალითად:

'Lend me your scissors, will you?'

'No. I **packed** them already! (J. Salinger, The Catcher in the Bye)

დ) დაუსრულებელი, მაგალითად:

When I came back to the front we still **lived** in the town. (E. Hemingway, A Farewell to Arms!)

ე) დროის მთელი პერიოდის განმავლობაში მიმდინარე, მაგალითად:

The river **runs** rapidly north to the sea. (D. Lawrence, Women in Love).

ვ) დროში შემოუსაზღვრელი, მაგალითად:

The earth revolves round the sun.

ზ) კონკრეტულ-ფაქტობრივი, მაგალითად;

He **stood** up and **went** out. (E. Hemingway, The Old Man and the Sea)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, არაგანგრძობითი ასპექტის კატეგორიულ ფორმას არა აქვს ერთგზისობა/მრავალგზისობის, დასრულება/დაუსრულებლობის, განგრძობითობის ასპექტური ნიშანი. ასპექტურ მნიშვნელობათა (ზემოთ განხილულის და აგრეთვე სხვების)

ასპექტური მნიშვნელობები უნდა ვეძიოთ არა თვით ზმნის ფორმაში, არამედ ლექსიკურ და ლექსიკო-გრამატიკულ მნიშვნელობათა შეხამებებში წინადადებების კონტექსტურ-სინტაქსურ საშუალებებთან.

ინგლისურ ენაში ასპექტური ფორმების მნიშვნელობასა და ფუნქციობაზე არსებით გავლენას ახდენს ზღვრადობა/უზღვრადობის უნივერსალური კატეგორია, რომელსაც თითქმის არ გააჩნია ფორმალური გამოხატულება და ზმნის სემანტიკით განისაზღვრება. ასე, მაგალითად, განასხვავებენ ზღვრად (ტერმინატულს, პერფექტულს) და უზღვრად (ცურსიულს, დურატულს, იმპერფექტულს) ზმნებს. მათ გარდა გვაქვს კიდევ ზმნების ჯგუფი, რომლებიც კონტექსტისაგან დამოუკიდებლად გვხვდება ზღვრადი ან უზღვრადი მნიშვნელობით. ასეთ ზმნებს ორმაგი ხასიათის ზმნებს უწოდებენ. „ზღვრადი ეწოდება ისეთ ზმნებს, რომლებიც გამოხატავენ მოქმედებას, რომელიც მიმართულია ამ მოქმედების „ბუნებიდან" გამომდინარე წინასწარ განზრახული ზღვარის მიღწევისაკენ... უზღვრადი ზმნა კი გამოხატავს მოქმედებას (ან მდგომარეობას), რომელიც არ არის მიმართული ზღვარის მიღწევისაკენ და არ შეიცავს მისი დასრულების არავითარ წინაპირობას" (Маслов 1965, 273).

როგორც ცნობილია, იმ ზმნების რიცხვი, რომლებსაც ზღვრადი მნიშვნელობა აქვს, შედარებით არ არის დიდი, მაგრამ განსაზღვრულ პირობებში მოხვედრის შემდეგ, ესენი უზღვრად მნიშვნელობას ღებულობენ და შესაბამისად როგორც განგრძობითი, ისე არაგანგრძობითი ასპექტის ფორმით შეუძლიათ არსებობდნენ. მაგალითად:

The hands of the bedside clock stood at five minutes past eleven when I opened my eyes. Hot sunshine was coming through the slade in the wooden shutters. (J. H. Chase, He won't Need it Now).

The place was cavernous and light came dimly from somewhere high under the roof. (A. Hall, The Nineth Directive).

მიუხედავად იმისა, რომ ამ დანაწევრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ზმნის ასპექტურ ფორმათა სემანტიკის გაგებისათვის, იგი მაინც ხელოვნურია. როგორც ფაქტიურმა მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ზმნების უმრავლესობა ორმაგი ხასიათისაა და ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა ყოველთვის კონტექსტში მისი გამოყენებისას ვლინდება. გამონაკლისს შეადგენს უზღვრადი ზმნების მცირე ჯგუფი (მაგალითად, have, be, consist, live, hate და სხვა), რომლებიც მდგომარეობას აღნიშნავენ, აქვთ დროში შემოუსაზღვრელი განფენილობა და ზღვრადი მნიშვნელობით არასოდეს გვხვდებიან.

მაშასადამე, წამყვანი როლი ლექსიკური და გრამატიკული მნიშვ-

ნელობების ურთიერთქმედებისას ფორმის გრამატიკულ მნიშვნელობას ენიჭება.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ზღვრადობა/უზღვრადობის კრიტერიუმის და ზმნის გრამატიკაზე ზემოქმედების განხილვა, რადგანაც ეს მოვლენები დაწვრილებითაა განხილული და შესწავლილი მთელ რიგ შრომებში (Балин 1969; Воронцова 1960; Есперсен 1958; Иванова 1961: Маслов 1965; Дзюба 1979; Verkuyl 1972).

§ 2. ასპექტის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ქართულ ენაში

ასპექტის კატეგორიას ქართული ენის სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ის ნათლადაა გამოხატული და უღლების მთელ სისტემას კვალდაკვალ მიჰყვება. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში ასპექტის კატეგორია იყო პირველადი, მის ბაზაზე მოხდა დროთა მიმართებათა გამოხატვის საშუალებათა განვითარება (ჩიქობავა 1943,91-97).

დროის კატეგორიის წარმოქმნამ მნიშვნელოვნად შეცვალა ასპექტის კატეგორიის გრამატიკული მნიშვნელობა, მაგრამ არ გამოიწვია ამ უკანასკნელის გაქრობა. პირიქით, დროისა და ასპექტის კატეგორიები ზმნის სხვა კატეგორიებთან (კილო და ა. შ) ერთად მონაწილეობენ ზმნის მწკრივების ფორმირებაში.

როგორც ზ. ჭუმბურიძე მიუთითებს „წინდებულიანი და უწინდებულო ფორმები (ერთი მწკრივის ფარგლებში) ძველ ქართულში არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ასპექტით. ორივე ფორმა I სერიაში გამოხატავდა უსრულ ასპექტს, ხოლო II სერიაში — სრულს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ ძველ ქართულში წინდებულები ზმნას უფრო კონკრეტულობას აძლევდნენ და აღნიშნავდნენ „განსაზღვრულ“ მოქმედებას. წინდებულების მიერთების შედეგად ზმნის ფორმებმა თავდაპირველად სრული ასპექტის მნიშვნელობა მიიღეს განსაზღვრული ტიპის ზმნებში, ხოლო შემდგომში კი ზმნებში საერთოდ“ (Чумбуридзе 1968, 9).

თანამედროვე ქართულ ენაში წინდებულები ერთადერთი საშუალებაა ზმნის ასპექტის გამოსახატად. ამრიგად, ერთი სისტემა შეიცვალა მეორეთი: ძველი ქართული ახლოს იყო ბერძნულთან, ახალი ქართული კი სლავურთან.

თანამედროვე ქართულ ენაში ორი სახის ასპექტი გამოიყოფა — სრული და უსრული. ზმნის უწინდებულო ფორმა გამოხატავს უსრულ ასპექტს, ხოლო ზმნის ფორმა წინდებულით—სრულს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ენაში ბევრი წინდებულის ლექსიკო-გრამატიკული ბუნება ასპექტის წარმოების ამ მოჩვენებით მწყობრ სისტემას არღვევს.

მაგალითად, ერთსა და იმავე ზმნის ფუძეს სხვადასხვა წინდებულით შეუძლია მიიღოს სრული ასპექტის მნიშვნელობა, ან შეინარჩუნოს უსრულობა, ე. ი. ერთსა და იგივე წინდებულს მოცემული ზმნის ფუძეში შეუძლია ორივე ფუნქციის — ლექსიკურის და გრამატიკულის რეალიზება იმ დროს, როდესაც სხვები მხოლოდ ერთ-ერთი ფუნქციის — ან ლექსიკურის, ან გრამატიკულის რეალიზაციას ახდენენ. მაშასადამე, ზმნის ერთს, უსრული ასპექტის ფორმას უპირისპირდება სრული ასპექტის რამდენიმე ფორმა. ძლიერი, ე. ი. ფორმალურად მარკირებული და ინტენსიურია სრული ასპექტის ფორმა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წინდებულები, რომლებსაც როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული ფუნქციები აქვთ, ზმნებში აწარმოებენ სრულ ასპექტს უსრულისაგან და ამავე დროს ზმნის მნიშვნელობაში შეაქვთ გარკვეული ახალი ნიუანსი (შდრ. წერს, გადაწერს, ჩაწერს, მიწერს და ა. შ). თუ წინდებულებს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვთ — გრამატიკული, მაშინ მათ ზმნაში ასპექტის მნიშვნელობა შეაქვთ ისე, რომ არ ცვლიან ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას (მაგალითად: წერს — დაწერს, აკეთებს — გააკეთებს, ხატავს — დახატავს, კითხულობს — წაიკითხავს და ა. შ.).

ჩვენი კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ქართულ ენაში განსაკუთრებით ნათლად უპირისპირდება ერთმანეთს ზმნის ორი ძირითადი ჯგუფი: დინამიკური და სტატიკური. სტატიკური ზმნები დინამიკურისაგან განსხვავებით მწკრივ-ნაკლია: I სერიის მწკრივებიდან მათ მოეპოვებათ მხოლოდ აწმყო, აკლიათ უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი. დიაქრონულად სტატიკურ ზმნებს არ ჰქონდათ წყვეტილი და მათ ეს ფორმები დინამიკური ზმნების ანალოგიით შეიქმნეს. სტატიკური ზმნები შეიძლება იყოს როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანიც, მაგალითად: სთესია, სწერია, ანთია, აწყვია, აბარია და ა. შ. დინამიკური ზმნები კი სტატიკურისაგან განსხვავებით თავისუფლად იერთებენ წინდებულებს და აქვთ ასპექტის კატეგორია. ქართველი ენათმეცნიერები მიუთითებენ სტატიკური ზმნის არჩაულობაზე, მათ პარადიგმათა სიღარიბეზე დინამიკური ზმნების პარადიგმასთან შედარებით.

ამგვარად, ასპექტის კატეგორია არა აქვთ სტატიკურ ზმნებს და მედიალური ზმნების უმრავლესობას. ზოგიერთი მედიალური ზმნა ირთავს ზმნისწინს მხოლოდ აწმყოში, მაგალითად, მი-გორავს, მი-ცურავს, მი-ქრის და ა. შ. ასეთი გადახრები საკმაოდ ბევრია, ჩვენ ჩვენი შრომისათვის მხოლოდ ყველაზე არსებითზე მივუთითეთ.

ქართული ასპექტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან და დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ უსრული ასპექტის ზმნებს ძირითადად დროის ორი ფორმა აქვთ — წარსული და ახლანდელი: ვწერ-

დი — ვწერ, ვხატავდი — ვხატავ, ვკითხულობდი — ვკითხულობ და ა. შ. სრული ასპექტის ზმნებს კი წარსული და მომავალი: დავწერე — დავწერ, დავხატე — დავხატავ, წავიკითხე — წავიკითხავ და ა. შ.

ეს არის ძირითადად ქართულ ენაში ასპექტის ფორმალური მაჩვენებლები, რომლებიც ზმნაში გამოიხატება. ახლა კი განვიხილავთ ქართული ენის ასპექტურ მნიშვნელობებს არა მხოლოდ ასპექტს, არამედ მთლიანად ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის წარმოდგენით.

სრული ასპექტის ფორმა წარმოგვიდგენს დასრულებულ, ამოწურულ მოქმედებას. ამავე დროს ეს ფორმა აღნიშნავს კონკრეტულ მოქმედებას, ე. ი. ისეთს, რომელიც განსაზღვრულ მომენტს ან დროის მონაკვეთს განეკუთვნება. ამის გამო სრული ასპექტის ფორმა სტილისტურად ნეიტრალურ მეტყველებაში არ შეიძლება ვიხმაროთ ზმნიზედებთან, რომლებიც განმეორებად ან მუდმივ მოქმედებას აღნიშნავენ, მაგალითად: მუდამ, მარად, ყოველთვის, რეგულარულად და ა. შ. უსრული ასპექტის ფორმა კი, პირიქით, აღნიშნავს მოქმედებას მისი მსვლელობისას, განვითარებაში, ე. ი. წარმოგვიდგენს დაუსრულებელ, მიმდინარე მოქმედებას. ამასთანავე უსრული ასპექტის ფორმა არ აზუსტებს, მოქმედება მიმდინარეობს დროის ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში, თუ იგი განმეორებადი, მრავალგზისი ან მუდმივია. შდრ. „წერილს ვწერ“ (ახლა, ამ წუთში) და „ყოველ დღე მშობლებს წერილს ვწერ“ (მრავალგზისი, განმეორებადი მოქმედება) ან, „როცა შევედი, ისინი ისევ ინგლისურად ლაპარაკობდნენ“ და „ძველი რომაელები ლათინურად ლაპარაკობდნენ“ და ა. შ.

წარმოდგენილი ასპექტური მნიშვნელობები არ მოიცავს ასპექტურ ფორმათა გამოყენების სპეციფიკურ შემთხვევებს ქართულ ენაში. ასე, მაგალითად, მწკრივების — უწყვეტლის, წყვეტილის (სრული და უსრული) და ხოლმეობითის ფორმები ერთმანეთისაგან მხოლოდ მოქმედების დასრულებულობა/დაუსრულებლობით არ განსხვავდება.

ქართულ ენაში წყვეტილი და უწყვეტელი მოქმედების გადმოსაცემად გამოიყენება ორი მწკრივი: უწყვეტელი და წყვეტილი, მაგალითად:

1. ის კერავდა კაბას (ჩვეულებრივ, მუდმივად).

2. მან კაბა კერა (დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, ვთქვათ, გუშინ, გუშინწინ და ა. შ).

როგორ ვხედავთ, უსრული წყვეტილის მწკრივი, უწყვეტელი უსრულისაგან განსხვავებით, გადმოცემს მოქმედებას, რომელიც შეწყვეტილია, არ არის ბოლომდე მიყვანილი, მოქმედების წარმოდგენის საბოლოო წერტილი კი განსაზღვრულია — იგი უსწრებს მეორე „მოქმედების ფიქსაციის დროს“, ამიტომაც „წერდა“ და „წერა“ არ შეიძ-

ლება ვისმაროთ ერთნაირ კონტექსტში. მაგალითად, შეიძლება „როცა დედამ დამიძახა, წერილს ვწერდი“, მაგრამ არ შეიძლება *„როცა დედამ დამიძახა, წერილი ვწერე“[1].

მოქმედება, რომელიც გამოხატულია წყვეტილი სრულით „დამიძახა“ ხასიათდება მომენტურობით მაშინ, როცა უწყვეტლით გამოხატული მოქმედება „ვწერდი“ ხასიათდება მიმდინარეობისას პროცესის უწყვეტობით. ფორმა „ვწერდი“ გვიჩვენებს, რომ მოქმედებას ადგილი ჰქონდა იმ მოქმედების წინ ან შემდეგ. რომელიც აღნიშნულია ფორმით „დამიძახა“ და ამ უკანასკნელის მიმდინარეობის დროს მოიცავს. ამგვარად, ფორმა „ვწერდი“ გამოხატავს ფორმის „დამიძახა“ ერთდროულ, პარალელურ მოქმედებას. ამ ფუნქციის შესრულება არ შეუძლიათ წყვეტილი უსრულის ფორმებს *„როცა დედამ დამიძახა, წერილი ვწერე“.

წარმოდგენილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ წყვეტილი უსრულის ფორმებს: ვწერე, ვიკითხე, ვკერე და ა. შ. არ შეიძლება ჰქონდეთ ერთდროულობის მნიშვნელობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ წყვეტილი უსრულის ფორმა მოქმედების მრავალგზისობაზე მხოლოდ მაშინ მიუთითებს, როცა უწყვეტელი წარმოგვიდგენს პროცესს, რომელიც უწყვეტად მიმდინარეობს.

ძველ ქართულში ზმნის ფორმები განასხვავებდნენ მოქმედებას, რომელიც მიმდინარეობდა ერთხელ, ე. ი. ერთგზისად და მოქმედებას, რომელიც ბევრჯერ ხდებოდა, ე. ი. მრავალგზისად. მაგალითად: დაჯდა — დაჯდის, მოკლა — მოკლის და ა. შ. თანამედროვე ქართულ ენაში ფორმები, რომლებიც მრავალგზის მოქმედებას აღნიშნავენ (დაჯდის, მოკლის) აღარ იხმარება (გამონაკლისს მხოლოდ დიალექტები წარმოადგენს).

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა ქართული ზმნის უსრულ ასპექტს ზოგჯერ მრავალგზისობის მნიშვნელობის გადმოცემა შეუძლია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მრავალგზისობა და უსრული ასპექტი აბსოლუტურად იდენტურები იყვნენ. მრავალგზისი მოქმედებისთვის, ანუ მოქმედებისათვის. რომელიც ხშირად მეორდება, ა. შანიძე ქართულ ენაში გამოყოფს განსაკუთრებულ გრამატიკულ კატეგორიას — გზისობის კატეგორიას, რომელიც ორი კატეგორიული ფორმის — ერთგზისობისა და მრავალგზისობის — ურთიერთდაპირისპირების შედეგად იქმნება (შანიძე 1973, 209-211).

ქართულ ენაში წარსულ დროთა სისტემას მოეპოვება რეგულარული გრამატიკული ფორმები, რომლებიც მრავალგზისობას გამოხატავს. ესაა ეგრეთწოდებული ხოლმეობითის (პერმანსივის) მწრივი. მაგალითად:

---

[1] * აღნიშნავს არასწორ კონსტრუქციას.

საღამოს მოვიდოდა, ისაუზმებდა, გაზეთებს გადაიკითხავდა და ჩაიძინებდა.

სინათლეს აანთებდა, წიგნს გადაშლიდა და დილამდე კითხულობდა.

ამ მაგალითებში ხოლმეობითის მწკრივის ფორმები მრავალგზის მოქმედებას გამოხატავს. მრავალგზისობის ნიშანი ამ მწკრივში ორ ფაქტორს ეყრდნობა: მოქმედების დასრულებულობას და უწყვეტობას. იმისთვის, რომ მოქმედებამ, რომელიც ზმნით არის გამოხატული, შეძლოს დროის ჩარჩოს შევსება, იგი უნდა განმეორდეს მრავალჯერ.

ეს ფაქტი იმითაც დასტურდება, რომ სტატიკურ ზმნებს, რომლებიც მდგომარეობას (ან დამოკიდებულებას) აღნიშნავენ, არა აქვთ უწყვეტლის მწკრივი. I სერიის მწრივებიდან, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, მათ მხოლოდ აწმყოს მწკრივი გააჩნიათ. უწყვეტლის მწკრივი არა აქვთ, აგრეთვე, მედიოპასივის ზმნებს, თანაც იმ ზმნებს, რომლებსაც სტატიკური ზმნების მსგავსად არა აქვთ უწყვეტელისა და აწმყოს კავშირებითის მწკრივები, მაგრამ აქვთ მეორე სერიის მწკრივები. მათ განეკუთვნება ფიზიკური მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები: დგას, ზის, წევს, ძევს და ა. შ. ამ ჯგუფში შედის აგრეთვე ზმნა „არის“.

ამ ფაქტს ა. შანიძე შემდეგნაირად ხსნის: „სტატიკურ ზმნებთან მნიშვნელობით ახლო დგას მედიოპასივი. შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკული მნიშვნელობის მხრივ არ არის არავითარი განსხვავება მედიოპასივსა და სტატიკურ ზმნებს შორის. მართლაც: წევს, დგას, ზის, სხედს, ძევს, სძინავს, ჰღვიძავს და სხვა არსებითად სტატიკური ზმნებია. სტატუსის თვალსაზრისითაც ისინი თითქოს ერთნაირია: ორივე გადმოგვცემს ისეთ ვითარებას, რომელიც სუბიექტის „მოქმედებას“ უძრავად წარმოგვიდგენს, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთ მდგომარეობაში ყოფნას აღნიშნავს. ამასთანავე ერთად ორივე შეგვიძლია ასე თუ ისე მიმღეობიანი კონსტრუქციით შევცვალოთ: წევს — დაწოლილია, ჰკიდია — დაკიდებულია“ (შანიძე 1973, 320).

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დასრულებული მოქმედება დროის ხაზზე იკავებს წერტილობრივ მდგომარეობას, ხოლო დროის ჩარჩოში მოქმედების წარმოსადგენად კი საჭიროა დინამიკა, ჩარჩოს შესაბამად მოქმედება, რომელიც ხოლმეობითის მწკრივით არის გადმოცემული, უნდა ბევრჯერ განმეორდეს დროის ხაზზე. თანამედროვე ქართულ ენაში მოქმედების მრავალგზისობის მნიშვნელობას ანალიტიკური ფორმები აქვს, მაგალითად: ვაკეთებდი ხოლმე, ვწერდი ხოლმე, ვხატავდი ხოლმე, ვცეკვავდი ხოლმე და ა. შ.

ამგვარად, უწყვეტლის, წყვეტილის (სრული და უსრული) და ხოლმეობითის მწკრივების ფორმები აღნიშნავს არა მხოლოდ მოქმე-

დების დასრულება-დაუსრულებლობას, არამედ მოქმედების წყვეტა-უწყვეტობას, ერთგზისობა-მრავალგზისობას, წერტილობრივობა-განგრძობითობას. უკანასკნელნი საშუალებას გვაძლევენ ვილაპარაკოთ მოქმედების პროცესზე, მაგრამ, რადგან თანამედროვე ქართულ ენაში ისინი სუსტადაა გამოხატული და არ შესწევთ უნარი შექმნან ცალკე გრამატიკული კატეგორია, ჩვენ განვიხილავთ მათ როგორც მოქმედებათა სახეებს. მოქმედებათა სახეები ქართულში საკმარისად არაა შესწავლილი. ესა თუ ის მოქმედების სახე რაიმე განსაკუთრებულს არ წარმოადგენს. ესენი ყველა ზმნის სემანტიკაშია ჩაქსოვილი და დროში ზმნის მოქმედების მიმდინარეობა-განაწილების ტიპებში მსგავსების საფუძველზე გამოიყოფა.

ჩვენი წიგნი ქართულ ენაში არსებული ყველა ტიპის მოქმედებათა სახის დადგენა-აღწერას მიზნად არ ისახავს (ეს საკითხი დამოუკიდებელ და ცალკე კვლევას მოითხოვს), ჩვენ მხოლოდ შემოვიფარგლებით: ზღვრადობა/უზღვრადობის, დინამიკურობა/სტატიკურობის, წყვეტა/უწყვეტობის, ერთგზისობა/მრავალგზისობის, მომენტობრიეობა/განგრძობითობით, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ორ ენას — ინგლისურსა და ქართულს — შორის ასპექტურ მნიშვნელობათა შეპირისპირება სრული აღმოჩნდეს.

ინგლისური და ქართული ენების ასპექტურ სისტემათა შეპირისპირება წარმოვადგინეთ 1 ცხრილში.

ცხრილი 1

ინგლისური და ქართული ენების ასპექტურ სისტემათა შეპირისპირება

ინგლისური ენა		ქართული ენა	
ასპექტის ფორმები	მნიშვნელობა	ასპექტის ფორმები	მნიშვნელობა
არაგანგრძობითი	განუსაზღვრელობა	სრული	1. დასრულებულობა 2. კონკრეტულობა
განგრძობითი	1. დაუსრულებლობა 2. კონკრეტულობა	უსრული	დაუსრულებლობა

როგორც ცხრილშია წარმოდგენილი, ინგლისურ ენაში მოქმედების კონკრეტულობის მნიშვნელობა დაკავშირებულია მოქმედების არა დასრულებულობასთან, არამედ დაუსრულებლობასთან განგრძობითი

ასპექტის ფორმაში. ზოგადი ასპექტის ფორმა კი ინგლისურ ენაში მოქმედებას არავითარ კონკრეტულ დახასიათებას არ აძლევს და შეუძლია აღნიშნოს როგორც დასრულებული, ისე დაუსრულებელი, როგორც კონკრეტული, ისე განმეორებადი, განუსაზღვრელ-განგრძობითი და ა. შ. მოქმედება (Бархударов 1972, 64). ქართულ ენაში კი სრული ასპექტის ფორმა გამოხატავს დასრულებულ, დამთავრებულ, რომელიმე კონკრეტულ, განსაზღვრულ მომენტს ან დროის მონაკვეთში განკუთვნილ მოქმედებას. უსრული ასპექტის ფორმა კი აღნიშნავს დაუსრულებელ მოქმედებას, მაგრამ იგი აუცილებლად მიმართულია რომელიმე განსაზღვრული მომენტისადმი ან დროის შუალედისადმი.

ამგვარად, ინგლისური არაგანგრძობითი ასპექტის შინაარსი უფრო ფართოა, ვიდრე ქართული სრული ასპექტისა, ხოლო ინგლისური განგრძობითი ასპექტის შინაარსი უფრო ვიწროა, ვიდრე ქართული უსრული ასპექტისა.

ქართულ ენაში ზმნები უზღვრადი მნიშვნელობით მხოლოდ უსრულ ასპექტში გვხვდება. მაგალითად:

ის იწონის 100 კილოგრამს.

ის იწონიდა 100 კილოგრამს.

უზღვრადი ზმნები უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფია ქართულში. პირველ რიგში მათ განეკუთვნება ვნებითი გვარის ზმნების თავისებური ფორმები: იშმება, ისმება, იწერება, იკითხება, იმღერება და ა. შ. ამ ზმნებს არა აქვთ არც დროის და არც ასპექტის კატეგორია, რადგან ისინი წინდებულებს არ დაირთავენ. იგივე შეიძლება ითქვას ზმნებზე, რომლებიც ადამიანის განწყობას გამოხატავენ: ემღერება, ეტირება, ეცინება, ედარდება, ეჯავრება და ა. შ.

ზღვრადი სემანტიკის მქონე ზმნები, ჩვეულებრივ, ასპექტის ორივე ფორმაში გვხვდება. ისინი არ იცვლიან თავის ლექსიკურ მნიშვნელობებს, თანაც ამოსავალი შეიძლება იყოს ან სრული (ის გავიდა ოთახიდან) ან უსრული ასპექტი (მალე იგი გადის პენსიაზე და საცხოვრებლად გადადის სოფლად), ზოგჯერ ზღვრად ზმნებს აქვთ მხოლოდ ერთი სრული ასპექტის ფორმა, მაგალითად, ეძგერა, ესროლა, სტყორცნა, სტაცა და ა. შ., რომლებიც მომენტობრიობას, წამიერ მოქმედებას აღნიშნავენ. თუმცა უზმნისწინოთ იხმარებიან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზმნაზე ზმნისწინის დამატება ან ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას ცვლის, ან მიმართულებას გვიჩვენებს.

ჩვენი გამოკვლევა არ ისახავს მიზნად ზღვრადი და უზღვრადი ზმნების სრული კლასიფიკაციის წარმოდგენას. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა ვაჩვენოთ, რომ ქართულ ენაშიც ფუნქციობს ზღვრადობა–უზღვრადობის კატეგორია, რომელიც ზმნების ასპექტურ მნიშვნელობაზე დიდ გავლენას ახდენს.

ნათქვამი საშუალებას იძლევა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა. ინგლისურ ენაში ზღვრადი და უზღვრადი ზმნები შეიძლება ასპექტის ორივე ფორმაში (განგრძობითში და არაგანგრძობითში) ვიხმაროთ, ქართულ ენაში კი უზღვრადი ზმნები იხმარება მხოლოდ სრულ ასპექტში, ზღვრადი კი — ორივეში (სრულშიც და უსრულშიც).

ლექსიკური არაზმნური ასპექტობა როგორც ინგლისურში, ისე ქართულ ენაში სხვადასხვა სახის ზმნიზედითა და სიტყვათშეხამებით გადმოიცემა. ორივე ენაში გვაქვს შემდეგი ტიპის მრავალგზისობის გამომხატველი მაჩვენებლები: ზოგჯერ (sometimes), დროდადრო (from time to time), ყოველ საღამოს (every evening) და ა. შ. განგრძობითობის მაჩვენებლები: დიდხანს (long), მთელი დღე (all day) და ა. შ.

ორივე ენაში ასპექტობის ეს „გარეგანი" მაჩვენებლები მეორადი, დამატებითია (Бондарко 1967, 23). მათთან ასპექტი მხოლოდ ზმნის ფორმის ფუნქციობისას ურთიერთმოქმედებს კონტექსტში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასპექტის ორივე ფორმასთან ან ერთ მათგანთან მაინც შეხამებისას, ისინი სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ, ავსებენ ან აზუსტებენ ზმნის მიერ გადმოცემულ მოქმედებას. ორივე ენაში — ინგლისურში და ქართულში — ისინი ასპექტობის გამოხატვის პერიფერიულ საშუალებებს განეკუთვნებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკური გამოხატვის საშუალებებს შორის ორივე ენაში ბევრი რამ არის საერთო, ისინი მაინც სხვადასხვაგვარად ფუნქციობენ (ამის შესახებ იხ. 5 და 6 თავები). იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ ეს ენები სხვადასხვაგვარად იყენებენ ლექსიკურ მაჩვენებლებს, ჩვენ განვიხილეთ საილუსტრაციოდ მაგალითი იმისა, როცა ინგლისურ ტექსტში არ არის არავითარი მითითება მოქმედების მსვლელობის ხასიათზე (იხ. გვ. 36-37).

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ენაში ამ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ ეს დაკავშირებულია სემანტიკურ სხვაობასთან (ამოსავალ ტექსტში არაფერია წარმოდგენილი ამა თუ იმ სემანტიკური ინტერპრეტაციისათვის) შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც სრული, ისე უსრული ასპექტის ფორმა.

ინგლისურ ენაში ასპექტურ ოპოზიციაში არამარკირებული წევრია არაგანგრძობითი ასპექტის ფორმა, რომელიც გაცილებით ხშირად იხმარება, ვიდრე განგრძობითი ასპექტის მარკირებული ფორმა 96% და 4% შესაბამისად (Allen 1966, 136). ინგლისური არაგანგრძობითი ასპექტის მნიშვნელობა უფრო ვრცელია და დამოკიდებულია ზღვრადობა-უზღვრადობის ლექსიკურ კატეგორიაზე, რომელსაც ძალიან ბევრ შემთხვევაში წამყვანი როლი ეკუთვნის ასპექტური მნიშვნელობების გამოხატვის საქმეში (ანუ იმის განსაზღვრაში, თუ სახელდობრ

როშელი ნიშანი გადმოიცემა მოცემული ზმნით აღნიშნულ კონტექსტში).


ამრიგად, ქართულ ენაში ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის მორფოლოგიურ ბირთვს ზმნის ასპექტი წარმოადგენს. მოქმედებათა სახეები კი ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტებია პერიფერიაში. ლექსიკური და კონტექსტურ-სინტაქსური საშუალებები ამ პერიფერიაში მეორეხარისხოვან ადგილს იჭერენ.

ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების მიმდინარეობის ხასიათის გამომხატველი ლექსიკური მაჩვენებლები და წინადადების სინტაქსური სტრუქტურა ასპექტობის კატეგორიის პერიფერიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. საერთოდ კი არაგანგრძობითი ასპექტის განგრძობითთან დაპირისპირება, უდაოდ, ცენტრალურ ადგილს იკავებს ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ბირთვში ინგლისურ ენაში.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურსა და ქართულ ენებში შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:


სქემა 1

ინგლისური ენა



სქემა 2

ქართული ენა



თავი III

თხრობითი კილოს ასპექტ-დროის სისტემა ინგლისურ და ქართულ ენებში

უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე საბჭოურ და საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში შრომათა დიდი რაოდენობა გამოქვეყნდა ზმნის, კერძოდ კი, ინგლისური ზმნის, მისი სემანტიკური თავისებურებებისა და ფუნქციობის შესახებ გამონათქვამსა და ტექსტში. ეს, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ინგლისური ზმნის სისტემა ტრადიციულ ლინგვისტიკაში შეუსწავლელი იყო. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ქართული ზმნის სისტემის შესახებაც. თუმცა ბოლო დროს ენათმეცნიერებისა და ლინგვისტური მეთოდების განვითარებასთან დაკავშირებით ბევრი პრობლემა, რომლებიც ადრე გადაწყვეტილად ითვლებოდა, ახლებურად წარმოდგა. პირველ ყოვლისა, ეს შეიძლება ითქვას ზმნის გრამატიკული სისტემის ერთ-ერთი ცენტრალური რგოლის — დროის კატეგორიის შესახებ.

ინგლისურ და ქართულ ენებში დროის კატეგორიის ძირითადი მნიშვნელობა მოქმედების მომენტის მიმართებაა საუბრის მომენტთან. ამ მნიშვნელობის შიგნით განასხვავებენ სამ პლანს: წარსულს, ახლანდელსა და მომავალს. „კონკრეტულ ენებში დროთა ფორმების სისტემა ამ დაყოფას ყოველთვის ზუსტად არ ემთხვევა: ზმნას შეიძლება ჰქონდეს დროის ორი, სამი ფორმა და შეიძლება სულ არ გამოხატოს დრო თავისი ფორმებით, გარდა ამისა ობიექტურად არსებული დროთა მიმართებები შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ზმნის დროის გრამატიკული კატეგორიის დახმარებით, არამედ ლექსიკურადაც“ (Бархударов 1972, 64). თუ როგორ შეესატყვისება ინგლისური და ქართული ზმნის ფორმები ზემომითითებულ ტრადიციულ დაყოფას, რომელიც, არსებითად, ორი ცნების — ფილოსოფიური დროისა და ზმნის გრამატიკული კატეგორიის მექანიკურ გაიგივებას წარმოადგენს. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

§ 1. ინგლისური ზმნის ასპექტ-დროის სისტემა

ინგლისური ენის ზმნის სისტემა სხვადასხვა სკოლის ლინგვისტთა მიერ საფუძვლიანადაა გამოკვლეული. კარგადაა შესწავლილი ინგლისური ზმნის ასპექტ-დროის სისტემა, მისი ჩამოყალიბების ცალკეუ-

ლი ეტაპი. მაგრამ კატეგორიის შიგნით არსებული კავშირები და მიმართებები ჯერაც გამოუვლინებელი რჩება. გარდა ამისა, დროის კატეგორიისადმი მიძღვნილ ვრცელ ლიტერატურაში გრამატიკულ დროთა ფორმების რაოდენობის განსაზღვრაც რაიმე ერთ საყოველთაო პრინციპს არ ექვემდებარება — ისინი მკვლევართა მიერ სხვადასხვა რაოდენობითაა წარმოდგენილი. არ არსებობს არც ტერმინების „დრო“, „დროის ფორმა“, „ასპექტ-დროის ფორმა“ მკაფიო დიფერენციაცია. ეს ტერმინები ხშირად აღრეულია, ერთმანეთს ენაცვლება, დუბლირებულია, რასაც ზმნის დროთა სისტემის ინტერპრეტაციაში გაურკვევლობა შეაქვს.

ამ საკითხის სწორად გადაჭრის მიზნით საჭიროა, პირველ ყოვლისა, არ აღვრიოთ ობიექტური დროის ცნება (time), როგორც მატერიის არსებობის ფორმა ზმნის დროის გრამატიკული კატეგორიის ცნებასთან (tense). ეს ტერმინოლოგიური განსხვავება კიდევ უფრო მკვეთრად გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ამ ორი ცნების მჭიდრო ურთიერთკავშირისა, ისინი ერთდაიგივე არ არის. თუმცა ასეთ კარდინალურ საკითხზედაც კი დღემდე ვერ მოხერხდა ერთი თვალსაზრისის გამომუშავება — ვერ დადგინდა როგორ შეეფარდება ინგლისური ზმნის ფორმები (tenses) ობიექტური დროის დაყოფას — წარსულს, ახლანდელსა და მომავალს.

ინგლისური ზმნის დროის კატეგორიის საკითხისადმი მიძღვნილი შრომების ანალიზმა დაგვანახა თვალსაზრისთა სხვადასხვაობა გრამატიკულ დროთა (tenses) კონსტიტუენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით. ძირითადად (ყოველ შემთხვევაში უმთავრესად) როგორც პრაქტიკული ისე თეორიული გრამატიკების მიხედვით თხრობითი კილოს მოქმედებით გვარში ინგლისური ზმნა ფუნქციობს თექვსმეტი სიტყვაფორმით. განვიხილოთ ისინი:

ცხრილი 2

ინგლისური ზმნის ასპექტ-დროის სისტემა

	მწკრივები			
დრო	განუსაზღვრელი	განგრძობითი	პერფექტი	პერფექტ-განგრძობითი
ახლანდელი	He writes V	He is writing is+V_ing	He has written has+V_en	He has been writing has been+V_ing
წარსული	He wrote V_en	He was writing was+V_ing	He had written had+V_en	He had been writing had been+V_ing

1	2	3	4	5
მომავალი	He will write shall/will + V	He will be writing shall/will + be + V – ing	He will have written shall/will + have + V – en	He will have been writing shall/will + have been + V – ing
მომავალი წარსულში	He would write should/would + V	He would be writing should/would + be + V – ing	He would have written + should/would + have + V – en	He would have been writing should/would + have been + V – ing

ამგვარად, ინგლისურ ზმნას რატომღაც მიაწერდნენ ზმნის თექვსმეტი სიტყვაფორმის დიფერენციაციის შესაძლებლობის უნარს. ის მნიშვნელობები, რომლებიც ამ ფორმებში იყო ჩაქსოვილი, აღიქმებოდა არა როგორც მხოლოდ მოქმედების შესრულების დროის მახასიათებელი, არამედ როგორც მოქმედების მიმდინარეობის საშუალება. ამიტომაც ცნება „შინაარსი“ გამოხატავდა არა მხოლოდ დროით, არამედ ასპექტურ მიმართებებსაც.

თანამედროვე საბჭოთა ანგლისტიკაში მეცნიერთა უმრავლესობა ამ სიტყვაფორმებში პოულობს სამ ურთიერთგადამკვეთ გრამატიკულ კატეგორიას: ასპექტს (განგრძობითს–არაგანგრძობითს), დროთა მიმართებას (პერფექტს-არაპერფექტს) და დროს (Смирницкий 1959, 274-316; Ильиш 1948, 98; Бархударов, Штелинг 1973, 159). ძირითადად პოლემიკა ენათმეცნიერთა შორის დროის ფორმათა რაოდენობას ეხება. თუმცა ამჟამად ზემოგანხილული თექვსმეტი სიტყვაფორმა (tenses), რომელსაც დროის სხვადასხვა მნიშვნელობა მიეწერება, შეიძლება განვლილ ეტაპად ჩაითვალოს, რომლისგანაც ამ თექვსმეტი სიტყვაფორმის მხოლოდ დასახელება შემოგვრჩა. ამჟამად ბრძოლა დროის გრამატიკული კატეგორიის დიქოტომიული და ტრიქოტომიული დაყოფის მომხრეთა შორის მიმდინარეობს. განვიხილავთ ამ ორ მიმართულებას.

საბჭოთა ანგლისტთა უმრავლესობა (Смирницкий 1959, 328-341; Ильиш 1948; Корнеева 1976) მომხრეა დროის გრამატიკული კატეგორიის ტრიქოტომიული დაყოფის (წარსული, ახლანდელი და მომავალი).

ტრიქოტომიული თეორიის თანახმად ასპექტ-დროის სისტემაში თორმეტი სიტყვაფორმაა წარმოდგენილი ზემოგანხილული ცხრილიდან. ამ თორმეტ სიტყვაფორმაში ა. ი. სმირნიცკი ხედავს მრავალმწყობრიან ერთიან სისტემას, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდება დროის ნიშნით ახლანდელი, წარსული და მომავალი, ასპექტის ნიშნით — განგრძობითი და არაგანგრძობითი ფორმები, ხოლო დროთა

მიმართების ნიშნით — პერფექტული და არაპერფექტული ფორმები. ამგვარად, რთული კომპლექსი lenses იშლება მარტივ ნიშნებად, რომლებიც შინაარსის პლანში ქმნიან მრავალმწყობრიან სტრუქტურას, ხოლო გამოხატულების პლანში წარმოდგება ერთ, ორ ან სამმნიშვნელობიანი სტრუქტურების სახით.

ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი დანარჩენი ოთხი ფორმის ე. ი. სიტყვაფორმების მეოთხე ჯგუფის შესახებ, რომლებმაც ტრადიციულად მიიღეს სახელწოდება „მომავალი წარსულში“. თვითონ დასახელებაც იმას მოწმობს, რომ ეს ჯგუფი გადმოგვცემს მომავალი დროის მიმართებას და მიუთითებს იმაზე, რომ ეს მიმართებები რაღაცნაირად წარსულს უკავშირდება. ა. ი. სმირნიცკი გამორიცხავს ფორმებს „მომავალი წარსულში“ ასპექტ-დროის სისტემიდან, გადააქვს ისინი კილოს სისტემაში და თვლის, რომ ეს ფორმები არსებითად კილოს ფორმებია და არა დროისა (Смирницкий 1959,335-337). ა. ი. სმირნიცკის არგუმენტაცია იმაზე დაიყვანება, რომ მომავალი წარსულში, ერთი მხრივ, ფორმალურად აბსოლუტურად პირობითი კილოს ტოლფასია, ხოლო, მეორე მხრივ, გამოიყენება ირიბ და არასაკუთრივ პირდაპირ მეტყველებაში, სადაც პასუხისმგებლობა იმისა, რომ ინფორმაცია სწორია, ბუნებრივია, მოლაპარაკიდან გადაიტანება მეორე პირზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ა. ი. სმირნიცკის დასაბუთება თუმცა დამაჯერებელია, მაგრამ არ ხსნის საკითხს ბოლომდე.

ამჟამად როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთაც დიდი გავრცელება ჰპოვა დროს გრამატიკული კატეგორიის დაყოფის დიქოტომიურმა თეორიამ (Бархударов 1975(1); Hill 1958; Joos 1965; Palmer 1965 და სხვები). დროის კატეგორიის დიქოტომიური დაყოფის საფუძველს წარმოადგენს იდეა, რომელიც პირველად ფორმულირებული იყო ო. ჯესპერსენის მიერ (Есперсен 1958,304). მისი თვალსაზრისის თანახმად ფორმები, რომლებიც ტრადიციულად მომავალი დროის ფორმებად იწოდებოდა არ შეიძლება ჩაითვალოს გრამატიკულ ფორმებად, რადგანაც მთელი კომპლექსი „shall/will+ინფინიტივი“ ინტერპრეტირებულია არა როგორც სიტყვის ანალიტიკური ფორმა, არამედ როგორც ორი სხვადასხვა სიტყვის, კერძოდ კი მოდალური ზმნის და ინფინიტივის თავისუფალი სიტყვათშეხამება. ამგვარად, თექვსმეტი სიტყვაფორმიდან (იხ. ცხრილი 2) დიქოტომიური თეორია მოიცავს მხოლოდ რვას, რომელშიც ბინარულ ოპოზიციებში ერთმანეთს კვეთს სამი გრამატიკული ოპოზიცია: დრო (წარსული-არაწარსული), ასპექტი (განგრძობითი-არაგანგრძობითი), დროთა მიმართება (პერფექტი-არაპერფექტი).

საბჭოთა ენათმეცნიერებაში ამ თვალსაზრისს იზიარებს ლ. ს. ბარ-

ხუდაროვი (Бархударов 1975(1),126-129). რამდენადაც მის შრომაში ამ კონცეფციამ ყველაზე თანამიმდევრული დასაბუთება მიიღო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი აქ დაწვრილებით განხილვა. ეს აუცილებლობა იმითაცაა გამოწვეული, რომ თვალსაზრისს თითქოს მომავალი, როგორც გრამატიკული კატეგორია რეალურად არსებობს ინგლისურ ენაში, ბევრი გრამატიკოსი იზიარებს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც (Sweet 1950; Poutsma 1926; Nesfield 1944; Curme 1913; Bradley 1911; Смирницкий 1959; Иванова 1961; Корнеева 1976 და სხვები).

ლ. ს. ბარხუდაროვს პირველი დებულების თანახმად თავისი კონცეფციის დასაცავად მოჰყავს დებულებები, რომლებიც შეეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ (იხ. Бархударов 1975(1),126-129). ზმნები shall და will ინგლისურ ენაში შედის მოდალური ზმნების რიცხვში can, may. must და ზოგიერთი სხვების მსგავსად შეხამება „shall/will + ინფინიტივი" ფორმალურად არაფრით არ განსხვავდება შეხამებისაგან „can + ინფინიტივი," „may +ინფინიტივი" და ა. შ.

მეორე დებულების შესაბამისად შეხამება „shall/will + ინფინიტივი" არ არის მომავალი დროის გადმოცემის ერთადერთი საშუალება. ლ. ს. ბარხუდაროვი იძლევა მომავალი დროის მნიშვნელობის გამოხატვის სხვა საშუალებებს.

მესამე დებულებით „shall/will + ინფინიტივი" არ არის მომავალი დროის ფორმა, რადგან შეხამებაში „shall/will + ინფინიტივი" მომავლის დროის მნიშვნელობა შედის მხოლოდ მოდალური ზმნის სემანტიკაში.

ლ. ს. ბარხუდაროვის ბოლო და უაღრესად მნიშვნელოვანი არგუმენტი ეხება ფორმას „მომავალი წარსულში" (Future—in—the—Past), ე. ი. კონსტრუქციებს „should/would + ინფინიტივი". აი, რას გვეუბნება ენათმეცნიერი ამ საკითხთან დაკავშირებით: ის ფაქტი, რომ ზმნებს shall და will-ს შეუძლიათ მიიღონ წარსული დროის მორფემა, მიუთითებს იმას, რომ არ შეგვიძლია ჩავთვალოთ ისინი მომავალი დროის კატეგორიული ფორმის გამომხატველებად... გრამატიკული კატეგორიის ფორმები ყოველთვის ურთიერთგამომრიცხავია, ე. ი. არცერთი სიტყვაფორმა არ შეიძლება ერთდროულად ეკუთვნოდეს სხვადასხვა კატეგორიულ ფორმას ერთი და იმავე გრამატიკული კატეგორიის ფარგლებში (Бархударов 1975(1),128).

ამგვარად, ლ. ს. ბარხუდაროვი ამტკიცებს, რომ „ტრადიციული კონცეფცია, რომლის თანახმადაც ინგლისურ ენაში არსებობს ფორმა ეგრეთ წოდებული „მომავალი დრო", არასწორია. რასაკვირველია, ინგლისურ ენას აქვს საშუალებები, რომ მოქმედება მომავლის სფეროს (Future time) განაკუთვნოს, მაგრამ აქედან არ შეგვიძლია და-

ვასკვნათ. რომ ინგლისური ზმნის ფორმათა სისტემაში გვხვდება საკუთრივ მომავალი დროის (Future tense) კატეგორიული ფორმა. ზმნის დროთა ფორმების სისტემა ინგლისურ ენაში მოიცავს სულ ორ კატეგორიულ ფორმას — არაწარსულს (ე. წ. „ახლანდელსა") და წარსულ დროს" (Бархударов 1975 (1),128-129).

დროთა რაოდენობის შესახებ ორი სრულიად საპირისპირო კონცეფციის ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ დროის ორი ფორმის მომხრენი კვლევისას ამოდიან ასპექტ-დროის სისტემის ფორმალური სიმეტრიიდან, ხოლო ტრიქოტომიურის ამოსავლად მიიჩნევენ რეალური დროის აზრობრივ დაყოფას წარსულად, ახლანდლად და მომავლად.

ზოგიერთი ლინგვისტი მიუხედავად იმისა, რომ არ იზიარებს ლ. ს. ბარხუდაროვის პირველ სამ დებულებას, არ შეიძლება არ დაეთანხმოს მეოთხეს და არ მიიღოს დროის კატეგორიის მისეული დიქოტომიური სისტემა (Биренбаум 1981,52-53). რასაკვირველია, ჩვენ არ განვიხილავთ ყველა მოსაზრებას, რომელიც ლ. ს. ბარხუდაროვის ამ კონცეფციის საწინააღმდეგოდ იქნა წამოყენებული. საჭიროდ კი ვთვლით, შევჩერდეთ ერთ-ერთ მათგანზე (Иванова 1961,53-55; Корнеева 1974, 87). ლაპარაკია 'll რედუცირებულ ვარიანტზე, რომელიც, მართალია, ისტორიულად will-ისაგან მომდინარეობს, მაგრამ გავრცელდა ყველა პირზე (მათ შორის პირველზედაც). „ორ ზმნას შორის ფორმალური განსხვავებულობის ასეთი მოშლა, ალბათ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ განსაზღვრულ სიტუაციებში ამ ზმნებს დიფერენცირებული მოდალური მნიშვნელობები კი არა აქვთ, არამედ მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებიან, რომ განაკუთვნონ მოქმედება მომავალს" (Корнеева 1974, 87).

როგორც ცნობილია, ძველ ინგლისურში დროის მხოლოდ ორი ფორმა იყო — ახლანდელი და წარსული. თანდათან, „განვითარების პროცესში, — როგორც მ. ვ. იანქოშვილი მიუთითებს — წარმოიშვა ისეთი ზოგადი მნიშვნელობები, რომლებმაც ცალკეული დროის ფორმები გააერთიანეს ერთ სისტემაში. დროთა მიმართებები, რომლებიც გამოხატავდნენ ახლანდელს, თანდათან დიფერენცირდება მიმართებებში, რომლებიც გამოხატავენ მომავალ დროს (Янкошвили 1966, 21). პერფექტის ანალიტიკური ფორმის უნიფიცირების პროცესში დამხმარე ზმნა have-მა გამოდევნა be, ხოლო პასივში be-მ გამოდევნა weorthan. ამგვარადვე მოხდა მომავალი დროის საშუალებათა უნიფიკაცია რედუცირებულ ვარიანტად 'll. 'll გამოიყენება ზეპირმეტყველებაში, ამასთანავე იგი ფუნქციობს მხოლოდ ენკლიტიკურად: მიუხედავად წინა სიტყვის გრამატიკული ბუნებისა, იგი თავისუფლად უერთდება მას. მაგალითად:

'But **somebody'll** jump your claim if you don't stay on it long enough to put up a little shack.' (I. Stone, Passionate Journey).

'It will be she **who'll** see you through. In fact she'll have to and she'll be able.' (H. James, The Golden Bowl)

ამგვარად, რაც შეეხება ფორმას 'll + V, ჩვენ მას ე. ა. კორნეევას მსგავსად ვთვლით ზმნის სიტყვაფორმად, რომელიც საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ ახალ გრამატიკულ კატეგორიაზე, რომელსაც „მოდალურ დროს" უწოდებენ (Бирюбаум 1981, 54).

უნდა აღვნიშნოთ, რომ მომავალ დროსთან დაკავშირებით ყოველთვის სხვადასხვა ტიპის თეორიული სიძნელეები წარმოიშობა, რომლებიც ამ ფორმის ხასიათიდან გამომდინარეობს. ძირითადი განსხვავება, ერთი მხრივ, ახლანდელისა და წარსული დროის ფორმებს შორის, და, მეორე მხრივ, მომავალი დროის ფორმებს შორის, დაყვანილია იქამდე, რომ ყველა განცხადება, რომელიც მომავალს განეკუთვნება, ყოველთვის დაკავშირებულია განსაზღვრულ ირიბ მოდალობასთან. მოდალობის ელფერი, ვარაუდი იქნება იგი თუ შესაძლებლობა, ალბათობა თუ დარწმუნებულობა მოქმედების შესრულებისას, აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს მომავალი დროის ფორმათა გრამატიკულ მნიშვნელობაში.

ფუნქციური მოდელი, რომელიც მეტყველებაში დროის გრამატიკული კატეგორიის ხმარებასთანაა დაკავშირებული შეიძლება აიგოს მომავალი დროის ფორმების გარეშე იმიტომ, რომ „ტექსტის დონეზე ისინი უმნიშვნელო როლს თამაშობენ, არ ღებულობენ მონაწილეობას თხრობის განვითარებაში და მათი გამოყენება იზოლირებულ ხასიათს ატარებს" (Тураева 1979,7). წარმოდგენილ სქემაში (3) მომავალ დროთა ფორმების გამოყოფა არაა მიზანშეწონილი იმის გამოც, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, მომავალში დროთა მიმართებათა გადმოსაცემად არც ერთი სპეციალური გრამატიკული ფორმა არ გვხვდება, მაგრამ სამაგიეროდ წარმოდგენილია მთელი რიგი საშუალებებისა, რომ გამოხატონ მოქმედება, რომელიც მომავალ დროს განეკუთვნება—შეხამებები „shall + ინფინიტივი," „will + ინფინიტივი" „to be going to + ინფინიტივი", „to be about to + ინფინიტივი" და ა. შ. ამასთანავე ყველა შემთხვევაში ინგლისურ ენაში მომავალი დროის მოქმედება განუყრელადაა დაკავშირებული მოდალურ მნიშვნელობებთან (აუცილებლობასთან, შესაძლებლობასთან, ვარაუდთან, განზრახვასთან და ა. შ).

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, მიმართებათა არაექვივალენტურობა, ერთი მხრივ, წარსულსა და ახლანდელს და, მეორე მხრივ, ახლანდელსა და მომავალს შორის. „წარსული და ახლანდელი ქმნის ნამდვილად

პოლარულ ცნებებს, რომლებიც განსაკუთრებული პროცესების ჩარევის გარეშე არ ეხება ერთმანეთს; ახლანდელი და მომავალი კი უფრო ახლოა ერთმანეთთან, მომავალი თითქოსდა ახლანდელიდან გამოდის" (Хлебникова 1969, 81). ენაში დროთა მიმართებათა ასეთი ასიმეტრიულობა ობიექტური წარსულისა და ობიექტური მომავლის სფეროთა არატოლფასიანობით აიხსნება. ფორმალური თვალსაზრისით ეს იძლევა საშუალებას წარმოვადგინოთ ინგლისური ენის დროთა სისტემა ორწევრა ოპოზიციის სახით: წარსული/არაწარსული.

მომავალი დროის ცნების გადმოცემის საშუალებათა განხილვისას ამოვდივართ იმ ვარაუდიდან, რომ ენაში უნდა არსებობდეს რაღაც ფორმა, რომელიც გამოხატავდა მსგავს უნივერსალურ სემანტიკურ კატეგორიას. ამიტომაც ჩვენ უნდა მოვახდინოთ მისი გამოხატვის ყველა შესაძლებელ საშუალებათა რეგისტრირება მოცემულ კონკრეტულ ენაში და, გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ მნიშვნელობის კავშირი ენის სხვა სემანტიკურ კატეგორიებთან სხვადასხვა კომბინაციებში. მომავალი დროის დახასიათებისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის ფაქტი, რომ ქართულ ენაში იგი ურთიერთმოქმედებს მოქმედების ასპექტურ მახასიათებლებთან, ინგლისურში კი იგი ეყრდნობა მოქმედების მახასიათებელთა მოდალური გამოხატვის სისტემას. სწორედ ასეთი კონკრეტული თვისებები განსაზღვრავს ამ ენებში ენობრივ სტრუქტურათა ტიპოლოგიას.

ამგვარად, თანამედროვე ინგლისურ ენაში დროთა ფორმების სქემა თხრობითი კილოს მოქმედებით გვარში შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად (იხ. სქემა 3).

§ 2. ქართული ზმნის ასპექტ-დროის სისტემა

ქართული ზმნის ფორმაში დრო იზოლირებული სახით არასოდეს გვხვდება, იგი ყოველთვის მჭიდრო კავშირშია კილოსთან, ასპექტთან და სხვა გრამატიკულ კატეგორიებთან, რის შედეგადაც ვღებულობთ ფორმათა განსხვავებულ რაოდენობას, რაც, ცხადია, არ შეესატყვისება ობიექტური დროის დაყოფას წარსულად, ახლანდელად და მომავლად. ზმნის კატეგორიების ყველა ამ სხვადასხვა კომბინაციის ერთობლიობა ქმნის უფრო მაღალი დონის ერთეულს — მწკრივის კატეგორიას,[1] რომელსაც თავისი მორფოლოგიური მაჩვენებელი აქვს. თავის მხრივ კი, ორი ან მეტი მწკრივის ერთობლიობა იძლევა ზმნის სერიის კატეგორიას. რომელსაც, აგრეთვე, აქვს თავისი საკუთარი მორფოლოგიური მაჩვენებელი.

---

[1] ცნება „მწკრივი" ეკუთვნის, როგორც ცნობილია, აკ. შანიძეს (შანიძე 1941)

თანამედროვე ქართულ ენაში თერთმეტი მწკრივია, რომლებიც ფორმათა წარმოებისა და სინტაქსურ თავისებურებათა მიხედვით იყოფა სამ სერიად. ზმნის სერიებად დაყოფის პრინციპი სინტაქსურია. ზმნების ყველა ფორმა, რომლებსაც შეესატყვისება წინადადების ნომინატიური კონსტრუქცია, ერთიანდება პირველ (I) სერიაში; ზმნის ფორმები, რომლებიც წინადადების ერგატიულ კონსტრუქციას იძლევიან მეორე (II) სერიაში. ხოლო ზმნათა ფორმები წინადადების დატივური კონსტრუქციით ზმნის მესამე (III) სერიას ქმნიან. ნ. ვ. ჭანიშვილის შრომაში „ბრუნვა და ზმნის კატეგორიები ქართულ წინადადებაში“ ზმნის ფორმათა ზემომოცემულ დაყოფას შეესატყვისება ფორმულა სახ. + V + მიც. (—პირ) + მიც (—ირ).., თუ ზმნა ორპირიანია, ფორმულა ასეთ სახეს იღებს: სახ.+V+მიც (—პირ).... მეორე სერიას შეესატყვისება ფორმულა: მოთხ. +V+სახ. (—პირ.) +მიც. (—ირ.). მესამე სერიას კი შეესატყვისება ფორმულა: მიც. (—ირ.)+V+სახ.+(ნათ.+ —თვის), ე. ი. მესამე სერიაში შეინიშნება რეალური და გრამატიკული სუბიექტებისა და ობიექტების ინვერსია. რეალური სუბიექტი გადმოიცემა ირიბი დამატების ბრუნვით (მიც. — ირ) და შესაბამისად ზმნაში — ობიექტური პირის მაჩვენებლებით, ხოლო მოქმედების რეალური ობიექტი გამოხატულია ქვემდებარის ბრუნვით (სახ.) და შესაბამისად ზმნაში ასახულია სუბიექტური პირის მაჩვენებლებით. რაც შეეხება ადრესატს, იგი გამოიხატება ნათესაობითი ბრუნვით+თანდებული „თვის“. შესაბამისს პასიურ ზმნებში ფორმულა აქტიური ზმნებისაგან განსხვავებით არ იცვლება არცერთში ამ სამ სერიათაგან სახ.+V+ (ნათ.+მიერ)+(ნათ.+თვის), თუ ზმნა ერთპირიანია ხოლო თუ ზმნა ორპირიანია, მაშინ ფორმულა შემდეგ სახეს იღებს სახ.+V+(ნათ.+მიერ) +(მიც. —ირ“) (Чанишвили 1981; 114).

ქართული ენის მწკრივთა სისტემა თვალსაჩინოდ შეგვიძლია წარმოვადგინოთ ცხრილში 3.

ცხრილი 3

ქართული ზმნის მწკრივთა სისტემა

№	მწკრივი	სერია	დრო	ასპექტი	კილო	ზმნა პირიან ფორმაში
1.	აწმყო	I	ახლანდ.	უსრული	თხრობითი	ვწერ
2.	უწყვეტელი	I	წარსული	უსრული	თხრობითი	ვწერდი
3.	აწმყოს კავშირები	I	ახლანდელი/მომავალი	უსრული	კავშირებითი	ვწერე
4.	მყოფადი	I	მომავალი	სრული	თხრობითი	დავწერ
5.	ხოლმეობითი (პერმანსივი)	I	წარსული	სრული	თხრობითი/პირობითი	დავწერდი
6.	მყოფადის კავშირებითი	I	მომავალი	სრული	კავშირებითი	დავწერდე

	მწკრივი	სერია	დრო	ასპექტი	კილო	ზმნა პირიან ფორმაში
7.	წყვეტილი (აორისტი)	II	წარსული	სრული/უსრული	თხრობითი	ვწერე-დავწერე
8.	II კავშირებითი	II	მომავალი	სრული/უსრული	კავშირებითი	ვწერო-დავწერო
9.	I თურმეობითი	III	წარსული	სრული/უსრული	თხრობითი	მიწერია-დამიწერია
10.	II თურმეობითი	III	წარსული	სრული/უსრული	თხრობითი (პირობითი)	მეწერა-დამეწერა
11.	III კავშირებითი[1]	III	წარსული	სრული/უსრული	კავშირებითი	მეწერა-მეწეროს

ამ სისტემაში ჩვენ შევიტანეთ მხოლოდ რეგულარულად არსებული და აქტიურად მოქმედი ფორმები.

როგორც ვხედავთ, ყველა მწკრივი კილოს თვალსაზრისით ორ ჯგუფად იყოფა: 1) თხრობითი: ვწერ, დავწერ, ვწერდი, დავწერდი, დავწერე, მიწერია, მეწერა; 2) კავშირებითი: ვწერდე, დავწერდე, ვწერო, მეწეროს, ე. ი. პირველი ჯგუფის ფორმები თხრობითი კილოს მნიშვნელობის მატარებელია, ხოლო მეორესი — კავშირებითის.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქართულ ენაში ზმნის დროის კატეგორია ტრიქოტომიულ ოპოზიციას წარმოადგენს: წარსული (ვწერდი, დავწერდი, დავწერე, მიწერია, მეწერა, მეწეროს), ახლანდელი (ვწერ, ვწერდე), მომავალი (დავწერ, დავწერდე, დავწერო). დროის გრამატიკულ კატეგორიას ამ ფორმებში არავითარი ცალკე აღებული ფორმალური ელემენტი არ შეესატყვისება.

ქართული ზმნის მწკრივები სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება. მათგან ძირითადს, ცენტრალურს წარმოადგენს თხრობითი კილოს ზმნის დროთა სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, დროის მთელი კატეგორიის ბირთვია. ამიტომაც. ჩვენი კვლევა წარმოებს მხოლოდ თხრობითი კილოს მასალაზე. განვიხილავთ ამ სისტემას, რომელიც თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგინეთ ცხრილში 4.

---

[1] რაც შეეხება III კავშირებითს, ა. შანიძეს თვალსაზრისზე დაყრდნობით (შანიძე 1973, 223), მას კავშირებითი კილოს გამომხატველად მივიჩნევთ და ამიტომ მისი სემანტიკური პოტენციალის კვლევა ჩვენს მიზანს არ შეადგენს. ჩვენ დავკმაყოფილდით მხოლოდ მისი წარმოდგენით ქართული ზმნის მწკრივთა სისტემაში (ცხრილი 3), სადაც ამ მწკრივის შემდეგი ელემენტები წარმოვადგინეთ: დრო (წარსული), ასპექტი (სრული-უსრული), კილო (კავშირებითი).

ქართული ზმნის თხრობითი კილოს დროთა სისტემა

დრო	მწკრივი	ასპექტი	ზმნა პირიან ფორმაში
წარსული	უწყვეტილი ხოლმეობითი[1] წყვეტილი I თურმეობითი II თურმეობითი	უსრული სრული სრული/უსრული სრული/უსრული სრული/უსრული	ვწერდი დავწერდი ვწერე-დავწერე მიწერია-დამიწერია ძეწერა-დამეწერა
ახლანდელი	აწმყო	უსრული	ვწერ
მომავალი	მყოფადი	სრული	დავწერ.

წარმოდგენილი ცხრილი (4) გვიჩვენებს, რომ ეს სისტემა შედგება სამი რიგის ფორმებისა ანუ მწკრივებისაგან: წარსულისაგან, ახლანდელისა და მომავლისაგან. უსრული ასპექტის ზმნებს აქვთ ახლანდელი და წარსული დროის ფორმა, სრული ასპექტის ზმნებს კი — წარსულისა და მომავლის, ე. ი. წარსული დრო წარმოდგენილია როგორც სრული, ისე უსრული ასპექტის ფორმებით, ახლანდელი მხოლოდ უსრული ასპექტის ფორმით გვხვდება, ხოლო მომავალი — მხოლოდ სრულით.

უფრო რთულადაა საქმე ვწერ, ვხატავ, ვკითხულობ, ვცეკვავ და ა. შ. ტიპის ზმნების ფორმებთან. ამ ტიპის ზმნების ძირითადი მნიშვნელობა მოქმედების ახლანდელის სფეროსთან მიკუთვნებაა. მაგრამ ეს მოცემული ფორმებისათვის ერთადერთი მნიშვნელობა არ არის. მათ შეუძლიათ აღნიშნონ მომავალი დროის (სრული ასპექტის) მოქმედებაც, მაგალითად, „შენ რომ დავბრუნდები, დავჯდები და ვხატავ“.

საქმე ისაა, რომ მოქმედება მომავალში შეიძლება იყოს როგორც სრული, ისე უსრული ასპექტის. ძველ ქართულ ენაში, როგორც ცნობილია, I კონიუნქტივი გამოხატავდა მომავალ უსრულს, ხოლო II კონიუნქტივი — მომავალ სრულს. ახალ ქართულში კი წინდებულები, რომლებიც მყოფადის მწკრივს დაერთვის ზმნას აძლევს სრული ასპექტის მნიშვნელობას, რამაც მოიტანა ის, რომ მომავალ დროში ზმნის უსრული ასპექტით გამოხატვა გაძნელდა, ან კიდევ შეუძლებელი გახდა.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მომავალი დროის ფორმა არ არსებობდა, ამიტომაც გამოხატულების პლანში დროთა სისტემა რთული არ იყო. ფუნქციობდა დროის მხოლოდ ორი ფორმა — წარსული და ახლანდელი, რომლებიც დურატიული და წერტილოვანი

[1] ჩვენ შრომაში განვიხილავთ იმ შემთხვევებს, როცა ხოლმეობითისა (პერმანსივის) და II თურმეობითის მწკრივები გვხვდება თხრობით კილოში.

(მომენტობრივი) ასპექტისაგან წარმოიშვა. მომავალი დროის ფორმა გამოიყო შედარებით გვიან. გამოყოფის პირველ ეტაპზე იგი ახლანდელთან იყო გაერთიანებული და გამოხატავდა მოქმედებას მომავალში. ამიტომაა, რომ მომავლის ახლანდელისაგან გამოყოფა არც თუ ისე ადვილია, რადგან მოქმედება, რომელიც საუბრის მომენტში მიმდინარეობს, ჩვეულებრივ მოიცავს დროის განსაზღვრულ მონაკვეთს, რომელიც მომავალშიც გრძელდება. ამ მოვლენის აღწერისას ძველი ქართულის მოშველიება იმიტომ დაგვჭირდა, რომ აგვეხსნა ახლანდელისა და მომავლის ერთმანეთისაგან მკაცრად, დემარკირებულად გამოყოფის საკითხი, რის ერთ-ერთ დასაბუთებად „ვწერ“, „ვკითხულობ“, „ვხატავ“ და ა. შ. ტიპის ზმნების ფორმები გამოდგება.

„მომავალი დროის ახლანდელისაგან გამოყოფისა და მისი ცალკე მწკრივად გარდაქმნის პროცესი, — როგორც ზ. ჭუმბურიძე მიუთითებს, — მიმდინარეობდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში (II-16 სს), თანაც ენა პარალელურად იყენებდა მომავალი დროის გამოხატვის როგორც ახალ, ისე ძველ სისტემას. ამასთანავე ძველი სისტემის გამოყენების შემთხვევები თანდათან მცირდებოდა და იშვიათი მოვლენა ხდებოდა“ (Чумбуридзе 1968. 22).

უნდა აღვნიშნოთ, რომ მყოფადის მწკრივი აწმყოსაგან მხოლოდ წინდებულების დართვით არ მიიღება. თანამედროვე ქართულ ენაში ზოგიერთი ზმნა მყოფადის ფორმებს აწმყოსაგან არ ანსხვავებს — ორივე მწკრივში მათ ერთნაირი ფორმა აქვთ. ამათ რიცხვს განეკუთვნება, ერთი მხრივ, უწინდებულო ზმნები (მაგალითად: აჩვენებს, ბრძანებს, ამცნობს და ა. შ.; აბანავებს, ანუგეშებს, ასაზრდოებს და ა. შ.; უარყოფს, სრულყოფს, უზრუნველყოფს, თავს იდებს და ა. შ.), ხოლო მეორე მხრივ — ზმნები, რომლებიც არ იხმარება წინდებულის გარეშე აწმყოშიც კი (ასეთია მაგალითად: აღ-წერს, გან-აგრძობს, გან-საზღვრავს, გამო-ხატავს, მი-უთითებს, მო-უწოდებს, გადა-სცემს და ა. შ.). ამ ზმნების ლექსიკური მნიშვნელობა ფუძესთან ერთად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წინდებულებზე, რომელთა გარეშეც მათ სულ სხვა მნიშვნელობა აქვთ. ამ წინდებულებს მხოლოდ ლექსიკური ფუნქცია აქვთ, ზმნის ასპექტს კი ისინი არ ცვლიან. ქართულ ენაში ძალიან სუსტადაა განვითარებული ასპექტის წარმოების უწინდებულო საშუალებები, რომლებიც სრულ ასპექტს უსრულად აქცევენ და ამავე დროს ზმნას უნარჩუნებენ იმ ლექსიკურ მნიშვნელობას, რომელსაც მას წინდებული აძლევს (შდრ. რუსულში: читать — зачитать — зачитывать; решить — решать და ა. შ.). ამიტომაც ამ ჯგუფის ზმნებს არ შეუძლიათ აწარმოონ მომავალი დრო, რომელიც ახლანდელის ფორმისაგან განსხვავებული იქნებოდა წინდებულის მეშვეობით.

თანამედროვე ქართულ ენაში ცალკე უნდა გამოიყოს მოქმედებითი გვარის ზმნები, რომლებიც მომავალ დროს ასპექტის მიხედვით არ განასხვავებენ და, ჩვეულებრივ, აქვთ მხოლოდ მყოფადის სრული ფორმა, თუმცა მათ შეუძლიათ გამოხატონ დაუსრულებელი მოქმედება მომავალში აწმყოს მწკრივის ფორმით (ამისათვის გამოიყენება უწინდებულო ფორმა), მაგალითად: წერს (ახლა და მომავალშიც), ხატავს (ახლა და მომავალში), ჰამს (ახლა და მომავალში), ადუღებს (ახლა და მომავალში), აწამებს (ახლა და მომავალში) და ა. შ. (მყოფადისა და აწმყოს მწკრივების დეფექტურობის შესახებ დაწვრილებით იხ. ჰუმბურიძე 1968).

ყველა ზემონათქვამი აძლევს ქართველ ლინგვისტს საშუალებას დაასკვნას, რომ „ზმნები, რომლებსაც ერთნაირი ფორმა აქვთ როგორც აწმყოში, ისე მყოფადში, არ შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ ერთ-ერთს ამ მწკრივთაგანს (ასე, მაგალითად, უწინდებულო—აწმყოს, ხოლო წინდებულიანი—მყოფადს). უფრო სწორი იქნება ისინი ომონიმურ ფორმებად ჩაგვეთვალა, რომლებიც ახლანდელი დროისა და უსრული ასპექტის ფორმით წარმოადგენენ აწმყოს მწკრივს, ხოლო მომავალი დროისა და სრული ასპექტის შემთხვევაში კი—მყოფადის მწკრივს“ (Чумбуридзе 1968, 23).

მაგრამ ახლანდელისა და მომავლის მნიშვნელობათა შორის მჭიდრო კავშირის გამო ამ ფორმათა ომონიმურობაზე უფრო განმსაზღვრელად მივიჩნევთ მათ მრავალმნიშვნელობიანობას. ასე, მაგალითად, „ვწერ“ ტიპის ფორმა შეიძლება განვიხილოთ როგორც ორი მნიშვნელობის მქონე. „ვწერ“ ფორმის ძირითად, ცენტრალურ მნიშვნელობად უნდა მივიჩნიოთ ახლანდელის მნიშვნელობა, რომელიც კონტექსტით არ შემოიფარგლება და სინტაქსურად თავისუფალია. სულ სხვაგვარადაა საქმე მომავლის მნიშვნელობასთან. ამ მნიშვნელობის რეალიზაციისათვის აუცილებელია კონტექსტის განსაკუთრებული პირობები. კერძოდ მომავალი უსრული „სინტაქსური რიგის მოვლენაა“ (Руденко 1940, 239), მაგალითად: „შინ რომ წავალ, ვხატავ“.

იმ ფაქტს, რომ ამ ტიპის ფორმები უსრული ასპექტის ზმნებს აბსოლუტურად ერთნაირად აქვთ ნაწარმოები (თუმცა ისინი სემანტიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან), მივყავართ იმ აზრამდე, რომ უმჯობესია მათ ვუწოდოთ არაწარსული დრო.

ამგვარად, გვაქვს როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური საფუძველი ჩავთვალოთ, რომ დაპირისპირება ახლანდელი-მომავალი არსებობს უფრო ფართო კატეგორიის „არაწარსულის“ ჩარჩოებში.

შემდეგი ტიპის ზმნების „დავწერ“, „წავიკითხავ“, „დავხატავ“ და ა. შ. სრული ასპექტის ფორმათა ძირითადი მნიშვნელობა მოქმედების მომავალი სფეროსადმი განკუთვნებაა. თუმცა ცნებას „მომავალი“

აზრი აქვს მხოლოდ სამწევრიანი დაყოფის ფარგლებში — წარსული-ახლანდელი-მომავალი. ქართულ ენაში კი სრული ასპექტის ზმნებს ახლანდელი დროის ფორმა არა აქვს. ამიტომაც, ვიღებთ რა მხედველობაში დროთა სისტემაში ამ ფორმათა ურთიერთდაპირისპირებულობას, ვარჩევთ, რომ ვუწოდოთ მათ არა მომავალი, არამედ „არაწარსული“ დრო.

ზემოთქმულის საფუძველზე ქართულ ენაში შესაძლებელია ზმნის დროის ფორმათა შემდეგი სისტემის წარმოდგენა (იხ. სქემა 4).

ეს სქემა (4) არ ეწინააღმდეგება წინა ცხრილს (4). პირიქით, ავსებს მას. წარსული დროის არაწარსულთან დაპირისპირება არსებობს დროის სამწევრა სისტემის შიგნით და დაფუძნებულია არა მარტო სემანტიკურ, არამედ სტრუქტურულ ნიშანზეც. იგი ამ სისტემის ჩარჩოებში ორ სხვა ოპოზიციასაც არ გამორიცხავს და ახლანდელსა და მომავალს შორის სემანტიკურ განსხვავებას არ შლის.

ინგლისურ და ქართულ ენებში დროის კატეგორიის გამოხატვის ფორმალურ საშუალებათა შორის განსხვავება ნათლად ჩანს სქემათა (3 და 4) უბრალო შეპირისპირების გზითაც და იგი არავითარ კომენტარს არ მოითხოვს. არსებითი ისაა, რომ ქართულ ენაში ინგლისურისაგან განსხვავებით დროის ფორმები ასპექტის ფორმებთანაა მჭიდრო კავშირში. სრულ ასპექტში მომავალი დროის მხოლოდ ერთი ფორმა გვხვდება, ხოლო უსრულ ასპექტში არაწარსული დროის ორი ფორმა — ახლანდელი და მომავალი. ინგლისურ ენაში კი დროის კატეგორია ასპექტის კატეგორიაზე არაა დამოკიდებული: ზმნა ნებისმიერ ასპექტსა და დროთა მიმართებაში შეგვიძლია ვიხმაროთ როგორც არაწარსულ, ისე წარსული დროის ფორმაში (დროის ფორმების გრამატიკულ მნიშვნელობათა შორის სემანტიკურ მსგავსება-განსხვავებაზე ლაპარაკი გვექნება მომდევნო V და VI თავში).

§ 8. ინგლისური ზმნის ასპექტ-დროის სისტემის ოპოზიციათა ანალიზი

ბოლო წლებში არის ტენდენცია, რომ ყველა გრამატიკული დაპირისპირება დაყვანილ იქნეს ბინარულამდე. გრამატიკული კატეგორიების ასეთი გაგება როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერთა შრომებში (იხ. Jakobson 1971; Бархударов 1966; Штелинг 1959 და სხვები) გვხვდება. დ. ა. შტელინგი, მაგალითად, გრამატიკული კატეგორიის განსაზღვრისას შემდეგ თეზისს აყენებს: „გრამატიკული კატეგორია შეიძლება განისაზღვროს როგორც მიძართება, რომელიც ენის გრამატიკულ წყობაში გამოიხატება ორი (და არა მეტი) ერთმანეთის გამომრიცხავი დაპირისპირებით... გრამატიკული კატეგორია იწარმოება ორი (და მხოლოდ ორი!) მწკრივის ფორმათა

ქალაქის ადმინისტრაციული ტერიტორიის სამშენებლო-რეგიონის სისტემა
ცენტრული სამშენებლო
ქალაქის სამშენებლო
ქალაქის სამშენებლო
ცენტრული სამშენებლო
ქალაქის სამშენებლო
ქალაქის სამშენებლო

დაპირისპირების საფუძველზე — ესაა შთლიანის გაორმაგება“ (Штелинг 1959, 56).

ენაში ბინარული ანალიზის მომხრეების საწინააღმდეგო თვალსაზრისს აყენებს ლინგვისტების მეორე ჯგუფი, რომლის თანახმად, „არ გვაქვს საფუძველი, რომ სტრუქტურულ მიმართებათა სისტემიდან განვდევნოთ... მრავალრიცხოვანი მიმართებანი ან, რადაც უნდა დაგვიჯდეს ვეცადოთ, რომ ისინი მრავალსაფეხურიან ბინარულ ოპოზიციებამდე დავიყვანოთ“ (Трубецкой 1960, 182). ე. ჩ. შენდელსი კი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ოპოზიციური მწკრივები ერთიანდებიან საერთო აზრობრივი ნიშნით და უპირისპირდებიან ერთმანეთს ერთი ან რამდენიმე მსგავსი დიფერენციალური ნიშნით“, რომ „ასეთ ფორმებს ოპოზიციის წევრებს, ანუ საწინააღმდეგო წევრებს უწოდებენ“ და, რომ „ერთ ფორმას სხვადასხვა ოპოზიციაში შეუძლია ფუნქციობა სინქრონული მრავალმნიშვნელოვნიანობის გამო“ (Шенделъс 1970, 5—6).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბინარული დაპირისპირება უფრო ზუსტია, რადგანაც ენის გრამატიკული სისტემებისა და ქვესისტემებისათვის დამახასიათებელია სიმეტრიულობა, რომელიც ამ აგებულების პარადიგმული სისტემის ცალკეულ ნაწილებში ზოგადი პრინციპების განსაზღვრული რეგულარობით ხასიათდება. ენის გრამატიკული სისტემის აგებულების ეს სიმეტრია თავის კონკრეტულ გამოხატულებას ბინარულ პრივატულ ოპოზიციების პრინციპებში პოულობს, რომელზედაც გრამატიკული კატეგორია იგება, მაგრამ ეს ერთიანი სიმეტრიულობა სისტემის ცალკეულ ნაწილებში ირღვევა ასიმეტრიის ელემენტებით, რომლებიც, როგორც წესი, გადატანითი მოვლენებია. ისინი ამ ენის განვითარების წინა ეტაპებიდანაა დამკვიდრებული. განსაზღვრულ შემთხვევებში ასიმეტრიის ასეთი ელემენტები შეიძლება იქცნენ ახალ მოვლენებად, რომლებიც ეს-ესაა წარმოიშვნენ (Бархударов 1966, 10).

მიუხედავად ზემოთქმულისა, ბინარული პრინციპი არ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ მისაღებ პრინციპად გრამატიკაში. ბინარული ოპოზიციების არსებობა ვერ გახდის საეჭვოს სამი და სამზე მეტი ერთმანეთთან დაპირისპირებული წევრის არსებობის ფაქტს.

ყოველი ენის სისტემაში დროთა ფორმების სემანტიკური ანალიზი მხოლოდ ამ ენაში არსებულ ოპოზიციათა გამოვლენის შედეგადაა შესაძლებელი. ამ ოპოზიციათა გამოვლენა კი განსაზღვრულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ასე, მაგალითად, დროთა მიმართება ენაში შეიძლება გამოიხატოს არა მარტო ფლექსიური ფორმებით, არამედ ანალიტიკური კონსტრუქციებითაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონსტრუქციებმა გრამატიზაციის უმაღლეს საფეხურს მიაღწია,

თითქმის ყველა ენათმეცნიერი ამ მოვლენას მაინც სხვადასხვაგვარად ხსნის. ყველაფერი ეს იმას ადასტურებს, რომ ამ საკითხმა (ზოგიერთი რთული წარმონაქმნის დროის პარადიგმაში ჩართვის შესახებ) ჯერ კიდევ ვერ მიიღო საბოლოო ახსნა. რაც შეეხება ჩვენს მიერ საანალიზოდ აღებულ ენებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისურ ენაში ქართულისაგან განსხვავებით ასეთ კონსტრუქციათა გაცილებით მეტი რაოდენობა შეიმჩნევა.

დროთა ოპოზიცია გამოხატავს ინგლისური ენის დროის კატეგორიის არსს და განსაზღვრავს დროის ფორმათა მიმართებას გრამატიკულ ათვლის წერტილთან — საუბრის მომენტთან ან დროით ცენტრთან. ინგლისური ენის სისტემაში გამოიყოფა პირველადი და მეორადი ოპოზიციები. პირველად ოპოზიციებს განეკუთვნება ფორმები, რომლებიც გამოხატავენ ერთდროულობა-არაერთდროულობას ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან (შემდეგში oV_1) და დროით ცენტრთან ანუ წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან (შემდეგში oV_2). პირველად ოპოზიციებს განეკუთვნება, აგრეთვე, წინამავლობა/არაწინამავლობა oV_1 და oV_2-ის მიმართ, განგრძობითობა-არაგანგრძობითობა (ასპექტური ოპოზიცია). მეორად ოპოზიციებად გამოვყოფთ მოქმედების ლოკალიზება-არალოკალიზებას და მრავალგზისობა-ერთგზისობას.

I. დაპირისპირება ნიშნებით ერთდროულობა-არაერთდროულობა და წინამავლობა-არაწინამავლობა oV_1-თან ქმნის აბსოლუტურ დროთა ქვესისტემას ანუ არაწარსული დროის პლანს.

1) მოქმედების ერთდროულობა oV_1-თან გამოიხატება ახლანდელი განუსაზღვრელისა და ახლანდელი განგრძობითის დროთა ფორმებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმები იდენტურია დროის ხაზზე (რადგან მათი პარადიგმული მნიშვნელობა არის მოქმედების აღნიშვნა დროის პერიოდში, რომელიც მოიცავს საუბრის მომენტს, ან გაუთიშველობა ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან — oV_1), ისინი მაინც მკვეთრად განსხვავდებიან ასპექტური მნიშვნელობით, თუმცა ასპექტური მნიშვნელობა ყოველთვის დროისაზე დაქვემდებარებულია. განგრძობითი ფორმები, პირველ ყოვლისა, გადმოცემენ განსაზღვრულ მიმართებას ამა თუ იმ საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან — ემთხვევიან ვექტორულ ნულს. ასპექტური ფორმები დროში მოქმედების მიმდინარეობის ერთ-ერთ ძირითად თვისებას ხაზგრძლივობას გვიჩვენებენ, რაც ხაზოვანი და წერტილოვანი მოქმედებების გარჩევის საშუალებას იძლევა. მაგალითად:

I'm quite illiterate, but I read a lot. (J. Salinger, The Catcher in the Rye)

'You're just sinking into decay here,' Johny said. 'You're not in action any more.' (I. Shaw, Rich Man, Poor Man)

ახლანდელი განუსაზღვრელისა და ახლანდელი განგრძობითის დროთა ფორმები ერთმანეთთან ახლოს არიან როგორც ფუნქციურად, ისე სემანტიკურად. როგორც საანალიზო ლინგვისტურმა მასალამ გვიჩვენა, ახლანდელი განგრძობითის ფორმა ექსპლიციტურად გამოხატავს მოქმედების განფენილობას, რომელიც განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ჩარჩოშია მოქცეული. ახლანდელი განუსაზღვრელის შესაძლებლობანი კი გაცილებით ფართოა. ამ ფორმას განსაზღვრულ კონტექსტში ფუნქციობისას შეუძლია მიიღოს სხვადასხვა მნიშვნელობა, ე. ი. ამ ფორმის დროით მნიშვნელობათა დიაპაზონი უაღრესად დიდია—ატემპორალობიდან დაწყებული, დამთავრებული საუბრის მომენტთან დამთხვევით.

ახლანდელი განუსაზღვრელი დროის ფორმის ფართო სემანტიკური პოტენციალი იძლევა მოცემული ნიშნის ნეიტრალიზაციისა და ამ ფორმის ტრანსპოზიციის შესაძლებლობას სხვა დროის მნიშვნელობაში. ყველა სხვა მნიშვნელობა გარდა აქტუალურისა სინტაგმურია და კონტექსტითაა განპირობებული.

ახლანდელი განუსაზღვრელისა და ახლანდელი განგრძობითის დროთა ფორმების მნიშვნელობაში oV_1-თან ერთდროულობის ნიშანი ინვარიანტულია, ძირითადია, მაგრამ არა ერთადერთი. ორივე ფორმას აქვს სხვა ნიშნებიც, რომლებსაც შემდეგ თავში განვიხილავთ.

2) მოქმედების წინამავლობა oV_1 მიმართ ინგლისურ ენაში, როგორც წესი, გამოიხატება ახლანდელი პერფექტით. ძირითადი სემანტიკური ნიშნები, რომლებიც ამ ფორმის ადგილს განსაზღვრავენ დროთა სისტემაში შემდეგია: წინამავლობა oV_1 მიმართ და მისადმი მიმართება:

'She is absolutely the best girl I've ever met.' (J. Braine, Room at the Top)

'You leave Martin alone, Ruth. He knows what's best for himself. Look at what he's done already.' (J. London, Martin Eden)

წინამავლობა oV_1 მიმართ შეიძლება გადმოიცეს წარსული განუსაზღვრელი დროის ფორმითაც. მაგალითად:

'I knew it already.' He looked at her sharply. 'Who told you?' 'June.' 'How did she know.' (J. Galsworthy, The Man of Property)

ამ ფორმის პარადიგმული მნიშვნელობა მოქმედების წინამავლობაა საუბრის მომენტის მიმართ, რომელთანაც იგი მიმართებაში არ არის. სწორედ ამ ნიშნით (საუბრის მომენტთან არ მიმართებით) უპი-

რისპირდება წარსული განუსაზღვრელი დროის ფორმა ახლანდელ პერფექტს. „უკანასკნელი ფორმა მისი პერფექტული ხასიათის გამო აღნიშნავს. აგრეთვე, წინამავალ მოქმედებას. ამასთანავე, ის დროის წერტილი, რომელსაც მოცემული მოქმედება უსწრებს, თვით საუბრის მომენტია... პერფექტული ფორმა, აგრეთვე, აღნიშნავს მიმართებასაც, მოქმედების იმ მომენტთან კავშირს, რომელსაც მოქმედება უძღვის. წარსული დროის არაპერფექტული ფორმა კი განაკუთვნებს მოქმედებას წარსულს, ე. ი. პერიოდს, რომელიც საუბრის მომენტის წინამავალია, მაგრამ არ გამოხატავს ,არავითარ მიმართებას, კავშირს ამ მომენტთან“ (Бархударов 1975 (1), 124).

oV$_1$ მიმართ წინამავლობა და მასთან მიმართება გადმოიცემა, აგრეთვე, ახლანდელი პერფექტ-განგრძობითის ფორმით. მაგალითად:

'Phoebe, **have you been smoking** a cigarette in here?' (J. Salinger, The Catcher in the Rye)

'**I've been waiting** on a suitable appointment — such as this.' (A. Cronin, The Citadel)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ფორმა ახლანდელი პერფექტ-განგრძობითი ახლანდელი პერფექტისაგან განსხვავება მხოლოდ ერთი ნიშნით—მოქმედების პროცესუალობით.

oV$_1$ მიმართ წინამავლობა და მის მიმართ არმიმართება შეიძლება გადმოიცეს, აგრეთვე, წარსული განგრძობითითაც. მაგალითად:

'To tell you the truth I **was enjoying** myself. Christ, I'm hungry. What have you got for supper?' (W.S. Maugham, Mrs. Craddock)

II. პირველად ოპოზიციებს განეკუთვნება აგრეთვე დაპირისპირება ნიშნით განგრძობითობა/არაგანგრძობითობა. ეს დაპირისპირება განიხილება, როგორც განგრძობითი და არაგანგრძობითი ასპექტის ოპოზიცია. ამ ოპოზიციის მარკირებული წევრია განგრძობითი ასპექტის ფორმა, რომელიც აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც მისი მიმდინარეობის კონკრეტულ მომენტში სრულდება. მაგალითად:

'Martin, you don't know what you **are saying**.' (J. London, Martin Eden)

He came in one morning when I **was having breakfast** on the terrace of the hotel. (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

'Ann **has been asking** for you. You haven't been near us for an age.' (J. Galsworthy, The Man of Property)

არაგანგრძობითი ასპექტის ფორმა არამარკირებულია, ექსტენსიურია და ამიტომ მოქმედებას კონკრეტულად არ ახასიათებს. მნიშვნელობები, რომლებიც არაგანგრძობითი ასპექტის ფორმებით გადმოი-

ცემა ამ ფორმათა მნიშვნელობებს კი არ წარმოადგენენ, არამედ კონტექსტისა და ზმნის ლექსიკური სემანტიკის ურთიერთქმედების შედეგად მიიღებიან. მაგალითად:

He **wasted** his time over his writing. (J. Salinger, The Catcher in the Rye)

The old man **went** out the door and the boy **came** after him. (E. Hemingway, The Old Man and the Sea)

'I **have come** to see Strickland,' he said.

'I will go and tell him.' (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

III. ინგლისურ ენაში წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობის გადმოსაცემად მოიპოვება ფორმები: წარსული პერფექტი და წარსული პერფექტ-განგრძობითი, რაც შეეხება არაწინამავლობას, ენას მის გადმოსაცემად სპეციალური ფორმები არ გააჩნია. ამ ფუნქციას ძირითადად წარსული განუსაზღვრელი და წარსული განგრძობითი ასრულებს.

წარსული დროის ძირითადი თვისებიდან — ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობიდან — გამომდინარეობს დომინანტური ნიშნები, რომლებიც წარსული დროის ფორმებს ახასიათებს. მოქმედებები, რომლებსაც წარსული დროის წრის ფორმები გადმოსცემენ, 'მიმართებაში არ არიან ახლანდელ მომენტთან. აქვთ თავისი საკუთარი ცენტრი და ამ ცენტრის ირგვლივ დროის ჩაკეტილ მონაკვეთში წრეს კრავენ" (Янкошвили 1966,6).

1) ძირითად ფორმას წარსულ დროთა სისტემაში წარმოადგენს წარსული განუსაზღვრელი, რომლის ცენტრალური მდგომარეობა განისაზღვრება ნიშნით — არაწინამავლობა წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ — oV_2. მაგალითად.

When he and the boy **fished** together, they usually **spoke** only when it **was** necessary. (E. Hemingway, The Old Man and the Sea)

წარსული განუსაზღვრელის პირველად თვისებას მისი აბსოლუტური გამოყენება წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მის მიერ გამოხატული მოქმედება უშუალოდ უსწრებს oV_1 ან ხდება oV_2-თან ერთდროულად. მაგალითად:

She **had** dark hair, nice legs, he **noticed**, was wearing a light blue dress. (I. Shaw, Nightwork)

ზოგჯერ ეს ფორმა რელატიური მნიშვნელობითაც იხმარება. მაგალითად:

The train **left** before they **reached** the station. (i b i d.)

When they returned to the palace the marketing **began.** (E. Voynich, The Gadfly)

წარმოდგენილ მაგალითებში ზმნებით left, began გადმოცემული მოქმედება წარსულში მომხდარ სხვა მოქმედებებს უსწრებს წინ, მაგრამ წინამავლობის მნიშვნელობა წარსული განუსაზღვრელისათვის არ არის ინვარიანტული, იგი ვარიანტულია, განპირობებულია კონტექსტით (განსაკუთრებით კი კავშირებით before, when).

წინამავლობას წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ გამოხატავს, აგრეთვე, ფორმა წარსული განგრძობითი. მაგალითად:

We went down the stream to bathe while Ata **was preparing** the dinner. (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

წინამავლობა oV_2-ის მიმართ, რომელიც წარსული განუსაზღვრელისა და წარსული განგრძობითისათვის საერთო ნიშანია, გამორიცხავს ამ ფორმებში სხვა ნიშნის არსებობას — კერძოდ ერთდროულობას oV_1-თან. ცხადია, არაწინამავლობა oV_2 მიმართ არ არის ერთადერთი ნიშანი ამ ფორმისათვის. ეს ფორმები ერთმანეთს სხვა ნიშნებითაც უპირისპირდება.

2) არაწინამავლობისაგან განსხვავებით წინამავლობას oV_2 მიმართ აქვს ფორმალური გამოხატულება. იგი წარსული პერფექტითა და წარსული პერფექტ-განგრძობითით გადმოიცემა.

წარსული დროის ძირითად ნიშანს — მოქმედების წინამავლობას წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ და მასთან მიმართებას — ყველაზე თანამიმდევრულად გამოხატავს წარსული პერფექტი. წარსული დროის ქვესისტემაში წარსული პერფექტი იგივე როლს ასრულებს, რასაც ახლანდელი დროის ქვესისტემაში ახლანდელი პერფექტი. მაგალითად:

When daytime came the storm was still blowing but snow **had stopped.** It **had melted** as it fell on the wet ground and now it was raining again. (E. Heiningway, A Farewell to Arms!)

ზოგჯერ წარსული განუსაზღვრელი დროის ფორმას წარსული პერფექტის სემანტიკური დატვირთვა აქვს. წარსული განუსაზღვრელიც კავშირებთან after, before იგივე მნიშვნელობას გადმოგვცემს, რასაც წარსული პერფექტი. ამიტომ ერთი და იგივე მნიშვნელობის გამოსახატავად ერთი ფორმის მეორეთი შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ მაკავშირებელი სიტყვებით, რომლებსაც თვით აქვთ წინამავლობის სემანტიკა. მაგალითად:

After he finished his work he left the office. (I. Shaw, Rich Man, Poor Man)

After he had finished his work he left the office. (J. Cheever, Falconer)

ფორმა finished ისე, როგორც ფორმა had finished გადმოცემს მოქმედებას, რომელიც შესრულდა იმ მომდევნო მოქმედების დადგომამდე, რომელიც left ზმნითაა გადმოცემული. ასეთი შემთხვევები, როცა ერთი ფორმა გვხვდება მეორე ფორმის მნიშვნელობით, საკმაოდ ხშირია. გამონათქვამის აზრის შეუცვლელად საანალიზო დროთა ფორმების ურთიერთშენაცვლება შესაძლებელია როგორც რთულ, ისე მარტივ წინადადებაში.

მეორე ფორმა, რომელიც წინამავლობის ნიშანს გადმოცემს წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წარსული პერფექტ-განგრძობითია. ამ ფორმის ინვარიანტული ნიშანი ისე, როგორც წარსული პერფექტის — წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა და მასთან მიმართებაა, მაგრამ ენის პარადიგმულ სისტემაში წარსული პერფექტ-განგრძობითი წარსულ პერფექტს უპირისპირდება მოქმედების პროცესუალობის დიფერენციალური ნიშნით. მაგალითად:

I think he showed me about thirty canvases. It was the result of the six years during which he had been painting. He had never sold a picture. (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

IV. მეორად ოპოზიციას განეკუთვნება დაპირისპირება მოქმედების ლოკალიზება/არალოკალიზება.

1) ამ ნიშნით პირველ რიგში ერთმანეთს უპირისპირდება განუსაზღვრელი და განგრძობითი ფორმები. ეს ოპოზიცია ბინარულია. მისი მარკირებული წევრია განგრძობითი ასპექტი, რომელსაც დროის ღერძზე მოქმედების ლოკალიზების სემანტიკური ნიშანი აქვს.

ზ. ი. ტურაევა აღნიშნავს, რომ ინგლისურ ენაში განგრძობითი ფორმები უმთავრესად მოქმედების ლოკალიზებას გამოხატავენ, თუმცა ზოგჯერ ამ მოქმედებას განუსაზღვრელი ფორმებიც გადმოცემენ. მისი აზრით, „ასპექტ-დროის ფორმათა სემანტიკურ პოტენციალში ამ ნიშნის ჩართვის საფუძველს წარმოადგენს მისი სემანტიკური ნათესაობა დროის, ასპექტის და დროთა შიმართების კატეგორიებთან. მოქმედების განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა დროის კონტინუუმში ავსებს და აფართოებს ფორმათა დროით მნიშვნელობებს. იგი, აგრეთვე, მჭიდროდაა დაკავშირებული მოქმედების მიმდინარეობის ხასიათთან დროში და დროთა მიმართებასთან“ (Турaева 1979, 58-59). მაგალითად:

'I'm fool, aren't I? You see, I still see you as a little baby boy that I'm holding in my arms.'

A twinkle shone in his eyes.

'What are you grinning at, you ape?' (W. S. Maugham, Theatre)

არაგანგრძობითი ასპექტი ამ ოპოზიციის არამარკირებული წევრია, თუმცა ასპექტის ფორმები საერთოდ არ გამორიცხავენ აღნიშნულ ნიშანს. ამ ფორმებს კონკრეტული, ერთჯერადი მოქმედების გადმოცემისას ლოკალიზება ახასიათებს. მაგალითად:

Don't you feel like talking for a while?' I asked her. It was a childish thing to say, but I was feeling so damn peculiar. 'Are you in a very big hurry?' (J. Salinger, The Catcher in the Rye)

ჩვეულებრივი, განმეორებადი და განზოგადებული მოქმედების გადმოცემისას პროცესი შეიძლება დროში არალოკალიზებული იყოს. მაგალითად:

'I always **knew** I wanted to leave in a place where they **milked** buffaloes.' (I. Show, Beggarman, Thief)

She **gets** headaches quite frequently (J. Salinger, The Catcher in the Rye)

ზოგჯერ განმეორებადი მოქმედება შეიძლება იყოს დროში კონკრეტულად ლოკალიზებული. მაგალითად:

'You've already done that twice in the last hour. Do you find in it something alarmingly novel?' (W. S. Maugham, Mrs, Craddock)

მოქმედების ლოკალიზება/არალოკალიზება არ უტოლდება მოქმედების მრავალგზისობა/ერთგზისობის ოპოზიციას, თუმცა ზოგჯერ ისინი ერთმანეთს კვეთენ (Бондарко 1971 (1), 60).

ოპოზიცია ლოკალიზება/არალოკალიზება ვლინდება განსაზღვრულ კონტექსტებში, სადაც მათ რეალიზაციას ხელს უწყობს როგორც შინაგანი ლექსიკური განპირობება, ისე გარეგანი ფაქტორებიც—ლექსიკური, გრამატიკული ან ორივეს კომბინაცია.

2) მეორად ოპოზიციებს განეკუთვნება დაპირისპირება მოქმედების მრავალგზისობა/ერთგზისობა. მრავალგზისი მოქმედება სრულდება არა უეცრად, არამედ მეორდება რამდენჯერმე (Маслов 1959, 221). ინგლისურ ენაში არ გვხვდება რეგულარული გრამატიკული ფორმები, რომლებიც მარკირებულად გადმოცემდნენ მრავალგზისობის ნიშანს. ეს ნიშანი ინგლისურ ენაში ფუნქციურ-სემანტიკურია. მრავალგზისობის გადმოსაცემად ინგლისურ ენაში აქტიურ როლს კონტექსტის ელემენტები, ზმნიზედები, გარემოებითი სიტყვები, კონსტრუქციები „used to + ინფინიტივი," „would + ინფინიტივი" და ა. შ.

ასრულებენ. სწორედ ეს ელემენტები მიუთითებენ, რომ მოქმედება, რომელიც ზმნის ფორმითაა გადმოცემული, მეორდებოდა და თანაც არაერთხელ. მაგალითად:

Usually I like riding on trains especially at nights. (J. Salinger, The Catcher in the Rye).

He **always thought** of the sea as la mar. (E. Hemingway, The Old Man and the Sea).

მოქმედების მრავალგზისობა/ერთგზისობის მნიშვნელობა, რომლის რეალიზაციაში კონტექსტის სხვადასხვა ელემენტი ღებულობს მონაწილეობას, ძირითადად გადმოიცემა არაგანგრძობითი ასპექტის ფორმებით, თუმცა ზოგჯერ განგრძობითი ასპექტითაც შეიძლება გადმოიცეს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს გრამატიკული ფორმის ისეთ ვარიანტულ მნიშვნელობასთან, რომელიც მრავალგზისობის სხვადასხვა მაჩვენებლებთან (often, always, seldom, sometimes და ა. შ.) ფორმის ურთიერთქმედების შედეგია. მაგალითად:

'He follows me everywhere. He's **always following** me. He gets on my nerves' (J. Salinger, The Catcher in the Rye)

'Women are **constantly trying** to commit suicide for love, but generaly they take care not to succeed.' (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

არაგანგრძობითი ასპექტის ფორმები მოქმედების მრავალგზისობის ნიშნის მატარებელს იოლად ეხამება. მაგალითად:

'The diamonds and the pictures are the only things they have left,' said Mrs. Branderton. 'Her family **always refused** to sell them'. (W. S. Maugham, Mrs. Craddock)

She **looked** at the clock **a dozen times** and started absurdly when it struck the four. (i b i d .)

ინგლისური ზმნის ასპექტ-დროის ფორმათა სისტემაში ოპოზიციათა ანალიზი შემდეგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

ყველა დროის ფორმა ორი დროითი ღერძის-ახლანდელის და წარსულის ირგვლივ ჯგუფდება. ორივე შემთხვევაში ინგლისურ ენას სპეციალური ფორმები მოეპოვება, რომ ერთდროულობა/არაერთდროულობის, წინამავლობა/არაწინამავლობის ნიშნები გადმოცეს. რაც შეეხება მომყოლი მოქმედების ნიშანს, უკვე ჩამოთვლილთაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში მას ფორმალური გამოხატულება არც ახლანდელსა და არც წარსულში არა აქვს.

მოქმედების ერთდროულობა/არაერთდროულობისა და წინამავლობა/არაწინამავლობის ნიშნები საუბრის მომენტის ან დროითი ცენტრის მიმართ შეიძლება გადმოიცეს დროის არა მხოლოდ ერთი ფორმით. გვხვდება შემთხვევები, როცა ერთიდაიგივე ნიშანი გადმოიცემა

ორი ან რამდენიმე ფორმით. ამასთანავე ეს უკანასკნელნი შეიძლება დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სხვა რომელიმე დიფერენციალური ნიშნით, მაგალითად, მოქმედების ლოკალიზება/არალოკალიზების, მრავალგზისობა/ერთგზისობის ნიშნებს აქვთ ვარიანტული სპეციფიკური ხასიათი.

როგორც ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, ინგლისური ზმნის ასპექტ-დროის სისტემა აგებულია ბინარულ დაპირისპირებათა საფუძველზე. თვალსაჩინოდ ამ მნიშვნელობებს წარმოვადგენთ ცხრილში 5.

ცხრილი 5

ინგლისური ზმნის დროთა ფორმების სემანტიკური პოტენციალი[1])

დიფერენციალური ნიშნები \ დროთა ფორმები	Present Indefinite	Past Indefinite	Present Continuous	Past Continuous	Present Perfect	Past Perfect	Present Perfect Continuous	Past Perfect Continuous
1. ერთდროულობა oV_1-თან	+	—	+	—	±	—		—
2. არაერთდროულობა oV_1-თან	—	+	—	+	+	+		±
3. წინამავლობა oV_1 მიმართ	—	—	—	—	+	±		±
4. არაწინამავლობა oV_1 მიმართ	+	—	+	—	—	—		—
5. ერთდროულობა oV_2-თან	—	+	—	+	—	—		—
6. არაერთდროულობა oV_2-თან	—	+	—	+	—	—		—
7. წინამავლობა oV_2 მიმართ	—	—	—	—	—	+		+
8. არაწინამავლობა oV_2 მიმართ	—	+	—	+	—	—		—
9. განგრძობითობა	—	—	+	+	—	—		+
10. არაგანგრძობითობა	+	+	—	—	+	+		—
11. ლოკალიზება	—	—	+	+	—	—		+
12. არალოკალიზება	+	+	±	—	±	±		±
13. მრავალგზისობა	±	±	±	±	±	±	±	±
14. ერთგზისობა	+	+	±	±	±	±	±	±

[1]) შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ცხრილში ნიშანი (+) აღნიშნავს დიფერენციალური ნიშნის არსებობას, (—) კი მიუთითებს მის არქონებაზე, (±) — გადმოცემს ნიშნის არამარკირებულ გამოხატვას.

§ 4. ქართული ზმნის ასპექტ-დროის სისტემის ოპოზიციათა ანალიზი

ჩატარებულმა ანალიზმა და აგრეთვე ზოგიერთი ქართველი ენათმეცნიერის შრომებმა შეგვაძლებინეს, რომ ქართული ზმნის მწკრივთა სისტემაში გამოგვეყო პირველადი და მეორადი ოპოზიციები. პირველად ოპოზიციებს განვაკუთვნეთ დაპირისპირებანი შემდეგი ნიშნებით: მოქმედების ერთდროულობა/არაერთდროულობა, წინამავლობა/არაწინამავლობა $_oV_1$ და $_oV_2$ მიმართ, წერტილოვნება/სიგრძივო-

ბა, ხოლო მეორად ოპოზიციებს მოქმედების წყვეტა/უწყვეტობა, მრავალგზისობა/ერთგზისობა, უნახაობა/არაუნახაობა.

დაპირისპირება ნიშნით მოქმედების ერთდროულობა/არაერთდროულობა საუბრის მომენტისადმი თავის ფორმალურ გამოხატულებას აბსოლუტურ დროთა ქვესისტემის დროთა ფორმების ოპოზიციაში პოულობს.

I. ქართული ზმნის არაწარსული დროის პლანში განასხვაებენ დროის ორ ფორმას — აწმყოსა და მყოფადს. თხრობითი კილოს დროთა სისტემაში ეს ფორმები სხვადასხვა ტიპის ბინარულ ოპოზიციებს ქმნიან (იხ. სქემა 4), სადაც სრული ასპექტის მქონე ზმნებს ახლანდელი დროის სპეციფიკური ფორმა აქვთ, ხოლო უსრული ასპექტის ზმნებს — მომავლის.

1) მოქმედების საუბრის მომენტთან ერთდროულობის ნიშანი ქართულ ენაში გადმოიცემა აწმყოს მწკრივით. მოქმედების საუბრის მომენტთან ერთდროულობა არის ამ ფორმის ძირითადი, პარადიგმული მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა განსაზღვრავს აწმყოს მწკრივის ადგილს ქართული ზმნის დროთა სისტემაში. მაგალითად:

— შემოიპატიჟე სტუმარი?

— ქუჩაში ხომ არ დავტოვებდი! მისაღებში **ზის** და **გელოდება**. (ჭ. აბრეჯიბი, დათა თუთაშხია)

— მოსე, ძაღლი თუ ხარ, რატომ არ **ყეფ** და ადამიანი თუ ხარ, ოთხ ფეხზე რატომ **დადიხარ**, ნეტავი? (იქვე)

სამეტყველო ჯაჭვში, ანუ განსაზღვრულ კონტექსტში ფუნქციობისას ამ ფორმას შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ექნეს. ეს დებულება სხვა მწკრივებზედაც ვრცელდება, რომელთა დაწვრილებითი კონტექსტურ-სემანტიკური ანალიზი წარმოდგენილი იქნება მომდევნო თავებში.

2) მოქმედების არაერთდროულობის ნიშანი აღნიშნავს არაწარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობას და მასთან არმიმართებას. ეს ნიშანი გადმოიცემა უწყვეტლის, წყვეტილის, ხოლმეობითისა და I თურმეობითის თხრობითი კილო) მწკრივებით. ამ ფორმებისათვის საუბრის მომენტთან არაერთდროულობის ნიშანი პირველადი, ძირითადია. იგი გამორიცხავს შესაძლებლობას იმისას, რომ ამ ფორმებს ჰქონდეს საუბრის მომენტთან მოქმედების ერთდროულობის ნიშანი. მაგალითად:

უწყვეტლის მწკრივი:

დიდად განათლებული ქალი **გახლდათ** ეფემია წინამძღვარი, ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებს კარგად **ფლობდა**. (იქვე)

წყვეტილის მწკრივი:

ათას რვაას ოთხმოცდაცხრა წელს თუთაშხია უკვალოდ **გაქრა**.

ამის გამო ხალხში ათასნაირი ხმა **დაირხა**, მაგრამ სარწმუნო — არცერთი, ვფიქრობ, მეტისმეტად სუსტ, მისი ღირსებისათვის სათაკილო მოწინააღმდეგეებად **მიგვიჩნია**, თამაში **მობეზრდა**... (იქვე)

ხოლმეობითის მწკრივი:

მარუდას ბიჭი ფინჯახის ქვეშ კამათელს **არახრახებდა**, ლამბაქიანად მაგიდაზე **დადგამდა** და ფინჯანს **ახდიდა**. (იქვე)

I თურმეობითის მწკრივი:

— მე თქვენ **მინახიხართ**!.. ჩაილაპარაკა ნანომ — სად **მინახიხართ**? ქალმა თვალები დახარა, მარაოს ქნევას მიჰყო ხელი. (იქვე)

მაგალითებიდან ჩანს, რომ მოქმედების საუბრის მომენტთან არაერთდროულობა არ არის ერთადერთი ნიშანი ზემოდასახელებული მწკრივებისათვის. ერთ კონტექსტში შეხვედრისას უწყვეტლის, წყვეტილის, ხოლმეობითისა და I თურმეობითის მწკრივები ერთმანეთს უპირისპირდება სხვა ნიშნებითაც, რომლებსაც მომდევნო თავებში განვიხილავთ.

3) მოქმედების არაერთდროულობის ნიშანი აღნიშნავს შემდგომობასაც საუბრის მომენტის მიმართ (oV_1) და გადმოიცემა მყოფადის მწკრივით. მყოფადის მწკრივისათვის ეს ნიშანი ძირითადი, პარადიგმულია. მაგალითად:

— ხალხი **დარწმუნდება** და ერთხელ კიდევ **დაინახავს**, ავი საქმე კარგ საქმეს რომ ვერ **აჯობებს** საბოლოოდ. (იქვე)

II. წერტილოვანი, სიგრძივი დაპირისპირება დამახასიათებელია მხოლოდ იმ ფორმებისათვის, რომლებიც მოქმედების არაერთდროულობას გამოხატავენ არაწარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან. ერთი ამ მწკრივთაგან გამოხატავს მოქმედებას, რომელიც შემოსაზღვრულია (წყვეტილი სრული), მეორე კი გამოხატავს სიგრძივ, შემოუსაზღვრავ მოქმედებას (უწყვეტელი). მაგალითად:

ბერი სკამზე მოცელილივით **დაეშვა**. (იქვე)

ერთხელ ისიც **მოხდა**, რომ საიმედოდ შემორტყმული ალყიდან **გაიპარა**. პოლიციისავე საჯინიბოდან რვა ცხენი **წაიყვანა** და, როგორც შემდგომში **გამოირკვა**, ოზურგეთში **გაყიდა**. (იქვე)

კიკუ გაქვავებული **იდგა** და მარტო თვალებს **აცეცებდა**. (იქვე)

— გზა ტყეზე **იდო**, ცხენები ნაბიჯით **მიგვიდიოდა**, კანტიკუნტად **ვსაუბრობდით**. (იქვე)

III. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა/არაწინამავლობის ნიშნების დაპირისპირებით გამოიყოფა ქართული ზმნის დროთა თანამდევრობის კატეგორია (შანიძე 1973, 212-215). ქართულ ენაში დროთა თანამდევრობის მნიშვნელობის გამოსახატავად სპეციალური ფორმები მხოლოდ წინამავლობის ნიშნის გადმოცემისას გვაქვს. რაც შეეხება წარსული დროის საო-

რიენტაციო ღერძთან მოქმედების ერთდროულობის ნიშანს oV_2, ამ მიზნისათვის გამოიყენება ფორმები, რომელთათვისაც მოცემული მნიშვნელობა არ არის ძირითადი და ერთადერთი.

1) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობის ნიშანს ქართულ ენაში ფორმალური გამოხატულება აქვს. იგი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის oV_2 წინამავალია და გადმოიცემა II თურმეობითის მწკრივის (თხრობითი კილოს) ფორმებით. მაგალითად:

უცნობი მუხლებზე იღგა. ყბა **ჩამოვარდნოდა**, აბრაგს ფინია ძალლივით აჰყურებდა. (იქვე)

აღმოჩნდა, რომ ის გაორებულობა უფრო **გაღრმავებულიყო**, თითქმის რწმენად **ქცეულიყო**. (იქვე)

2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ არაწინამავლობა შეიძლება სამი მწკრივით გამოიხატოს. ასე, მაგალითად, ძირითადი მწკრივი, რომელსაც ენა ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იყენებს, უწყვეტელია. მაგალითად:

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ჭონია ყბაგაუჩერებლად **ჰამდა**. დედაკაცი **ფიქრობდა**. (იქვე)

ამ ფუნქციით უწყვეტელი გვხვდება როგორც აბსოლუტური დრო. იმ შემთხვევაში, როცა წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა უწყვეტლის მწკრივით გადმოიცემა, მეორე მოქმედება — შემდგომობა, შეიძლება გამოიხატოს წყვეტილის (სრულის) მწკრივით. ამ ფუნქციით უწყვეტელი II თურმეობითს ენაცვლება და გვხვდება როგორც რელატიური დრო. მაგალითად:

ისიც წინასწარ ვიცოდი, რომ ჩემი საბლის პატრონი ტყის მცველის ქვრივი იყო. უფრო ხნიერი მეგონა — ოცდაცხრა წლისა აღმოჩნდა. (იქვე)

რაც შეეხება შემდგომობის ნიშანს, რომელსაც ა. შანიძე გამოყოფს, ჩვენ არ ვთვლით მიზანშეწონილად მის ცალკე განხილვას, რადგანაც ქართულ ენაში ეს ნიშანი მხოლოდ წარსულში გვხვდება და ფორმალურად არ გამოიხატება. ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოიყენება წყვეტილი (სრულის) მწკრივი, რომელიც ამ ფუნქციით მხოლოდ II თურმეობითთან იხმარება. II თურმეობითის გარეშე წყვეტილის ფორმები შემდგომობის მნიშვნელობას არ გამოხატავენ.

ეს ნიშანი წყვეტილის მწკრივისათვის მეორადია, პირველადი არაწარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან არაერთდროულობაა. მაგალითად:

გამოცდილება მაშინ მოვიდა, როცა საჭირო აღარ იყო. (იქვე)

IV. მეორად ოპოზიციებს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, განეკუთვნება დაპირისპირებანი ნიშნებით მოქმედების წყვეტა-უწყვეტობა, მრავალგზისობა-ერთგზისობა, უნახობა-არაუნახობა.

1) წყვეტა-უწყვეტობის ნიშნით ერთმანეთს უპირისპირდება უწყვეტლისა და წყვეტილის (უსრული ასპექტის) მწკრივთა ფორმები. მაშასადამე, უსრული ასპექტის ზმნებს წარსულ დროში ორი მწკრივი აქვთ: უწყვეტელი და წყვეტილი. პირველი მათგანი უწყვეტობის ნიშნის მატარებელია. გამოხატავს განგრძობით. უწყვეტ მოქმედებას. მაგალითად:

დიახ, **ვიჯექი** და **ველოდი** მინისტრის თანხმობას. (იქვე)

წარსული დროის მეორე მწკრივი წყვეტის ნიშნის მატარებელია და გამოხატავს უფრო მოკლე, შეწყვეტილ მოქმედებას, რომელიც არ არის ბოლომდე მიყვანილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოქმედების წყვეტა და მოქმედების დასრულებულობა განსხვავებული ცნებებია: პირველი არ მოითხოვს მეორეს, გარდა ამისა მოქმედება წყვეტის მომენტში შეიძლება დაუსრულებელი იყოს. საბოლოო წერტილი მოქმედების წარმოდგენისა განსაზღვრულია — იგი უსწრებს (არ მიჰყვება) მეორე მოქმედების დროის ფიქსაციას. ამიტომ წყვეტილი უსრულის ფორმა უწყვეტლისაგან განსხვავებით არ შეიძლება იყოს ერთდროულობის მნიშვნელობის მატარებელი. მაგალითად:

პოქტიამ კარგა ხანს **იარა**. დაბრუნდა, ბური, რა თქმა უნდა, აღარ ჰქონდა. (იქვე)

2) მოქმედების მრავალგზისობა-ერთგზისობის ნიშნით ერთმანეთს უპირისპირდება ხოლმეობითის, უწყვეტლისა და წყვეტილის (სრული ასპექტის) მწკრივები. მოქმედების ერთგზისობის ნიშანი გადმოიცემა წყვეტილის (სრული ასპექტის) მწკრივით. მრავალგზისობის ნიშანი კი — ხოლმეობითისა და უწყვეტლის მწკრივებით. წყვეტილი და უწყვეტელი მოქმედების გადმოსაცემად ეს ნიშნები არ არის პირველადი, ძირითადი, რადგან ისინი მათ გამოხატვას მხოლოდ ეწყობიან. მაგალითად:

ჩემი მასწავლებელი **დაბრუნდა**. პირველ გაკვეთილს **შევუდექით**. (იქვე)

ეს იყო ჩემი სიცოცხლის მეორე ნახევრის საუკეთესო მონაკვეთი.

ვკითხულობდი, ვწერდი, ვნადირობდი, ვთევზაობდი, ვფიქრობდი. (იქვე)

უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაზღვრულ კონტექსტებში (გარემოებითი სიტყვების, ზმნიზედების და ა. შ. გარემოცვაში) სრული ასპექტის წყვეტილიც გამოხატავს მრავალგზის მოქმედებას. მაგალითად:

მასწავლებელმა კითხვა **ორჯერ გაიმეორა,** რომ ყველას გაეგონა.

ქართულ ენაში წარსული დროის პლანში მრავალგზისი მოქმედების გამოსახატავად მოგვეპოვება გრამატიკული ფორმა ეგრეთწოდებული „ხოლმეობითი (პერმანსივი)". რამაც საშუალება მისცა ა. შანიძეს, რომ ქართულ ენაში გამოეყო გზისობის გრამატიკული კატეგორია (ა. შანიძე 1973, 209—211), რომელიც ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული კატეგორიული ფორმისაგან მრავალგზისობა-ერთგზისობისაგან წარმოდგება. ერთგზისობის კატეგორიული ფორმა არამარკირებულია, ექსტენსიურია, მრავალგზისობის კატეგორიული ფორმა კი მარკირებულია, ინტენსიურია. მაგალითად:

დილაობით იგი ადრე **ადგებოდა,** ხელ-პირს **დაიბანდა, ისაუზმებდა** და სასეირნოდ **წავიდოდა.**

მოქმედების მრავალგზისობა გამოიხატება აგრეთვე I თურმეობითის ფორმებით. მრავალგზისობის მნიშვნელობის გასაძლიერებლად ფორმას არც თუ იშვიათად თან ახლავს სპეციალური სიტყვები და ნაწილაკები.[1] საერთოდ კი მრავალგზისობის მნიშვნელობა ვამაძლიერებელი ელემენტების გარეშე გადმოიცემა.

ჯერ კიდევ მ. ჯანაშვილმა უწოდა გარდამავალი ზმნების I თურმეობითის ფორმებს ისტორიული მრავალგზისი (ჯანაშვილი 1906, 55). I თურმეობითი გამოხატავს არა იმ მოქმედებას, რომელიც დროითაა შემოსაზღვრული, არამედ ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივ მოქმედი პირისათვისაა დამახასიათებელი.

შენი ირაკლი ის აღარა ვარ, პატარა კახად რომ **გინახივარ.** (ნ. ბარათაშვილი, ბედი ქართლისა).

— მე და ეს ქალი ტოლები ვართ, **ხშირად** ერთად **გვითამაშნია.** (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

I თურმეობითის ფორმათა რაოდენობა, რომლებიც მრავალგზისობის ნიშანს გადმოცემენ, საშუალო ქართულიდან დაწყებული იზრდება. თანამედროვე ქართულ ენაში ხოლმეობითის მწკრივის მსგავსად განსაკუთრებით გავრცელდა I თურმეობითის ფორმები, რომლებიც მრავალგზისობის ნიშანს გადმოცემენ (ფხაკაძე 1981).

---

[1] ქართულ ენაში ასეთი ფუნქციით გვხვდება შემდეგი ტიპის ჩართული სიტყვები: ჩანს, ალბათ, ირკვევა, ამბობენ და. ა. შ.

3) მოქმედების უნახაობა-არაუნახაობის ნიშანი მეორად ოპოზიციებს განეკუთვნება. ამ ნიშნით ქართულ ენაში ორი ჯგუფის ფორმები გამოიყოფა: უნახაობისა და არაუნახაობის. უნახაობის ნიშანი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც იმ დროს შესრულდა, როცა მოლაპარაკე არ ესწრებოდა. უნახაობის აქტის კატეგორიას ა. შანიძე განიხილავს უღლების ფორმათა შორის (შანიძე 1973, 211). უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში აქტის კატეგორია გრამატიკულად არ გამოიხატება, იგი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც ორი კატეგორიული ფორმის უნახავი-არაუნახავის ურთიერთდაპირისპირებით იწარმოება. უნახაობის კატეგორიული ფორმა მარკირებულია, ინტენსიურია, არაუნახაობის კატეგორიული ფორმა კი არამარკირებულია. ექსტენსიური.

ამ ნიშნით განსაკუთრებით უპირისპირდება ერთმანეთს I თურმეობითისა და სრული ასპექტის წყვეტილის მწკრივთა ფორმები. ეს ოპოზიცია ბინარულია, ამ დაპირისპირების მარკირებული წევრია I თურმეობითი, რომელსაც დროის ღერძზე მოქმედების უნახაობის სემანტიკური ნიშანი აქვს. მაგალითად:

ეს შემდეგ ლაგოდეხში ვიღაცას **შევარდნია.** ბალღი აკვანში **დაუხრჩვია** მშობლების თანდასწრებით, სახლისათვის ცეცხლი **მიუცია** და **წასულა.** (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

წყვეტილის მწკრივი ამ ნიშნის მატარებელი არ არის და გამოდის როგორც ამ ოპოზიციის არამარკირებული წევრი. იგივე წინადადება წყვეტილში ასეთ სახეს მიიღებს:

ეს შემდეგ ლაგოდეხში ვიღაცას შეუვარდა, ბალღი აკვანში დაახრჩო მშობლების თანდასწრებით, სახლს ცეცხლი მისცა და წავიდა.

მაგრამ წყვეტილის მწკრივი არც უნახაობის სემანტიკურ ნიშანს გამორიცხავს. ნაწილაკის „თურმე“ დართვისას ეს მწკრივი უნახავი მოქმედების გამოხატვის უნარს იძენს. მაგალითად:

მას ძმა **შემოაკვდა, თურმე** — უცაბედად, შემთხვევით. (იქვე)

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ზმნის ყველა ფორმას შეუძლია გადმოცეს უნახავი მოქმედება „თურმე“ ნაწილაკის დახმარებით, მაგრამ მაინც ყველაზე ხშირად ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოიყენება I თურმეობითის ფორმები, რომელიც უნახაობის ნიშანს „თურმე“ ნაწილაკის გარეშეც გამოხატავს.

რაც შეეხება აწმყოს, წყვეტილის (სრული ასპექტის), უწყვეტლისა და ხოლმეობითის მწკრივებს, მათ ამ ნაწილაკის გარეშე მხოლოდ ნახული მოქმედების ნიშანი შეუძლიათ გადმოცენ. უნახაობის მნიშვნელობას კი „თურმე“ ნაწილაკის დამატებით გამოხატავენ. მაგალითად:

მაშინ არ ვიცოდი მე და, **თურმე**, ორი ამხანაგი ელოდებოდა გორაკს იქით. (იქვე)

ხმების გავრცელების სამსახურის კაცი ყოფილა ვეტროვი. მაგრამ განყოფილება ჩამოაყალიბეს, ჟანდარმთა შეფი, **თურმე**, პირადად ხელმძღვანელობს. (იქვე)

სანდრო კახიძეს თავის სიცოცხლეში, **თურმე**, ერთი პატარა ღორჯოც კი არ დაეჭირა. (იქვე).

ამგვარად, ქართული ზმნის დროთა სისტემა ორი ღერძის ირგვლივ ჯგუფდება — არაწარსულისა და წარსულის დროის ღერძთან, რომელთაც ამოსავალ წერტილად მოლაპარაკის საუბრის მომენტი აქვთ. დროის ფორმები საუბრის მომენტს შეეფარდება არაწარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან oV_1 მოქმედების ერთდროულობა–არაერთდროულობის დიფერენციალური ნიშნით. მოქმედების არაწარსული ღერძის ვექტორული ნულისადმი ერთდროულობის ნიშანი მხოლოდ ერთი ფორმით — აწმყოს მწკრივით გადმოიცემა ქართულ ენაში, არაერთდროულობის ნიშანი კი, რომელიც არაწარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობას და მასთან არმიმართებას ალნიშნავს. გადმოიცემა ოთხი მწკრივის საშუალებით — უწყვეტლით, წყვეტილით, ხოლმეობითითა და, შედარებით იშვიათად, I თურმეობითით, ხოლო შემდგომობა — ერთი ფორმით — მყოფადის მწკრივით.

ქართულ ენაში სემანტიკურად ასპექტურ ფორმათა დაპირისპირება ორ ასპექტურ ნიშანს ეყრდნობა — წერტილოვანსა და სიგრძივ მოქმედებას.

მოქმედების წერტილოვნება-სიგრძივობის ნიშანთა დაპირისპირება ქართული ზმნის ასპექტ-დროის სისტემისათვის პირველადი და ძირითადია. იგი გამოხატავს ქართული ზმნის დროსა და ასპექტის გრამატიკული კატეგორიების არსს.

ქართული ზმნის მწკრივები ერთმანეთს უპირისპირდებიან სხვა ნიშნებითაც, რომლებიც მეორად ოპოზიციებს ქმნიან. ასეთია, მაგალითად, დაპირისპირებანი ნიშნებით წყვეტა-უწყვეტობა, მრავალგზისობა-ერთგზისობა, უნახაობა-არაუნახაობა წარსული და არწარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ (oV_1 და oV_2). მეორადი ოპოზიციების ნიშნები პირველადი დაპირისპირების ნიშნებითაა განპირობებული.

ყოველივე ზემოთქმული თვალსაჩინოდ შეგვიძლია წარმოვადგინოთ ცხრილში 6.

ქართული ზმნის დროთა ფორმების სემანტიკური პოტენციალი

დიფერენციალური ნიშნები / მწკრივები	წარსული	თანმდევლობა	ხოლმეობითი	ვარაუდობითი (ეპისტემური)	ვარაუდობითი (ეპისტემური)	I თვისებითი	II თვისებითი	მყოფადი
1. ერთდროულობა oV_1-თან	+	−	−	−	−	±	−	−
2. არაერთდროულობა oV_1-თან	−	+	+	+	+	±	+	−
3. ერთდროულობა oV_2-თან	−	+	+	+	+	+	−	−
4. არაერთდროულობა oV_2-თან	+	−	−	−	−	−	+	+
5. წინაძაღლობა oV_2-მიმართ	−	±	−	±	−	−	+	−
6. არაწინაძაღლობა oV_2-მიმართ	−	+	+	+	+	−	−	−
7. წერტილოვნება	−	+	−	−	−	−	−	+
8. სიგრძივობა	±	+	−	−	−	∓	−	−
9. წყვეტილობა	−	−	−	+	+	−	−	−
10. უწყვეტლობა	+	+	+	−	−	−	−	−
11. მრავალგზისობა	±	±	±	±	−	±	±	±
12. ერთგზისობა	±	±	−	+	−	±	±	±
13. უნახაობა	+	+	+	+	+	±	±	+
14. არაუნახაობა	±	±	±	±	−	±	±	±

თავი IV

დროის ფორმების აბსოლუტური და რელატიური გამოყენება ინგლისურსა და ქართულ ენებში

დროის კატეგორიის ძირითადი მნიშვნელობა მოქმედების საუბრის მომენტთან მიმართებაა. ფორმის ასეთ გამოყენებას ეწოდება დროის ფორმის აბსოლუტური ხმარება. ეს უკანასკნელი ყველა იმ ენას ახასიათებს, სადაც დროის გრამატიკული კატეგორია სახეზეა. ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ დროის ფორმების პირველად ფუნქციებზე ანუ პირდაპირ გამოყენებაზე. ზმნის ფორმით გადმოიცემა მოქმედება—წარსული, ახლანდელი და მომავალი—საუბრის მომენტთან მიმართებით. მოქმედების დრო შეიძლება გამოხატული იქნეს ზმნის ფორმებით რელატიურადაც, როცა ერთი ზმნით გამოხატული მოქმედება წინადადებაში მეორე ზმნის მოქმედებასთან არის მიმართული, ე. ი. ზმნის ფორმა გამოხატავს მოქმედების წინამავლობას, ერთდროულობას და შემდგომობას. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ მეორად ფუნქციებზე ანუ დროის ფორმების რელატიურ გამოყენებაზე.

არსებითია, განვასხვავოთ დროის აბსოლუტური და რელატიური ფორმები და **დროის ფორმების აბსოლუტური** და რელატიური გამოყენება, განსაკუთრებით არამონათესავე ენებში დროის ფორმების სისტემის განხილვისას. მთელ რიგ ენებში გვხვდება სპეციალური რელატიური ფორმები, რომლებიც გადმოცემენ ერთი მოქმედების წინამავლობას მეორესთან შეფარდებით. ამ შემთხვევაში ლაპარაკია რელატიურ დროთა ფორმებზე.

მაშასადამე, დროში აბსოლუტური და რელატიური მიმართება ენებში სხვადასხვანაირად გადმოიცემა, სპეციალური ფორმებით, ან ერთი და იგივე დროის ფორმის სხვადასხვაგვარი ხმარებით. მაგალითად, ინგლისურ ენაში არის ზმნის დროის სპეციალური ფორმები — აბსოლუტური (Present Indefinite, Past Indefinite) და რელატიური (Present Perfect, Past Perfect). ამ ფორმებისათვის ეს ძირითადი, პირველადია. ფრანგულსა და გერმანულ ენებშიც არის ზმნის დროის სპეციალური ფორმები — აბსოლუტური (Presens, Imperfekt, Present, Passé simple) და რელატიური (Perfekt, Plusquamperfektum, Plus-que- parfait, Passé antérieur).

საზღვარგარეთ აბსოლუტურ და რელატიურ დროთა საკითხის განხილვა დაიწყეს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულსა და 20

საუკუნის დასაწყისიდან (იხ. Grasseri 1898, 3—51; Brugmann 1904, 569—571; Stahl 1907. 79; Белич 1928, 47—55).

ინგლისურის, გერმანულის და ფრანგულისაგან განსხვავებით თანამედროვე რუსულ ენას ზმნის დროის სამი ფორმა აქვს: წარსული, ახლანდელი და მომავალი, რომელთა ხასიათი საუბრის მომენტთან მიმართებით განისაზღვრება. რუსულ ენას არა აქვს რელატიურ დროთა სპეციალური ფორმები. ზმნის ერთი და იგივე დროის ფორმა შეიძლება შეგვხვდეს როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური გამოყენებით. მაგალითად:

Он жил в Москве со своей семьей.
Он сказал, что жил в Москве со своей семьей.

პირველ მაგალითში ზმნის ფორმას жил აბსოლუტური მნიშვნელობა აქვს, ე. ი. ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი (oV_1) გათიშულობას გამოხატავს, წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის აუცილებელი ჩართვით. მეორე მაგალითში კი (რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში) ზმნის ეს ფორმა იცვლება რელატიური მნიშვნელობით, ე. ი. გამოხატავს წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი (oV_2) წინამავლობას და მასთან მიმართებას.

საბჭოთა ლინგვისტიკაში აბსოლუტური და რელატიური დროების ტრადიციული და სინტაქსური ინდიკატივისა და რელატივის თეორიების კვლევა სულ სხვა ასპექტით წავიდა. მაგალითად, ა. ვ. ბონდარკო თვლის, რომ დროის ფორმის რელატიური გამოყენებისას კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს ერთი მოქმედების მეორე მოქმედებასთან ერთდროულობის ისეთი გაგება, რომელიც წარსულის მომენტთან ერთდროულობის გაგებაში გადაიზრდება. ესაა მიღებული დროთა მიმართებათა საფუძვლად. ასეთ შემთხვევაში დროითი პერსპექტივა ათვლის კონკრეტული წერტილით კი არ განისაზღვრება (როგორც, მაგალითად, წარსული დროის ირგვლივ შემოკრებილ ფორმებში), არამედ დროთა მიმართებებით, რომლებიც წარსულს განეკუთვნება" (Бондарко 1961, 195).

ქართული ენის თხრობით კილოში საუბრის მომენტთან დაკავშირებით გამოიყოფა ზმნის დროის შემდეგი ფორმები: აწმყო, წყვეტილი (სრული და უსრული ასპექტის), უწყვეტელი, ხოლმეობითი, მყოფადი, I და II თურმეობითი. აწმყოს, წყვეტილის, უწყვეტლის, ხოლმეობითისა და მყოფადის ფორმები არსებითად აბსოლუტური დროის ფორმებია, ხოლო I თურმეობითი და II თურმეობითი — რელატიური. ეს უკანასკნელნი ისეთი მოქმედების ან მდგომარეობის გა-

მოსახატავად გამოიყენება, რომელიც სხვა მოქმედებას წინ უძღოდა და, რომელსაც ადგილი ჰქონდა საუბრის მომენტამდე წარსულში.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში ისე, როგორც რუსულში აბსოლუტურ დროთა ფორმები ხშირად რელატიური მნიშვნელობითაც გვხვდება. მაგალითად: „ის თბილისში ცხოვრობდა“ და „მან თქვა, რომ თბილისში ცხოვრობდა“.

დროთა ფორმების რელატიური გამოყენება, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია ამ ფორმების ხმარებასთან რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში. აქედან გამომდინარე, ლინგვისტთა მიერ სინტაქსისადმი ინტერესი შემთხვევითი არ არის. ცნობილია, რომ სხვა დონეთა ელემენტები, მათ შორის ზმნის მორფოლოგიური ფორმებიც, კომუნიკაციურ მნიშვნელობას მხოლოდ სინტაქსის დონეზე ღებულობს. სინტაქსი, როგორც მორფოლოგიური ფორმის ფუნქციის სფერო, უშუალოდ აზროვნების და კომუნიკაციის პროცესს შეეფარდება. ენის სისტემის სხვა დონეთა ერთეულები აზრის ფორმირებას, კომუნიკაციურად მის გამოხატვას მხოლოდ სინტაქსით ახდენს. სინტაქსის სწორედ ასეთი გაგება იძლევა საფუძველს, რომ გრამატიკული დროის ანალიზისას იგი (სინტაქსი) როგორც „გრამატიკის ორგანიზაციული ცენტრი“ განისაზღვროს (Пражский лингвистический кружок 1967, 17).

§ 1. დროთა მიმართების კატეგორია თანამედროვე ინგლისურ ენაში

თანამედროვე ინგლისურ ენაში გამოიყოფა სპეციალური ფორმები, რომლებიც მოქმედების დროის რომელიმე მომენტისადმი წინამავლობას და ამ მომენტთან მის მიმართებას გამოხატავენ.

ტრადიციულად ფორმები Present Perfect, Present Perfect Continuous, Past Perfect, Past Perfect Continuous ითვლება რელატიური დროის ფორმებად, ხოლო Present Indefinite, Past Indefinite, Present Continuous, Past Continuous აბსოლუტურად. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ზმნის ასპექტ-დრო სისტემის ასეთი დაყოფა ყურადღებას თავისი სიმეტრიულობით იპყრობს (ინგლისური ენის გრამატიკებშიც ძირითადად ასეა წარმოდგენილი), მას ყველა ენათმეცნიერი ანგლისტი არ იზიარებს.

პირველ რიგში ეს შეიძლება ითქვას პერფექტის ფორმების შესახებ. ასე, მაგალითად, ენათმეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ პერფექტული ფორმები მხოლოდ რელატიური მნიშვნელობით იხმარება იმ დროს, როდესაც არაპერფექტული ფორმები შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური მნიშვნელობით (Гаркунова 1954). მეორენი თვლიან, რომ პერფექტულ ფორ-

მებს შეეძლიათ ერთდროულად გამოხატონ როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური მიმართებაც (Бойко 1964). „პერფექტული ფორმების ასეთი ახსნა-განმარტება—წერს მ. იანკოშვილი — იმ გარემოებითაა გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ არ არის პერფექტის პოზიცია ზუსტად განსაზღვრული ენის მრავალწყობიან სტრუქტურაში (Янкошвили 1966, 10).

თანამედროვე ინგლისური ენის ფაქტიური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ პერფექტული ფორმები აბსოლუტური მნიშვნელობითაც იხმარება. უნდა აღინიშნოს, რომ პერფექტული ფორმების, როგორც რელატიურ, ისე აბსოლუტურ დროებად ჩათვლა ამ რთული, ორმაგი ბუნების მოვლენის მხოლოდ ერთ მხარეს ასახავს. საერთოდ კი, პერფექტული ფორმების რელატიურ დროებად ჩათვლა აბსოლუტურ და რელატიურ დროთა ტრადიციული თეორიის ფარგლებს ცდება.

პერფექტულ ფორმათა ხმარება მარტივ კონსტრუქციებში ახლანდელი დროისათვის უფროა დამახასიათებელი, ვიდრე წარსულისათვის. პერფექტულ ფორმათა ასეთი უპირატესი გამოყენება მარტივ წინადადებებში ახლანდელ დროში ი. პ. ივანოვას აზრით აიხსნება, ერთი მხრივ, პერფექტული ფორმების საუბრის მომენტთან აუცილებელი მიმართებით, ხოლო, მეორე მხრივ, წარსული დროის დროითი ცენტრის დაკონკრეტებით. ეს უკანასკნელი კი ძირითადად რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გვხვდება. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარსული პერფექტი რთული წინადადების დამოკიდებულ ნაწილში უფრო ხშირად იხმარება (Иванова 1961).

ბევრ შრომაში (Гаркунова 1954; Иртеньева 1953 და სხვა) ლაპარაკია იმაზე, რომ მორფოლოგიურ ფორმათა განსაზღვრულ ჯგუფთან აბსოლუტური და რელატიური მნიშვნელობა განმტკიცებული კი არ არის, არამედ იგი ამ ფორმათა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში სინტაქსური გამოყენების შედეგია, ზოგიერთი ენათმეცნიერის აზრით „ძირითადი ნაკლი აბსოლუტურ და რელატიურ დროთა გაგებაში არის მათი სრული აბსოლუტიზაცია. მკვეთრი ურთიერთდაპირისპირება, ისეთი გამიჯვნა, რომელიც გამორიცხავს მათ ურთიერთდაპირისპირებასა და ურთიერთშეღწევას“ (Сушкина 1970, 84). ამასთან დაკავშირებით ბევრი ლინგვისტი (Allen 1966; Huddlestone 1977; Сушкина 1970, 84; Алламуратов 1966, 6-7) მიზანშეწონილად მიიჩნევს ზმნის ფორმათა დახასიათებისას სულ არ გამოიყენოს ეს ტერმინები და გვთავაზობს, ვილაპარაკოთ დროის ფორმების აბსოლუტურ და რელატიურ ფუნქციებზე. არ ვეთანხმებით ჩვენ ამ თვალსაზრისს, რადგან ინგლისურ ენაში დროთა მიმართების კატეგორია დროის სპეციალური ფორმებით გადმოიცემა. რაც

შეესება იმ შემთხვევებს, როცა აბსოლუტური დროები რელატიური მნიშვნელობით გამოიყენება და პირიქით, ამ ფორმათა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გამოყენების მხოლოდ კერძო შემთხვევებია, პერფექტულ ფორმათა გამოყენებაა აბსოლუტური მნიშვნელობით დამოუკიდებელ წინადადებებში.

ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ პერფექტული ფორმები აბსოლუტური მნიშვნელობით არა მხოლოდ დამოუკიდებელ წინადადებებში შეიძლება შეგვხვდეს, არამედ რთულ ქვეწყობილ წინადადებებშიც, ამასთან დაკავშირებით ვ. გ. ბოიკო წერს: „სულერთია მთავარ თუ დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება პერფექტული ფორმა, რადგან აქ ისეთ არსებით კანონზომიერებასთან არა გვაქვს საქმე, რომელსაც შეეძლებოდა ზეგავლენა მოეხდინა პერფექტის მნიშვნელობის აბსოლუტურ და რელატიურ სფეროებად დაყოფაზე" (Бойко 1964. 19). ვ. გ. ბოიკო სამი ენის (ინგლისური, გერმანული და შვედური) მონაცემების ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ პერფექტის ფორმაში აბსოლუტური და რელატიური დროითი მნიშვნელობის გამოსაყოფად ძირითად ობიექტურ კრიტერიუმად ვამოდის „არა სინტაქსური კავშირი, არამედ ის, პერფექტში მოქმედება უშუალოდ საუბრის მომენტთან თუ მეორე მოქმედებასთანაა მიმართული დროთა წინამავლობის პლანში" (Бойко 1964.52). ამით არ ამოიწურება პერფექტულ ფორმათა ფუნქციობის მთელი სირთულე.

როგორც ცნობილია, პერფექტულ ფორმათა მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად იყო და არის ინტერპრეტირებული. ჩვენ არ წარმოვადგენთ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურის სრულ მიმოხილვას, რადგან იგი მთელ რიგ შრომებში გვხვდება (Воронцова 1960; Иванова 1961: Ruin 1971), მხოლოდ მოგაგონებთ, რომ პერფექტული ფორმების ასპექტურ კონცეფციას, რომელიც მოქმედების დასრულებაში, რეზულტატურობასა და ა. შ. ვლინდება ბევრი ენათმეცნიერი უჭერდა მხარს (Poutsma 1926; Onions 1932; Marckwardt 1950) და დღესაც ბევრი იზიარებს. არის ისეთი შრომებიც (Воронцова 1960; Иванова 1961; Долинина 1969; Кошевая 1972), სადაც ფორმათა სისტემატიზაცია ხდება მექანიზმის დაზუსტების საფუძველზე, რომელიც მათ ურთიერთ კატეგორიულ დაპირისპირებას ეყრდნობა. აქ გრამატიკული კატეგორია ამა თუ იმ ფორმის დამახასიათებელ მნიშვნელობათა საფუძველზე გამოიყოფა და სისტემის რომელიმე წევრში ნიშნების შეთავსება შესაძლებლადაა მიჩნეული, ე. ი. ამ კონცეფციის თანახმად შესაძლებელია პერფექტ-განგრძობითის ფორმები განიხილებოდეს როგორც ორი ასპექტური მნიშვნელობის მქონე ფორმები. ეს კი შეუთავსებელი

ჩანს ენის გრამატიკული აგებულების სისტემის წარმოდგენასთან, რომელიც განსაზღვრული ზოგადი კანონზომიერებითაა აგებული.


მიუხედავად განსხვავებული თვალსაზრისებისა პერფექტის ასპექტურ შინაარსთან დაკავშირებით, ყველა ავტორი მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ პერფექტული ფორმები გამოხატავს კავშირს (თანამიმდევრობითს, რეზულტატურს, ლოგიკურს და ა. შ.) მათ მიერ აღნიშნულ მოქმედებასა და რომელიმე სხვა მომენტს (მოქმედების, ზღვრადობის, სიტუაციის, მოვლენის და ა. შ) შორის. მიუხედავად იმისა, რომ ზმნის ლექსიკური ხასიათისაგან და კონტექსტისაგან გამომდინარე ამ კავშირის სახეები იცვლება, პერფექტული ფორმის ძირითად მნიშვნელობად მაინც მისი გამოხატვაა მიჩნეული (Joos 1965).

ზმნის სისტემის შესწავლის საქმეში დაპირისპირების შეთოდის გამოყენებამ ხარისხობრივად ახალ შედეგებამდე მიგვიყვანა, ოპოზიციური ანალიზის გამოყენების საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ გრამატიკული ფორმის მნიშვნელობა არის ამ ფორმის დამოკიდებულება იმ სხვა ფორმებთან, რომლებიც მას პარადიგმულ სქემაში უპირისპირდება ზოგიერთი დიფერენციალური ნიშნით (Jakobson 1971: Palmer 1965; Смирницкий 1959; Бархударов, Штелинг 1973 და სხვები).

დროთა მიმართების ფორმათა სისტემაში პერფექტის ის გაგება, რომელიც პირველად ა. ი. სმირნიცკიმ წამოაყენა (Смирницкий 1955), ჩვენი აზრით, ყველაზე რაციონალურია. ა. ი. სმირნიცკის ინტერპრეტაციით ეს კატეგორია კონსტიტუირებულია ზმნის ფორმათა საუბრის მომენტისადმი სხვადასხვა მიმართებათა საფუძველზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისური ენა საუბრის მომენტის მიმართ ხასიათდება ზმნის მოქმედების დროის ლოკალიზაციის არა ერთიარუსიანი სისტემით, როგორც მაგალითად, რუსული ენა, არამედ ორიარუსიანი და შესაბამისად აქვს არა ერთი, არამედ ორი დროთა მიმართების კატეგორია — პირველადი და მეორადი. პირველადი კატეგორია, რომელიც დროის კატეგორიად იწოდება, განსაზღვრავს რომელიღაც წერტილს დროის ღერძზე, რომელიც დაკავშირებულია საუბრის მომენტთან ერთდროულობითა და წინამავლობით. ინგლისურ ენაში მოქმედების დროის ლოკალიზაციის პროცესი ამით არ მთავრდება, წარმოებს მისი შემდგომი დაზუსტება. დროის წერტილი, რომელიც პირველ ეტაპზე დგინდება, წარმოადგენს დროთა მიმართების მეორადი კატეგორიის საფუძველს, რომელიც ორი კატეგორიული ფორმის — პერფექტისა და არაპერფექტის ოპოზიციაზე იგება და იწოდება დროთა მიმართების კატეგორიად.

დროის კატეგორიისა და დროთა მიმართების კატეგორიის ფორმათა დიფერენციაციაში შეიძლება დაგვეხმაროს კონცეპტუალური დროის ცნება. დროის კატეგორიის წევრები გადმოცემენ ერთდროულობას ვექტორულ ნულთან ორიენტაციის განსაზღვრულ ღერძზე. დროთა მიმართების კატეგორიის წევრები კი გამოხატავენ წინამავლობას ამა თუ იმ საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ და მასთან მიმართებას. ამ წევრების აღწერა ხდება უარყოფითი ვექტორის დახმარებით. ერთდროულობა მარკირებულია ნიშნით „O“, წინამავლობა (ვექტორის უარყოფითი მიმართულება) — ნიშნით „—“, ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძი მარკირებულია ნიშნით „V_1“ წარსულისა კი — „V_2“. მაშინ სქემა ასეთ სახეს მიიღებს:



ახლანდელი პერფექტი, რომელიც ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის წინამავლობასა და მასთან მიმართებას გამოხატავს, მოთავსებულია ამ ღერძზე. ის ქმნის ჰორიზონტალურ რიგს და უპირისპირდება ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმას, რომელიც ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან ერთდროულობას გვიჩვენებს.

წარსული პერფექტის ფორმა, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობასა და მასთან მიმართებას გამოხატავს, ორიენტაციის მეორე ღერძზე — წარსულის დროის საორიენტაციო ღერძზე მდებარეობს. იგი ქმნის ჰორიზონტალურ რიგს წარსული განუსაზღვრელის ფორმასთან, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი ერთდროულობას აღნიშნავს.

სქემაზე თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მსგავსება და განსხვავება ახლანდელ პერფექტსა და წარსული განუსაზღვრელის ფორმებს შორის. ორივე ფორმა ძირითადად გამოხატავს წინამავლობას (ახლანდელი დროის ღერძის ვექტორული ნულის მიმართ). ორივე ფორმა განლაგებულია მისგან მარცხნივ (უარყოფითი დროითი მიმართულება — წარსული). მაგრამ თუ ახლანდელი პერფექტის ფორმა ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძზეა მოთავსებული, ფორმა წარსული განუსაზღვრელი მეორე ღერძზე — წარსული დროის საო-

რიენტაციო ღერძზე თავსდება. ეს კი ძირითადი ღერძის ვექტორულ ნულთან გათიშულობას მიუთითებს.

მაშასადამე, ინგლისური ენის ზმნის სისტემაში ინდიკატივში მოქმედების დროის, მიმდინარეობის ხასიათითა და საუბრის მომენტთან მისი მიმართების თვალსაზრისით გამოიყოფა შემდეგი ფორმები (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 7

დროის, ასპექტისა და დროთა მიმართების სისტემა თანამედროვე ინგლისურ ენაში

დრო	ასპექტი	დროთა მიმართება	
		არაპერფექტი	პერფექტი
წარსული	არაგანგრძობითი	wrote	had written
	განგრძობითი	was/were writing	had been writing
აწმყო-წარსული	არაგანგრძობითი	write/writes	have/has written
	განგრძობითი	am is/are writing	have/has been writing

ანალოგიურად განსაზღვრავს პერფექტის მნიშვნელობას ბევრი სხვა საბჭოთა ენათმეცნიერი (Ильиш 1948; Хаймович, Роговская 1967 და სხვები). მათი აზრით, პერფექტულ ფორმას დროთა მიმართების კატეგორიის ოპოზიციაში აქვს მხოლოდ ერთი დიფერენციალური ნიშანი — წინამავლობა.

სხვაგვარად განმარტავს დროთა მიმართების კატეგორიას საბჭოთა ენათმეცნიერთა მეორე ჯგუფი (Бархударов, Штелинг 1973, 162—163). მათი თვალსაზრისით არაპერფექტული ფორმები გამოხატავენ მოქმედებას, რომელიც რომელიმე მომენტისადმი შეფარდების გარეშე სრულდება. პერფექტის ფორმები კი, პირიქით, გადმოცემენ მოქმედებას, რომელიც მიმართულია რომელიმე შემდგომი მომენტისადმი. „პერფექტის სემანტიკური მნიშვნელობა, — წერს ლ. ს. ბარხუდაროვი — დაიყვანება ორ ელემენტარულ მნიშვნელობაზე ანუ „სემაზე", სახელდობრ: პერფექტული ფორმა აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც დროის რომელიმე მომენტის წინამავალია და მიმართებაშია ამ მომენტთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პერფექტული ფორმის მნიშვნელობა შეიძლება ასე დახასიათდეს: 1. წინამავლობა, 2. მიმართება" (Бархударов 1975 (I), 117).

ეს თვალსაზრისი (პერფექტული ფორმის მნიშვნელობის შემადგენლობისა და დიფერენციალურ ნიშანთა რაოდენობის შესახებ)

ყველაზე უფრო სრულად ასახავს პერფექტული ფორმის სემანტიკური შინაარსის ხასიათს. ამით ის ყველაზე ნათლად უპირისპირდება არაპერფექტულ ფორმებს. პერფექტულ და არაპერფექტულ ფორმათა ურთიერთმიმართების ასეთი გაგება საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად ავხსნათ პერფექტის მრავალმნიშვნელობიანობა, რადგან ფორმის ფუნქციობისას ნათლად ვლინდება მნიშვნელობის ხან ერთ, ხან კი მეორე მხარე.

მაშასადამე, დროთა მიმართების კატეგორია ინგლისურ ენაში დაფუძნებულია ბინარულ ოპოზიციაზე „არაპერფექტი-პერფექტი", რომელშიც არაპერფექტული მიმართების კატეგორიული ფორმა არამარკირებულია და ოპოზიციის სუსტი წევრია მაშინ, როცა პერფექტული მიმართების კატეგორიული ფორმა მარკირებულია. ანალიტიკურია (to have + მიმღეობა II) და ოპოზიციის ძლიერი წევრია. პერფექტული ფორმის სემანტიკის შინაარსი მოქმედების დროის რომელიღაც შემდგომი მომენტისადმი, ან მეორე მოქმედებისადმი მიმართების აღნიშვნაა (Бархударов 1975(i), 117).

ლინგვისტურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს არაპერფექტული ფორმის ე. წ. ოპოზიციის სუსტი წევრის შინაარსის საკითხი. ლ. ს. ბარხუდაროვის აზრით, სუსტი წევრის შინაარსი უაღრესად ფართო, ზოგადი და განუსაზღვრელია (იქვე). როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარკირებული წევრის (პერფექტული ფორმის) მნიშვნელობა განისაზღვრება ორი სემით — წინამავლობისა და მიმართების. არაპერფექტული ფორმის პარადიგმული მნიშვნელობა კი არაწინამავლობა და არმიმართებაა, რადგანაც „მოქმედება. რომელიც ამ ფორმით გადმოიცემა არ განეკუთვნება რომელიმე სხვა მოქმედებას ან დროის მომენტს" (იქვე, 118). სუსტი წევრის პარადიგმული მნიშვნელობა პოტენციურად ძლიერი წევრის პარადიგმულ მნიშვნელობაზე უფრო ფართოა. ცხადია, ამ მნიშვნელობაზე კონტექსტის ზემოქმედების ფორმებიც უფრო მრავალნაირია. ამიტომ ოპოზიციის სუსტ წევრს სინტაგმურ მნიშვნელობათა გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს, ვიდრე ძლიერს.

პერფექტულ ფორმათა სინტაგმური მნიშვნელობა ლინგვისტურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა განმარტებული. ასე, მაგალითად, გ. ნ. ვორონცოვა ასპექტის ექვს სახეს გამოყოფს. ანალიზი, რომელიც გ. ნ. ვორონცოვამ ჩაატარა, ექსტრალინგვისტურია, რადგანაც იგი ეყრდნობა იმ მიმართებებს, რომელიც მოვლენებს, მდგომარეობებსა და არაენობრივი სინამდვილის სიტუაციებს შორის არსებობს. მიმართებათა დაყოფა ექვს ასპექტად პერფექტული ფორმის დახმარებით არ ხდება და არც ეყრდნობა მას. პერფექტულ ფორმათა ერთადერთი ფუნქციაა ამ მიმართებათა არსებობაზე ან არარსე-

ბობაზე მითითება. თვით ლოგიკური მიმართებები გადმოიცემა მნიშვნელობათა მთელი კომპლექსით, რომლებიც გამონათქვამის დახმარებით ხორციელდება.

პერფექტული ფორმისათვის დამახასიათებელ წინამავლობის მნიშვნელობას კონტექსტიდან გამომდინარე შეუძლია მიიღოს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. „გადმოცემული ფაქტის რეპრეზენტაცია სხვადასხვაგვარი შეიძლება იქნეს: მთელ გასულ პერიოდზე გავრცელებული („განფენილობა“) ან უკვე შესრულებული (Штелинг 1975,13). დ. ა. შტელინგი აქცევს ყურადღებას არა მარტო სინტაგმურ მნიშვნელობათა კავშირს ზმნის ზღვრად და უზღვრად მნიშვნელობებთან (რომლებიც პერფექტულ ფორმაში იხმარება), არამედ დროის გარემოების სემანტიკასაც. კონტექსტის სემანტიკიდან გამომდინარე საზღვარგარეთელ ენათმეცნიერთა შრომებში პერფექტის ინკლუზიური, ექსკლუზიური და რეზულტატური მნიშვნელობები გამოიყოფა. ასე, მაგალითად, ჰ. ბაუერი ერთერთი პირველთაგანი საზღვარგარეთელი ანგლისტებიდან მიდის იმ დასკვნამდე, რომ პერფექტი არც დროა და არც ასპექტი, არამედ რაღაც პრინციპულად მათგან განსხვავებული, თუმცა მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი ფორმა (Bauer 1970, 197—199). მთელი რიგი გამოკვლევა, რომლებიც ბოლო წლებში ჩატარდა, მიეძღვნა პერფექტული ფორმების სემანტიკური შინაარსის განხილვას. ასე, მაგალითად, ა. გ. ბარანოვის სადისერტაციო ნაშრომში (Баранов 1972) შესწავლილია წარსული პერფექტის სემანტიკა, რომელსაც ავტორი წინამავლობის გამომხატველ ძირითად ფორმად თვლის. ა. გ. ბარანოვი ოპოზიციური, დისტრიბუციული და კომპონენტური ანალიზის საფუძველზე იკვლევს ამ ფორმის პარადიგმულ და სინტაგმურ მნიშვნელობებს. იგი ალწერს ფორმის წარსული პერფექტის ვარიანტულ მნიშვნელობათა სრულ ნომენკლატურას — 12 სინტაგმურ სემას. ფორმის სინტაგმური მნიშვნელობა, მისი აზრით, წარმოადგენს პარადიგმულ სემათა და ყველა იმ სემათა ერთობლიობას, რომელთა აქტუალიზაციაც კონტექსტის სხვადასხვა პირობებში ხდება. ავტორი გამოყოფს სინტაგმური მნიშვნელობის ორ სახეს: ცალკეული მოქმედების წარსული პერფექტი და არაცალკეული მოქმედების წარსული პერფექტი. პირველი მათგანის პარადიგმულ მნიშვნელობას იგი ხსნის შემდეგნაირად: წინამავლობა+, წარსული+, (დასრულებულობა±), (კონტაქტურობა+), (ექსკლუზიურობა ±), სადაც „წინამავლობა“ და „წარსული“ — პარადიგმული სემებია, ხოლო დანარჩენი სემები — სინტაგმურია (Баранов 1972, 17). სემები „დასრულებულობა, დაუსრულებლობა“, „ექსკლუზიურობა“, „ინკლუზიურობა“, „ათვლის წერტილთან კონტაქტურობა“, „ათვლის წერტილისადმი დისტანციურობა“ პერფექ-

ტული ფორმის ერთი პარადიგმული სემის მიმართების მოდიფიკატორებია. ტიპური კონტექსტების ანალიზი ზოგიერთ ენათმეცნიერს (Докучаева 1977, 21-25) დაეხმარა გამოეკვლინებინა მათი სინტაგმურ მნიშვნელობათა წრე. ასე იქნა დადგენილი შვიდი მნიშვნელობა, რომელთაგან ოთხი დამახასიათებელია როგორც ახლანდელი პერფექტისთვის, ისე წარსული პერფექტისთვისაც, ხოლო სამი უკანასკნელი მხოლოდ წარსული პერფექტის ფორმებისათვის. ეი ესენიც:

1. ერთჯერადი დასრულებული მოქმედების მნიშვნელობა, რომელიც ახლანდელი დროის (ან წარსული დროის) საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავალია და მასთან მიმართებაშია. ეს მნიშვნელობა ახასიათებს იმ ზმნების ფორმებს, რომლებიც იწარმოება ზღვრადი და ორმაგი (რომლებიც ფუნქციობს როგორც ზღვრადი) ლექსიკური ხასიათის ზმნებისაგან:

'They had a row last night. He went away.'

'Is she dead?'

'No, they've taken to the hospital' (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

My father turned and walked back the way we **had come,** and I hurried to follow the things we had been trying to reach — the black car, the sandstone house, by distant and dy now, surely, intensely worried mother. (J. Updike, The Centaur)

2. ერთჯერადი განგრძობითი დასრულებული მოქმედების მნიშვნელობა, რომელიც ახლანდელი ან წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის წინამავალია და მასთან მიმართებაშია. ეს მნიშვნელობა დამახასიათებელია უზღვრადი ლექსიკური ხასიათის ზმნებისთვის:

'I've **rented** a little room out in North Oakland, retired neighbourhood and all the rest, you know, and I've **bought** an oil-burner on which I cook'. (J. London, Martin Eden)

It **had rained** heavily in the night, and though the pavements were dry, thanks to a cleansing breeze, the August air, was cool and grey. (H. James, The Golden Bowl)

3. ერთჯერადი განგრძობითი მოქმედების მნიშვნელობა, რომელიც ახლანდელი ან წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის წინამავალია, ჩართულია მოქმედების განფენილობაში და მიმართებაშია მასთან:

I've **lived** in New York all my life, and I know Central Park like the back of my hand. (J. Salinger, The Catcher in the Rye)

After all, I had not seen him for fifteen years and it was nine since he died. (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

4. განმეორებადი მოქმედების მნიშვნელობა, რომელიც ახლანდელი ან წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის წინამავალია, და მიმართებაშია მასთან. ეს მნიშვნელობა ახასიათებს ზმნის ფორმებს, რომლებიც როგორც ზღვრადი, ისე უზღვრადი ლექსიკური ხასიათის ზმნებისგანაა ნაწარმოები:

'He is so splendid; he's often lived on cocoa for a week.'

'And he wants you to live on cocoa too?' (J. Galsworthy, The Man of Property)

But he had again and again repeated to her that he should never, without her had been where he was, and she had not successfully concealed the pleasure it might give her to believe it, even after the question of where he was, had begun to show itself, as rather more closed than open to interpretation. (H. James, The Golden Bowl)

შემდეგი სამი მნიშვნელობა მხოლოდ წარსული პერფექტისთვისაა დამახასიათებელი.

5. ერთჯერადი დასრულებული მოქმედების მნიშვნელობა, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორ ნულთან დაშორებულია და მიმართებაშია მასთან. ამ მნიშვნელობით გამოიყენება ფორმა წარსული პერფექტი, როცა ის ნაწარმოებია ზღვრადი ლექსიკური მნიშვნელობის ზმნებისაგან:

Anselm Holland came to Jefferson many years ago. Where from, no one knew. But he was young then and a man of past or of present at least, because within three years he had married the only daughter of a man who owned two thousand acres of some of the best land in the country, and he went to live in his father-in-law's house, where two years later still the father-in-law died and left Holland in full possession of the property. (W. Faulkner, Knight's Gambit)

6. განგრძობითი მოქმედების მნიშვნელობა, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულს დაშორებულია და მიმართებაშია მასთან. განგრძობითი მოქმედების მნიშვნელობა ამ შემთხვევაში უზღვრადი ზმნების სემანტიკიდან გამომდინარეობს. მაგალითად:

'Mr. Sparsit, the deceased, of whom she was the relict, had been by the mother's side what Mrs. Sparsit still called „a powler". (Ch. Dickens, Hard Times)

7. განმეორებადი მოქმედების მნიშვნელობა, რომელიც წარსული

დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულს დაშორებულია და მიმართებაშია მასთან:

The old man **had seen** many great fish. He **had seen** many that weighed more than a thousand pounds and **had caught** two of that size in his life, but never alone. (E. Hemingway, The Old Man and the Sea)

პერფექტ-განგრძობითის ფორმებისათვის გამოვლენილია შემდეგი მნიშვნელობები.

1. ერთგზისი მოქმედების მიმდინარეობის მნიშვნელობა, რომელიც წინამავალია ახლანდელი ან წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ და მიმართებაშია მასთან. ეს მნიშვნელობა ახასიათებს ფორმებს, რომლებიც უზღვრადი ლექსიკური ხასიათის ზმნებისაგან და იმ ორმაგი ლექსიკური ხასიათის ზმნებისაგანაა ნაწარმოები, რომლებიც ამ შემთხვევაში უზღვრადი ლექსიკური ხასიათისანი არიან. მაგალითად:

'Darling, I've **been talking** to Michael. I'm going to put up the money to start you in management.' (W. S. Maugham, Theatre)

The man in the leather chair slowly stood up, carefully putting the book he **had been reading** facedown on the chair. (I. Shaw, Rich Man, Poor Man)

2. მოქმედების ერთგზისი მიმდინარეობის მნიშვნელობა, რომელიც ახლანდელი ან წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის წინამავალია, მოიცავს მოქმედებას განფენილობაში და მიმართულია მის მიმართ. ამ მნიშვნელობის განსახორციელებლად საჭიროა ხელსაყრელი კონტექსტი — გარემოებითი სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ მოქმედების მიმდინარეობის პერიოდის დაუსრულებლობას:

'Why don't we have any money?' I asked.

'I've **been asking** myself that for fifteen years. The worst of it is, when I write them a check it'll bounce because I have twenty cents in the bank.' (J. Updike, The Centaur)

He **had been pursuing** for six month as never before, and what had actually unsteadied him, as we join him, was the sense of how he had been. justified. (H. James, The Golden Bowl)

3. განმეორებადი მოქმედების მნიშვნელობა, რომელიც ახლანდელი ან წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის წინამავალია და მიმართებაშია მასთან. მის რეალიზაციას ხელს უწყობს წინადადების კონსტრუქციაში გარემოებითი სიტყვის არსებობა, რომელიც განუსაზღვრელ ან ციკლურ (რეგულარულ) განმეორე-

ბად მოქმედებებს გადმოცემს: often, always, seldom, sometimes, over and over again, every day და ა. შ. ეს მნიშვნელობა შეიძლება აგრეთვე კონტექსტის სხვა საშუალებებითაც გაძლიერდეს:

'That's the question I've **been propounding** to myself for many a day — not concerning you merely but concerning everybody.' (J. London, Martin Eden)

This situation **had been occupying** for months and months, the very centre of the garden of her life, but it had reared itself there like some strange, tall tower of ivory. (H. James, The Golden Bowl)

4. მოქმედების მიმდინარეობის მნიშვნელობა, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავალია, მასთან დაშორებულია და მიმართულია მისკენ, მხოლოდ ფორმა წარსული პერფექტი განგრძობითისთვის არის დამახასიათებელი განსაზღვრულ კონტექსტუალურ პირობებში. მაგალითად:

'Gracious heaven, mamma, you don't suppose the man would bring his wife?' shrieked Lady Blanche who **had been languishing** in George's arms in the newly imported waltz for hours the night before. (W. Thackeray, Vanity Fair)

პერფექტულ ფორმათა სემანტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ფორმის სემანტიკური ინვარიანტული ნიშანი, რომელიც მას ყველა კონტექსტში აქვს, არის ახლანდელი ან წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა და მასთან მიმართება. განგრძობითი ასპექტის პერფექტული ფორმებისათვის მუდმივი ნიშანია პროცესუალობა, ცვლადი ნიშნები კი შემდეგია: ახლანდელი პერფექტისათვის — დასრულებულობა-განგრძობითობა, ერთგზისობა-მრავალგზისობა; წარსული პერფექტისათვის ჩამოთვლილ ნიშნებს ემატება წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულთან კონტაქტუროba და დისტანციურობა, ახლანდელი პერფექტ-განგრძობითისათვის ერთგზისობა-მრავალგზისობა, წარსული პერფექტ-განგრძობითისათვის — ერთგზისობა-მრავალგზისობა, კონტაქტურობა-დისტანციურობა. ინვარიანტულ ნიშანთა ანალიზმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ პერფექტისა და პერფექტ-განგრძობითის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება როგორც განგრძობითი და არაგანგრძობითი ასპექტის ფორმები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, Present Perfect, Past Perfect, Present Perfect Continuous, Past Perfect Continuous ფორმები-

სათვის შეიძლება გამოვყოთ ოთხი ვარიანტული მნიშვნელობა: ექსკლუზიური, ინკლუზიური, მრავალგზისი და რეზულტატური.

პერფექტსა და პერფექტ-განგრძობითის ფორმებს აქვთ, აგრეთვე, სხვა ფუნქციები, რომლებიც არა მხოლოდ გრამატიკული ფორმებით გადმოიცემა, არამედ სხვა დონეებითაც. მათი რეალიზაცია ტექსტში ხდება. ამიტომაც ტექსტის გრამატიკის თვალსაზრისით პერფექტის შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს, რადგანაც „პერფექტული ფორმა შედის ტექსტში როგორც აქტიური დინამიური ძალა. იგი ფარული, ხარისხობრივად თავისებური ინფორმაციის მატარებელია. შეუძლია მისთვის იმანენტურად დამახასიათებელი მიმართების გრამატიკული მნიშვნელობით დაადგინოს გამონათქვამში სხვადასხვაგვარი სემანტიკური დამოკიდებულება“ (Штелинг 1975. 10).

თვალსაჩინოდ ყოველივე ზემოთქმული შეიძლება წარმოვადგინოთ ცხრილში 8.

ცხრილი 8

პერფექტისა და პერფექტ-განგრძობითი ფორმების სემანტიკური პოტენციალი ინგლისურ ენაში

№	ფორმები	ფორმის ვარიანტები / ფორმის ინვარიანტული ნიშნები	ექსკლუზიური	ინკლუზიური	მრავალგზისი	რეზულტატური.
1.	Present Perfect	ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა და მასთან მიმართება	+	+	+	+
2.	Past Perfect	წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა და მასთან მიმართება	+	+	+	+
3.	Present Perfect Continuous	პროცესუალობა, ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა და მასთან მიმართება	+	+	+	+
4.	Past Perfect Continuous	პროცესუალობა, წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა და მასთან მიმართება.	+	+	+	+

დროთა მიმართების კატეგორიის ცალკე გამოყოფამ, რომელიც დროისა და ასპექტის გრამატიკულ კატეგორიებთან მჭიდრო კავშირშია, საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა ზმნის სისტემა როგორც მთლიანი მექანიზმი და უფრო თანმიმდევრულად აგვეხსნა პერფექტის ფორმათა მრავალმნიშვნელობიანობა.

დროისა და დროთა მიმართების კატეგორიები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. პერფექტის ფორმები ისე, როგორც ასპექტის ფორმები თვითონ დროს მნიშვნელობას არ გადმოცემენ, ისინი ერთსა და იმავე დროის დონეზე იმყოფებიან მათთან მიმართებაში მყოფ დროთა ფორმებთან. ამიტომაც ინგლისური ენის ზმნის სისტემის ღერძს დროის კატეგორია წარმოადგენს.

ამგვარად, პერფექტი ჩათვლილია განსაკუთრებული სახის კატეგორიად, რომელიც მჭიდრო კავშირშია დროის კატეგორიასთან, მაგრამ მისგან განსხვავებით როგორც ფორმით, ისე შინაარსით წარმოადგენს დამოუკიდებელ კატეგორიას.

წიგნში განიხილება ენობრივ საშუალებათა მთელი კომპლექსი, რომელიც მეტყველებაში ენის სისტემის რეალური ფუნქციობისას გამოიყენება პერფექტობის გამოსახატად.

ლინგვისტურ ერთეულთა ინვარიანტულ-ვარიანტული თვალსაზრისით განხილვა გვიჩვენებს, რომ საშუალებები, რომლებიც პერფექტობას გამოხატავს ინგლისური ენის სისტემის რეალური ფუნქციობისას, არ შემოისაზღვრება მხოლოდ პერფექტის ფორმებით (to have $+V_{-ed}$). ეს არის განსაზღვრული სახის ორგანიზებული ჯგუფი, რომლის ელემენტები განსაზღვრულ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან.

პერფექტის ფორმების გადმოსაცემად სხვა ერთეულთა გამოყენების შესაძლებლობა ამა თუ იმ სახით არაერთხელ აღინიშნა სპეციალურ ლიტერატურაში. ამ შრომებში უმთავრესად განიხილებოდა შესაპირისპირებელი ერთეულების მნიშვნელობათა ნიუანსების განსხვავებანი ისე, რომ შესაპირისპირებელ ფორმათა ფუნქციობაზე კონტექსტის ზემოქმედება არ მიიღებოდა მხედველობაში.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ პერფექტის ფორმათა გამოყენებას კონტექსტის სხვადასხვა ელემენტებთან. ვფიქრობთ, რომ ვარიანტების გამოსავლენად არაა საკმარისი მხოლოდ გრამატიკული ფორმის დადგენა, რადგან მნიშვნელობათა გადმოცემაში სხვადასხვა ენობრივი საშუალება და კონტექსტის სხვადასხვა ელემენტი მონაწილეობს.

პერფექტის ფორმების გამოყენება მჭიდრო კავშირშია ტექსტის ხასიათთან, მის სტრუქტურასთან და გამონათქვამის კომუნიკაციურ დანიშნულებასთან, რაც მეტყველების სახისდა მიხედვით ფორმათა

გამოყენების თავისებურებებში (ავტორის მეტყველება, პერსონაჟთა მეტყველება და ა შ.) იჩენს თავს.

დროისა და დროთა მიმართების კატეგორიათა განხილვა ფუნქციურ ასპექტში საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ავხსნათ დროისა და პერფექტის ფორმათა ურთიერთდამოკიდებულება. რაც გრამატიკულ, ობიექტურ და კონცეპტუალურ დროებს შორის ურთიერთმიმართებათა ნათლად წარმოდგენას შეუწყობს ხელს.

§ 2. თანამდევრობის კატეგორია ქართულ ენაში

ინგლისური და ქართული ენები (მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ენის ოჯახს განეკუთვნება) გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ ზოგიერთი გრამატიკული მნიშვნელობის გადმოცემისას. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ორივე ენას აქვს ზმნის ფორმები, რომლებიც გრამატიკულად წინამავლობას (ანტერიორობას) გამოხატავენ.

ინგლისურ ენაში, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა (იხ. ამ თავის § 1), ამ მიზნისათვის გამოიყოფა დროთა მიმართების კატეგორია, რომელიც დაფუძნებულია არაპერფექტ-პერფექტის ფორმათა ბინარულ ოპოზიციაზე.

დროთა მიმართების კატეგორია ქართულ ენაში არ არსებობს, სამაგიეროდ წარმოდგენილია დროთა თანამდევრობის კატეგორია (შანიძე 1973, 212—215), რომელიც სემანტიკურად აღნიშნავს მოქმედების მიმართებას დროის რომელიმე მომენტთან ან მეორე მოქმედებასთან (ერთდროულთან, შემდგომთან). სხვაგვარად რომ ვთქვათ, დროთა თანამდევრობის კატეგორია სამ დიფერენციალურ ნიშანს ემყარება — წინამავლობას, ერთდროულობას და შემდგომობას. აი, რას წერს ამ საკითხთან დაკავშირებით ა. შანიძე: „თანამდევრობის სახელით აღვნიშნავთ ზმნის ფორმას, რომელიც გვაგებინებს, თუ როგორია დროული მიმართება ორი მოქმედებისა წარსულსა და მომავალში. ორი მოქმედების შეფარდებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ორივე ერთ დროს მიმდინარეობს და გვაქვს ერთდროულობა ორი მოქმედებისა. მაგრამ თუ განსხვავებაა დროში, მათ შორის ისეთი ურთიერთობა იქნება, რომ ერთი უნდა უსწრებდეს, მეორე მოსდევდეს“ (შანიძე 1973, 212).

მიუხედავად იმისა, რომ თანამდევრობის კატეგორია უმჭიდროეს კავშირშია დროის კატეგორიასთან, მაინც ისინი სრულიად განსხვავებული გრამატიკული კატეგორიებია. „თანამდევრობა ახლო დგას დროის კატეგორიასთან, მაგრამ იმით განსხვავდება მისგან, რომ გრამატიკული დროის გაგება გამომდინარეობს საუბრის მომენტისა და მოქმედების მომენტის შეფარდებისაგან. თანამდევრობა კი — ორი

მოქმედების ერთმანეთთან შეფარდებისაგან. დროის დასადგენად ერთი მოქმედებაა საჭირო, თანამდებობითის კი — ორი, რომელთაგანაც ერთი შეიძლება იგულისხმებოდეს“ (შანიძე 1973, 213). ეს უკანასკნელი არის რელატიური დრო, რომელსაც ა. შანიძე თანამდევრობის კატეგორიას უწოდებს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა (იხ. თავი 3), წინამავლობის აღსანიშნავად წარსულში ქართულ ენას აქვს სპეციფიკური დროის ფორმა — II თურმეობითის მწკრივი, ხოლო არაწარსულში — I თურმეობითი. მაგალითად:

შინ მივედი. ლუკა არსად იყო. მაგიდაზე თუმნიანი **დაეტოვებინა** და **წასულიყო**. ბაზრამდე სულ ტირილ-ტირილით ვირბინე, იქნებ სადმე ვნახო-მეთქი, იმედი მქონდა. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

დავფიქრებულვარ! დავფიქრებულვარ მაგაზეც და ბევრ სხვა საკითხზეც! — დოცენტს ნერვიულობა შეეტყო. ზარანდიამ ჩანს, მტკივნეულ ადგილს მიუგნო. **დავფიქრებულვარ** იმაზეც, რომ რევოლუციამ პატიოსანი ინტელიგენტებისა და არისტოკრატების ინტელექტი უნდა გამოიყენოს და შემდეგ გაუსწორდეს მათ, როგორც საფრანგეთის რევოლუცია გაუსწორდა მიშელ დე ლეპელეტიეს და სხვას. მე ეს რევოლუციის კანონზომიერებად მიმაჩნია, მაგრამ მაინც მის მხარეზე ვარ. (იქვე)

ან შევადაროთ:


ამ ქალზე წინათაც **სმენოდა** (II თურმეობითი)
ამ ქალზე წინათაც **სმენია** (I თურმეობითი)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, I თურმეობითის გრამატიკული ფორმა ნათლად გამოხატავს წინამავლობას, რომელიც ახლანდელ მომენტთანაა დაკავშირებული (და ერთდროულად მოქმედების თურმეობითობასაც აქცევს ყურადღებას), ხოლო II თურმეობითის ფორმა მიუთითებს მოქმედებაზე, რომელიც წარსულში მეორე მოქმედების ან რომელიმე მომენტის წინამავალია და ამ მოქმედებასთან ან მომენტთანაა მიმართებაში.

II თურმეობითის ფორმები გამოხატავს წინამავლობას როგორც დამოკიდებულ, ისე დამოუკიდებელ წინადადებებში. ისინი ცალკე აღებულიც წინამავლობის მნიშვნელობას მიუთითებენ და ისეთ მოქმედებას გამოხატავენ, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის წინამავალია. ეს საკამათოც არ არის, საკამათოა მხოლოდ I თურმეობითის ინვარიანტული მნიშვნელობა, რომლის დადგენასაც ეს გამოკვლევა ისახავს მიზნად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ II თურმეობითის ფორმები წყვეტილისა (სრული ასპექტი) და უწყვეტლის (უსრული ასპექტი) ფორმებისაგან არსებითად განსხვავდება. წყვეტილი (სრული ასპექტი) გამო-

ხატავს წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი ერთდროულობას; რაც შეეხება უწყვეტელს, იგი დროის დამოუკიდებელ ნიშანს გადმოცემს, რომელიც მოქმედების არა მოწესრიგებულობას, არამედ სიგრძივობას (განგრძობითობას) აღნიშნავს. მოქმედება, რომელიც უწყვეტლის მწკრივით გამოიხატება, ერთდროულია (პარალელურია) მოქმედებისა, რომელიც წყვეტილის (სრული ასპექტის) ფორმებით გამოიხატება. უწყვეტლის მწკრივის მარტივად აღწერისათვის შემოგვაქვს დამატებითი ვექტორი, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის პერპენდიკულარულადაა მიმართული. უწყვეტლის მწკრივი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ გაუთიშველ მიმდინარე მოქმედებას გამოხატავს. II თურმეობითის ფორმები წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობასა და ლოგიკურად მასთან მიმართებას გამოხატავენ. დამატებითი ვექტორი (განგრძობითობის) მარკირებულია w ნიშნით. სქემატურად ზემონათქვამი შეიძლება გამოვხატოთ ასე:



სქემიდან ჩანს, რომ II თურმეობითის მწკრივი წარსული დროის ღერძზე მდებარეობს და ხასიათდება უარყოფითი ანუ რეტროსპექტული ვექტორობით, რადგანაც შეფასება რეალური დროის მიმდინარეობის საპირისპირო მიმართულებით წარმოებს. ეს მწკრივი გამოხატავს წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობას და მასთან მიმართებას. იგი მდებარეობს წყვეტილის მწკრივის ჰორიზონტალურად, რომელიც II თურმეობითის მიერ გამოხატული მოქმედების შემდგომობას გამოხატავს. წყვეტილის მწკრივი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულს მოიცავს, მასთან ერთდროულობას გამოხატავს. ეს მწკრივი

1) პირობითი შემოკლებანი: აწმყოს მწკრივი — აწყ., წყვეტილის მწკრივი — წყ., უწყვეტლის მწკრივი — უწყ., I თურმეობითის — I თ., II თურმეობითის — II თ.

II თურმეობითის მიერ გამოხატული მოქმედების შემდგომობას და ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობას გადმოცემს. უწყვეტლის მწკრივი კი, რომელიც წყვეტილის მწკრივის ვერტიკალურად მდებარეობს, გამოხატავს წყვეტილთან ერთდროულობას. ეს მნიშვნელობები (ერთდროულობა, შემდგომობა) წყვეტილისა და უწყვეტლისათვის არ არის ძირითადი და ერთადერთი. ეს მწკრივები ამ მნიშვნელობებს მხოლოდ შეიწყობენ. ამრიგად, ქართულ ენაში სპეციალური ფორმები, რომლებიც ერთდროულობისა და შემდგომობის ნიშანს გამოხატავდეს, არ არსებობს.

სქემაში ნაჩვენებია, რომ ახლანდელი დროის ღერძის ვექტორული ნულის მარცხნივ მდებარეობს არა მხოლოდ წყვეტილის, არამედ I თურმეობითის მწკრივიც. ამგვარად, ორივე მწკრივი. მიუხედავად იმისა, რომ გამოხატავს ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობას, მდებარეობს სხვადასხვა პარალელურ საორიენტაციო ღერძზე, რაც მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობაზე მეტყველებს. წყვეტილის მწკრივი მეორე ღერძზე მდებარეობს, ე. ი. ძირითადი ღერძის ვექტორული ნულისაგან გათიშულია. I თურმეობითი კი ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძზეა, ე. ი. ძირითადი ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტშია. ამრიგად, I თურმეობითი გადმოცემს ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობას და მასთან მიმართებას. ესაა ამ მწკრივის ძირითადი ინვარიანტული მნიშვნელობა. სხვა დანარჩენი მნიშვნელობები კი — რეზულტატურობა, თურმეობითობა და ა. შ. ამ ფორმის მხოლოდ ვარიანტული მნიშვნელობებია.

ამრიგად, ქართულ ენას აქვს ორი მწკრივი I და II თურმეობითი, რომლებიც გამოხატავენ ერთი მოქმედების მეორის მიმართ წინამავლობას, თანაც ზღვრადი მნიშვნელობის მქონე ზმნებში წინამავლობას თან ახლავს მოქმედების დასრულებულობის მნიშვნელობაც. უნდა აღვნიშნოთ, რომ I თურმეობითში რელატიური დროის მნიშვნელობა ისე ნათლად არ ჩანს, როგორც II თურმეობითში. ასე, მაგალითად, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში I თურმეობითის ძირითად მნიშვნელობად ითვლება მოქმედების რეზულტატის გამოხატვა. მას „რეზულტატურ აწმყოსაც“ უწოდებენ. ადრე იგი ითვლებოდა I თურმეობითის მწკრივის ძირითად მნიშვნელობად. აწმყოსა და „რეზულტატურ აწმყოს“ შორის განსხვავება, ჩვეულებრივ, შემდეგნაირად განისაზღვრება: აწმყო გამოიხატება უსრული ასპექტით, „რეზულტატური აწმყო“ კი ის ფორმაა, რომელიც გამოხატავს დასრულებულ მოქმედებას, რადგანაც იგი შედეგზე მიუთითებს. I თურმეობითის ფორმები ინდოევროპულ ენათა პერფექ-

ტული ფორმების ექვივალენტებადაა მიჩნეული (ნათაძე 1955, 86—87; ფეიქრიშვილი 1974. 58; ფხაკაძე 1979, 99—100 და სხვები). ისინი მდგომარეობის მნიშვნელობას გადმოცემენ, რომელიც დასრულებული მოქმედების შედეგია. ამ აზრით I თურმეობითის ფორმები უპირისპირდებიან როგორც აწმყოს, ისე აორისტსაც. მაგრამ მაინც გაუგებარია, თუ რაში გამოიხატება შემდეგი წინადადების, როგორიცაა მაგალითად „ადვილი საქმე მიუნდვიათ“ რეზულტატურობა. ნავარაუდევი „შედეგი“ შეიძლება გამოვხატოთ სხვადასხვანაირად: 1) მე ვიცი რა საქმეც არის ეს. 2) მე მაქვს საკუთარი აზრი ამ საქმეზე, 3) გავეცანი მას და ვიცი, რომ ადვილი საქმეა, 4) ვიცი, თუ როგორ გადავწყვიტო იგი, 5) ვილაპარაკე ამაზე და ვიცი ყველა დეტალი, 6) მოვიტანეს საქაღალდე, სადაც ეს საქმე იდო, წარმოდგენა მაქვს მასზე და ამიტომ მას ადვილად ვთვლი, 7) ვიცი, რომ შენ მოგვანდვეს ასეთი ადვილი საქმე და ა. შ.

ამგვარად, ერთ წინადადებაში ივარაუდება ათობით სხვადასხვა აზრი. ეს ხდება იმიტომ, რომ ეს წინადადება აღებულია კონტექსტის გარეშე. წინადადება რომ კონტექსტში იყოს ჩართული, ადვილად დავადგენდით, ამა თუ იმ სემანტიკური ნიუანსიდან უფრო რომელი შეესატყვისება მოცემულ შემთხვევას. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თვით ფორმა I თურმეობითი არაა რეზულტატურობის მნიშვნელობის მატარებელი. ამ საკითხის სწორად გადაჭრის მიზნით, პირველ ყოვლისა, უნდა დავაზუსტოთ, თუ რას ნიშნავს ცნება „რეზულტატური“ ჩვენ „რეზულტატი“ გვესმის როგორც ობიექტის ან სუბიექტის ახალი მდგომარეობა, რომელიც წარმოიშობა როგორც ნაწარმოები მოქმედების შედეგი (Иванова 1961, 108) (ამ მნიშვნელობას I თურმეობითიც გადმოგვცემს). მაგალითად:

ერთ დილას ხმაურმა გამომაღვიძა. მესმის, რომ ბიძაჩემს ჩამოვლა **დაუმთავრებია** და ავადმყოფებს ელაპარაკება.

— ყველას უკეთესობა გეტყობათ, ოთხიევს. ახლა მთავარია კარგად ჭამოთ, რომ მალე გამოჯანმრთელდეთ. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

კაჯაია ფულავა რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ დათას მისთვის ყურის აღარ დაუგდია, ფიქრობდა. მერმე, როცა მევახშე გაჩუმდა, მიაშტერდა თვალებში და ჩაილაპარაკა:

— **დაულუპიხარ** ფულს, კაჯაია — უბედურო. (იქვე)

მოყვანილ საილუსტრაციო მასალაში I თურმეობითს რეზულტატური მნიშვნელობა იმდენად აქვს, რამდენადაც იგი გამოხატავს არა მხოლოდ იმ მოქმედების დროს, რომელიც წარსულში ხდება, არამედ ამ მოქმედების შედეგსაც, რომელიც შემონახულია მეორე, შემდგომი მოქმედების შესრულების მომენტში. საანალიზო ფორმის ასეთი

გაგება ჩვენ მაინც ცალმხრივად მიგვაჩნია. საქმე ისაა, რომ ხშირ შემთხვევაში ეს მწკრივი არ გამოხატავს და არც გულისხმობს იმ მოქმედების შედეგს, რომელიც მეორე მოქმედების დაწყებამდე მოხდა. მაგალითად:

მე, ბიძაჩემი და ხოსრო ვზივართ, ლამპა გვინთია, ვეახშმობთ, ჭონიას რომ კონვერტი მივეცი, ის კონვერტი დავინახე მაგიდაზე. თვალი გადავავლე. — კვიშილაძის სატრფოს — ცუცა სიორიძის მისამართი ეწერა ზედ, რა არის მეთქი, ვკითხე.

— ჭონიამ მოიტანა. კვიშილაძეს წერა-კითხვა არ **ცოდნია.** ჭონიას **დაუწერია** მისთვის. მთხოვა, ფოთში წაიღე და ჩააგდეო, (იქვე)

— ეს არ შეიძლება, გალაკტიონ, არ შეიძლება, **მითქვამს** შენთვის. (დ. კლდიაშვილი, მოთხრობები)

ჩემთან საფრთხეში ბევრჯერ **ყოფილა.** (ი. ჭავჭავაძე, კაკო ყაჩაღი)

ჩვენმა დრომ წოდებები უარყო, მაგრამ ჩემი მასწავლებლის გვარი „გრაფის" გარეშე არავისგან **გამიგონია.** (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

მოყვანილი მაგალითები, რომლებიც ქართული ლიტერატურული ენისათვის ტიპურია, ნათლად გვიჩვენებს, რომ I თურმეობითს შეუძლია ასოციაციით მხოლოდ რეზულტატობის იდეას არ დაუკავშირდეს. საერთოდ კი, მოქმედების ისეთი დასრულებულობა წარსულში, რომლის შედეგი ახლანდელისთვისაცაა შემონახული, შეიძლება გადმოცეს წყვეტილის (სრული ასპექტის) ფორმებმაც. განსაზღვრულ შემთხვევაში I თურმეობითის ფუნქციები თითქმის ემთხვევა სრული ასპექტის წყვეტილს (ქავთარაძე 1956, 193), ამიტომ ზოგჯერ მას აორისტულ პერფექტსაც უწოდებენ (ჟორდანია 1889,6). მაგალითად:

ლაზმა ბარათი გამომართვა, ხმით წაიკითხა. გამიკვირდა, რომ თურქეთში მცხოვრები კაცი რუსულს თავისუფლად კითხულობდა და სიმართლე ვთქვა, აქცენტიც, მგონი, ჩემზე ნაკლები ჰქონდა.

— ეგეთი გამართული რუსული სად **ისწავლე?** (იქვე)

ჩვენი აზრით, შეცდომაა რეზულტატური მნიშვნელობით თურმეობითის ფორმების გაიგივება სრულ ასპექტთან. ნაწილობრივ ასეთი გაიგივების მიზეზი ისიცაა, რომ ზოგიერთი ენათმეცნიერი I თურმეობითს „პერფექტის" ექვივალენტად თვლის, რომელიც თავის მხრივ ბერძნული და ლათინური ენების გრამატიკებიდანაა ნასესხები. ამ ენებში პერფექტი, მართლაც, სრულ ასპექტს გადმოცემს.

როგორც ცნობილია, ძველბერძნულ ენაში ზმნის ფორმები სამ ასპექტურ ფორმად იყო განაწილებული (პრეზენსი, აორისტი და

პერფექტი), მაგრამ ბერძნული ზმნის სისტემაში თანამიმდევრულად წარმოებდა პრეზენსისა და აორისტის, ე. ი. განგრძობითი და არაგანგრძობითი ასპექტის დაპირისპირება, ხოლო პერფექტი ჯერ კიდევ ისტორიულ ეპოქაში დაიშალა და ამოვარდა სისტემიდან. ის, თავის მხრივ, „ჩაითრია“ პრეზენსმა და აორისტმა. თანდათანობით პერფექტი გადაიქცა წარსული დროის ერთ-ერთ ფორმად და ამით დაუახლოვდა აორისტს. მაგრამ ბერძნული ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე პერფექტი გამოიყენებოდა ახლანდელი დროის მნიშვნელობით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველბერძნულში აორისტის ფუძემ მოგვცა მხოლოდ წარსული დროის ფორმები, პრეზენსის (განგრძობითის) ფუძედ კი წარმოდგენილი იყო როგორც ახლანდელის, ისე წარსულის ფორმები.

ლათინურ ენაში კი ნათლად გამოიკვეთა ოპოზიცია ინფექტ-პერფექტი, ე. ი. განგრძობითი (უსრული) ასპექტი და სრული ასპექტი. პერფექტმა თანდათანობით დაიწყო განმტკიცება ასპექტ-დროის სისტემაში როგორც სრული, წინამავალი მოქმედების გამომხატველმა, რომელსაც შეუძლია აღნიშნოს წარსული მოქმედების შედეგი ახლანდელში, ე. ი. მასში მჭიდრო გადახლართვა მოხდა მოქმედების დროისა და მისი მიმდინარეობის ხასიათის მნიშვნელობისა, რომელმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა ზმნის (რომელიც ემყარებოდა დროს და არა ასპექტს) სისტემის განვითარებაზე. ინფექტისა და პერფექტის ფუძეებს ჰქონდათ დროის გრამატიკული ნიშნები.

ინდოევროპულ ასპექტ-დროის სისტემათა განვითარების ერთ-ერთ მომდევნო ეტაპს ასახავს რომანიკული ენები. თუმცა ისინი ლათინურ ნიადაგზე განვითარდნენ, მაგრამ მათში ახლაც მიმდინარეობს ასპექტური შინაარსის დროულში გადააზრების პროცესი. ისინი დროის პლანთა შესაბამისად ნაწილდებიან.

ბევრ ენაში (ინგლისურში, გერმანულში, ფრანგულში და ა. შ.) დიდად გავრცელდა მოქმედების აღნიშვნა, რომელიც რომელიმე დროის პლანის წინამავალია. ყველაზე მეტად მდგომარეობის მნიშვნელობას, რომელიც მოქმედების შედეგადაა შეძენილი, გადმოცემს პერფექტი, რომელიც ახლანდელ დროსთანაა დაკავშირებული. ზემოდასახელებულ ენებში პერფექტი როგორც რელატიური დრო გამოხატავს მოქმედებას, რომელიც მოცემული დროის პლანის წინამავალია. მოქმედების დასრულებულობა ისე, როგორც რეზულტატური მნიშვნელობა ფორმის კონკრეტულ ლექსიკურ შევსებასთანაა დაკავშირებული და მას ფორმის კატეგორიულ ნიშნად ვერ ჩავთვლით.

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება I თურმეობითსაც განვაკუთვნოთ, განსაკუთრებით კი მის აბსოლუტურ ფორმებს. ეს ფორმები,

როგორც ამას ქართველი ლინგვისტები ამტკიცებენ, „როგორც სტრუქტურით, ისე შინაარსით ევროპული პერფექტული ფორმების ზუსტი ექვივალენტებია“ (ნათაძე 1955, 87). I თურმეობითი გადმოცემს არა მხოლოდ დასრულებულ მოქმედებას, რომლის შედეგიც სახეზეა ახლანდელ დროში, არამედ დაუსრულებელ მოქმედებასაც. მაგალითად:

ვიწექით და ვისვენებდით განსაცდელის შემდეგ. არქიფო სეთურის სახლის სოროებიდან სულ სიმღერა და ტაშ-ფანდური ისმოდა. მამის სულს ვფიცავარ, არ **გაჩერებულან** ღამემდე. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

გააწყო თაბაგარმა სუფრა, მოიტანა ყველაფერი და ფეხზე იდგა, სანამ მეთაურმა არ უთხრა, დაჯექი ახლაო. რა ხმაზე ლაპარაკობდა ის მარჯვენა ხელი, ვერ გავიგონე კაი ხანს, კრინტი არ **დაუძრავს** იმ ღამეს. (იქვე).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მოქმედების დასრულებულობა ამ ფორმის ძირითად მნიშვნელობად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მოქმედების დასრულებულობა-დაუსრულებლობის გამოსახატავად გადამწყვეტ როლს თვით ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა და მასთან შეხამებულ გარემოებათა ხასიათი თამაშობს.

მიუხედავად ზოგიერთი საერთო ნიშნისა, I თურმეობითის ფორმები რომანიკული და გერმანიკული ენების პერფექტული ფორმებისაგან არსებითად განსხვავდება, რადგანაც ქართულ ენაში ეს ფორმები გამოხატავენ უნახაობის კატეგორიას, რომელიც წმინდა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა. I თურმეობითის ფორმები მაშინ გამოიყენება, როცა მოლაპარაკეს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ მოქმედება, რომელსაც იგი გვაცნობს, არ წარმოადგენს მისი პირადი დაკვირვების შედეგს, იგი მას თვალით არ უნახავს, გადმოცემს მას როგორც გაგონილს და, თუ პირადად ესწრებოდა კიდეც ამ მოქმედებას, მისთვის საკმაო ყურადღება არ მიუქცევია, დაივიწყა და მოგვითხრობს მის შესახებ სხვისი სიტყვებით. მაგალითად:

— ააა! კი, კი მასე იყო, მასე — დათანხმდა ბიძაშვილი. რაჟა სარჩიმელიას მაზრის უფროსის ეტლი **გაუჩერებია**, თურმე და ოჯახი **გაუძარცვავს**, მისი ქალებისათვის პერანგი აღარ **შეურჩენია** მამაძაღლს. (იქვე)

უნახაობის მნიშვნელობის გამოსახატავად ქართულ ენას სპეციალური ფორმები არ გააჩნია. ამ მიზნისათვის გამოიყენება ნაწილაკი „თურმე“, რომელსაც შეუძლია შეუერთდეს ნებისმიერი ზმნის ფორმას. რაც შეეხება I თურმეობითის ფორმებს, ისინი „თურმე“ ნაწილაკის გარეშეც გამოხატავენ უნახაობის მნიშვნელობას. I და II

სერიის მწკრივებს ამ ნაწილაკის გარეშე არ შეუძლიათ გადმოცენ ეს მნიშვნელობა. შეადარეთ:

ის ლექსებს **წერს თურმე.**

ის ლექსებს **წერს.**

მისმა ძმამ უნივერსიტეტი **დაამთავრა** თურმე.

მისმა ძმამ უნივერსიტეტი **დაამთავრა.**

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულ ენაში ზემოთ მითითებული ფორმების გვერდით არც თუ იშვიათად I თურმეობითის ფორმებიც გვხვდება „თურმე" ნაწილაკით, რომ არაფერი ვთქვათ II თურმეობითის ფორმებზე ინდიკატივში. მაგალითად:

თურმე მთელი ღამე არც მათ **სძინებიათ.**

წერა-კითხვა **თურმე** ახალგაზრდობაში **ესწავლა.**

ამგვარად, უნახაობის აქტი ფორმისათვის დამახასიათებელ ძირითად მნიშვნელობას არ წარმოადგენს (ქავთარაძე 1956, 184). ეს მტკიცდება ფაქტიური ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზეც, რომელიც განსაკუთრებით ბოლო წლებში გახდა კვლევის საგანი. მაშასადამე, უნახაობა, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციათაგანია თურმეობითის (I და II) მწკრივებისათვის, არ შეიძლება ჩაითვალოს ამ ფორმათა ძირითად, ინვარიანტულ მნიშვნელობად.

ყველა ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს, I თურმეობითის ფორმათა ძირითად, ინვარიანტულ მნიშვნელობად ჩავთვალოთ ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა და მასთან მიმართება, ხოლო ვარიანტულ მნიშვნელობებად — რეზულტატურობა, უნახაობა, მრავალგზისობა, დასრულებულობა და ა. შ.

ამრიგად, ქართულ ენაში წინამავლობა გრამატიკულად, ე. ი. თვით ზმნის ფორმით გამოიხატება.

ერთდროულობისა და შემდგომობის მნიშვნელობათა გადმოსაცემად ქართულ ენაში ზმნის სპეციალური ფორმები არ არის. ამ მიზნისათვის გამოიყენება ფორმები, რომელთათვის ეს მნიშვნელობები ძირითადი არაა. ასე, მაგალითად, წყვეტილის (სრული ასპექტი) ფორმები შემდგომობის მნიშვნელობას II თურმეობითის ფორმებთან შეფარდებისას იძენენ. II თურმეობითის ფორმებთან მეზობლობის გარეშე წყვეტილის მწკრივი ამ მნიშვნელობისადმი ნეიტრალურია. მაგალითად:

აღმოჩნდა, რომ ნანო თავისი დეიდაშვილის ლხინისუფლობას არასოდეს **შესწრებოდა,** მისმა მჭერმეტყველებამ გააკვირვა. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

ორი კვირის მერე პოკო ყაჩავას მოსაკლავად წავედით. ვერ მოვკალით, **მოეკლა** ვიღაცას ხუთი თუ ექვსი დღით ადრე. (იქვე)

იგივე შეიძლება ითქვას უწყვეტლის მწკრივის ფორმების შესახებაც. ისინი ერთდროულობას მხოლოდ წყვეტილის (სრული ასპექტი) ფორმებთან მეზობლობაში გამოხატავენ. მაგალითად:

სანამ გედევანი ფულს **მიხურდავებდა,** მონარდეები თამაშს **მორჩნენ** და **წამოიშალნენ.** (იქვე)

ამგვარად, ქართულ ენაში წინამავლობა გრამატიკულადაა გამოხატული. რაც შეეხება ერთდროულობასა და შემდგომობას, ისინი ქართულ ენაში გრამატიკულად არ გადმოიცემიან.

თანამედროვე ქართულ ენაში თხრობითი კილოს ფარგლებში შეიძლება გამოვყოთ რელატიური დროთა ფორმები, რომლებიც დროის რომელიმე მომენტის მიმართ წინამავლობასა და მასთან მიმართებას გამოხატავენ. ასეთი ფორმებია I და II თურმეობითი. უნდა აღვნიშნოთ, რომ I და II თურმეობითის ფორმები სხვადასხვა ტიპის წინადადებაში გამოიყენება: დამოუკიდებელში (მარტივში, რთული ქვეწყობილის მთავარ ნაწილში) და დამოკიდებულ წინადადებებში. მაგალითად:

— ასეთი საოცარი მსგავსება მხოლოდ ტყუპებისა **მინახავს.** (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

მის შემაცქერალს ხშირად **მიფიქრია,** რომ გოგია სახელდობრ ამ ატმოსფეროსათვის იყო დაბადებული. (იქვე)

დამოუკიდებელ კონსტრუქციებში უფრო I თურმეობითის მწკრივის ფორმები გამოიყენება, ვიდრე II თურმეობითისა. თანამედროვე ქართული ენის ტიპური კონტექსტების ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვეველინებინა და განგვესაზღვრა I და II თურმეობითის ინვარიანტული და ვარიანტული მნიშვნელობები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოვადგინეთ ცხრილში 9.

ცხრილი 9

I და II თურმეობითის მწკრივთა სემანტიკური პოტენციალი ქართულ ენაში

მწკრივები	მწკრივთა ვარიანტები / ფორმის ვარიანტული ნიშნები	ექსპლიციური	ინკლუზიური	მრავალგზისი	უწანაზავი	რეზულტატივი
I თურმეობითი	ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა და მასთან მიმართება	+	∓	+	+	+
II თურმეობითი	წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა და მასთან მიმართება	+	∓	+	±	+

ინგლისური ენის დროთა მიმართებისა და ქართული ენის დროთა თანამდევრობის კატეგორიათა შეპირისპირებამ გვიჩვენა, რომ ეს უკანასკნელი უფრო ფართო გამოყენებისაა. ასე, მაგალითად, თუ დროთა მიმართების კატეგორია ინგლისურ ენაში აღნიშნავს ახლანდელის, წარსულისა და მომავლის მოქმედების ან რომელიმე მომენტის წინამავალ მოქმედებას, ქართულში თანამდევრობის კატეგორია არა მარტო წინამავლობას აღნიშნავს, არამედ ერთდროულობას და შემდგომობასაც დროის რომელიმე მომენტის ან მეორე მოქმედების მიმართ (მხოლოდ წარსულში). ცხადია, ორივე ენაში გვხვდება მსგავსი ნიშნები. მაგალითად, ინგლისურში და ქართულ ენაში მოქმედება ხასიათდება როგორც 1) ძირითადი თხრობის გადმომცემი, 2) სხვა წარსული მოქმედების ერთდროული, 3) მეორე მოქმედების წინამავალი. მსგავს ნიშან-თვისებათა არსებობა ამ ენებს შორის იმას სრულად არ ნიშნავს, რომ ისინი აბსოლუტურად გვანან ერთმანეთს. ასე, მაგალითად, ინგლისურ ენაში ზმნის ფორმები ყველა შემთხვევაში უგულვებელყოფენ უნახავი აქტის მნიშვნელობას. ამიტომ უნახაობის მნიშვნელობა ინგლისურ ენაში ლექსიკურად (რთული კონსტრუქციით to say პასივში) გადმოიცემა. გარდა ამისა, წინამავლობის ნიშანი, რომელიც ქართული ზმნით გადმოიცემა, ხარისხობრივად განსხვავდება ინგლისური ზმნის მიერ გამოხატული წინამავლობისაგან — ქართულ ენაში იგი უნახავი აქტის მატარებელია.


თავი V

ზმნის არაწარსული დროის ფორმების მნიშვნელობებისა და ფუნქციობის კანონზომიერებათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

§ 1. არაწარსული დროის სემანტიკური შინაარსი

ინგლისურსა და ქართულ ენაში არაწარსულ დროს თავისი სტრუქტურითა და ფუნქციებით ცენტრალური ადგილი უჭირავს თხრობითი კილოს ზმნის დროთა სისტემაში.

ზმნის დროის კატეგორიის საფუძველი ორივე ენაში ერთი და იგივე გრამატიკული მნიშვნელობაა — ინფორმაცია მოქმედების მომენტის საუბრის მომენტთან მიმართების შესახებ. საუბრის მომენტი არაწარსული დროის ცენტრია, ის წერტილია, რომლისგანაც წარმოებს დროის ათვლა ამა თუ იმ მხარეს, მაგალითად, წარსულიდან მომავლისაკენ ან მომავლიდან წარსულისაკენ. თვით საუბრის მომენტს ნულოვანი სიგრძე კი არა აქვს, არამედ იგი წარმოადგენს მონაკვეთს, რომელიც მეტყველებაში გარკვეულ დროით ხანგრძლივობას იძენს. საუბრის მომენტის დროითი ხანგრძლივობა განაპირობებს არაწარსული დროის მიმდინარეობას. ბევრი ენათმეცნიერი გრამატიკულ ახლანდელ დროს (ტრადიციული სახელწოდება) განიხილავს, როგორც გარკვეული სიგრძის მონაკვეთს, რომელიც დროის განსაზღვრული შუალედისაგან შედგება და X-ის წინამავალია. ნიშანი X აღნიშნავს საუბრის მომენტსა და იმ დროის შუალედს, რომელიც მოსდევს X-ს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას მოქმედების ხანგრძლივობისა და დაუსრულებლობის ასპექტური მნიშვნელობა, რომელიც ე. წ. „ახლანდელ დროს“ აქვს. ამგვარად, ვღებულობთ დროით ხაზს PF (P — წარსული დროა, F — კი მომავალი), სადაც X აღნიშნავს საუბრის მომენტს, რომელიც წერტილით აღინიშნება, PP_1 — ახლანდელი დროის ხანგრძლივობაა, რომელიც ორი ნაწილისაგან PX და XP_1 შედგება (PX — მოიცავს წარსულის რაღაც მომონაკვეთს, XP_1 — კი მომავლის რომელიღაც მონაკვეთს).



როგორც ვხედავთ, არაწარსული დროის დროით პლანს შეუძლია მოიცვას როგორც საუბრის მომენტი (როგორც დროითი ღერძის წერტილი), ისე დროის განსაზღვრული მონაკვეთიც.

მაშასადამე, მოქმედება, რომელიც საუბრის მომენტს ემთხვევა, შეიძლება მთლიანად მეტყველების დროით ჩარჩოებში მიმდინარეობდეს, ან მისი საზღვრების გარეთ გადიოდეს. მაგრამ არაწარსული დროისა და საუბრის მომენტის დროითი საზღვრები უაღრესად იშვიათ შემთხვევებში ემთხვევა ერთმანეთს. ცნება „არაწარსული დრო“ მოცულობით ბევრად ფართოა, ვიდრე ცნება „საუბრის მომენტი“, თუმცა აუცილებლად მოიცავს მას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საუბრის მომენტი არაწარსულ დროში შედის, როგორც მისი რომელიღაც მონაკვეთი, მაგრამ მას მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა. ამიტომ, მცდარი ჩანს არაწარსული დროის როგორც ახლანდელი დროის ტრადიციული განმარტება, რომლის თანახმადაც იგი მოქმედების საუბრის მომენტთან ერთდროულობას აღნიშნავს. „ახლანდელის მნიშვნელობა ამ ფორმის მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელობათაგანია. ამასთან ერთად ამ კატეგორიულ ფორმას შეუძლია გამოხატოს სხვა მნიშვნელობები: განმეორებადი, ჩვეულებრივი მოქმედება, მოქმედების დროში შემოუსაზღვრელობა (ე. ი. მარადიული ჰეშმარიტებანი), მოქმედება მომავალში და ა. შ.“ (Бархударов 1975 (I), 125).

საუბრის მომენტი არაწარსული დროის პარადიგმული მნიშვნელობის განსაზღვრისას ძირითადი და ობიექტური კრიტერიუმია. თხრობითი კილოს არაწარსული დროის პარადიგმული მნიშვნელობა გამოხატავს მოქმედების საუბრის მომენტთან ერთდროულობას. ამ მხრივ უდაოდ მართალია ა. ი. ბონდარკო, რომელიც აღნიშნავს, რომ არაწარსული დროის სემანტიკური შინაარსის დომინანტის განმსაზღვრელი ნიშანი ერთდროულობის გამოხატვაა (Бондарко 1977 (2), 76). მოქმედების საუბრის მომენტთან ერთდროულობა სრულიადაც არ ნიშნავს მასთან დამთხვევას. პირიქით, იგი გულისხმობს არაწარსული დროის გავრცელების ფართო დიაპაზონს როგორც წარსულის, ისე მომავლის მიმართულებით. ამავე დროს აუცილებელი პირობა საუბრის მომენტის დროის პლანში მოქმედების გაშლაა (Хлебникова 1969, 85).


დროის სხვა ფორმებთან შედარებით არაწარსული დრო ყველაზე მეტად ხასიათდება მრავალმნიშვნელობიანობით, რაც იმითაა განპირობებული, რომ მას შეუძლია გამოხატოს ტემპორალურ მნიშვნელობათა მთელი კომპლექსი, სახელდობრ: აქტუალური, გავრცობილი, მუდმივ-უწყვეტი, მრავალგზისი (ინტერატული), ზოგადი, პროსპექტული, ისტორიული. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ არც თუ იშვიათად არაწარსული დროის

ფორმები ერთმანეთისაგან მკვეთრი საზღვრებით არ გამოიყოფა და ამიტომაც ძნელად გამოსარჩევია. მნიშვნელობათა განსაზღვრისათვის დიდ როლს სიტუაციის ხასიათი, ზმნის სემანტიკა, წინადადებაში ლექსიკურ აქტუალიზატორთა ყოფნა-არყოფნა თამაშობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისურ ენაში არაწარსული დროის კატეგორიული ფორმა ასპექტ-დროის ოთხი ფორმითაა წარმოდგენილი: Present Indefinite, Present Continuous, Present Perfect, Present Perfect Continuous. ქართულ ენაში კი უსრული ასპექტის ზმნებში არაწარსული დროის ფორმა მხოლოდ ერთი მწკრივით — აწმყოთია წარმოდგენილი.

სქემა 5

არაწარსული დროის კატეგორიული ფორმა ინგლისურ და ქართულ ენებში



ინგლისური ენის ამ ოთხ ტიპოფორმაში არაწარსული დროის კატეგორიული ფორმა გადახლართულია სხვა კატეგორიულ ფორმებთან. მაშასადამე, ეს ფორმები თხრობითი კილოს ჩარჩოებში არა მარტო მოქმედების დროზე მიუთითებენ, არამედ მისი მიმდინარეობის ხასიათზე და მიმართებაზე მეორე მოქმედებასთან ან დროის რომელიმე შემდგომ მომენტთან. ინგლისური ზმნის არაწარსული დროის ასპექტ-დროის ფორმების სემანტიკური შინაარსი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამუშავებული პრობლემათაგანია ინგლისურ ენათმეცნიერებაში. თანამედროვე ქართულ ენაში არაწარსული დროის პრობლემასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ განუსაზღვრელია მისი სემანტიკური სტრუქტურა და ფუნქციობის კანონზომიერებები, არ არის გახსნილი მისი სტილისტური შესაძლებლობები, არ არის შეს-

წავლილი მისი სემანტიკური პოტენციალი და კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციები.

რამდენადაც ყოველი მორფოლოგიური ფორმის პარადიგმული მნიშვნელობა მხოლოდ სისტემის ჩარჩოებში ვლინდება, ამიტომაც არაწარსული დროის პარადიგმული მნიშვნელობის გამოსამჟღავნებლად გავაანალიზეთ აბსოლუტურ დროთა მთელი მიკროსისტემა ინგლისურსა და ქართულ ენებში.

ამგვარად, ფაქტიური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ არაწარსული დროის პარადიგმული მნიშვნელობა ორივე ენაში (ინგლისური და ქართული) საუბრის მომენტთან მოქმედების ერთდროულობაა.

სინტაგმური მნიშვნელობები კონტექსტითაა განპირობებული. ისინი მჟღავნდება მეტყველებაში — ტექსტში. სინტაგმური მნიშვნელობების გამოვლენას დიდი ღირებულება აქვს, რადგანაც არაწარსული დროის სემანტიკურ შინაარსს ისინი მეტყველების დონეზე აელენენ და ამით მოცემული დროის ფორმის პოლისემანტიზმის თვალსაჩინო ილუსტრირებას ახდენენ გამოხატულების პლანში.

ორმხრივ შეპირისპირებაზე დაყრდნობით, ჩვენ შევეცადეთ გამოგვევლინა ის, რაც სპეციფიურია ყოველ ცალკე აღებულ საანალიზო ენაში ტემპორალობის სფეროსათვის. შესაფერისი ენობრივი მასალის და კვლევის მეთოდის შერჩევით დაგვედგინა სემანტიკურ შესატყვისობათა ძირითადი ტიპები ინგლისურსა და ქართულ ენებში.

მომდევნო თავებში ძირითადი ყურადღება დროთა ფორმების სემანტიკური შინაარსის ანალიზს ეთმობა, რომელსაც ესა თუ ის დიფერენციალური ნიშანი აქვს. მათში წარმოდგენილია ფორმის ყველა გასაანალიზებელი მნიშვნელობა, რომელიც მათს მეტყველებაში ფუნქციობისას წარმოიშვება: ძირითადი (პირველადი), კერძო (მეორადი), სხვა დროით პლანში ასპექტურ შემთხვევათა ტრანსპოზიცია. შეპირისპირების საფუძველზე დგინდება ინგლისურსა და ქართულ ენებში ტიპოლოგიური მსგავსება-განსხვავებანი ტემპორალურ-ასპექტურ მიმართებათა გამოხატვის სისტემებს შორის.

§ 2. ახლანდელი განუსაზღვრელის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები

1. აქტუალური ახლანდელი განუსაზღვრელი

აქტუალური ახლანდელი განუსაზღვრელი ისეთ მოქმედებას (ან მდგომარეობას) გამოხატავს, რომელიც უშუალოდ საუბრის მომენტს განეკუთვნება, როცა მოქმედების (ან მდგომარეობის) მხოლოდ კონსტატაცია ხდება და არაა განვითარებაში წარმოდგენილი. იგი შეიძ-

ლება მეტყველების სიტუაციამდე დაიწყოს და გაგრძელდეს მომავალში. მაგალითად:

'How **do** you **feel**, Tommy?' Rudolph asked.

'Okay. But I'll piss blood tomorrow.' Thomas said **calmly**.
(I. Shaw, Rich Man, Poor Man)

'What **do** you **say**, Roy?' Zel added quickly.

'I suppose we ought to trap hard and fast,' he said.
(J. Aldridge, The Hunter)

Caldwell **holds** the reciever out to Peter. 'Your mother **wants** to talk to you.' (J. Updike, The Centaur)

'Don't make bargains with your mother. Everything always ends that way between you. I **advise** to go now.' (L. Hellman, The Autumn Garden)

მოცემულ მაგალითებში ახლანდელი განუსაზღვრელით გადმოცემული ყველა მოქმედება კონკრეტულია, აქტუალურია, სრულდება იმ მომენტში, როცა ლაპარაკობენ. კონტექსტი ამ შემთხვევაში არ მიუთითებს გამოყოფილ მოქმედებათა დროის განფენას წინა ან მომდევნო პერიოდებზე, თუმცა არც ის გამოირიცხება, რომ ახლანდელი განუსაზღვრელი აქტუალურით გადმოცემული მოქმედება შეიძლება დაწყებული იყოს საუბრის მომენტამდე და გრძელდებოდეს მომავალშიც. კონტექსტს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მთელი ყურადღება მიპყრობილია იმ მოვლენებზე, რომლებიც საუბრის მომენტში სრულდება.

აქტუალური ახლანდელი განუსაზღვრელის ვარიანტულ მნიშვნელობაში ჩვენ გამოვყოფთ შემდეგ სემებს: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში, 2) მოქმედების ერთგზისობა, 3) მოქმედების დროში ლოკალიზება.

პირველი სემის რეალიზაცია ხდება ტემპორალურად ნეიტრალურ კონტექსტში, მისი რეალიზაციისათვის არ არის საჭირო ხელსაყრელი კონტექსტი (Шендельс 1970, 27) ან სამეტყველო სიტუაცია.

ბოლო (3) სემის რეალიზაციისათვის საჭიროა ხელსაყრელი კონტექსტი: ა) ბრძანებითი კილოს ფორმა, რომელიც მომდევნო მოქმედების სიტუაციას ამზადებს, რომელიც მოლაპარაკის ან მსმენელის თვალწინ მიმდინარეობს (იხ. მაგალითი 1); ბ) დროის ან სივრცის აღმნიშვნელი გარემოებითი სიტყვები, კერძოდ კი „ახლა", „აქ" და ა. შ. ტიპისა, რომლებიც მოქმედების ლოკალიზებას ახდენენ დროის კონტინუუმში (იხ. მაგალითი 4); გ) მეტყველების სიტუაცია (იხ. მაგალი-

თი 3); დ) ახლანდელ განგრძობით ფორმასთან მეზობლობა (იხ. მაგალითი 2).

ქართულ ენაში ამ მნიშვნელობით აწმყოს მწკრივი გვხვდება. მაგალითად:

'How do you feel, sergeant?

'How the hell I supposed to feel?'

'Different,' Culpepper grinned. (J. Jones, From Here to Eternity)

— თავს როგორ **გრძნობთ?** — გაიმეორა კითხვა ექთანმა.

— კოსმონავტივით (ნ. დუმბაძე, მარადისობის კანონი)

'Look, the sun is out. (I. Stone, The Passionate Journey)

— მამიდაჩემი რას შვრება, სერაპიონ ჩემო?

— რას იზამს... კარგადაა. შეხე... აგერ თავადაც **მოდის**.

(დ. კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი)

'The crillion! Where all the visiting royalty stays! If you' re not careful, you're going to be president of the United States! I can see the title on the cover of the book right now'.

'What do you say, Marty?' (I. Stone, The Passionate Journey).

— ჰო, ქალს თხოულობს შენი სიმამრი და შენ იცი კირილე, რავა მოულხენ!

— **ხუმრობ** თუ მართალს **ამბობ**, პლატონ? — გაკვირვებით შეეკითხა კირილე.

— შენ ნუ მომიკვდები, მართალს **ვამბობ**. (დ. კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი)

'Where do you go now?'

'No place. I'm on the road?' Wesley said.

'What brings you here?' (I. Shaw, Beggarman, Thief).

— სად **მიდიხართ**, დათა ბიძია! — გულუბრყვილობამ მათქმევინა.

— ბოსტანი მაქვს გასამარგლი — თუთაშხიას გაეცინა. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ამ მნიშვნელობათა რეალიზაციაზე მოქმედებს როგორც შინაგანი ლექსიკური განპირობებულობა ისე გარეგანი ფაქტორები — ლექსიკური, გრამატიკული და მათი კომბინაცია. ორივე ენაში ამ მნიშვნელობის გამოსახატავად საკმარისია მხოლოდ მიკროკონტექსტი, რომელსაც, თავის მხრივ, წინა უფრო ფართო კონტექსტი და მეტყველების სიტუაცია ამზადებს. ხელსაყრელი კონტექსტი — ბრძანებითი კილოს ფორმა კი განაპირობებს შემდგომი კონკრეტული მოქმედების სიტუაციას (მაგალითი 2). პირდაპირი ნათქვამიც ხელს უწყობს ამ სინტაგმური მნიშვნელობის გამოვლენას.

აქტუალობის, კონკრეტულობის მნიშვნელობა ორივე ენაში შეიძლება აღინიშნოს ლექსიკური აქტუალიზატორებით now, at this moment, at present და ა. შ. ქართულში შესაბამისად: „ახლა," „ამ წუთში," „ამჟამად" და ა. შ. აქ სახეზეა გარეგანი ლექსიკური განპირობებულობა (მაგალითი 4).

უნდა აღვნიშნოთ, რომ now-ს და „ახლას" დროით მნიშვნელობას საკმაოდ ზოგადი ხასიათი აქვს. ასე, მაგალითად, ეს დეიქსისები მიუთითებენ ახლანდელი დროის სფეროზე, უფრო ზუსტად მოქმედების ახლანდელთან ერთდროულობაზე. მაგრამ ახლანდელი დროის საზღვრები მოძრავია. ისინი შეიძლება დაემთხვენ საუბრის მომენტს და შეიძლება არ დაემთხვენ მას, გადაიზიმონ უსაზღვროდ. განვიხილოთ რამდენიმე წინადადება, რომელშიც წარმოდგენილია ლექსიკური აქტუალიზატორი — now და მისი შესატყვისი „ახლა". მაგალითად:

'It's **now** a quarter to nine. (A. Christie, The Pale Hose)

— დრო! — თქვა ბაჩანამ

— დილის ცხრა საათია **ახლა** (ნ. დუმბაძე, მარადისობის კანონი)

'I know. I **look** like the devil **now**. I'll shave in the boiler room over at school. Heller has a razor. (J. Updike, The Centaur).

— რა სასასაცილოდ **გამოიყურები ახლა**. (ნ. დუმბაძე, მე ვხედავ მზეს).

'What is it a lie? **Now** you're **talking** riddles like Jamie. (E. O'Neill, Long Day's Journey into Night).

— ეს ოხრის შვილები, თავი ნუ მომიკვდება, **ახლა დახდევენ** ვახშმისთვის ქათამს. სად იყვნენ აქამდის! (დ. კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი)

'I haven't changed any. I'm the same Martin Eden, though for that matter I'm a bit worse — I **smoke now**. (J. London, Martin Eden).

— ახლა სოფელ-სოფელ **დადის** და წიგნებს **ჰყიდის**. (ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია)

'There are enough millions of mediocre paintings already in the world. I want to produce only I know is my best, **I've been trying** for over two years **now** and **haven't painted** even one good canvas'. (I. Stone, The Passionate Journey).

როგორც ვხედავთ, ზმნიზედები now და „ახლა" არა მარტო სემანტიკურად ემთხვევა ერთმანეთს, არამედ ერთნაირად ფუნქციობს. ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში, ისინი საკუთარი სისტემური მნიშვნელობის „მოქმედების საუბრის მომენტთან ერთდროულობის"

აქტუალიზაციას ახდენენ. ეს უკანასკნელი კი შეიძლება განვიხილოთ როგორც განზოგადებული დეიქსისური ნიშნის „საუბრის მომენტთან სიახლოვის" მოდიფიკაცია. მაგრამ დროში სამეტყველო აქტის მომენტთან დამთხვევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა სიდიდის დროის მონაკვეთზე ვრცელდება. ასე, მაგალითად, პირველ წინადადებაში ახლანდელის საზღვრები ზუსტადაა განსაზღვრული. ამას განაპირობებს თვით წინადადების კონტექსტი. მეორე და მესამე მაგალითებში ახლანდელის სფერო თითქმის ემთხვევა საუბრის მომენტს, თუმცა ზუსტი არაა. დროთა კოორდინაციის ასეთი გაგება განპირობებულია ზმნის ფორმის ახლანდელ განგრძობითში გამოყენებით (are talking). მეოთხე და მეხუთე მაგალითებში now და „ახლა" აღნიშნავენ „ახლანდელს" ფართო გაგებით, ეგრეთ წოდებული „გავრცობილი აწმყო". მეხუთე მაგალითში კი პერიოდის განგრძნობა გამოხატულია ექსპლიციტურად — over two years.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ზემოთ წარმოდგენილ მაგალითში ზმნიზედა now და მისი შესატყვისი „ახლა" თავისი პირველადი ფუნქციით გვხვდება, გამონათქვამს საუბრის აქტუალურ მომენტს განაკუთვნებს. მაგრამ ირიბ და არასაკუთრივ პირდაპირ მეტყველებაში, თხრობისას, ორივე ენაში დეიქსისური სიტყვები მეორადი ფუნქციით გვხვდება, რომელიც პირველადი ფუნქციებისაგან განსხვავებით „მეტაფორული გადატანის საფუძველზე ვითარდება. უშუალო საუბრის სიტუაციის ნიშნები გადადის ყველა შესაძლებელ სიტუაციებში" (Степанов 1975, 284). მაგალითად:

'Susan's face was set very hard, she didn't look like a schoolgirl now, but more like one of those female magistrates who are always sending someone to jail. (J. Braine, Room at the Top)

— **ახლა** ეს ქათმის დევნა მეორე ყურედან **მოისმოდა**. არისტო წამოდგა და კოჭლობით მაინც ცხენისკენ წავიდა. (დ. კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი).

He was in a real hurry now, for he knew where he was going. (J. Aldridge, The Hunter)

იმ დღეებზე სხვა დროსაც მიფიქრია, განა არა, მაგრამ **ახლა** ეს ფიქრი შემაჯამებელი ფიქრი **იყო**. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

ამ წინადადებებში ზმნიზედა now და მისი შესატყვისი „ახლა" გამოიყენება მეორადი ფუნქციით წარსული დროის კონტექსტში. ისინი მოქმედებებს, რომლებიც აღსაწერი მოვლენის ათვლის წერტილებია, განაკუთვნებენ წარსულის რომელიმე მომენტს. ხდება

დროთა კოორდინაციის ცენტრის აღრევა (შდრ. Lyons 1977, 677; Fillmore 1972, 19).

ძალიან ხშირად ინგლისურ ენაში now ეხამება just-ს. წარსულ დროში შეხამება just now მიუთითებს მოქმედების „უშუალო წინამავლობას" საუბრის მომენტისადმი და აღნიშნავს დროს, რომელიც საუბრის მომენტის „თითქმის" ერთდროულია. მაგალითად:

Later, if his oil paintings clarified itself he might not be able to go along with his father, but **just now** he felt suspended. (I. Stone, The Passionate Journey).

'I was so lonesome I kept Cathleen with me **just now** to have someone to talk to. (E. O'Neill, Long Day's Journey into Night)

ახლანდელი დროის კონტექსტში კი just now ათვლის წერტილის მიმართ ერთდროულობის მნიშვნელობას გადმოცემს. მაგალითად:

'The part she **is playing just now** doesn't take it out of her. (W. S. Maugham, Theatre)

'I **don't feel** nervous **just now**. (E. O'Neill, Long Day's Journey into Night)

ქართულ ენაში just now-ს შეესატყვისება „ახლავე", „ამ წუთში". მაგალითად:

— და, აი, **ახლა ამ წუთში**... მე რომ ისევ ბედნიერად **ვგრძნობ** თავს, აქვე მინდა მადლობა შემოგწირო. (დ. კლდიაშვილი, მოთხრობები)

— სად **მიხვალ?** სად წამიხვალ?

— გამიშვი გეუბნები! ხელი გამიშვი! ბიჭო, ნიკა, კარი გააღე **ახლავე**... **გესმის**, ბიჭო! (იქვე).

ამრიგად, ზმნიზედის now-სა და მისი შესატყვისის „ახლა" სტატუსს ამ სიტყვების ფუნქციობის ანალიზი გვიჩვენებს სამეტყველო ჯაჭვში. მათი სემანტიკა შესაბამისად აქტუალურ საუბრის მომენტზეა ორიენტირებული.

აქტუალური ახლანდელი მხატვრულ ტექსტში ორივე ენაში სტილისტურად ნეიტრალურია. ამ მნიშვნელობით ეს ფორმები ფუნქციობს როგორც ინგლისურში, ისე ქართულ ენაშიც, უმთავრესად სასაუბრო მეტყველებაში. მხატვრულ ლიტერატურაში ისინი ყველაზე ხშირად დრამატურგიაში — ავტორის რემარკებში გვხვდება, პროზაში კი — დიალოგში.

ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმებში, რომლებიც საუბრის მომენტთან ერთდროულობას აღნიშნავენ, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც მოქმედების ლოკალიზება-არალოკალიზების ნიშნისადმი ნეიტრალურებია.

ახლანდელი განუსაზღვრელი ამ მნიშვნელობით გვხვდება დრამატურგიაში. მაგალითად:

Griggs: (To the boy) Good morning.

Mrs. Eliss: Your wife's getting ready to flirt. You'd be safe in church with me. (She exists. Griggs laughs. He goes to coffee urn).

Rose: (Meaning Mrs. Eliss) Nasty old thing. I'm driving over to see him. I'm sorry I had to make such a decision, but I felt it was necessary now.

Griggs: Are you talking about your brother?

Rose: Yes, of course. Now it will be bad for you, Ben, but since you're being so stubborn, I didn't know what else to do. You know how much influence he has in Washington.

Griggs: (Turns carefully) Tell him to use his influence and tell him to go to hell (L. Hellman. The Autumn Garden).

ზურა. (ადგილს უთმობს) მოდი, დაჯექ... ძალიან წვიმს?

ნუცკია: (უახლოვდება ბუხარს, თბება) წვიმს რომელია, ზეცა წყლად იქცა სულ, ხევი მოდიდდა, ვეღარ გავასწარ შინ, აქეთ შემოვრჩი თქვენს უბანში! (იშრობს კაბას).

თორნიკე: რა უშავს, შვილო, ღვთის წყალობით სახლში ჯერ წვიმა არ ჩამოგვდის, საწოლიცა გვაქვს შენთვის, აქ დაისვენე, დილამდე წყალიც ჩამოდგება.

ზურა: სად იყავი?

ნუცკია. კოლექტივის გამგეობის კრებაზე ვიყავი.

ზურა: რაო, რა თქვეს, რა დაადგინეს?

ნუცკია: აბა, რა ვიცი... ჯავრობენ სულ, მუშახელი არ გვყოფნისო. (მ. მრევლიშვილი, ხარატაანთ კერა)

ახლანდელ განუსაზღვრელს დიდი გამოყენება აქვს მნიშვნელობით, რომელიც მოქმედების საუბრის მომენტთან ერთდროულობას ალნიშნავს. როგორც წესი, იგი გამოიყენება დრამატულ ნაწარმოებში (ავტორთა რემარკებში). ენათმეცნიერები ამ ფორმას უწოდებენ ახლანდელ სცენიურს — praesens scenicum. მაგალითად:

Mary: (tensely) Why do you stare like that?

Jamie: You know. (He turns back to the window).

Mary: I don't know.

Jamie: Oh, for God's sake, do you think you can fool me, Mama? I'm not blind.

Mary: (Looks directly at him now, her face set again in an expression of blank, stubborn denial) I don't know what you're talking about.

Jamie: No? Take a look at your eyes in the mirror! (E. O'Neill, Long Day's Journey into Night).

(ეზოში შემოდის კოხტა)

კოხტა: ეფროსინე ბიცოლა, ჭრიჭინა შინაა?

ნიკიფორე: (დგება) არ მყავს მე აქ ჭრიჭინები, გესმის, ჭრიჭინა და კალია მინდორში ეძებე.

კოხტა: მე თქვენს ქალიშვილს ვკითხულობ.

ნიკიფორე: ჩემს ქალიშვილს სახელი აქვს. მარინე ჰქვია (მ. ბარათაშვილი. ჭრიჭინა)

უნდა აღენიშნოთ, რომ ძალიან ხშირად ამ მნიშვნელობით ახლანდელი განუსაზღვრელი პარალელურად როგორც პერსონაჟთა რეპლიკებში, ისე ავტორის რემარკებში გამოიყენება, რაც მოქმედების საუბრის მომენტთან ერთდროულობაზე მეტყველებს. ამ ფუნქციით ინგლისურ ენაში გვხვდება აგრეთვე მეორე ფორმაც — ახლანდელი განგრძობითი. მაგალითად:

Mary: (Ignoring this) Good heavens, are they going to stay in the dining-room all day? (She goes to the back part or doorway and calls) Jamie, Edmund! Come in the Living room and give Cathleen a chance to clear the table.

(Edmund calls back, 'We are coming, Mama'. She goes back to the table. They are coming) (E. O'Neill, Long day's Journey into Night)

ჭრიჭინა: ძია ირაკლის ოჯახშიც ჭრიჭინას მეძახიან. ინსტიტუტში კი მეც ისე, როგორც შენ, მერქმევა მარინე ნიკიფორეს ასული ფერაძე. (ისმის კოხტას სიმღერა).

მარინე: (ყურს უგდებს) ვინ მღერის?

ჭრიჭინა: კოხტაა. ყოველ საღამოს ასე მყარაულობს.

მარინე: უთხარი პირდაპირ, რომ არ გიყვარს.

ჭრიჭინა: რამდენიც გინდა უთხარი (იცინის). არა, რომ ვუყვარდე, კიდევ ჰო.

მარინე: რატომ გგონია, რომ არ უყვარხარ?

ჭრიჭინა: ვისაც უყვარს, საქვეყნოდ არ ყვირის. (ისმის ქალის სიცილი)

მარინე: ვინ იცინის?

ჭრიჭინა. მაყვალა კაბას მიკერავს. ძველით ხომ ვერ წავალ თბილისში. (მ. ბარათაშვილი. ჭრიჭინა)

აწმყო განუსაზღვრელი, რომელიც მოქმედების საუბრის მომენტთან ერთდროულობას აღნიშნავს. ფართოდ გამოიყენება რეპორტაჟებში. რომლებიც უშუალოდ შემთხვევის ადგილიდან გადმოიცემა. ისინი, ჩვეულებრივ რადიოთი ან ტელევიზიით გადმოიცემა. ესაა ეგრეთ წოდებული „რეპორტაჟის აწმყო." მაგალითად:

'Good evening,' came the stewardess sprightly voice over the public address system. 'The Maple Leaf Air Charter Company **welcomes** aboard its new passengers to flight 714. We **hope** you enjoy your flight. Please fasten your safety belts. We take off in a few moments. (A. Hailey, Runway Zero-Eight)

მერე თვითმფრინავი ნელა აიწია მაღლა. მერე სტიუარდესას ხმა შემოესმა:

თვითმფრინავი რვა ათასი მეტრის სიმაღლეზე **მიფრინავს.** საათში შვიდასი კილომეტრის სიჩქარით. თვითმფრინავში ტემპერატურა ნორმალურია, გარეთ კი... (თ. ჭილაძე, აჰა, მიიწურა ზამთარი)

ზოგჯერ რეპორტაჟი რომელიმე მოვლენაზე შეიძლება გადმოიცეს როგორც უკვე წარსული მოვლენა. ამ შემთხვევაში „ახლანდელი რეპორტაჟის" ფორმები გადადის „ახლანდელი ისტორიულის" სიბრტყეში (ამის შესახებ შემდეგ გვექნება ლაპარაკი, იხ. ისტორიული აწმყო).

მხატვრულ ლიტერატურაში რეპორტაჟი კომუნიკაციურ ფუნქციასთან ერთად ესთეტიკურსაც ასრულებს. ამ ფუნქციით როგორც ახლანდელი განუსაზღვრელის, ისე ახლანდელი განგრძობითის ფორმები იხმარება, ქართულში კი აწმყოს მწკრივი. „ახლანდელის რეპორტაჟი" შედის დრამატიული ნაწარმოებების შესავალ რემარკებში (ავტორის მეტყველება). ინგლისურ ენაში ამ მიზნით არა მხოლოდ ახლანდელი განუსაზღვრელი გვხვდება, არამედ ახლანდელი განგრძობითიც. მაგალითად:

At Rise: Nick **is lying** on the couch. Next to him on the floor, **is** an empty champagne glass. On the table, in a silver cooler, **is a** bottle of champagne. Constance **is sitting** at the table playing solitaire and **humming** to the record on the photograph. On the porch, Sophie **is reading** to Mrs. Mary Eliss. (L. Hellman, The Autumn Garden)

ოთახი ხარატაანთ სახლში. უკან დიდი ბუხარი. ბუხარში ცეცხლი **ანთია.** ოთახის მორთულობა სადაა. კედლებზე დატანებული განჯინები მოჩუქურთმებული კარებით. გრძელი ტახტები ლოგინებით და მუთაქებით. კედლებზე ხალიჩები. ერთ-ერთ საწოლთან კედელზე ჯარისკაცის სურათი **ჰკიდია.** ოთახს ორი კარი **აქვს** მარჯვნივ და მარცხნივ. საღამო ხანია. პაპა თორნიკე და ზურია ხარატელი ბუხრის წინ ტაბლას **მიჯდომიან** და **სდუმან.** ზურია ცეცხლს **შეჰყურებს,** თორნიკე პაპა ტაბლას. მართა ოთახში **ფუსფუსებს.** ნატო ტახტზე ნახევრად წამოწოლილია და უძრავად ერთ წერტილს **დასჩერებია.** (მ. მრევლიშვილი, ხარატაანთ კერა)

ტექსტების შედარებისას ნათელია, რომ აღწერა ინგლისურ და ქართულ ენაში ერთი ტიპისაა. ორივეგან რეპორტაჟია. ქართულ ენაში აღწერისათვის გამოიყენება მხოლოდ აწმყოს მწკრივი, ინგლისურ ენაში კი როგორც ახლანდელი განუსაზღვრელის, ისე ახლანდელი განგრძობითის ფორმები (ძირითადად მაინც ახლანდელი განუსაზღვრელის). მაგალითად:

It's around a quarter to one. No sunlight comes into the room now through the windows at right. Outside the day is still fine but increasingly sultry, with a faint haziness in the air which softens the glare of the sun.

Edmund sits in the armchair at left of table, reading a book. Or rather he is trying to concentrate on it but cannot. He seems to be listening for some sound from upstairs, his manner is nervously apprehensive and he looks more sickly than in the previous act. The second girl, Cathleen, enters from the back parlor. She carries a tray on which is a bottle of bonded Bourbon, several whiskey glasses, and a pitcher of ice water. She is a buxom Irish peasant, in her early twenties, with a red-cheeked comely face, black hair and blue eyes — amiable, ignorant, clumsy. She puts the tray on the table. Edmund pretends to be so absorbed in his book he does not notice her, but she ignores this. (E. O'Neill, Long Day's Journey into Night).

ავტორი ირჩევს ისეთ ფორმას, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს ძირითადი მოვლენები გამოხატოს ისე, თითქოს ისინი მისი და მკითხველის თვალწინ ხდება. ახლანდელი განუსაზღვრელი გამოიყენება იმისთვის, რომ გადმოცეს მოქმედება, რომელსაც რაღაც შემოსაზღვრულობა აქვს, ახლანდელი განგრძობითი კი ისეთი მოქმედებების აღსაწერად გამოიყენება, რომლებიც მიმდინარეობს, უზღვრადია. თეატრალურ რემარკებში ახლანდელი განუსაზღვრელისა და ახლანდელი განგრძობითის პარალელური გამოყენება ამ ფორმათა სინონიმურობაზე მეტყველებს. ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმა ინგლისურ ენაში ამ ფუნქციით ძალიან ხშირად გამოიყენება რეპორტაჟებში, რომელიც პერიოდულ პრესაში ქვეყნდება. ქართულში მისი შესატყვისი აწმყოს მწკრივია. მაგალითად:

The Parisian critics wrote long articles about the emergence of a ,"new American out—of—door—school", naming John Noble its leader:

The most individual work being done today is that of John Noble. He paints in a low key with wonderful strength and

solidity of color. What is most noticiable is atmospheric quality of his work. He is a new clorist of unusual depth and individuality. There is no one painting today that catches so vividly and with a sense of eternal life the out of door; the sea with the hills overlooking it, the white sandy beaches against the powdery blue sky and the powdery yellow sun. (I. Stone, The Passionate Journey)

ქართულმა პრესამ დიდი შეფასება მისცა პიესას:

„პიესის ღირსება ის **არის**, რომ ბრძოლა დადებითსა და უარყოფითს შორის სცენაზე **ხდება** და არა კულისებში, რომ ეს ბრძოლა გამარტივებული კი არ **არის** და ცარიელი სიტყვების კორიანტელს კი არ **გულისხმობს**, არამედ რთული, ღრმა საზოგადოებრივი აზრითაა **დატვირთული** და **ეყრდნობა** ბრძოლის გარკვეულ, ცხოვრებაში არსებულ, მაყურებლისათვის ნაცნობ ფორმებსა და ტენდენციებს".

(რ. თაბუკაშვილი, რაიკომის მდივანი)

ახლანდელი განუსაზღვრელი აქტუალურის ვარიანტია გავრცობილი ახლანდელი, რომელიც გამოხატავს მოქმედებას, რომელიც საუბრის მომენტში სრულდება, მაგრამ შემოუსაზღვრელია, იგი დროის ფართო მონაკვეთს მოიცავს და ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მარცხნივ და მარჯვნივ იშლება. (ლაპარაკია მოქმედებაზე, რომელიც დრო და დრო და არა შეუწყვეტლივ სრულდება. მოქმედების დროში ლოკალიზაცია არ არის ცხადი). მაგალითად:

Now, with all this bare second -stand timber the water **can** race straight into the lake, taking this sediment with it and running higher temperatures. (J. Aldridge, The Hunter)

— **ახლა** თქვენ ბევრი ძილი და დასვენება **გჭირდებათ**. საღამოს პროფესორი გეახლებათ. ახლა კი დაისვენეთ, ბევრი არ ილაპარაკოთ და არ გაინძრეთ. (ნ. დუმბაძე, მარადისობის კანონი)

'I still believe that Herbert Spencer was a great and noble man.' (J. London, Martin Eden)

— მამიდა ეკვირინეს ვახლავარ! რავა მშვიდობით გიკითხო, ხომ **ისევ** ჯანზე **ხარ**, ა? გეტყობა, რომ **ისევ** მარჯვედა **ხარ!** — მხიარულად გადმოძახა ცხენოსანმა ეკვირინეს. (დ. კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი)

He. **sits** like that **all day**, every day, never saying anything. I don't know if he'll talk to you. He doesn't talk to anyone else.' (I. Shaw, Rich Man, Poor Man)

— ასეთი ხაჭაპურები იცის, საცოდავმა ელენემ, ჩემმა დამ, — თქვა დათა თუთაშხიამ და დასძინა: **რამდენი ხანია ვზივარ** და ერთხელაც

არ მოსულა აქ, რაღაც არის მის თავს, ნამდვილია ეს. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

'She cries all the time, more than twenty years.' said Eben. 'Don't pay any attention to her, she cries at parades, rock music'. (J. Cheever, Falconer)

— როგორ გეკადრებათ, ბატონო. **ოცდაათი წელია აქ ვმსახურებ** და ჯერ არავითარი თაგვი არ შემხვედრია. (ნ. დუმბაძე, მარადისობის კანონი)

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმას ამ მნიშვნელობით ქართულ ენაში აწმყოს მწკრივი შეესატყვისება.

2. მრავალგზისი აწმყო განუსაზღვრელი

მრავალგზისი აწმყო განუსაზღვრელი გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ახლანდელი დროის რაღაც მონაკვეთში რეგულარული, სისტემატური ან არარეგულარული განმეორების შედეგად გადადის ჩვევაში.

მრავალგზისი ახლანდელი განუსაზღვრელის ვარიანტული მნიშვნელობა ინგლისურში რეალური სინამდვილის ჩვეულებრივ განმეორებად მოქმედებას გამოხატავს და გადმოიცემა ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმით. აქ არაგანგრძობითი ასპექტი შემოუსაზღვრელ-მრავალგზისი მნიშვნელობით გამოდის. მაგალითად:

'Of course she does, Dani. But love alone **doesn't keep** a mother from making mistakes **sometimes**.' (H. Robbins, Where Love Has Gone).

'I got the money. I **always save** out enough for a big one at the end of the month. I **always make** my best one then, when there's nobody much ←→ in town. (J. Jones, from Here to Eteornity)

'Do you **go** to the beach **often?"**

'Beach? What beach?'

'Waikiki Beach'.

'Oh, there. Yes all the time. Every day if I can make It. I love it.' (i b i d.)

'This is the one thing I know about. She'll never open her mouth to anybody.' He grinned at Mosca. 'She'll never forget that stripe she **wears** on her back.' (M. Puzo, The Dark Arena)

მრავალგზისი ახლანდელი განუსაზღვრელისთვის შემდეგი სემებია რელევანტური: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა პერიოდში, რომლის დროსაც შესაძლებელია მოქმედების განმეორება, 2) მოქმედების მრავალგზისობა, 3) მოქმედების დროში არალოკალიზება.

მრავალგზისი მოქმედების რეალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობებია საჭირო, სახელდობრ კი, ლექსიკური საშუალებები, რომლებიც მოქმედების განმეორებას, მრავალგზისობას აღნიშნავს (გარეგანი ლექსიკური განპირობებულობა, იხ. მაგალითები 1, 2, 3)

მოქმედების იტერატულობაზე ძალიან ხშირად თვით ზმნის ლექსიკური მნიშვნელობაც (იხ. მაგალითი 4) მიუთითებს, რომელიც განმეორებად, ჩვეულებრივ მოქმედებას (შინაგანი ლექსიკური განპირობება) გადმოსცემს.

ფაქტიური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მრავალგზისობის მნიშვნელობა ინგლისურსა და ქართულ ენებში შემდეგნაირად გადმოიცემა:

'You **ask** me this about **twenty times**.' (J. Salinger, The Catcher in the Rye).

— გამარჯობათ, დეიდა მაკა...

— უი, დამეფსოს თვალები, **მეასეჯერ გხვდები** დღეს და ახლა მეუბნები გამარჯობას. (ნ. დუმბაძე, მე, ბებია, ილიკო და ილარიონი).

'We all **go** out there almost **every day**.' said Lt Ross. (J. Jones, From Here to Eternity).

— ელიზბარმა თქვენთან მიტომ მომასწავლა, რომ რასაც თქვენ **ყიდულობთ დღე ცისმარე**, იმის ყიდვა მინდა მეც. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

'Why **do you always look at** things with such dreadful practical eyes?' she interrupted.

'Because I've been studying evolution, I guess.' (J. London, Martin Eden).

— ტაქსით წავიდეთ — თქვა დავითმა. მერე გაიცინა. — აქედან **ყოველთვის** ტაქსით მივდივარ **ხოლმე**, როცა ვბრუნდები ავტობუსით. (თ. ჭილაძე, აჰა, მიიწურა ზამთარი)

'They **wear** those silk suits and they kiss your ass because you're power movie man and so you think they are great doctors.' (M. Puzo, The Godfather)

— ჩვენთან რატომ არ **დადიხარ**, სოსოია?... **ყველგან დადიხარ, ყველას ეხმარები**. (ნ. დუმბაძე, მე ვხედავ მზეს).

როგორც წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, ახლანდელ განუსაზღვრელს მრავალგზისი მნიშვნელობით ქართულში შეესატყვისება აწმყოს მწკრივი. ორივე ენაში ამ მნიშვნელობის გადმოცემისას გადამწყვეტ როლს ლექსიკური აქტუალიზატორები თამაშობს, თუმცა ბევრჯერ ამ მნიშვნელობის გამოხატვა ორივე ენაში ზმნის სემანტიკაზედაც არის დამოკიდებული.

3. მუდმივი ახლანდელი განუსაზღვრელი

მუდმივი ახლანდელი განუსაზღვრელი, რომელიც განპირობებულია არაგანგრძობითი ასპექტის მუდმივ-უწყვეტი მნიშვნელობით, გამოხატავს უწყვეტ, შემოუსაზღვრელ მოქმედებას, რომელიც ახლანდელი დროის მთელ პლანს, მათ შორის საუბრის მომენტსაც მოიცავს, და იგი განზოგადებულ მოქმედებაში არ გადადის. ასეთ შემთხვევაში მოქმედება დროში არალოკალიზებულია, თუმცა არც მისი საუბრის მომენტთან დამთხვევა არ გამოირიცხება. მაგალითად:

'And Love set the Universe in motion. All things that exist are her children — sun, moon, stars, the earth with its mountains and rivers, its trees, herbs, and living creatures.' (J. Updike, The Centaur)

Warwick, the kings—maker, rests there, careless now about such trivial things as earthly kings and earthly kingdom. (J. K. Jerome, Three Men in a Boat)

In case you don't live in New York, the Wicker Bar is in this sort of swanky hotel, the Seton Hotel. (J. D. Salinger. The Catcher in the Rye)

მუდმივი ახლანდელი განუსაზღვრელი შემდეგი სემანტიკით ხასიათდება: 1) ვექტორულ ნულზე არა ორიენტირებით, თუმცა იგი მოქმედების ზოგად განფენილობაშია ჩართული, 2) ერთგზისი მოქმედებით, 3) მრავალგზისი მოქმედებით, 4) მოქმედების დროში არალოკალიზებით.

როგორც ვხედავთ, მოქმედება მიმდინარეობს საუბრის მომენტამდე, საუბრის მომენტის დროს და მის შემდეგაც მუდმივად. ამ მნიშვნელობის სახელწოდებაც აქედან გამომდინარეობს — ახლანდელი მუდმივი. ეს მნიშვნელობა ყველაზე ხშირად მდგომარეობის, დამოკიდებულების და ა. შ. აღმნიშვნელი ზმნების ლექსიკო-სემანტიკურ ჯგუფებთან ხორციელდება.

ინგლისური ენის ახლანდელ განუსაზღვრელს ამ მნიშვნელობით ქართულში შეესატყვისება აწმყოს მწკრივი. მაგალითად:

'What? How is the car?'

'The car, believe it or not, is fixed. I don't know how Hummel does it: he's what you call a master of his trade. He treats me well all my life.' (J. Updike, The Centaur)

— თეატრში სულ უშნო ქალების როლებს **მაძლევენ**, — თქვა ცოტა ხნის მერე ნინიკომ, — ორსიტყვიან როლებს, შემოვდივარ, რაღაცას სულელურს ვამბობ და მაშინვე გავდივარ. (თ. ჯილაძე, აჰა, მიიწურა ზამთარი).

ამ მნიშვნელობის განსახორციელებლად საჭიროა სასურველი კონტექსტი, რომელიც შეიძლება დაკონკრეტდეს შემდეგი ტიპის გარემოებითი სიტყვებით „მუდმივად", „სულ" და ა. შ. (იხ. მაგალითი 1), ან შეიძლება გადმოიცეს ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით.

4. ზოგადი ახლანდელი განუსაზღვრელი

ზოგადი ახლანდელი განუსაზღვრელი მუდმივთან შედარებით კიდევ უფრო დიდ აბსტრაქციას წარმოადგენს და აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც შემოუსაზღვრელ, უსასრულო დროში მიმდინარეობს. ეს მოქმედება როგორც წარსულის, ისე მომავლის ნაწილსაც მოიცავს და ზოგჯერ უსასრულო მნიშვნელობამდეც კი ვრცელდება.

ენათმეცნიერებაში „უდროობა" ცნების განმარტება სხვადასხვაგვარია. ასე, მაგალითად, ო. ს. ახმანოვა ტერმინის „უდროო" გვერდით იყენებს მის ორ სინონიმს — „ატემპორალური" და „ექსტრატემპორალური". იგი მათ შემდეგნაირად განმარტავს: „ნაზრევი, რომელსაც აქვს უნარი შეინარჩუნოს ძალა (დარჩეს რეალური) ყოველთვის და ყველგან, „ყველა დროში" (Ахманова 1969.79). ო. ესპერსენი გამოდის ტერმინის „უდროო" წინააღმდეგ, რადგანაც იგი თვლის, რომ მოქმედება არ შეიძლება დროის გარეშე. არამედ პირიქით, იგი ყველა დროისათვის რეალურია. როგორც ეს მეცნიერი აღნიშნავს, უკეთესი იქნებოდა ასეთ შემთხვევაში გველაპარაკა ზოგად დროზე (genetic tense), რომელიც მოიცავს წარსულს, ახლანდელს და მომავალსაც (Есперсен 1958, 308). ჰ. პოუტსმა ახასიათებს ამ დროს როგორც „ნეიტრალურს" (neutral tense) (Poutsma. 1926, pt 2, section 2,206), ა. ბეინი კი როგორც „უნივერსალურ" დროს" (universal tense) (Bain 1904).

ამ მნიშვნელობის შიგნით ინგლისურ ენაში ორი ყველაზე უფრო ტიპური ნიუანსი გამოიყოფა: განსაზღვრების ახლანდელი და გნომიკური ახლანდელი.

განსაზღვრების ახლანდელის საშუალებით გადმოიცემა ზოგადი ენოზრივი ჭეშმარიტებები, კანონები, მეცნიერული განსაზღვრებები და ა. შ. მაგალითად:

Twice two makes four.
Magnet attracts iron.
The sun rises in the East,

გნომიკური ახლანდელი ფორმის ის ვარიანტული მნიშვნელობაა, რომელიც შემდეგი ტიპის ზოგად მოქმედებებს გამოხატავს:

The earth rotates round its axis,
The sun sets in the West და ა. შ.

ძალიან ხშირად ეს მნიშვნელობა გამოიყენება ანდაზებში, გამოცანებში, რომლებითაც მდიდარია ცოცხალი ხალხური მეტყველება. ანდაზებში ხალხის გამოცდილებაა განზოგადებული, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ენის მატარებელ ერში და, რომლებშიც აისახება ხალხური სიბრძნე. მაგალითად:

All that glitters is not gold.
Handsome is that handsome does.
Beauty lies in lover's eyes.
Little chips light great fire.

ანდაზები, რომელთა ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ახლანდელი განუსაზღვრელი დრო, გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში:

Sometimes a man hits upon a place to which he mysteriously feels that he belongs. Here is the home he sought, and he will settle amid scenes that he had never seen before, among men he has never known, as though they were familiar to him from his birth. Here at last he finds rest. (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

The worst thing in the world is a bitter woman. That's one thing about your mother, she's never been bitter. (J. Updike, The Centaur)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, დროის დიაპაზონის დამკონკრეტებელი ლექსიკური საშუალებები ტექსტში არ არის წარმოდგენილი. ზოგადი ახლანდელი განუსაზღვრელის სემანტიკური პოტენციალი შემდეგ სემებს მოიცავს:

1) უდროობა, რომელიც ვლინდება ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გაუთიშველობაში და ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის აუცილებელ ჩართვაში მოქმედების განფენილობაში, 2) მოქმედების მრავალგზისობა, 3) მოქმედების დროში არალოკალიზება.

ახლანდელ განუსაზღვრელს ზოგადი მნიშვნელობით ქართულ ენაში აწმყოს მწკრივი შეესატყვისება. მაგალითად:

'Evil says what evil sees.' I didn't know exactly what I was saying but it pleased her immensely. (N. Mailer, An American Dream)

— კი, მარა მარაბდაში ეკლესიაზე მამაშენიც მაგას გვეუბნებოდა — მოაგონა ლაცაბიძემ, — შენ კი ამბობდი, **სჯობს** სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო. (მ. ჯავახიშვილი, არსენა მარაბდელი).

The English poet Donne, Mel remembered, had once written:

No man is an island, entire of itself; every man is a piece of the continent, a part of the main. (A. Hailey, Airport)

მიღებულია ვიფიქროთ, რომ **ადამიანის** ცხოვრება მის მეტნაკლებად მნიშვნელოვან საქციელთა ჯამია. **ყოველი ადამიანი** განუწყვეტლივ **მოქმედებს, ქმნის,** ან **ანგრევს** და ყოველივე ამას აუცილებლად ზნეობრივ საფუძველს უმარჯვებს. (ვ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

'When one does not know how and what to draw, should one go to a master a school?' (I. Stone, The Passionate Journey)

არავინ იცის, ამას რა მოჰყვება, თუ დროზე ვერ ვუშველეთ. (დ. კლდიაშვილი, მოთხრობები)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ზოგადი ახლანდელის მნიშვნელობის განხორციელებისათვის საჭიროა სასურველი კონტექსტი, პირველ ყოვლისა კი, მოქმედების განზოგადებულ სუბიექტთან მიმართება. ასეთ შემთხვევებს ა. ვ. ბონდარკო განიხილავს როგორც ტემპორალობისა და პერსონალობის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა ურთიერთმქმედებას (Бондарко 1971 (2), 69).

მოქმედების განზოგადება შეიძლება იტვირთოს როგორც განუსაზღვრელმა ნაცვალსახელებმა, ისე აბსტრაქტულმა არსებითმა სახელებმა. წარმოდგენილ მაგალითში (2) არსებითი სახელის man განზოგადებული მნიშვნელობა ეხამება განუსაზღვრელ არტიკლს. რაც აქ გამოთქმული აზრის ფილოსოფიურ ხასიათზე მიუთითებს. ქართულ ენაში მისი შესატყვისია „ადამიანი" განზოგადებული მნიშვნელობით. მოქმედება, რომელიც ზოგადი ახლანდელით გადმოიცემა, ორივე ენაში ხასიათდება დროში მკვეთრი ლოკალიზების უქონლობით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე მაგალითში ნაცვალსახელის one მნიშვნელობა განუყოფლადაა დაკავშირებული განზოგადებასთან. თუმცა one-ს აქვს როგორც ზოგადი მნიშვნელობა, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ შემასმენლით გადმოცემული მოქმედება შეიძლება ნებისმიერ სუბიექტს განეკუთვნებოდეს, ისე განუსაზღვრელობის მნიშვნელობაც, რომელიც მოქმედებას განუსაზღვრელ პირს განაკუთვნებს.

ზოგადი ახლანდელი უფრო მეტად მეტყველების სამეცნიერო სტილისთვისაა დამახასიათებელი (ამასთან დაკავშირებით იხ. Кожина 1972, 157).

ნ. პროსპექტული ახლანდელი განუსაზღვრელი

ახლანდელი დროის ფორმების გამოყენება მომავალ მოქმედებათა გადმოსაცემად უაღრესად გავრცელებული მოვლენაა ორივე შესაპირისპირებელ ენაში. ამავე დროს მის რეალიზაციას ამ ენებში განსაზღვრული სპეციფიკაც აქვს. მაგალითად:

'What do you say, Roy?'

'I suppose we ought to work hard and fast,' he said. (J. Aldridge, The Hunter)

'I suppose he wants his rent lowered. I let him have the place for almost nothing, just to keep someone on it, and he never pays that till I threaten to evict him. (E. O'Neill, Long day's Journey into Night)

'When he gets a new pretty boy he'll throw you out on the street like an old Trojan,' the man said. (J. Updike The Centaur).

ამ ტექსტებში ახლანდელი განუსაზღვრელით გამოხატული მოქმედებები განეკუთვნება მომავალს. დენოტატია რაღაც ფაქტი, რომლის დადგომას ველით. ახლანდელი დროის ამ მნიშვნელობამ ლინგვისტიკაში „დასახულ მოქმედებათა ახლანდელის" სახელწოდება მიიღო (Пешковский 1965, 210—211; Бондарко 1971 (1), 154—157 და სხვები).

პროსპექტული ახლანდელი განუსაზღვრელის სემანტიკური სტრუქტურა შემდეგი სემების შემცველია: 1) პროსპექტულობა, რომელიც ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულს მოჰყვება და მასთანაა კონტაქტში აუცილებლად, 2) ერთგზისი მოქმედება, 3) დროში მოქმედების ლოკალიზება.

ქართულ ენაში ეს მნიშვნელობა აწმყოს მწკრივით გადმოიცემა. მაგალითად:

'I wait till morning,' the little man said, the dry skin of his face twinkling as he smiled. (J. Updike, The Centaur).

— თქვენ თოთხმეტში დილით ქუთაისში გელიან. ბატონო კნიაზევ, მისწერეთ სიმაკინს, რომ დაუხვდეს ბატონ პოდპოლკოვნიკს. თუ საჭიროდ მიიჩნიოთ — წაჰყევით. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

'Are we staying much longer, Nick?'

'A few more days. The house officially closes this week.' Constance says, 'The Elisses go in the morning and the Criggses on Tuesday, I think. Just till I finish.' (L. Hellman, The Autumn Garden)

მოქმედება, რომელიც ობიექტურად მომავლის სფეროს განეკუთვნება, გადმოიცემა ახლანდელი განუსაზღვრელით, როგორც საუბრის მომენტის შემდეგ შესასრულებელი და სუბიექტის ნებასურვილზე დამოკიდებული, მაშინ როცა შეხამებას „shall/will+ინფინიტივი" აქვს კატეგორიულობის ელფერი, რომელიც მოლაპარაკის სურვილზე არ არის დამოკიდებული. შდრ.:

What do you say, Roy?

What will you say, Roy?

პროსპექტული ახლანდელის ფორმების, როგორც მომავალი დროის გამომხატველი საშუალების გამოყენების სიხშირე დაახლოებით უთანაბრდება შეხამების „shall/will + ინფინიტივი" ხმარებას (იხ. Корсаков 1970). საყოველთაოდ მიღებულ ფაქტად ითვლება ის, რომ ახლანდელი განგრძობითი მომავლის მნიშვნელობით ლექსიკური საშუალებების გარეშეც იხმარება, თუმცა ზოგიერთი ლინგვისტი თვლის, რომ „ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად წინადადებაში უმთავრესად დროის გარემოებებია წარმოდგენილი" (Иванова 1961, 85).

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ახლანდელმა განუსაზღვრელმა, რომ უახლოესი ან უშუალო მომავალი გამოხატოს ამისათვის კონტექსტი და მომავალი მოქმედების პერსპექტივის ამსახველი სხვადასხვა ლექსიკური აქტუალიზატორია საჭირო. ინგლისურ ენაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმები გამოიყენება მომავალი მოქმედების გადმოსაცემად ლექსიკური საშუალებების გარეშეც, თუმცა მ. ჯუსი თვლის, რომ ახლანდელი განუსაზღვრელი შეიძლება ვიხმაროთ tomorrow-ს ტიპის ზმნიზედების გარეშეც (Joos 1965, 135) მაშინ, როდესაც ბ. მ. ჩარლზტონი ამტკიცებს, რომ მომავალი უნდა იქნეს გამოხატული ლექსიკურად (Charleston 1955, 274). მაგალითად:

'Who is she?'

'A very old friend.'

'Why do you sigh like that.'

'I don't know Smithy. I throw guys over because they try to own me. I never throw you over.' (J. Donleavy, A Singular Man)

'I have to put my family on the plane and I'm coming back here. I'll see you in two hours.' (I. Shaw, Beggarman, Thief)

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, ახლანდელი განუსაზღვრელი და ახლანდელი განგრძობითი შეიძლება ვიხმაროთ მომავალი პლანის შემქმნელი ლექსიკური აქტუალიზატორების გარეშეც. მომავლის მნიშვნელობა აქ ხშირად გამოხატულია შეხამების „shall/will + ინფინიტივის" ან იმპერატივის ფორმის მქონე ახლანდელი განგრძობითის მეზობლობით, ან კიდევ შემასმენლით, რომელიც წარმოდგენილია მოდალური ზმნით + ინფინიტივი და საკარაუდო if-ით, რომელიც გადმოცემს დროში მიმართებას (Иванова 1961,43).

ინგლისური ენის ტიპოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს ახლანდელი განუსაზღვრელის და ახლანდელი განგრძობითის გამოყენება მომავლის მნიშვნელობით დროისა და პირობის დამოკიდებულ წინადადებებში. ახლანდელი განუსაზღვრელის გამოყენება ზე-

მოთხ მითითებული ტიპის, წინადადებებში სავალდებულოა, თუმცა ამ წესიდან გადახრის შემთხვევებიც გვხვდება, რომელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ახლანდელი განუსაზღვრელისა და ახლანდელი განგრძობითის ფორმათა გამოყენება მომავალი დროის მნიშვნელობით დროისა და პირობით დამოკიდებულ წინადადებებში ინგლისური ზმნის სისტემის ისტორიული განვითარების ზოგიერთი ფაქტორითაა განპირობებული. ნ. ფ. ირტენიევა ახლანდელი განუსაზღვრელის გამოყენებას დროის დამოკიდებულ წინადადებაში ხსნის იმით, რომ ჯერ კიდევ ძველ ინგლისურში ასეთი სახის წინადადებებში კონიუნქტივის უსრული ასპექტის ფორმა იხმარებოდა, რომელსაც მოდალური მნიშვნელობის წყალობით შეეძლო გამოეხატა ზმნური პროცესები, რომლებიც განეკუთვნებოდა არა მარტო ახლანდელს, არამედ მომავალ დროსაც (Иртеньева 1956, 81).

ი. პ. ივანოვა ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმის მომავლის მნიშვნელობით გამოყენებას დროისა და პირობით დამოკიდებულ წინადადებებში ზმნის სისტემის ისტორიული განვითარების ფაქტორებით ასაბუთებს და შემდეგ განმარტებას აძლევს ამ გრამატიკულ მოვლენას: „მთავარ წინადადებაში ზმნის მომავალი დროის ფორმა და დროის ან პირობების კავშირი, რომლებიც ნათლად გადმოცემს ორივე მოქმედების დროში ურთიერთმიმართებას, განაპირობებს იმას, რომ დამოკიდებული წინადადების ზმნის ფორმას არა აქვს დამოუკიდებელი დროითი მახასიათებელი. ალბათ, ამიტომაც აქ შენარჩუნებული იქნა წინა ფორმა. სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებებში კავშირი დროთა მიმართებებს არ გადმოცემს, ან თუ გადმოცემს კიდეც არცთუ ისე მკვეთრად და, ამიტომაც დამოკიდებულ წინადადებებში ზმნას დროის მახასიათებელი აქვს. მთავარი წინადადების შემასმენლის ფორმისაგან დამოუკიდებლად“ (Иванова 1961, 43).

თხრობით კილოში ახლანდელი დროის გამოყენება მომავალ მოქმედებათა აღსანიშნავად პირობით დამოკიდებულ წინადადებაში დაკავშირებულია მთავართან და მისი ფუნქცია არ შეიძლება იმ ფუნქციებთან გათანაბრდეს, რომელსაც იგი დამოუკიდებელ წინადადებებში ასრულებს. ეს იმის გამოც არის შეუძლებელი, რომ პირველ შემთხვევაში მოლაპარაკეს არა აქვს ფორმის არჩევის საშუალება, მეორე შემთხვევაში კი იგი მომავალ დროსთან მონაცვლეობს (იხ. Арутюнова 1961, 126).

ახლანდელი განგრძობითის გამოყენება ასეთი სახის წინადადებებში ახლანდელი განუსაზღვრელის ანალოგიით ხდება. დასახელებულ სინტაქსურ კონსტრუქციებში დროთა ფორმების გამოყენებაში

მომხდარი ძვრა ნორმითაა განმტკიცებული. მთავარ წინადადებაში ახლანდელი განუსაზღვრელის (ახლანდელი განგრძობითის) და შეხამებათა „shall/will + ინფინიტივის" თავისუფალი ვარირება შეიმჩნევა.

აღსანიშნავია, რომ პროსპექტული ახლანდელის ფორმებს ხშირად დარწმუნებულობის, მყარი გადაწყვეტილების დამატებითი ელფერი აქვს. ქართულ ენაში ინგლისურისაგან განსხვავებით ახლანდელი დროის ფორმა ასეთი სახის წინადადებებში გრამატიკულად აუცილებელი არ არის. იგი შესაძლოა აწმყოს მწკრივის ფორმით შეიცვალოს. მაგალითად:

'I'll rest now **while he goes** out on the circle and then stand up and work on him, when he **comes in**. (E. Hemingway, The old Man and the Sea).

— ახლა კი დავისვენებ, სანამ ის წრეს **შემოუვლის** და შემდეგ კი, **როცა** ის **მოვა**, ავდგები და დავიწყებ მუშაობას. (მოხუცი და ზღვა, თარგმნა ა. რატიანმა)

ასეთი სახის დამოკიდებულ წინადადებებში ახლანდელი განგრძობითის ფორმებიც გვხვდება. მაგალითად:

'**While you're doing** that, I'll call the other airlines.' (A. Hailey, Airport)

'All right,' she said. 'I won't leave here with you. But if **you're waiting** in your car, outside, I'll come through the main door in fifteen minutes.' (ibid.).

ახლანდელი განუსაზღვრელის გამოყენება დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედების ერთდროული მოქმედების გამოსახატად, თუ მთავარი წინადადება დღეს მომავალში ან იმპერატივში, სტრუქტურულად განპირობებულია. ამ სახის გამოყენებაზე მიუთითებენ ლინგვისტურ ლიტერატურაში (Quirk, Greenbaum, Leech, Svartvik 1975, 781), მაგრამ იგი არა წესად, არამედ უფრო ტრადიციად დამკვიდრდა. ჩვენს მიერ განხილულ ლინგვისტურ ტექსტებში მხოლოდ ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმა გვხვდება. მისი ექვივალენტი ქართულ ენაში მყოფადის მწკრივია (ზოგჯერ აწმყოსიც). მაგალითად:

'I'll ask him **what he wants** tomorrow'. (ibid.).

— შევეკითხები მას, **რას ინებისურვებს** ხვალ.

პროსპექტული ახლანდელის მნიშვნელობა რეალიზდება მყარ სიტყვათშეხამებებში the sooner... the better, the more... the more და ა. შ. ახლანდელი განუსაზღვრელის ექვივალენტი ქართულ ენაში ამ შემთხვევაში მყოფადის მწკრივია (სრული ასპექტი):

'I could probably get you a good territory,' the Warden told him.

'Can I leave it until I come out after winter?'

'Any time until May,' the Warden repeated, 'but **the sooner** you **do** it, **the better** you pick.' (J. Aldridge, The Hunter)

— კარგ ტყეს აგირჩევდი, რომ გდომოდა. — უთხრა ინსპექტორმა.

— არ შეიძლება მომავალ ზამთრამდე მოვიცადოთ?

— მაისამდე შეგიძლია დაიცადო, მაგრამ **რაც უფრო** მალე **გაანაცხადებ, მით უკეთეს** ნაკვეთს **იშოვნი.** (პონადირე თარგმნა ლ. კუკავამ)

ზემოგანხილული მნიშვნელობის განხორციელება ხდება წინადადების სტრუქტურაში, რომელიც იწყება სიტყვებით suppose, supposing. ქართულ ენაში მათი შესატყვისია მყოფადის მწკრივი (სრული ასპექტი). მაგალითად:

'**Supposing** I refuse to sign?'

'Then we shall be obliged to detain you here while we continue investigation.' (A. Hailey, Airport)

— თუკი მე ხელის მოწერაზე უარს **ვიტყვი?**

— მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით დაგაკავოთ, ვიდრე ძიება არ დამთავრდება.

'**Suppose** you're never anything more than thirdrate, do you think it will have been worth while to give up everything? (W. S. Maugham, The Moon and Sixpence).

— **თუკი** სამუდამოდ მესამეხარისხოვან მხატვრად **დარჩებით,** ღირს ეს ამდენი ამბავი იმად, რომ ყველაფერზე ხელი აიღოთ. (მთვარე და ექვსპენიანი, თარგმნა ა. ჭეიშვილმა)

წინადადებებში, რომლებიც იწყება I suppose, I hope, I think და ა. შ., ზმნის ფორმებს დამოკიდებულში აქვთ პროსპექტული ახლანდელის მნიშვნელობა. ქართულ ენაში მათი ექვივალენტებია სრული ასპექტის ზმნები მყოფადის მწკრივში. მაგალითად:

As they moved off, Inez asked anxiously.

'**Are** you **sure** you **get** there by eleven o'clock?' (A. Hailey, Airport)

— თქვენ **დარწმუნებული** ხართ, რომ ჩვენ **მოვასწრებთ** თერთმეტ საათამდე იქ მისვლას? — აღელვებული შეეკითხა ინეზა, როცა მანქანა დაიძრა ადგილიდან.

ცალკე უნდა გამოვყოთ ზმნური შეხამება „to be going to + ინფინიტივი", რომელსაც უახლოესი მომავლის მნიშვნელობა აქვს (Francis 1958, Янкошвили 1966 და სხვები). ზმნა to go ამ კონსტრუქციაში კარგავს თავის ლექსიკურ მნიშვნელობას და მთელი

შესამება გადმოცემს მომავლის მნიშვნელობას. ქართულ ენაში მისი ექვივალენტია სრული ასპექტის ზმნები მყოფადის მწკრივში ან უსრული ასპექტის აწმყოს მწკრივის ზმნები პროსპექტული მნიშვნელობით. მაგალითად:

'It's all very well, all this,' he said, 'but what's it going to cost?' (J. Galsworhy. The Man of Property).

— ყველაფერი ძალიან მოგიფიქრებიათ — თქვა მან, მაგრამ სახლი რამდენი **დამიჯდება?** (მესაკუთრე, თარგმნა ე. მაღრაძემ)

'Well, I'm going to show you tonight some other men who've read the books. so that you won't be lonely any more.' (J. London, Martin Eden)

— და აი, ახლა მე **გიჩვენებთ** ადამიანებს, რომლებიც კითხულობენ წიგნებს და თქვენ აღარ იქნებით მარტოხელი. ((მარტინ იდენი. თარგმნა ს. თავაძემ)

6. ისტორიული ახლანდელი განუსაზღვრელი

ისტორიული ახლანდელი გამოიყენება ისეთი ამბის ასაღწერად, რომელიც წარსულში მოხდა. მკვლევართა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ახლანდელი დროის ფორმის გამოყენებით მოლაპარაკე წარსულში მომხდარ ამბავს თითქოს ახლანდელს უახლოებს, რითაც იგი გამონათქვამს დინამიკურს ხდის და აცოცხლებს. მეორენი ვარაუდობენ, რომ იგი აზრით გადადის წარსულში, რათა ამბის განვითარებაში მონაწილეობა მიიღოს, რითაც იგი გამონათქვამს ექსპრესიულობას აძლევს. ორივე შემთხვევაში ლაპარაკია ერთსა და იმავე მოვლენაზე — წარსულში მომხდარ ამბავთა აქტუალიზაციაზე. ამაში მდგომარეობს ისტორიული ახლანდელის სტილისტური ფუნქცია. „ასეთი გამოყენების დროს ამ ფორმის გრამატიკული შინაარსი შენარჩუნებულია, თუმცა კონტექსტის ზეგავლენით ახლანდელი განუსაზღვრელის გრამატიკული მნიშვნელობა მოცემულ პირობებში განსაკუთრებულ, გადატანით ვარიანტში გვხვდება. მოქმედება გადმოიცემა ისე, თითქოს იგი ახლანდელია, სინამდვილეში კი წარსულს განეკუთვნება" (Бондарко, 1971 (2), 144). მაგალითად:

. It was understood from the beginning that Rudolph was going to go to college. Somehow she feels guilty about Rudolph. All her love is for him. She too exhausted to love anybody but her chosen son. She touches him when she can, she goes into his room when he is sleeping and kisses his forehead, she washes and irons his clothes when she is dizzy from fatigue so that his splendour will be clear to all eyes at every moment. She cuts out items from the school newspaper when he wins a

race and keeps them on the dresser. (I. Shaw, Rich Man, Poor Man)

ახლანდელი განუსაზღვრელის ეს ფუნქცია შეიძლება განვიხილოთ როგორც სინკრეტული, რომელიც ორი ფორმის — ახლანდელი განუსაზღვრელისა და წარსული განუსაზღვრელის — ორ მნიშვნელობას ითავსებს. ისტორიული ახლანდელი განუსაზღვრელი მიგვანიშნებს ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვას მოქმედების განფენილობაში. მაგრამ ამით ფორმის მნიშვნელობა არ ამოიწურება. იგი დროის ორმაგ ექსპოზიციას ქმნის და გამოხატავს მოქმედებას განფენილობაში წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულში ჩართვით. კონტექსტის ზემოქმედების შედეგად ისტორიული ახლანდელის გრამატიკული მნიშვნელობა გადატანითია: მოქმედება გამოხატულია როგორც ახლანდელი, სინამდვილეში კი იგი წარსულს განეკუთვნება.

ახლანდელმა ისტორიულმა, რომელიც სხვადასხვა ენაში მკვლევართა მიერ აღინიშნება, ჯერ კიდევ ვერ მიიღო სრული და ყოველმხრივი გაშუქება ლინგვისტიკაში. ქართულ ენაში, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ გახდა სპეციალური კვლევის ობიექტი. ისტორიული ახლანდელი ქართულისთვისაც არის დამახასიათებელი. შესაპირისპირებელ ენებში ეს მოვლენა სემანტიკურად მსგავსადაა წარმოდგენილი, განსხვავება მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა. მაგალითად:

His father speaks so only he can hear: 'I was walking through the hall ten minutes ago and Zimmerman's door **bumps** open and who the hell **pops** out but Mrs Herzog'. (J. Updike' The Centaur)

ტყიდან რომ ბრუნდებოდა ბუდარა, ის ღირდა ნახვად: **მოდის** დიდბატონივით წინ თვითონ, **მოდევს** უკან სევა სულელი ძუნძულ-ძუნძულით და **მოაქვს** ბუდარას მთელი ხელსაწყო თან. (ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია)

'I've made you a subject of loving study, Toby. And how you repay study, dear boy, believe me. So pure, so pretty, when you arrived, feeling yourself so good, belonging also to the communion of saints. what a pleasure that was, to be sure, it did my heart good to see you enjoying it all so much. **But then** what **happens**, what do we find? Our innocent, how quickly he **learns**. His head **is turned**, his vanity **is tickled** (I. Murdoch, The Bell)

— მე გიამბობთ, კეთილო ფრაუ, ერთ ამბავს, ოღონდ ანალოგიისათვის არ გამიჯავრდეთ. თუმცა ეს გამონაგონი არ გახლავთ, მე შე-

მემთხვა იგი ნადირობის დროს. ერთხელ, შემოდგომის საღამოს კვერნებზე ნადირობიდან დაქანცული აღმართზე ავდიოდი, დალის ფრიალო კლდეებზე. და უცებ ვხედავ, დათვი წევს შარის პირად და რაღაცას იღეჭება. ცნობილია, აღმართში დათვს უნდა უფრთხილდე, მით უმეტეს საკვერნე ვაზნებიღა მებადა. ავძვერი ხეზე და შევცქერი დათუნას ოინებს. წვალობს დათვი, მიიტანს თუ არა დრუნჩს თათებში მომწყვდეულ წაბლთან, უჩხვლეტენ ბუძგები შიშველ ცხვირპირში. გამწარებული ბურდღუნებდა, იღრინებოდა, ალბათ თავის გუნებაში სწყევლიდა კიდევაც წაბლის გამჩენს, რომელმაც წაბლი ისეთი შიშველი, გლუ არ გააჩინა, როგორიცაა, თუ გნებავთ კიტრი. (ქ. ვეშსაჭურდია, მთვარის მოტაცება)

ამგვარად, ისტორიულ ახლანდელ განუსაზღვრელს ქართულ ენაში შეესატყვისება აწმყოს მწკრივი. ორივე ენაში ამ მოვლენის სტილისტური ეფექტი ძლიერდება ერთსა და იმავე წინადადებაში ან ნაწყვეტში წარსული დროის ფორმებთან მისი მონაცვლეობით (მაგალითი 1). წარსულ დროში მყოფი ზმნები ამბის გასავითარებლად ობიექტურ ფონს ქმნიან, ახლანდელ დროში წარმოდგენილი ზმნები კი გადმოცემულ ამბავს აქტუალურად უფრო თვალნათლივ გადმოცემენ.

მაშასადამე, ახლანდელი ისტორიულის მნიშვნელობის რეალიზაციისათვის ორივე ენაში საჭიროა ხელსაყრელი კონტექსტი: 1. წარსული დროის ფორმებით გარემოცვა, 2. უეცრად, უცებ, but then, and then ტიპის ლექსიკური გადამრთველები.

ისტორიული აწმყოს გამოყენება ჩვეულებრივ ემოციურად შეფერილი მეტყველების გაცხოველებულ ტონთანაა დაკავშირებული. „ახლანდელი დროის ასეთი ხმარება თხრობას გამომხატველობას ანიჭებს და აცოცხლებს. მსმენელი ან მკითხველი თითქოს წარსულში გადადის და მის წინ გადაშლილი ამბების უშუალო დამკვირვებელი ხდება. ამ საშუალებას ფართოდ იყენებენ მხატვრულ ლიტერატურაში“ (Бархударов, Штелинг 1973, 183).


ისტორიული ახლანდელი ინგლისურშიც და ქართულშიც შესატყვისი წარსული ფორმების კონკურენტებია. მათ შორის განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: ისტორიული ახლანდელის გამოყენებისას მწერალი წარსულის მოქმედებას ახლანდელის გრამატიკული ფორმით გადმოცემს, რითაც გამონათქვამს აცხოველებს; წარსული დროის ფორმის გამოყენებისას აქტუალიზაციას ადგილი არა აქვს. რადგანაც მოქმედება, რომელიც წარსულს განეკუთვნება და წარსული დროის ფორმით გადმოიცემა, არ არის დაკავშირებული ახლანდელთან. ისტორიული ახლანდელის კონტატურ მნიშვნელობას მივყავართ აუცილებლობამდე, რომ მოვახდინოთ კონკრეტული ლექსი-

კური საშუალებების აქტივიზირება იმ შემთხვევაში, როცა მოქმედებათა მონაცვლეობა საჭიროა სწრაფად გადმოვცეთ. ამიტომ ამ მნიშვნელობით უფრო ხშირად ზღვრადი ზმნები გამოიყენება.

ჩატარებული ანალიზი საშუალებას იძლევა ახლანდელი დროის სემანტიკური პოტენციალი და მისი ქართული შესატყვისები წარმოვადგინოთ სქემით № 6.

სქემა 6.

ახლანდელი განუსაზღვრელის სემანტიკური პოდელი ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები



§ 3. ახლანდელი განგრძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები

1. აქტუალური ახლანდელი განგრძობითი

'Then what do you call the people with whom they **are now having** tea?' (H. James, The Golden Bowl).

'I don't know what you're **talking** about.'

'I'm **talking** about one acre foundations thirty feet deep, imported marble, and the biggest mausoleum built in Renown Cemetary.' (J. Donleavy, A Singular Man).

'Why are you **laughing?**' Boylan asked suspiciously.

'Because I'm here,' she said, 'and I could be so many other places instead.' (I. Shaw, Rich Man, Poor Man).

'Are you hunting?' Roy asked.

'Just looking for a deer,' Moose said. (J. Aldridge. The Hunter)

ახლანდელი განგრძობითისათვის აქტუალური მნიშვნელობით შემდეგი სემებია რელევანტური: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში, 2) მოქმედების პროცესუალობა, 3) მოქმედების ერთგზისობა, 4) მოქმედების დროში ლოკალიზება.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, დროში მოწესრიგებულობასთან ერთად ახლანდელი განგრძობითი გადმოცემს მოქმედების დროში მიმდინარეობის სხვა თვისებასაც — პროცესუალობას და შეწევს უნარი გაარჩიოს ხაზოვანი და წერტილოვანი მოქმედებები.

ინგლისური ენის ტიპოლოგიური თავისებურებაა ის, რომ მასში ასპექტ-დროს ფორმები წარმოდგენილია ახლანდელი განუსაზღვრელით და ახლანდელი განგრძობითით. აქ განგრძობითი ფორმა ასპექტის ნიშნითაა მარკირებული და გამოხატავს პროცესუალურ (მიმდინარე) მოქმედებას, ხოლო განუსაზღვრელი ფორმა არამარკირებულია, ამ ნიშანს არ გადმოცემს.

განუსაზღვრელ ფორმას, ზმნის ასპექტური ხასიათიდან ან კონტექსტიდან გამომდინარე, შეუძლია გამოხატოს მიმდინარე მოქმედება ან ეს ნიშანი გამოუხატავი დატოვოს (Хлебникова 1969, 105). ამაში მდგომარეობს აქტუალურ ახლანდელ განუსაზღვრელსა და აქტუალურ ახლანდელ განგრძობითს შორის განსხვავება, თუმცა ეს ფორმები როგორც ფუნქციურად, ისე სემანტიკურად ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ამ მნიშვნელობით ახლანდელი განგრძობითის ფორმა თავისუფლად შედის სინონიმურ კავშირში ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმასთან. ახლანდელი განუსაზღვრელი ხაზს უსვამს მოცემულ, კონკრეტულ პირობებში მიმდინარე მოქმედების აქტუალობას, რომელიც საუბრის მომენტს ემთხვევა. არც თუ იშვიათად იგი უპირისპირდება მოქმედებას, რომელიც მითითებული დროის საზღვრების გარეშე წარმოებს. მაგალითად :

'I can't hear a word you say.' (J. Salinger, The Catcher in the Rye)

'I can't hear one damn thing you're saying.' (A. Christie, Pale Horse)

'Why do you smile, Jane?' (Ch. Brontë, Jane Eyre)

'Why are you smiling, Mr. Poirot? Are you glad?' (A. Christie, Pale Horse)

ინგლისელი ენათმეცნიერი ბ. მაკერიუ ამტკიცებს, რომ „it rains",

„I write a letter" და ა. შ. ტიპის წინადადებები, რომლებიც საუბრის მომენტს მოიცავს, თანამედროვე ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი არაა (Mckerrow 1922, 17). ჩვენ მის ამ მოსაზრებას ვერ ვიზიარებთ, მით უფრო იმიტომ, რომ არსებობს გ. ვ. ჯორჯის ნაშრომი, რომელშიც მითითებულია, რომ 20681 ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმიდან 13084 შემთხვევაში იგი აქტუალური მნიშვნელობით გვხვდება (George 1963).

ამ მნიშვნელობას ორივე ფორმა ხშირად ყოველგვარი ლექსიკური აქტუალიზატორის გარეშეც გამოხატავს, მაგრამ მცირედი სხვაობით. ახლანდელი განგრძობითის ფორმა ამ მნიშვნელობის გასაძლიერებლად უფრო ნაკლებად საჭიროებს ფართო კონტექსტს ან მეტყველების სიტუაციას. იქ, სადაც ზმნა გონებრივ მოღვაწეობას, გრძნობით აღქმას და ა. შ. აღნიშნავს, ე. ი. იქ, სადაც პროცესუალობის მნიშვნელობა თვით ზმნის სემანტიკითაა გადმოცემული, განგრძობითი ფორმები ექსპრესიულ-ემოციური კონოტაციით ხასიათდება. მაგალითად:

'You've let your tea go cold, Joe,' Mrs. Thompson said.
'I'm thinking aboutmy holidays.' (J. Braine, Room at the Top)
'What are you doing, my sweet?'
'I've been seeing an old friend,' she said. (ibid)

ასეთ ზმნებთან აქტუალურ ახლანდელ განუსაზღვრელს არავითარი დამატებითი ექსპრესიულ-აზრობრივი ელფერი არა აქვს. იგი ნეიტრალურია და მოქმედებაზე მხოლოდ როგორც პროცესზე იძლევა ცნობას. ამ შემთხვევაში სიტყვის ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობების ურთიერთქმედების შედეგად იქმნება პროცესუალობის მნიშვნელობა. ამ მნიშვნელობით აქტუალურ ახლანდელ განუსაზღვრელს ქართულ ენაში შეესატყვისება აწმყოს მწკრივი აქტუალური მნიშვნელობით. მაგალითად:

'Do you know what you're saying? What do you love about me?' (J. Updike, The Centaur).

— **გესმით**, რასაც ამბობთ? რა მოგწონთ ჩემში?

'And you do not understand. even now, what **I am saying**.' (J. London, Martin Eden)

— თქვენ მე ახლაც ვერ **მიგებთ**, რასაც ვამბობ. (მარტინ იდენი, თარგმნა ს. თავაძემ)

'Where are we **going** now?'
'Back to the car.'
'But it does not go. You know it.' (J. Updike, The Centaur)

— სად **მიდიხართ**, ყმაწვილო ეხლა? — შეეკითხა გვერდევანიძე პლატონს.

— აგერ გეახლებით, ბატონო, მაღალშენში! — და პლატონი შეჯდა ცხენზე.

— კაი დაგემართოთ! — აბა მგზავრები ვყოფილვართ ამ ერთ ხანაზე! (დ. კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი)

'Look at the plane,' Roy said. 'He is landing on Pit—Pit Lake. Zel or Moorse wont hear or see him if they're in the cabin.' (J. Aldridge, The Hunter)

— მთვრალია, შე კაცო, მთვრალი! ფეხზე ძლივს **დგას**, ვერ ხედავ? — სწრაფად მიუგო შემფრთხალმა დახუნდარამ. (კ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ცისკარი)

'You are all here dear boys' Catherine said. 'She prefers the dear boys. Listen to it rain.'

'It's raining hard.'

'And you'll always love me, won't you?'

'Yes.'

'And the rain won't make any difference.' (E. Hemingway, A Farewell to Arms!)

— **წვიმს** — სხვა ვერაფერი მოახერხა.

— სულ ასე წვიმს? — თინას ეს სიტყვები ადამს უკვე ქუჩაში მოესმა. (თ. ჭილაძე, აჰა, მიიწურა ზამთარი)

ახლანდელი განგრძობითი ამ მნიშვნელობით უმეტესად პერსონაჟთა მეტყველებაში (დიალოგური მეტყველება) გამოიყენება. იგი არ მონაწილეობს სიუჟეტური დროის შექმნაში და არ ერწყმის ავტორისა და მკითხველის დროის სისტემას. ახლანდელი განგრძობითი შეიძლება გამოყენებული იქნეს თხრობისას იქ, სადაც ტექსტის დრო ახლანდელია.

აქტუალური მნიშვნელობით ახლანდელი განგრძობითი გამოიყენება დრამატურგიაში: სცენის დიალოგებში, შესავალ რემარკებში (ავტორის მეტყველება), აღწერისას და ა. შ., რის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

არსებობს აქტუალური ახლანდელი განგრძობითის სახესხვაობა — გავრცობილი ახლანდელი განგრძობითი, რომელსაც ქართულში აწმყოს მწკრივი შეესატყვისება:

'So you're still selling illegal fur,' Andy was saying now.

'Yes,' Roy said deliberately. 'Jeannie sells it for me.' (J. Aldridge, The Hunter)

ამილახვარის მოურავი **დღესაც** ციხეში **ზის**, ვერ ამტკიცებს, რომ მისი მიგზავნილები არ იყავით. (ქ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

'How long **are** you **staying** in London?'

'Oh, only a month.' (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

მესამე დღეა, რომ **გელოდები** აქ. ჯიხურში შესვლა და ჭაში ჩაძახება გიყვარს შენ. (ქ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ამ მნიშვნელობით, როგორც უკვე ზემოთ განვიხილეთ, გვხვდება ახლანდელი განუსაზღვრელიც. აღნიშნული ორი ფორმის დენოტატური მნიშვნელობა უახლოვდება ერთმანეთს, თუმცა ახლანდელი განგრძობითი, როგორც წესი, ახლანდელ განუსაზღვრელზე უფრო ნათლად (ლექსიკური აქტუალიზატორების გარეშეც) გადმოცემს პროცესუალურ მოქმედებას, ამიტომაც იგი უფრო ხშირად ემოციურად შეფერადებულ კონტექსტში გვხვდება. ამ მნიშვნელობის რეალიზაცია სიტუაციური კონტექსტის ან შესაბამისი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით ხორციელდება. ძალიან ხშირად მოქმედების დროის დიაპაზონის დაკონკრეტება განსაზღვრული ლექსიკური ინდიკატორებით ხდება. ესენია: ისევ, კვლავ, დიდი ხანია, მთელი დღე, მთელი კვირა, უკვე ასი წელია და სხვა.

აღსანიშნავია ის, რომ ქართულ ენაში გავრცობილი აწმყოს მნიშვნელობას მოქმედების განგრძობითობის მაჩვენებელი ლექსიკური საშუალებები აზუსტებს, ამ დროს ინგლისურ ენაში უფრო მეტად ახლანდელი განგრძობითი გამოიყენება, იშვიათად კი ახლანდელი განუსაზღვრელი. ქართული ენის გავრცობილ აწმყოს ლექსიკური აქტუალიზატორით „კიდევ" ინგლისურ ენაში შეესატყვისება ახლანდელი განუსაზღვრელი და ახლანდელი განგრძობითი. მაგალითად:

...ისევ **ჩხრიალებს** ჩვენი კაკალი!

მე **კვლავ** მოთხრობას **ვწერ** ... (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში)

'I know you **still love** me, Jamie, in spite of everything.' (E. O'Neill, Long Day's Journey into Night)

'Now it's midnight, and I'm **still writing** to you.'

(W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

ფორმათა ეს სინონიმია დიდად ინფორმატულია და მნიშვნელობათა განსაზღვრულ ანტითეზას იძლევა როგორც გრამატიკული სემანტიკის, ისე კონოტატურ მნიშვნელობათა თვალსაზრისით. კონოტაციის ხაზით ეს ანტითეზა გამოიხატება ინფორმაციის გაშუქებაში. ახლანდელი განუსაზღვრელი ხაზს უსვამს მოვლენის იდეალურ მხარეს, რომელიც კონკრეტული მოვლენებისაგან დამოუკიდებლადაა აღებული, ახლანდელი განგრძობითი კი წარმოსახვით მოვლენათა საგნობრივ მხარეს ააქტიურებს და ახდენს მათ კონკრეტულ რეალიზაციას.

2. მრავალგზისი ახლანდელი განგრძობითი

მრავალგზისი ახლანდელი განგრძობითი გრამატიკული ფორმის ისეთი ვარიანტთაგანია, რომელიც გრამატიკული ფორმის მრავალგზისობის სხვადასხვა მაჩვენებელთან ურთიერთმოქმედებს შედეგად მიიღება. მაგალითად:

'He follows me everywhere. He's always following me. He gets on my nerves.' (J. Salinger, The Catcher in the Rye)

'He's risking his life twenty times a day.' (W. S. Maugham, Mrs. Craddock).

'She tells me the store is booming, booming a new lease of life, she says. Very big city. All sorts of new things. Well, people like to buy things.' (I. Shaw, Rich Man, Poor Man)

ახლანდელი განგრძობითი და ახლანდელი განუსაზღვრელი მრავალგზისი მნიშვნელობით ერთმანეთისაგან, პირველ ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ მრავალგზისობის მნიშვნელობა, რომელიც Present Continuous-ით გადმოიცემა დროებითი ხასიათისაა, შეზღუდულია განსაზღვრული პერიოდით და არ აღიქმება, როგორც მუდმივად არსებული. Sometimes, always, usually, often, seldom, many times და ა. შ. ტიპის ზმნიზედებთან ამ გრამატიკული ფორმის შეთავსება ადასტურებს სემის „მრავალგზისი მოქმედების" და მასთან დაკავშირებული სემის „მოქმედების დროში არალოკალიზების" არსებობას. იტერატული მოქმედების მნიშვნელობა დროში ლოკალიზებას ვერ ეთავსება. ცალკეულ სეგმენტთა რიცხვი შეზღუდული არაა, ოღონდ სიტუაციურად შემოსაზღვრულია ყოველი მათგანის დროული დიაპაზონი. ახლანდელ განგრძობითში „მრავალგზისობის" სემის „მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტის განფენილობის" სემასთან შეხამების გამო მასში ასპექტური მნიშვნელობა მეორეხარისხოვან ადგილს იკავებს, ატემპორალურ-ექსპრესიულ-ემოციური მნიშვნელობა კი აქტუალიზაციას განიცდის. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ Present Continuous და Present Indefinite მრავალგზისი მნიშვნელობით ურთიერთშენაცვლებადი ფორმებია:

They're always leaving their goddam bags out in the middle of the aisle←→They always leave their goddam bags out in the middle of the aisle.

მრავალგზისი განგრძობითისათვის შემდეგი სემებია რელევანტური: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია მოქმედების განმეორება ისე, რომ იგი მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტიდან იქნეს გამორიცხული, 2) მოქმედების მრავალგზი-

სობა, 3) მოქმედების დროში არალოკალიზება, 4) მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტის პროცესუალობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალგზისობის მნიშვნელობის რეალიზაციისათვის ახლანდელი განგრძობითის ფორმას ესაჭიროება ხელსაყრელი პირობები, კერძოდ კი, ლექსიკური საშუალებები, რომლებიც მოქმედების განმეორებაზე, მრავალგზისობაზე და ა. შ. მიუთითებენ (გარეგანი ლექსიკური განპირობებულობა).

ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ Present Continuous-ს ამ მნიშვნელობით ქართულ ენაში აწმყოს მწკრივი შეესატყვისება. მაგალითად:

He laughed drily. He stood up abruptly. 'I have to go home now,' he said. 'I'm giving my wife French lessons every afternoon.' (I. Shaw, Rich Man, Poor Man)

— გმადლობთ, ძლიერ იშვიათად ვწევ. მაშინ ვწევ, როცა ძალიან კარგ გუნებაზე და მხიარული ვარ — ღიმილით თქვა ქალმა. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

'They're always leaving their goddam bags out in the middle of the aisle. (J. Salinger. The Catcher in the Rye)

ზარანდია იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ყოველთვის და ყოველ განსახილველ საკითხზე აქვთ თავისი აზრი, დასკვნა და მოქმედების მეტნაკლებად ჭკვიანური გეგმაც. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

'Suppose some tries to stop you?'

'No one does, if I have a pass.

'Not even the stewardesses?'

'They are just young girls, my dear. Usually they're talking to each other, or interested in men'. (A. Hailey, Airport)

— გიჟებთან ლაპარაკი მიყვარს მე. ჩვეულებრივ ისეთს ამბობენ, იცოდე შენ, ბრძენისაგან იშვიათად გაიგონებ მისთანას. არაა მაგ ქალი გიჟი, რაღაც სხვა ამბავია აქ. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

3. პროსპექტული ახლანდელი განგრძობითი

პროსპექტული ახლანდელი განგრძობითის რეალიზაციისათვის აუცილებელია ხელსაყრელი პირობები (კონტექსტი). ეს შეიძლება იქნეს ლექსიკური საშუალებები, ფუტურალური მნიშვნელობის სიტუაციური განპირობება და ა. შ. მაგალითად:

'Now listen, Roger's coming home tomorrow. You know he's leaving Eton for good. I'm sending the car for him early and I want you to come to lunch. Not a party, only you and me, Michael and Roger.'

'I m lunching out tomorrow.' (W. S. Maugham, Theatre) 'Tomorrow I'm taking a plane to America and you're staying on for the rest of the summer here.' (I. Shaw, Beggarman, Thief)

Johnson goes home to lunch and gives Batu a long description from imagination of the beautiful Mrs. Rudbeck who is coming to the station. (J. Cary, Mister Johnson)

რელევანტური სემები ახლანდელი განგრძობითისთვის პროსპექტული მნიშვნელობით შემდეგია:

1) პროსპექტულობა — იმ პერიოდისადმი მიპყრობა, რომელიც ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულს მოსდევს და მასთან აუცილებლად არის კონტაქტში, 2) მოქმედების ერთგზისობა, 3) დროში მოქმედების ლოკალიზება, 4) მოქმედების პროცესუალობა.

ამ შემთხვევაში ახლანდელი განგრძობითის ფორმა კონტექსტში აზრის დაუზიანებლად თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს სიტყვათშეხამებებით „shall/will+ინფინიტივი": He's leaving Eton for good ⟷ He'll leave Eton for good.

ქართულ ენაში ეს მნიშვნელობა გადმოიცემა აწმყოს (უსრული ასპექტი) და მყოფადის (სრული ასპექტი) მწკრივებით. მაგალითად:

'Why don't you quit school and get a job with Hummel? As I remember, you're a natural mechanic.'

The boy says, 'I'm waiting for the war.' (J. Updike, The Centaur)

— ბატონო დოცენტო, — მიმართა ზარანდიამ — თქვენს რწმენას და იმას, რომ „სხვანაირად არ ძალგიძთ", დიდი გამოცდა **ელის**, სამწუხაროდ ახლავე **ელის**... მესამე პირი ამ ოთახში არის კავკასიის ჟანდარმერიის სამართველოს უფროსი, გენერალი, გრაფი სეგედი. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

— რას **აპირებ**? დაელოდები?

— არა, **წავალ** (მ. ჯავახიშვილი, არსენა მარაბდელი)

When his mother came back he had made up his mind. 'Mom,' he said, 'I'm leaving now. Gloria called. She's coming over tonight and I don't want to see her.'

'You mean now. This minute?' (M. Puzo, The Dark Arena)

— რას **აპირებ** მომავალში, როგორ **გაქვს გადაწყვეტილი**?

— მონასტერში **მიდის**, ბერად **აპირებს** აღკვეცას — გაიცინა მაგალიმ — ეფემია-წინამძღვარი შეპირდა, მე მოგაწყობ სადმე რუსეთშიო. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

ოცდაათი წლის თორნიკე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა. თქმა არ უნდა, ის კიდევ წინ წავა. წარმოგიდგენიათ, თორნიკე უბრა-

ლო ექიმად რომ ყოფილიყო, უბრალო უბნის ექიმი. არა, თორნიკე უბნის ექიმად არ იმუშავებს.

— მე მგავს — ფიქრობდა გიორგი — წინ წავა. უსათუოდ მინისტრი გახდება, ჯერ ყველაფერი წინ **არის!** (თ. ჭილაძე, აჰა, მიიწურა ზამთარი)

უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლანდელი განგრძობითი და შეხამება „shall/will+ინფინიტივი (continuous)", ახლანდელი განუსაზღვრელისაგან და შეხამება „shall/will+ინფინიტივი (indefinite)"-ისაგან განსხვავებით ხასიათდება სემით „მოქმედების პროცესუალობა". ეს სემა ზღვრად ზმნებთან ივსება სემით „პროსპექტულობა", ხოლო უზღვრად და ორმაგი ასპექტური ბუნების ზმნებთან სხვა სემებს ეხამება. გარდა ამისა, ზემოდასახელებულ ფორმებს შორის ის განსხვავებაცაა, რომ ახლანდელი განუსაზღვრელი პროსპექტული მნიშვნელობით გადაწყვეტილებას ან გეგმით გათვალისწინებულ მოქმედებას გადმოსცემს, ახლანდელი განგრძობითი კი განზრახვას (Palmer 1965, 89).

საზოგადოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ ახლანდელი განგრძობითი პროსპექტული მნიშვნელობით შეიძლება ვიხმაროთ ლექსიკური საშუალებების გარეშეც. ახლანდელი განგრძობითის ფორმა ამ მნიშვნელობით დროისა და პირობითს დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება. მას ქართულ ენაში მყოფადის მწკრივი შეესატყვისება:

'All right,' she said' 'if you're **waiting** in your car I'll come through the main door in fifteen minutes.' (A. Hailey, Airport)

— კარგით — თქვა მან — თუ მანქანაში **დამელოდებით**, თხუთმეტ წუთში **მოვალ** მთავარ შესასვლელთან.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ახლანდელი განგრძობითის ეს ვარიანტული მნიშვნელობა ხასიათდება არა ვექტორული ნულის მოქმედების განფენილობაში ჩართვით, არამედ დროის პერსპექტივის ათვლის წერტილთან კონტაქტურობით. მაშასადამე, „ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში" ფორმის ინვარიანტულ მნიშვნელობად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იგი ფორმის ყველა ვარიანტულ მნიშვნელობაში არაა წარმოდგენილი. ცნება, რომელიც ფორმის ყველა ვარიანტს მოიცავს ესაა „ვექტორულ ნულთან გაუთიშველობა". დროის პერსპექტივასთან გაუთიშველობა ქმნის მოქმედების აქტუალობის მნიშვნელობის შეგრძნებას.

ფორმის კონტაქტური მნიშვნელობები (რომლებიც მხატვრულ ტექსტში წარმოდგება) სემათა შემადგენლობაში არაა წარმოდგენი-

ლი, იგი ტექსტის უფრო დიდი მონაკვეთის (ან მთელი ტექსტის როგორც დასრულებული სამეტყველო ნაწარმოების) შინაარსის ანალიზის საფუძველზე გამოიყვანება.

4. ისტორიული ახლანდელი განგრძობითი


თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ახლანდელი განგრძობითი ისტორიული ახლანდელის ფუნქციითაც გვხვდება. ამ მნიშვნელობით ეს ფორმა ახლანდელი განუსაზღვრელისაგან განსხვავებით მეტი სტილისტური ექსპრესიულობით ხასიათდება. ქართულ ენაში მისი შესატყვისია აწმყოს მწკრივი. მაგალითად:

Without another word to the young couple Zimmerman moved off down the hall, huged-backed. Students jostled to clear him a path. The hall is **emptying**, the versity game is **beginning**. (J. Updike, The Centaur)

შეღამებული იყო უკვე, დაბაში ვბრუნდებოდით, და ამასობაში შემოგვესმა დედაკაცის მოთქმა, წავედით იმ ზარისა და ტირილის ხმაზე. რას **ვხედავთ. გდია** ბუდარების ძროხა ყელგამოჭრილი, **უწევს** გვერდით მარგილით თავგაჩეჩქვილი რუხი ბოჩოლა. ბუდარიხას გაუწეწია თმა, **დგას** მუხლებზე და **ტირის**. (ჭ. ამირეჯიბი, ღათა თუთაშხია)

სქემა 7

ახლანდელი განგრძობითის სემანტიკური მოდელი ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები



§ 4. ახლანდელი პერფექტის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ძართული შესატყვისები

1. ექსკლუზიური ახლანდელი პერფექტი

ექსკლუზიურობა ახლანდელი პერფექტისათვის პირველად, ძირითად მნიშვნელობად ითვლება. მისი რეალიზაციისათვის არ არის საჭირო ხელსაყრელი პირობები (კონტექსტი). იგი ხორციელდება როგორც ზღვრადი, ისე უზღვრადი ასპექტური მნიშვნელობის ზმნებში (Иванова 1961, 115). მაგალითად:

'I've told you before that I know absolutely nothing.'

'Well — that's what I know,' said the Princess.

Her friend again hesitated, 'How much your father does.'

(H. James, Golden Bowl)

'That depends upon how much studying you **have already done.** You **have** never **attended** high school? Of course not.' (J. London, Martin Eden)

'It **has** now **been** a month since Monsieur **has been** with us. Doubtlees he would like to pay his account!

'A month? You don't say. **Have** I really **been** here that long.' (I. Stone, The Passionate Journey).

'I've **been**, my dear,' she went on, 'to the British Museum — which, you know, I always adore. And I've **been** to the National Gallery, and to a dozen old booksellers, coming across treasures, and I've **lunched** on some strange nastiness at a cookshop in Holborn. I wanted to go to Tower, but it was too far.' (H. James, The Golden Bowl)

ექსკლუზიურ ახლანდელ პერფექტში შემდეგი სემებია რეალიზებული: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ მოქმედების კონტაქტური რეტროსპექტულობა, 3) მოქმედების დასრულებულობა ან აღკვეთა, 4) მოქმედების ერთგზისობა, 5) მოქმედების დროში ლოკალიზება, 6) მოქმედების დროში არალოკალიზება.

ამ მნიშვნელობაში მნიშვნელოვანი არა მხოლოდ პირველი სემა — „ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობაა", არამედ მეორეც — „ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან აუცილებელი კონტაქტურობა". კონტაქტურობა კი გამოიხატება დროის პერსპექტივასთან გაუთიშველობაში — მოქმედება უარყოფით ვექტორზეა მოთავსებუ-

ლი, იგი ათვლის წერტილიდან მარცხნივ მიემართება. კონტაქტურობა გამოიხატება, აგრეთვე, მიზეზ-შედეგობრივ, რეზულტატურ და ა. შ. კავშირებში. როგორც ვხედავთ, გრამატიკული დროის ბუნების სწორად გაგებას დიდად ეხმარება კონცეფტუალური დრო.

ექსკლუზიურ ახლანდელ პერფექტთან ხშირად გამოიყენება შემდეგი ტიპის ზმნიზედები: already, before, long before, before now, lately, yet და ა. შ., მიუხედავად იმისა, რომ ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად სასურველი კონტექსტი არაა საჭირო. იგი ხორციელდება როგორც ზღვრადი, ისე უზღვრადი ასპექტური მნიშვნელობის ზმნებში.

ბოლო მაგალითში (4) ახლანდელი პერფექტი და წარსული განუსაზღვრელია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთსა და იმავე ფაქტს აღნიშნავენ, ორივე ფორმა თავის ინვარიანტულ მნიშვნელობას ინარჩუნებს: წარსული განუსაზღვრელი წარსულში მომხდარ ფაქტს აღნიშნავს, ახდენს მის ლოკალიზაციას წარსულში, რომელიც ათვლის წერტილთან გათიშულია, ახლანდელი პერფექტი კი მას ათვლის წერტილთან კავშირში წარმოადგენს. მოქმედების შესრულებისა და ათვლის წერტილს შორის არსებული ინტერვალი შეიძლება რამდენიმე წუთიდან დროის უფრო დიდ მონაკვეთამდე (დღე, თვე, წელი) მერყეობდეს. აქ მთავარი ათვლის წერტილთან მისი კონტაქტურობაა.

ქართულ ენაში ექსკლუზიურ ახლანდელ პერფექტს შემდეგი ფორმები შეესატყვისება:

'**Have** you **done** all this to get me to stay on for another year? **Have** you **broken** my heart and **ruined** my whole life just to keep me in your rotten theatre?'

'I swear I haven't. I like you and I admire you. And we've **done** better business the last two years than we've ever **done before**.' (W. S. Maugham, Theatre)

— დათა... აბრაგია! ხომ **გაგიგონია**... დათა თუთაშხია.

— **გამიგონია**, როგორ არა! — სიტყვა ჩამოვართვი და ინტერესით დავძინე. სად **გაიცანი?**

— ქალი გაინაბა, თითქოს დაიბნაო, და ჩაილაპარაკა.

— არ **გამიცვნია** მე ის. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

'But you see, I **have already** lost those votes, because I **have** never **had** them.' (W. Faulkner, Knight's Gambit)

— ჰმ. კაცთა მოდგმის დასაბამიდან დღემდე სატკივარი უკვე **გადაგიწუვეტიათ**, ქალბატონო. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

— არაგვმა ირიბ სხივების ნაშუქზე **იცვალა** ფერი, სპილენძს თუ-

ჯი გაჰკრა. მზემ ნაპირა ძეწნებისა და შორეული მთების ჩრდილები **უკვე კარგა შეატრიალა.** (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში)

'**Have** you ever **lived** in the country?'

'No, never.' (I. Stone, The Passionate Journey)

— **დამასკო? რომში გიცხოვრიათ?**

— **არ მიცხოვრია.** (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

იმ შეორე ოთახში ოდესღაც ჩემი ქვრივი მარო **ცხოვრობდა.** (იქვე)

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ახლანდელ პერფექტს ქართულში I თურმეობითის და წყვეტილის (სრული ასპექტი) და უწყვეტლის (უსრული ასპექტი) მწკრივები შეესატყვისება. I თურმეობითი და წყვეტილი (სრული) ამ მნიშვნელობით ურთიერთშენაცვლებადი ფორმებია, თუმცა I თურმეობითი უფრო უარყოფით წინადადებებში, წყვეტილი კი წართქმითში გვხვდება. ამ მნიშვნელობის განსახორციელებლად I თურმეობითი და წყვეტილი (სრული) არ საჭიროებენ სასურველ პირობებს მაშინ, როცა უწყვეტლის (უსრული) მწკრივი ხელსაყრელ კონტექსტს მოითხოვს, კერძოდ კი, უზღვრადი ასპექტური მნიშვნელობის ზმნებს (შინაგანი ლექსიკური განპირობება).

ახლანდელი პერფექტი უმეტესად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება. აგრეთვე მისი გამოყენება შესაძლებელია ნაწარმოების შინაარსის გადმოცემისას, თუ იგი ახლანდელ დროშია დაწერილი. ქართულში კი მისი შესატყვისი ფორმები — I თურმეობითი, წყვეტილი (სრული), უწყვეტელი (უსრული) — გვხვდება როგორც პერსონაჟთა, ისე ავტორის მეტყველებაში.

2. ინკლუზიური ახლანდელი პერფექტი

ახლანდელი პერფექტი ინკლუზიური მნიშვნელობით შედარებით შეზღუდულად გამოიყენება. საუბრის მომენტთან კონტაქტი იმდენად მჭიდროა, რომ ახლანდელ პერფექტს შეუძლია გადმოცეს მოქმედება, რომელიც საუბრის მომენტამდე დაიწყო და საუბრის მომენტსაც მოიცავს. ამ შემთხვევაში ნიშნები „საუბრის მომენტისადმი წინამავლობა" და „დასრულებულობა" გარკვეულად იხშობა და სხვა ნიშანი წამოიწევს წინ. მოგვყავს მაგალითები, რომლებშიც ინკლუზიური ახლანდელი პერფექტის რეალიზაციის ილუსტრირება ხდება:

'I thought prices were still pretty good,' Roy said.

'They've **been** good since the war, but what's the use of good prices if everything else goes up with it.' (J. Aldridge, The Hunter)

'We **have known** one another all our lives. I am ashamed that you should address me with such ceremony. It is many years since I **have heard** a friend call me Blasco.' (W. S. Maugham, Catalina)

ინკლუზიური ახლანდელი პერფექტისთვის შემდეგი სემებია რელევანტური: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში, 3) ვექტორული ნულის მიმართ კონტაქტური რეტროსპექტულობა, 4) მოქმედების ერთგზისობა, 5) დროში მოქმედების ლოკალიზება.

სემა 5 განპირობებულია სემა 2-ით. მის რეალიზაციას ხელს უწყობს გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც მოქმედების საწყის ფაზაზე მიუთითებენ — since the war (მაგალითი), გარემოებითი სიტყვები, რომლებიც მოქმედების ან მდგომარეობის განფენილობაზე მიუთითებენ — all our lives. საერთოდ კი, ამ მნიშნელობის რეალიზაციისათვის ინგლისური ენა ლექსიკურ აქტუალიზატორებს საჭიროებს: დროის განუსაზღვრელი პერიოდის გამომხატველ გარემოებებს წინდებულით for: for some days (weeks, months, years), წინდებულით since ან გარემოებებს for a long time, so long და ა. შ.

ინკლუზიური ახლანდელი პერფექტის გამოყენების სამეტყველო პირობებია: 1) გარემოებითი სიტყვები, რომლებიც მოქმედების განფენილობას ან მოქმედების საწყის ფაზას მიუთითებს, 2) ზმნის უზღვრადი ან ორმაგი ასპექტური ხასიათი, 3) ახლანდელი განუსაზღვრელი ფორმის მეზობლობა.

ინგლისურში ეს ფორმა ინკლუზიურ ახლანდელ პერფექტს შეესატყვისება:

'I've **known** you long and from far back.'

'Do you think you've **known** me?' asked Charlotte Stant.
(H. James, The Golden Bowl)

— გოგიას **იცნობ**?

— გოგიას კაი ექვსი წელიწადია, რომ **ვიცნობ**, მასთან მოვდივარ ხოლმე აქ. (ჯ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

— კარგი ჰიდაობა **გცოდნიათ**, ქალბატონო, ნამეტანი კარგი, უკეთესს რომ ვერ ნახავს კაცი. (იქვე)

'How long **have** you **been** here?'

'A week.'

'And you have waited all this time to see me? That is not kind.' (W. S. Maugham, Catalina)

— რამდენი ხანია აქა **ხარ**?

— სამი დღეა. (თ. ჭილაძე, აჰა, მიიწურა ზამთარი)

— ნამდვილი ადგილის დედა შენ **ყოფილხარ!** რა შმაგი ღამეა!

— რა კარგია, რომ დავრჩი! ახლა ვამტკიცებ სტიქიური ძალა გადამდებია! რა ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი თავის არსებაშიც იგრძნობს სტიქიონს! (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში)

როგორც მაგალითებიდან ჩანს და როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ინკლუზიურ ახლანდელ პერფექტს ქართულში შეესატყვისება აწმყოს მწკრივი და I თურმეობითი ინკლუზიური მნიშვნელობით.

3. მრავალგზისი ახლანდელი პერფექტი

მრავალგზისი ახლანდელი პერფექტის განსახორციელებლად აუცილებელია ხელსაყრელი კონტექსტი, კერძოდ კი, გარემოებითი სიტყვები, რომლებიც განუსაზღვრელ ანუ ციკლურ (რეგულარულ) მოქმედებებს გადმოცემს — often, always, sometimes, usually, over and over again, every day, every week ა. შ. მაგალითად:

I have often thought that if I had been smarter, or more prepared for what Hill was going to throw at me, I could have helped him more, instead of failing him. (J. Jones, The Merry Month of May)

'I've tried to explain this to old Jake **a hundred times**. I've been explaining it to him ever since I hit this rock.'

(J. Jones, From Here to Eternity)

'You've ignored me all these weeks.'

'Miss Martin, I've seen you **every day**. We've talked. Chatted.'

(J. Donleavy, A Singular Man)

მრავალგზის ახლანდელ პერფექტში შემდეგი სემებია წარმოდგენილი: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა, 2) ვექტორული ნულის მიმართ იმ პერიოდის კონტაქტური რეტროსპექტულობა, რომლის დროსაც შესაძლებელია მოქმედების განმეორება, 3) მოქმედების მრავალგზისობა; 4) მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტის აღკვეთა, 5) დროში მოქმედების არალოკალიზება.

ჩვეულებრივი მოქმედების მრავალგზისობა დროის მახასიათებლის არაკონკრეტულობას ეხამება, ამიტომაც სემა 3 — „მოქმედების მრავალგზისობა", როგორც წესი, უთავსდება სემა 5-ს — „დროში მოქმედების არალოკალიზებას".

მრავალგზის ახლანდელ პერფექტს ქართულ ენაში შემდეგი ფორმები შეესატყვისება:

'I've often recalled the bowl and the little swindling Jew,

wondering if they've parted company.' (H. James, The Golden Bowl)

— მე დალში ვარ გაზრდილი და დათვი ხაფანგიდან **ბევრჯერ დამიჭერია**, ბუნაგიდან გამომიგდია მადევრებითა და მაძებრებით. (კ. გამსახურდია, მთვარის მოტაცება)

ხშირად ვფიქრობდი ასეთი წარმატებების ბუნებასა და მიზეზებზე. მგონი, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ყოველივე ეს ძირითადად მანიაკობიდან მოდის. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

'I've told you a hundred times to clear out those bottles. Where are they now?' (E. Hemingway, A Farewell to Arms!)

— ისინი წინათაც დადიოდნენ პარტუჯრედის მდივანთან. ბარნაბას **ხშირად დაუნახავს** საღამოჟამს ყველანი სკოლის ეზოში მოლზე წამოწვებოდნენ და მუსაიფობდნენ. (კ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ცისკარი)

— ხომ ასეა, მაყვალავ?

— დიახ, აგრე! — მორცხვად, მაგრამ **მუდამ პასუხობდა** ქალი. (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში)

რამდენჯერ ინატრა მექიმ, ბონდზე მიმავალ თალიკოს ჩელტი ჩამტვრეოდა და თავად იქვე ყოფილიყო სადმე. (კ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ცისკარი)

როგორც ვხედავთ, მრავალგზის ახლანდელ პერფექტს ქართულში შეესატყვისება I თურმეობითის, უწყვეტლისა (უსრული) და წყვეტილის (სრული) მწკრივები.

4. რეზულტატური ახლანდელი პერფექტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. თავი 4, § 2) ახლანდელი პერფექტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა, გამოხატოს მოქმედების შედეგი, რომელიც ახლანდელს უკავშირდება. დროთა მიმართებებთან ერთად ახლანდელი პერფექტი მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებსაც აღნიშნავს, კერძოდ კი, იგი იმ მდგომარეობის იმპლიცირებას ახდენს, რომელიც დასრულებული მოქმედების შედეგად წარმოიშობა. მოქმედება, რომელიც რეზულტატური ახლანდელი პერფექტით გადმოიცემა, ერთგზისია. ეს ფუნქცია მას სემის — „ვექტორულ ნულთან კონტაქტურობა“ — საფუძველზე აქვს შეძენილი. რეზულტატური ახლანდელი პერფექტის დახმარებით მყარდება სიღრმისეული კავშირები, პერსონაჟთა „ახლანდელი“ წარსულითაა განპირობებული. მაგალითად:

'You haven't changed,' I said smiling as I looked at him. He had the same absurd appearanse that I remembered. (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

Then he straightened himself and said, looking down at him

'This news **has shaken** me, Eliot. I can't think of everything it means.' (C. P. Snow, The Masters)

რეზულტატური ახლანდელი პერფექტის ძირითადი სემებია: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა, 3) მოქმედების რეზულტატურობა, 4) მოქმედების ერთგზისობა, 5) მოქმედების უწყვეტობა.

სემა 2 — „ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა" — პირველხარისხოვანია. იგი ახლანდელი პერფექტისა და წარსულ განუსაზღვრელს შორის დაპირისპირების ექსპლიცირებას ახდენს. დენოტატი ამ ფორმებში ემთხვევა ერთმანეთს — მოქმედებაა წარსულში — სიგნიფიკატი კი განსხვავებულია. ამ ფორმების განსხვავება შიდაენობრივი ხასიათისაა. ახლანდელი პერფექტის ფორმა მოიცავს სემას — „ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა." წარსული განუსაზღვრელისა კი სემას — „ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან გათიშულობა", ე. ი. გამორიცხავს ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულს მოქმედების დროიდან.

ინგლისური ენის რეზულტატურ ახლანდელ პერფექტს შეესატყვისება ქართულში I თურმეობითისა და წყვეტილის (სრული) მწკრივები:

'You've **gotten** older,' his mother said, and they all laughed. 'No, I mean more than three years older.'

'He **hasn't changed**; Gloria said. 'He **hasn't changed** a bit.' (M. Puzo, The Dark Arena)

ისე ვიდექი, მხოლოდ მუშნის სახეს ვხედავდი. მხარზე თავი დაადო ძმას, ცოტა ხანს განაბული იყო. მერე ჩაილაპარაკა — უფრო **გამოცვლილხარ** და **შებერებულხარ**, ვიდრე მოველოდიო, და ცრემლით ატირდა, საცოდავი, ძლივს იკავებდა თავს. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

— მაგას რძე უნდა ახლა, შეხე, როგორ **გახდა**!

— არც ჭადი და ყველი აწყენს! — ვთქვი მე. (ნ. დუმბაძე, მე ვხედავ მზეს)

'But how he's **grown**,' she said aloud. 'And how he's **changed**.' She held the child at arm's length with the gesture of a connoisseur who stands back to examine a picture. (A. Huxley, Point Counter Point)

— **დავაუკაცებულხარ**, სოსოია, წვერი **ამოგსვლია**.

— წვერი კი არა, ღინღლია, — ვუთხარი და ლოყაზე ცეცხლი წამეკიდა. (ნ. დუმბაძე, მე ვხედავ მზეს)

— როგორ მიხარია, ფრიქსე რომ **წამოდგა** — თქვა უცებ მედეამ. (ო. ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა)

როგორც ფაქტიური მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რეზულტატურობის მნიშვნელობის სარეალიზაციოდ საჭიროა ხელსაყრელი კონტექსტი, კერძოდ კი, ზღვრადი და ორმაგი ასპექტური მნიშვნელობის მქონე ზმნები, რომლებიც ლექსიკურად სუბიექტისა და ობიექტის ცვლილებასთან დაკავშირებულ მოქმედებას გადმოცემენ — he's changed, he's grown, he hasn't changed, გამოცვლილხარ, შებერებულხარ, დავაჟკაცებულხარ, ამოგსვლია და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ახლანდელი პერფექტი და I თურმეობითი მაღალი სემანტიკური პოტენციალის მქონე ფორმებია და დიდ ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებენ. აქ პირველ რიგში, მხედველობაში წინამავლობის ნიშანი მიიღება, რომელიც ორივე ენაში გრამატიკულადაა გამოხატული, ზმნის ფორმით გადმოიცემა. განსხვავება ამ ფორმებს შორის განსაკუთრებით ვლინდება უნახაობის აქტის გამოხატვისას, რომელიც ქართულ ენაში I თურმეობითის ერთ-ერთი ვარიანტული მნიშვნელობათაგანია. I თურმეობითს უნახაობის აქტის მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა მოლაპარაკეს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ მოქმედება, რომლის შესახებაც იგი ლაპარაკობს, არ არის მისი პირადი დაკვირვების შედეგი. იგი თვითონ არ შესწრებია ამ ამბავს, არამედ გადმოცემს მას, როგორც სხვისაგან გაგონილს, ან თუნდაც შესწრებოდა, მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, დაივიწყა იგი და ახლანდელ დროში სხვისი სიტყვებით მოგვითხრობს მის შესახებ:

— იგი კინაღამ **შეჭრილა** ქალის ბინაში, მაგრამ ჟანეტ დე ლამიეს მტკიცე ხასიათი **გამოუმჟღავნებია,** აცუნდრუკებული პოლკოვნიკი, როგორღაც **დაუმშვიდებია,** სამი დღის შემდეგ კულაგინების ოჯახში ვახშამზე შეხვედრა **აღუთქვამს** და ბუნდოვანი ავანსის ამარა **გაუსტუმრებია.** (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

— გუშინწინ მოჯამაგირეების კრება **ყოფილა** — გაუბედავად დაიწყო მექიმ.

— დიდი ამბავი მომხდარა — ჩაიცინა ბარნაბამ. — რაო, ფლავი დაურიგეს?

— ტარასის **უთქვამს თურმე,** პირობის ქაღალდს აღმასკომის ბეჭედიც უნდაო. (კ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ცისკარი)

ამ მნიშვნელობით I თურმეობითის სემებია: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულ-

თან კონტაქტური რეტროსპექტულობა, 3) მოქმედების უნახაობა, 4) მოქმედების ერთგზისობა, 5) მოქმედების არალოკალიზება დროში.

ქართულ ენაში უნახაობის აქტის გამოსახატავად გვაქვს ნაწილაკი „თურმე“, რომელიც ნებისმიერ მწკრივთან იხმარება და უნახაობის მნიშვნელობას აძლევს. „თურმეს“ დახმარებით ზმნის ყველა ფორმას შეუძლია გადმოცეს უნახავი აქტი, მაგრამ სხვებთან შედარებით I თურმეობითი უფრო ხშირად გამოიყენება, თუმცა იგი ნაწილაკის გარეშეც გამოხატავს უნახაობის მნიშვნელობას (მაგალითი I).

ინგლისურ ენაში სემა — „მოქმედების უნახაობა“ — ზმნის ფორმით არ გადმოიცემა. ამიტომაც ინგლისურში ამ მნიშვნელობით I თურმეობითის შესატყვისი ზმნის ფორმები არ არის. უნახავი აქტის გადმოსაცემად გამოიყენება რთული კონსტრუქცია to say ზმნით პასივში, to appear, to turn out, they say, როცა დამოკიდებულში ზმნა Present Perfect-შია წარმოდგენილი. მაგალითად:

— ზარანდია მოსულია? — ეკითხე ადიუტანტს.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ... სძინავს თავის კაბინეტში.


— სძინავს?

— დიახ, დილის რვაზე, თუ ცხრის ნახევარზე შესულა კაბინეტში და ძინავს. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

'They tell me Jolyon's bought another house,' said his father's voice close by; he must have a lot of money — he must have more money that he knows what to do with! Montpellier

სქემა 8

ახლანდელი პერფექტის სემანტიკური მოდელი ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები



Square, they say; close to Soames! (J. Galsworthy, The Man of Property)

'The Red One has turned out to be a painter.' (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

It appeared it was all over but the shouting, as my old grandfather would have said. (J. Jones, The Marry Month of May)

§ 5. ახლანდელი პერფექტ-განგრძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები

1. ექსკლუზიური ახლანდელი პერფექტ-განგრძობითი

ექსკლუზიური ფორმის პირველადი, ძირითადი მნიშვნელობაა:

'I've been doing some trading lately,' his uncle said. 'I'll know soon whether I did so bad at it or not. I'm going to make another trade with you. You are not nineteen years old, you are twenty-one, but you haven't even registered yet.' (W. Faulkner, Knight's Gambit)

'She's been laying here all night without a wink of sleep.' (J. Salinger, The Catcher in the Rye)

Zimmerman apparently has been waiting for him. The hall is all but empty: Zimmerman sidles from the stage entrance to the auditorium. (J. Updike, The Centaur)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ახლანდელი პერფექტ-განგრძობითისათვის შემდეგი სემებია რელევანტური: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა, 3) მოქმედების პროცესუალობა, 4) მოქმედების აღკვეთა, 5) მოქმედების ერთგზისობა, 6) დროში მოქმედების ლოკალიზება/არალოკალიზება.

სემა 3 — „მოქმედების პროცესუალობა" — მოქმედების განფენილობის (პროცესუალობის) გამომხატველ ლექსიკურ საშუალებებს — for a long time, for hours, for an hour, for three days და ა. შ. ეხამება, ხოლო სემა 5 — „მოქმედების ერთგზისობა" — მოქმედების განმეორების ლექსიკურ საშუალებებს ვერ ითავსებს. რაც შეეხება სემა 6, იგი კონტექსტზეა დამოკიდებული. ფორმა ახლანდელი პერფექტ-განგრძობითი ექსკლუზიური მნიშვნელობით ვექტორულ ნულთან აუცილებელ კონტაქტურობას გადმოცემს, ამიტომ იგი დროში ლოკალიზებულია. განგრძობითი ფორმები საერთოდ დროის კონტინუუმში ლოკალიზებულ მოქმედებას გამოხატავს.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ პირველ ორ მაგალითში გარემოებითი სიტყვებით (lately, all night) დროში მდგომარეობის აბსოლუტური კონკრეტიზაცია ხდება, მესამე ნაწყვეტში კი, სადაც დროის სპეციფიკატორები არაა წარმოდგენილი მოქმედება შეიძლება მიმდინარეობდეს ვექტორული დროის ყოველ მომენტში — ივი დროში არალოკალიზებულია.

სემა 4 — „მოქმედების აღკვეთა" — უთავსდება სემა 3-ს — „მოქმედების პროცესუალობას". (მოქმედების აღკვეთა მოქმედების დასრულებულობის ტოლფასი არაა). ეს უკანასკნელი ასპექტური მნიშვნელობაა, პირველი კი დროულია, რომელსაც პროცესუალობის ასპექტურ მნიშვნელობას შეუძლია შეუთავსდეს.

ქართულ ენაში ახლანდელ პერფექტ-განგრძობითს ამ მნიშვნელობით შეესატყვისება:

Barbara took her hand. 'Barbara Sinclair. I'm very pleased to meet you. Steve's **been talking** about you all the way up.' (H. Robbins, The Inheritors)

მედუქნესა და დამსწრეთა ნაამბობის თანახმად თურმე, ხან ცრემლები სდიოდა და ხან ხარხარებდა. ბუნებით მოლაპარაკე კაცი იყო — იმ რამდენიმე საათის მანძილზე, თითქმის არაფერი **უთქვამს**. (ჭ. ანირეჯიბი, დათა თუთაშხია)

თვით ჟანეტ დე ლამიეზე არსებობს ერთი საინტერესო ცნობა. ივი სამი, ოთხი წლის მანძილზე ათენში პატარა სასტუმროს დიასახლისი იყო, მაგრამ იქ ერქვა მადმუაზელ ზიზი ჟერმენ... (იქვე).

'Ask Roy what he's going to do when Andy finds out who's **been taking** his place for the last twelve years.' (J. Aldridge, The Hunter)

მომიარა დათამ, **ამ ხნის განმავლობაში არ მომშორებია** გვერდიდან, გამომაცილა შინისკენ. გათავდა ჩვენი კასრის ფიცრის ოსტატობა. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

— იმიტომ გამეცინა, ჩემო ბატონო, რომ მე თვითონ წლობით **ვფიქრობდი** მაგაზე და სიმართლე მოგახსენოთ, ახლაც არ მგონია, სწორი პასუხი თუ მაქვს ნაპოვნი. (იქვე)

როგორც ვხედავთ, Present Perfect Continuous-ს ამ მნიშვნელობით I თურმეობითისა და უწყვეტლის (უსრული ასპექტი) მწკრივები შეესატყვისება. ახლანდელი პერფექტ-განგრძობითისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში გამოიყენება (თხრობისას კი მხოლოდ მაშინ, თუ ნაწარმოები ახლანდელ დროშია დაწერილი) I თურმეობითი და უწყვეტელი გვხვდება როგორც პერსონაჟთა, ისე ავტორის მეტყველებაშიც. ახლანდელი პერფექტ-განგრძობითი კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი დიფერენ-

ციალური სემანტიკური ნიშნით განსხვავდება I თურმეობითისაგან და უწყვეტლისაგან, ესაა „მოქმედების პროცესუალობა“, რომლის გადმოსაცემადაც დასახელებული ფორმები (I თურმეობითი და უწყვეტელი) ლექსიკურ საშუალებებს მიმართავს.

2. ინკლუზიური ახლანდელი პერფექტ-განგრძობითი

ინკლუზიური ფორმის ძირითადი პარადიგმული მნიშვნელობა არის. მოქმედებას ამ დროს შეიძლება ჰქონდეს გავრცობილი ახლანდელის ელფერი. ეს მნიშვნელობა ხორციელდება მიკროკონტექსტის საშუალებით, რომელიც ლექსიკურ დეტერმინანტებს — long, long enough, for hours, since და ა. შ. მოიხსოვს. მაგალითად:

'Oh. Mr. Craddock, let me come near you.' cried Mrs. Branderton. 'I've been trying to get at you for twenty minutes.' (W. S. Maugham, Mrs Craddock)

'Sooner or later, like I've been telling'em thirty years, alcohol is going to destroy The Human race.' (W. Saroyan, The Beautiful People)

ახლანდელ პერფექტ-განგრძობითში ინკლუზიური მნიშვნელობის შემდეგი სემები გამოიყოფა: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის წინამავლობა, 2) ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში. 3) ვექტორულ ნულთან კონტაქტურობა, 4) მოქმედების პროცესუალობა, 5) მოქმედების ერთგზისობა. 6) დროში მოქმედების ლოკალიზება.

როგორც ვხედავთ, ახლანდელი პერფექტისაგან განსხვავებით ახლანდელ პერფექტ-განგრძობითს აქვს დამატებითი სემა — „მოქმედების პროცესუალობა“. დროში მოქმედების ლოკალიზება ათვლის წერტილის მოქმედების განფენილობაში ჩართვითაა დეტერმინირებული და გამოყენების სამეტყველო პირობებითაა შეზღუდული.

Present Perfect Continuous-ს ამ მნიშვნელობით ქართულში შეესატყვისება აწმყოს მწკრივი და I თურმეობითი. მაგალითად:

'I don't know' the Warden said, 'But there is one man in all my section that I am determined to catch with illegal fur, and it's you. You've been fooling me for twenty years.'

(J. Aldridge, The Hunter)

დილით მოლაღურის სტვენამ გამომაღვიძა. არა, უჩვეულო გრძნობამ — თითქოს აქ ვიღაც არის. კარგა ხანია ზის და ჩუმად მესაუბრება. (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში).

თქვენ დიდი ხანია აღარ უფიქრიათ ჩვენსკენ? ის გაკვირვებთ, რასაც ჩვენ კარგა ხანია შევეჩვიეთ!

დიდი წანია... ახლა ძველსა და ახალს ვადარებ... (ლ. გოთუა, ნისლი ნაზატარის ტყეში)

უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისურ ახლანდელ პერფექტ-განგრძობითს ქართულის I თურმეობითისაგან განსხვავებით აქვს დამატებით სემა — „მოქმედების პროცესუალობა". რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს I თურმეობითს არ შეეძლოს გადმოცეს მოქმედება მის მიმდინარეობაში, პროცესში. ამ მიზნით იგი იყენებს ლექსიკურ საშუალებებს, რომლებიც მოქმედების მიმდინარეობაზე მიუთითებენ. ესენია: დიდხანს, დიდი ხნის განმავლობაში, რა ხანია და ა. შ.

3. მრავალგზისი ახლანდელი პერფექტ-განგრძობითი

ახლანდელი პერფექტ-განგრძობითის ერთ-ერთი ვარიანტული მნიშვნელობაა მრავალგზისობა. ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად აუცილებელია ლექსიკური საშუალებები, რომლებიც მოქმედების ციკლურ ხასიათზე მიუთითებენ. მაგალითად:

'Don't you remember?' he said to her. 'I've **been talking** to you about him **often**.' (W. S. Maugham, The Moon and Sixpence)

'You've **been thinking every day** for months and months?' — Mrs. Assingham took in it. 'But what then, dear Maggie, have you been thinking.' (H. James, The Golden Bowl)

ახლანდელი პერფექტ-განგრძობითი ამ მნიშვნელობით შემდეგი სემებით ხასიათდება: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) ვექტორული ნულის პერიოდთან, რომლის განმავლობაშიც შესაძლოა მოქმედების განმეორება, კონტაქტური რეტროსპექტულობა, 3) მოქმედების მრავალგზისობა, 4) მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტის პროცესუალობა, 5) მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტის აღკვეთა, 6) მოქმედების დროში ლოკალიზება-არალოკალიზება.

ამ მნიშვნელობით ახლანდელ პერფექტ-განგრძობითს ქართულში შეესატყვისება I თურმეობითი და უწყვეტელი:

'Ever since I was a young girl,' said Miss Ley, 'I've **often been trying** not to take things seriously.' (W. S. Maugham, Mrs. Graddock)


კიდევ ერთი რამ დამამახსოვრდა — გოგი წულაძის დედა, ის მოხუცებული მანდილოსანი სამ დღეში ერთხელ **მოდიოდა** და, მიუხედავად იმისა, თუ რომელ საათზე მოახერხებდა ამანათის გადმოცემას და პასუხის მიღებას, მაინც დაღამებამდე **რჩებოდა ხოლმე**. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

რამდენჯერ ამოვლია და ჩამოვლია ამ „თოხარიკი ცხენითა“... მაღალი ძაბვის ხაზი გაგვყავდა! — .... (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში).

„მოქმედების მრავალგზისობის“ სემა, როგორც წესი, ეხამება დროის მახასიათებლის არაკონკრეტულობას, მაგრამ ეს არ ვრცელდება ახლანდელ პერფექტ-განგრძობითზე. დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც შესაძლოა მოქმედების განმეორება, უნდა იყოს ლოკალიზებული და აუცილებლად დისკრეტული, რაც დროის აქტუალიზატორების დახმარებით ან კიდევ სიტუაციით ხერხდება. რაც შეეხება რეზულტატურობის ფუნქციას, ეს მოვლენა ოკაზიონალურია, ენის სისტემაში არ გვეძლევა და ამიტომ მას, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ წიგნის შესავალში, ცალკე არ გამოვყოფთ და არც განვიხილავთ.

სქემა 9

ახლანდელი პერფექტ-განგრძობითის სემანტიკური მოდელი ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები



ენობრივი მასალის შეპირისპირების შედეგად წარმოვადგინეთ ახლანდელი დროის სემანტიკური პოტენციალი ინგლისურსა და ქართულ ენაში და დავადგინეთ, თუ როგორ გამოიყენება ამ ორ ენაში ერთი და იგივე საშუალება, თუ რომელ საშუალებას ენიჭება უპირატესობა ადეკვატური შინაარსის გადმოცემისას ამა თუ იმ ენაში. ახლანდელი დროის ფორმათა პარადიგმული მნიშვნელობა ორივე ენაში მოქმედების აღნიშვნაა, რომელიც დროის განსაზღვრულ ნაკვეთში მიმდინარეობს და მოიცავს საუბრის მომენტსაც. ცნება „ახლანდელი დრო“ თავის მოცულობით გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ცნება „საუბრის მომენტი“ და იგი აუცილებლად მოიცავს ამ უკანასკნელსაც.

ინგლისურ ენაში ახლანდელი დრო წარმოდგენილია ოთხი სიტ-

ზედაფორმით, რომლებიც იდენტურია დროის თვალსაზრისით, მაგრამ განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის კომბინაციით, კერძოდ კი ასპექტისა და დროთა მიმართების კატეგორიებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ინგლისურ ენაში გვაქვს სპეციფიკური ასპექტისა და დროთა მიმართების გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც ქართული ენის ასპექტისა და დროთა თანამდევრობის გრამატიკული კატეგორიებისაგან განსხვავდება.

ქართული ენის ზმნის სისტემაში ახლანდელი დროის ბოლოდ ერთი სიტყვაფორმის არსებობის მიუხედავად, ახლანდელი დროის ფორმათა სემანტიკური პოტენციალის შეპირისპირებისას აღმოჩნდა მათი შედარებით თანაბარი აზრობრივი გაჯერება. ახლანდელი დროის კატეგორიული ფორმა ორსავე შესაპირისპირებელ ენაში, მიუხედავად რაოდენობრივი განსხვავებისა (4.1), მაღალი სემანტიკური პოტენციალის მქონეა და დიდ ტიპოლოგიურ მსგავსებას აჩენს.

შესაპირისპირებელ ენებში ახლანდელი დროის სემანტიკური მნიშვნელობის განსაზღვრის შემდეგ, ჩვენ მოვახდინეთ მათი დამთავრებული-არდამთავრების წერტილების დადგენა, რათა განგვესაზღვრა მსგავსი და განმასხვავებელი თვისებები. მსგავსი თვისებები მოდელთა იზომორფიზმზე მიუთითებს, ხოლო სპეციფიკური — მათ ალომორფიზმზე.

ქართული ზმნის ახლანდელი დროის მნიშვნელობასა და ინგლისური ზმნის ახლანდელი დროის სემანტიკას შორის განსხვავება შინაარსის პლანში კი არა, არამედ გამოხატულების პლანში მჟღავნდება. მაშასადამე, ქართული ზმნის აწმყოს მწკრივის შინაარსის პლანი ძირითადად ემთხვევა ინგლისური ზმნის ახლანდელი დროის ოთხი ასპექტ-დროის ფორმის შინაარსის პლანს. ქართული ენა ახლანდელი დროის მნიშვნელობის მოდიფიკატორებად ლექსიკურ აქტუალიზატორებსა და სხვადასხვა კონტექსტურ საშუალებას იყენებს, რის გამოც ქართული ზმნის აწმყოს მწკრივის ფუნქციები ინგლისური ზმნის ოთხი განსხვავებული ფორმის ფუნქციებს შეესატყვისება.

ინგლისური და ქართული ენები დიდ ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებენ წინამავლობის (ანტერიორობის) ნიშნის გამოხატვის საკითხში. ორივე ენაში წინამავლობა გრამატიკულადაა გამოხატული, ე. ი. გადმოიცემა ზმნის ფორმით (Present Perfect, Present Perfect Continuous ინგლისურში და I თურმეობითით ქართულში). ეს ფორმები დიდ ტიპოლოგიურ სხვაობას ამჟღავნებს უნახაობის აქტის გამოხატვისას. უნახაობა ქართულ ენაში I თურმეობითის ერთ-ერთი

ვარიანტული მნიშვნელობათაგანია, ინგლისურ ენაში კი ეს მნიშვნელობა ზმნის ფორმით არ გადმოიცემა. ამას კი ლექსიკური საშუალებების გამოყენების აუცილებლობამდე მივყავართ.

ინგლისური და ქართული ზმნის ახლანდელი დროის სემანტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა ახლანდელი დროის ფუნქციათა მსგავსების შესახებ ამ ორ სხვადასხვა სისტემის ენაში. ფუნქციათა ეს ერთობა ორივე ენაში ახლანდელი დროის სემანტიკური პოტენციალის სიახლოვეს ასახავს და ახლანდელი დროის უნივერსალურ თვისებებს მიუთითებს.

თ ა ვ ი VI

ზმნის წარსული დროის ფორმების მნიშვნელობების და ფუნქციების კანონზომიერებათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

§ 1. წარსული დროის სემანტიკური შინაარსი


ზმნის დროის სისტემაში არაწარსული დროის ფორმები წარსულს უპირისპირდება როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში, რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებს მთელ რიგ მაჩვენებელში, კერძოდ კი, დროთა ფორმების არაპირდაპირ გამოყენებაში, ტრანსპოზიციის შემთხვევებში და სხვა. დებულებას იმის შესახებ, რომ დროთა სისტემაში წარსული დრო გამოდის როგორც ძლიერი კატეგორიული ფორმა ახლანდელის საპირისპიროდ ბევრი ენათმეცნიერი იზიარებს. უველა ინდოევროპულ ენაში ახლანდელი დღემდეც გამოიყენება როგორც ფორმა, რომელსაც დროის მნიშვნელობა არა აქვს. ის აღნიშნავს იმასაც, რაც უველა დროს განეკუთვნება, გარდა ამისა, იგი წარსულში მომხდარ მოვლენათა აღსაწერადაც გამოიყენება (Кудрявский 1912. 104—105). სულ სხვა სურათს იძლევა წარსული დრო. წარსული დროის ახლანდელში ტრანსპოზიციის შემთხვევები ტიპურად არ შეიძლება ჩაითვალოს. ასეთ ფორმათა რაოდენობა გრამატიკულად შემოსაზღვრულია. შემოსაზღვრულია, აგრეთვე, წარსული დროის არაწარსულად გამოყენების პირობებიც. როგორც წესი, ისინი განსაზღვრული მოდალური მახასიათებლებით უკავშირდება ერთმანეთს.

დროთა დაპირისპირებაზეა დაფუძნებული ბინარულ ოპოზიციათა თეორია, რომელიც ინგლისური ზმნის დროის სისტემას მოიცავს. ამ თეორიის თანახმად წარსული დრო განიხილება როგორც ოპოზიციის ძლიერი, მარკირებული წევრი, არაწარსული კი როგორც ოპოზიციის სუსტი, არამარკირებული წევრი.

წარსულის ინვარიანტული თვისებიდან — საუბრის მომენტთან გათიშულობიდან — გამომდინარეობს მისი ფორმებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები. „მოქმედებებს, რომლებიც წარსულის წრის დროთა ფორმებითაა გამოხატული და ახლანდელ მომენტთან მიმართებაში არ არის, თავისი საკუთარი ცენტრი აქვს და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ამ ცენტრის ირგვლივ იკეტებიან" (Янкощвили 1966, 28). ახლანდელთან არაერთდროულობა წარსუ-

ლის განფენილობას აშკარად ზღუდავს და ამ სფეროს ჩაკეტილ ხასიათს აძლევს. ამგვარად, წარსულის სფერო თავისი მოცულობით გაცილებით ვიწროა, ვიდრე ახლანდელის. „შინაარსის პლანში წარსული დრო გერმეტულად დახურულ მონაკვეთს წარმოადგენს, რომელიც ახლანდელს მხოლოდ ნეგატურად უკავშირდება, ე. ი. ახლანდელთან იმდენადაა დაკავშირებული, რამდენადაც თავის მხრივ გარკვეულად „არაახლანდელის“ მონაკვეთს წარმოადგენს, ეს უკანასკნელი კი ახლანდელის დროის ხაზზეა მოთავსებული“ (Янкощвили 1966, 28).

თვალსაჩინოდ ეს შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:




მაშასადამე, მოლაპარაკისათვის წარსული დრო ახლანდელისაგან გაშიჯნული მონაკვეთია, რომელიც დროის ხაზზე მოქმედების შესრულების მომენტის დაზუსტებას მოითხოვს. „ასეთი მომენტი იქნება ცენტრი, რომლის ირგვლივაც წარსული დროის დანარჩენი ფორმები გაერთიანდება. ამგვარად, წარმოდგება გერმეტულად ჩაკეტილი პერიოდი, რომლის შიგნითაც ვითარდება მიმართებები, რომლებიც წარსულის წრისთვისაა დამახასიათებელი. ეს პერიოდი ახლანდელის არსებობის საფუძველზე წარმოდგება, მაგრამ შორდება ახლანდელს, უშუალოდ მასთან არაა დაკავშირებული, გამოცალკევებულია“ (Янкощвили 1966, 29).

წარსულის სფეროში უფრო ნათლად გამოიხატება ენის სისტემის მიდრეკილება ობიექტური სინამდვილის პროცესების დროთა ლოკალიზაციის მკაფიოდ, ნათლად გადმოცემისკენ. ინგლისურ ენაში წარსული დროის კატეგორიული ფორმა ოთხი ასპექტ-დროის ფორმითაა წარმოდგენილი: Past Indefinite (წარსული განუსაზღვრელი), Past Continuous (წარსული განგრძობითი), Past Perfect (წარსული პერფექტი), Past Perfect Continuous (წარსული პერფექტ-განგრძობითი). ქართულ ენაში კი ეს დიფერენციაცია წარსულის ხუთი მწკრივით მიიღწევა: უწყვეტლით, წყვეტილით, ხოლმეობითით, I თურმეობითითა და II თურმეობითით. ქართულ ენაში „წარსული დროის ფორმები სხვა დროთა ფორმებისაგან მკვეთრადაა გამიჯნული“ (შანიძე 1973, 200).

ინგლისური და ქართული ენების წარსული დროის კატეგორიული ფორმა სქემატურად შეგვიძლია წარმოვადგინოთ ასე:

სქემა 10

წარსული დროის კატეგორიული ფორმა ინგლისურ და ქართულ ენებში



ინგლისურ ლინგვისტიკაში ზმნის წარსული დროის ასპექტ-დროის ფორმათა სემანტიკური ფუნქციები საფუძვლიანადაა შესწავლილი. ქართული ენის გრამატიკაში კი წარსული დრო სპეციალური კვლევის საგანი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ არ გამხდარა. დროის ამ ფორმათა შესახებ გამოთქმული თითქმის ყველა თვალსაზრისი, როგორც წესი, ფრაგმენტული ხასიათისაა.

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ორივე ენაში — ინგლისურშიც და ქართულშიც — წარსული დროის პარადიგმული მნიშვნელობა — საუბრის მომენტთან მოქმედების არაერთდროულობაა. „მოქმედება დროის მიხედვით განეკუთვნება სინამდვილეში უკვე გასულს, წარსულში მომხდარ ფაქტს. ზმნა წარსულის ფორმაში გამოხატავს იმას, რაც უკვე შესრულდა წარსულში. ესაა წარსულის რეალური ფაქტი, რომელიც ახლანდელთან კავშირში არაა“ (Бархударов, Штелинг 1973, 169).

ამ თავში შევეცდებით გავაანალიზოთ წარსულის სფეროს ყველა ფორმის (რომელსაც ესა თუ ის დიფერენციალური ნიშანი აქვს) სემანტიკური პოტენციალი, შეპირისპირების გზით მოვახდინოთ მათი დამთხვევა-არდამთხვევის წერტილების გამოვლენა ამ ორ სხვადასხვა სისტემის ენაში. ჩვენი ამოცანაა წარსულის პლანის ასპექტ-დროის

ყველა ფორმის სემანტიკური სტრუქტურის შეპირისპირებითი ანალიზი და ამ ფორმათა მნიშვნელობებს შორის ტიპოლოგიური შესატყვისების დადგენა.

§ 2. წარსული განუსაზღვრელის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები

1. ცალკეული მოქმედების წარსული განუსაზღვრელი

ცალკეული მოქმედების მნიშვნელობა წარსული განუსაზღვრელის ერთ-ერთი ვარიანტული მნიშვნელობათაგანია, რომელიც მოქმედების წარსულზე განკუთვნების ტემპორალურ ნიშანს ემყარება. წარსულ განუსაზღვრელს, როცა იგი ცალკეულ მოქმედებას გამოხატავს, ჰ. პაუტსმა „იზოლირებულ წარსულს" (the isolated preterite) უწოდებს. მისი როლი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვაა მოქმედების განფენილობაში. მაგალითად:

'You didn't tell me anything yesterday... You didn't tell me where you were meeting him, and you didn't tell me where he was.' (J.Jones, From Here to Eternity)

'I had dinner with Gorwin and Hunt last night. They feel that the sooner I get to work the better.' (H. Robbins, Where Love Has Gone)

'I have a massage for you,' Rudolph said. 'A Man called Al phoned me this afternoon and told me he'd put five hundred at seven to five for tonight.' (I. Shaw, Rich Man, Poor Man)

Then he went back to the sitting room where his uncle sat among the scattered chessmen, filling the pipe. (W. Faulkner, Knight's Gambit)

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, ცალკეული მოქმედების წარსული განუსაზღვრელისათვის შემდეგი სემებია რელევანტური: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში, 3) მოქმედების ერთგზისობა, 4) მოქმედების დროში ლოკალიზება.

1, 2, 4 სემები ტემპორალურად ნეიტრალურ კონტექსტში ხორციელდება, ისინი ხელსაყრელ კონტექსტს არ საჭიროებენ, ოღონდ თავისუფლად ითავსებენ ლექსიკურ საშუალებებს, რომლებიც ახლანდელისაგან მოშორებულ დროის განსაზღვრულ მონაკვეთებს წარმოადგენენ (წლის დროები, თვეები, კვირეები, დღეები). ისინი თავისუფლად იხამებენ. აგრეთვე, ვექტორული დროის აღმნიშვნელ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა მაგალითად, yesterday. რაც შეეხე-

ბა სემა 3, იგი ფუნქციურად არ შეიძლება შეეხამოს ლექსიკურ საშუალებებს, რომლებიც მოქმედების განმეორებად, ციკლურ ხასიათს გადმოცემს. ცალკეულ მოქმედებათა წარსული განუსაზღვრელი უმეტესად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება. თხრობის გადმოცემისას კი ცალკეული მოქმედება ერთდროულ ან ერთმანეთზე მიმყოლ მოქმედებებს ერწყმის.

პერსონაჟთა მეტყველებაში, უშუალო ურთიერთობისას (გამონათქვამის დონე) წარსული განუსაზღვრელის კორელატი რეალურად არსებულ სამყაროშია.

ცალკეული მოქმედების წარსულ განუსაზღვრელს შეუძლია გადმოცეს განსხვავებული ხანგრძლივობის პროცესები. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ზმნების ლექსიკურ მნიშვნელობას (კერძოდ კი, გამოყენება უზღვრადი და ორმაგი ასპექტური მნიშვნელობის ზმნები) და კონტექსტურ საშუალებებს, რომლებიც მოქმედების პროცესუალურ ხასიათს გამოხატავენ.

ცალკეული მოქმედების წარსულ განუსაზღვრელს ქართულ ენაში შემდეგი ფორმები შეესატყვისება:

He took out a cigarette from his gold case and used his lighter. In its light his hair looked grey, his face deeply lined with shadows. 'Did your sister tell you I asked her to marry me?' (I. Shaw, Rich Man, Poor Man)

შენ მართალი ხარ, მგზავრო, — მძიმე სუნთქვით მითხრა, — ჯავარიან სიტყვით მეცნობი... მაგრამ ამ გზაზე რამდენ ხალხს **აუვლია** და **ჩაუვლია**... იყო ერთი კაცი, იმასაც ბევრი კაკალი **დაატეხა** ცხოვრებამ... ამ ტყეში უყვარდა ყოფნა. მერმე შორეთში **წავიდა**. (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში).

— აფთარი შემოვარდნილა ჩვენს ტყეში. ტყის ქათმები ბუდობენ, ერთი დაუბდღვნია...

— განა ტყის ქათმებიც შენ გაბარია? **გავეხუმრე**. (იქვე)

'You never told me anything about a brother and a sister,' Teresa said aggrievelly, in her high voice.

'They **slipped** my mind for a few years,' Thomas said.

(I. Shaw, Rich Man, Poor Man)

— ღმერთო! დიდება შენდა! რათა-მეთქი? ვის რა დაუშავდება?

— ერთი კი აღიმაღლა სიტყვა, მაგრამ უმალ პირჯვარი გადაიწერა და დადუმდა. დიდხანს მდუმარედ **„ესაუბრა** ღმერთს“, მერე სმენად გადაიქცა, აღარც დილეგიდან ისმოდა სიმღერა. შორს უგზოობაში მომავალი ქარავნის ზინზილაკის ხმაც დიდი ხანია **მიწყდა**. (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში)

— შემინდე, ბატონო! ხმალი კარგა ხანია **არ გამიძვრია**. ქარქაშიანად **ვირიდებდი** მომხდურებს. აბა, დახედე! — და ქარქაშზე მრავალი **ნაჭდევი** აჩვენა. (იქვე)

როგორც ვხედავთ, წარსულ განუსაზღვრელს ამ მნიშვნელობით შეესატყვისება ქართულში სამი მწკრივი: წყვეტილი, I თურმეობითი და უწყვეტელი. ამ მწკრივთა სინონიმური გამოყენება სხვადასხვა პირობაზეა დამოკიდებული: 1) ზმნების ლექსიკურ ხასიათზე (უზღვრად და ორმაგი ასპექტური ხასიათის ზმნებზე), რომლებიც უმთავრესად მოქმედებას მის მიმდინარეობაში, პროცესში გადმოგვცემენ, 2) ზმნებზე I თურმეობითის ფორმაში (განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი უარყოფითს ფორმაშია წარმოდგენილი), 3) წყვეტილისა და უწყვეტლის, წყვეტილისა და I თურმეობითის, I თურმეობითისა და უწყვეტლის ახლო თანამდებარეობაზე. ამ მნიშვნელობით წარსული განუსაზღვრელი ინგლისურში და წყვეტილი (სრული ასპექტის), I თურმეობითი და უწყვეტელი გვხვდება როგორც პერსონაჟთა მეტყველებაში, ისე თხრობის გადმოცემისას ავტორის მიერ. ორივე ენაში ეს ფორმები წარსულში მთელი რიგი თანამიმდევრულ მოქმედებათა გადმოსაცემად გამოიყენება.

2. თანაფარდობითი წარსული განუსაზღვრელი

თანაფარდობითი წარსული განუსაზღვრელის ფორმა თხრობისას გამოიყენება. მხატვრულ ტექსტში იგი ერთ-ერთი წამყვანი ფორმათაგანია. მაგალითად:

Gretchen paid no attention to him. She grasped the cork firmly. Her hands were quick and strong. She twisted the cork. It popped and flew out of her hand and hit the ceiling. The champagne bubbled out and soaked her hands. She handed the bottle to Boylan. He poured the champagne as the maid gave Gretchen a towel to dry her hands. The maid left in her felt slippers. Soft, mouselike traffic in the hallways. (I. Shaw, Rich Man, Poor Man)

He left the jail on Saturday afternoon, and that night he fasted. On Sunday morning he rose early and went to the fields north of little Mexico, where a large crowd had gathered. There he stripped to the waist and allowed Father Vigil to insert cactus thorns beneath the sinews of his back while his sister Soledad stuck four into the skin about his temples. Bleeding from many places and shuddering with pain, he reached down and lifted a heavy cross, a replica of the one upon which Christ

was crucified, and with it upon his bleeding back he started the long walk to his Golgotha. (J. A. Michener, Centennial)

This happened again and again and perhaps again. The time was not always precisely threaten, but it was always between three and four in the morning. He was always leit irritable at the fact that his memory could, quite independently of anything he knew about himself manipulate its resources in controlled and repeated designs. His memory enjoyed free will, and his irritability was increased by his realization that his memory was so unruly as his genitals. Then one morning, jogging from the mess to stop along the dark tunnel, he heard the music and saw the woman and the sea. He stopped so abruptly that several men banged into him. That was that for the morning. But the dream was to reappear again and again in different places around the prison. (J. Cheever, Falconer)

თანაფარდობითი წარსული განუსაზღვრელისათვის შემდეგი სემებია რელევანტური: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა დროის პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესაძლოა მოქმედების მიმდინარეობა, 3) დროში მოქმედების ლოკალიზება-არალოკალიზება, 4) ერთდროული ან ერთმანეთის მომდევნო მოქმედებათა ერთობლიობის გამოხატვა, 5) მოქმედების ერთგზისობა-მრავალგზისობა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ წარსულ განუსაზღვრელს ამ მნიშვნელობით უმრავლეს შემთხვევაში შეუძლია გადმოცეს როგორც დასრულებული ერთგზისი მოქმედება (ნიშანი — წერტილოვნება), ისე დაუსრულებელი მიმდინარე მოქმედებაც, ან კიდევ მრავალგზისი მოქმედება, რომელიც დროის ჩარჩოებითაა შეზღუდული (ნიშანი — აღკვეთა, მაგალითი 3).

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, თანაფარდობითი წარსული განუსაზღვრელი ძირითადად გადმოიცემა: 1) წარსული განუსაზღვრელის ფორმებით, რომლებიც ერთი მეორეს ცვლიან ან ერთმანეთს მოსდევენ, 2) წარსული განუსაზღვრელისა და წარსული განგრძობითის შეხამებით ან მათი მონაცვლეობით, 3) ფორმებით, რომლებიც წარსულის ცალკეული ფაქტის მნიშვნელობას აღნიშნავენ, როცა მოქმედება მისი განფენილობის მიუხედავად წარმოდგება როგორც ერთი მომენტი, 4) წყვეტა-უწყვეტობის ერთიანობით (წყვეტა დროის ნაკადის ურთიერთმოქმედ დროთა პლასტებად დაყოფაა, უწყვეტობა კი დროის ნაკადის ერთიანობაა, რომელიც აღსაწერ ამბავს ერთიან თხრობითს ქსოვილად ართავს).

წარსულ განუსაზღვრელს ამ მნიშვნელობით შემდეგი ფორმები შეესატყვისება:

She went out of the store and sat down on a bench in front of it to drink her Coke. The Coke was icy and sweet and stung the back of her mouth in little tart explosions. She drank slowly. She was in no hurry. She saw the gravelled road leading away from the highway to the river. The shadow of a little cloud raced down it, like an animal running. It was silent from one coast to the other. The wood of the bench under her was warm. No cars passed. She finished her Coke and put the bottle down under the bench. She heard the ticking of the watch on her wrist. She baned back, to catch the weight of the sun on her forehead.

(I. Shaw. Rich Man, Poor man)

გამოვბრუნდი. ჩანთა ჩამომბრჩვალივით ეკიდა კაკლის ტოტზე. შებრუნ ხელით ჩავაწყვე ჩემი ბარგი. შიგ კაკალიც იყო, მაგრამ აღარ ჩხრიალებდა ჩემი კაკალი! ზურგზე რომ მოვიგდე, ჩანთას კუბის სიმძიმე ჰქონდა. ფესვებს ვეღარ შევახე ხელი. ტყის ბილიკს ჭურდულად ჩავყევი. წყაროსთან მაინც შევედექი. შიგ ჩავიხედე — წყაროს სარკე, თვალზე გადაკრულ ლიბრივით უსიერმო და უანარეკლო იყო. დალმართს მგლური ძუნძულით ჩავყევი. (ლ. გოთუა, ნისლი ნახტარის ტყეში)

He picked up the book and found that he could read. The toilet was for waste. The prison was called Falconer. He was convicted of murder. One by one he gathered up the details of the moment. They were not particularly sweet, but they were useful and durable. He did not know what would have happened. Had he copied down the words of the song. Neither death nor madness seemed involved, but he did not feel committed to discover what would happen if he pieced the reverie together. The reverie returned to him again and again, but he shrugged it off vigorously since it had nothing to do with the path he took his destination. (J. Cheever, Falconer).

...მას შემდგომ დიდმა დრომ განვლო... ბევრ გზა-ღრანტებში მატარა. ხე და ხევი რა ბედენაა... არა ერთ მწვერვალზეც ავსულვარ — იალბუზისა და მყინვარწვერის ჩათვლით.. იქიდან შორეთისაკენ თვალი არაერთხელ გამიყრია... მაგრამ იმ, არც თუ დიდ, ხიდან ერთბაშად დანახულის ოდენა მაინც აღარასოდეს აღარ მინახავს, არც შემიგნია... ასე გულალალი, ვგონებ, არასოდეს აღარც ვყოფილვარ. (ლ. გოთუა, უფოთლო ხის ჩრდილი)

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა და წარმოდგენილმა მაგალითებმა გვიჩვენა, ინგლისური ენის თანაფარდობითს წარსულ განუსაზღვრელს ქართულში შეესატყვისება წყვეტილი (სრული ასპექტის და იშვიათად, მაგრამ მაინც უსრული ასპექტისაც), უწყვეტელი და I თურმეობითი. I თურმეობითის ფორმები, ჩვეულებრივ, ეპიკურ კონტექსტში, უფრო მეტად კი უარყოფითს კონსტრუქციებში გამოიყენება.

3. მრავალგზისი წარსული განუსაზღვრელი

წარსული განუსაზღვრელის შემდეგი ვარიანტული მნიშვნელობაა ჩვეულებრივი მრავალგზისი, ციკლური მოქმედების გამოხატვა. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით წარმოჩინდება, როცა გრამატიკული ფორმა ითავსებს შემდეგი სახის ლექსიკურ საშუალებებს: often, seldom, sometimes, every day, whenever და ა. შ. მაგალითად:

Whenever the matter **came** before the legislature, it was quickly brushed aside on the grounds, "We need them". They were needed. but they were not wanted. (J. A. Michener, Centennial).

'I **cried every day** for a month. Then I got used to the idea. (H. Robbins, Where Love Has Gone)

He picked up the phone and dialed Luka Brasi's number and kept the reciever to his ear as it **rang and rang**.

(M. Puzo, The Godfather)

As for shirts, today the red seemed the one. I nearly **wore** it because, its bright shoulders pointed up the white specks that showed from my scalp, like a show of dandruff. (J. Updike, The Centaur)

He stayed. He **drank** eleven cups of tea. Night was falling. He rose again. (ibid.)

მრავალგზისი წარსული განუსაზღვრელი შემდეგი სემებითაა წარმოდგენილი: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა დროის პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ცალკეულ მოქმედებათა ან ერთობლივ მოქმედებათა განმეორება, 3) ცალკეულ მოქმედებათა ან ერთდროულ ან ერთმანეთზე მომდევნო მოქმედებათა ერთობლიობის მრავალგზისობა, 4) მოქმედების დროში ლოკალიზება-არალოკალიზება.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მრავალგზისი წარსული განუსაზღვრელის რეალიზაციისთვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო, კერ-

ძოდ კი მრავალგზისობის გამომხატველი ლექსიკური საშუალებები, რომლებიც ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების მრავალგზის ხასიათს განსაზღვრავენ.

სემა 4 — „დროში მოქმედების ლოკალიზება/არალოკალიზება“ — კონტექსტითაა განპირობებული. განმეორებად მოქმედებათა მნიშვნელობა კი დროის ზუსტი ჩარჩოებით არ არის შემოსაზღვრული. ამ ფორმისათვის დამახასიათებელია დროში არაკონკრეტულობის სემა, თუმცა დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია მოქმედების განმეორება, შეიძლება იყოს ლოკალიზებული და დისკრეტული. განსაზღვრულობა დროის სპეციფიკატორების ან სიტუაციის დახმარებით გადმოიცემა.

ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ახლანდელი განუსაზღვრელის ფორმას თვითონ არ შესწევს უნარი გადმოცეს მრავალგზისობის მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა შეიძლება ძირითად განსაზღვრული პირობების შედეგად წარმოიშვას: 1) თუ საანალიზო ფორმა ეხამება რომელიმე მრავალგზისობის მნიშვნელობის მქონე ლექსიკურ დეტერმინანტს (მაგალითი 1, 2), ბ) თუ განსახილველი შემასმენლის დამატება ან გარემოება მრავლობითშია წარმოდგენილი (მაგალითი 5), გ) ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით, რომელიც წარსულ განუსაზღვრელშია წარმოდგენილი (მაგალითი 4), დ) კავშირით whenever, რომელიც დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს (მაგალითი 1), ე) წინადადებაში შემასმენლის განმეორებით (მაგალითი 3).

ინგლისურ მრავალგზისს წარსულ განუსაზღვრელს ქართულში შემდეგი მწკრივები შეესატყვისება:

During his stays in jail Triunfador **was frequently visited** by Father Vigil, and to his surprise he found the Catholic priest to be a man of profound vision. (J. A. Michener, Centennial)

ხშირად დათა თუთაშხიას რომელიმე საქციელის მაგალითზე **მიმართავდა** ადამიანის ავ-კარგს და ხანდახან — ალბათ, ჩემს გასაგონად — თავის თავს **ესაუბრებოდა ხოლმე** ამ თემაზე. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ასე ფიქრობდა ბახა, მაგრამ ცოლის სიტყვები მაინც მწარედ **გაკენწლავდა ხოლმე** გულში, რადგან შვილები თავს ერჩია. (ო. ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა)

რამდენჯერ ვყოფილვარ მიპატიჟებული, ან საქმეზე მისვლა დამჭირვებია, **იმდენჯერ** — სტერეოტიპის ძალით და მისგან გამომდინარე — საგანგებოდ **მიფიქრია**, თუ რისთვის უნდა მიმექცია ყველაზე მეტი ყურადღება ჩაცმულობაში. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

დაიწყო თუ არა პარაკლისი, ბესიკმა **რამდენჯერმე შეათვალიერა** მოწაფეთა გუნდი. ტაძარში შედარებით ბნელოდა. (ლ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი).

Two or three times in the street with her duenna she **saw** him coming towards them. (W. S. Maugham, Catalina)

ჩვენ მას დღეში **ორჯერ-სამჯერ ვაწვდიდით** სათანადო პატაკებს საქმეების მსვლელობის შესახებ. მისგან ასევე **რეგულარულად ვიღებდით** სხვადასხვა მითითებების შემცველ სათანადო წერილებს. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

სიცილმა **ისევ იფეთქა** სუფრაზე, მაგრამ ბესიკი კვლავ წარბშეკრული იდა და ოდნავ ღიმილითაც კი არ გაუხსნია სახე. ის **ხანდახან გადახედავდა ხოლმე** მისპინძელს და უნებურად გრძნობდა, რომ ბრმა მოხუცი, მისანივით, რომ წინასწარ მეტყველებდა, მართალი იყო პაპუნას მიმართ. (ალ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

ორმოცდაცხრაჯერ დაიგრუხუნა კარმა. გაიცალა კოშკი. ბეჭდი. ორმოცდამეათე იყო და ახლა მარტო დარჩა. სულ მარტო (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში)

— მესამე წრეზე საცოდავს იმდენი მოცალეობა გამოუჩენია, რომ უწერტილოდ მხოლოდ ერთი ქალი დარჩენია — ვინმე ალა.

— ეგ ახლა წავიდა, იქნება, თქვენი ქალაქიდან — თქვა ლაზმა — **ორჯერ უნახავს** და ვეღარ მერე. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

როგორც ვხედავთ, მრავალგზის წარსულ განუსაზღვრელს ქართულში შეესატყვისება მწკრივები: უწყვეტელი, წყვეტილი, ხოლმეობითი და I თურმეობითი აღნიშნული მნიშვნელობით. ეს მწკრივები — უწყვეტელი, წყვეტილი და I თურმეობითი — ამ მნიშვნელობას მხოლოდ ლექსიკური საშუალებების დახმარებით გადმოცემენ. მათში მრავალგზისობის მნიშვნელობა ლექსიკური აქტუალიზატორების დახმარებით წარმოდგება. რაც შეეხება ხოლმეობითს, ამ მნიშვნელობას იგი ყოველგვარი დამხმარე საშუალებების გარეშეც გადმოცემს. მრავალგზისობის მნიშვნელობა ამ ფორმისათვის პირველადია. სემას „მოქმედების მრავალგზისობა" განსაზღვრული კონოტაციები ახლავს თან, დრო აღიქმება ემოციურად. ზოგჯერ ხოლმეობითი ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იყენებს დამხმარე სიტყვას „ხოლმე", თუმცა ამ სიტყვის გარეშეც ზმნის ფორმას ხოლმეობითში შესწევს უნარი მრავალგზისობის მნიშვნელობა გამოხატოს (ქავთარაძე 1961, 27).

ინგლისურ ენაში კი არ არის ზმნის ფორმა, რომელიც ლექსიკური საშუალებების გარეშე გამოხატავს მოქმედების მრავალგზის ხასიათს. ეს მნიშვნელობა ინგლისურ ენაში წარმოდგება კონტექსტის დახმარებით, ან როცა ფორმა რომელიმე გარემოებით სიტყვას ახმაგებს.

ინგლისური ენის ტიპოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ განმეორებადი, მრავალგზისი მოქმედების გამოსახატავად ენაში არის სპეციალური კონსტრუქციები „used to+ინფინიტივი" და „would+ინფინიტივი". ეს კონსტრუქციები დაახლოებით ერთგვარი ტიპის კონტექსტში ფუნქციობს. „კონსტრუქცია „would+ინფინიტივი" გამოხატავს ცალკეულ მოქმედებათა მნიშვნელობას, რომელიც აღებულია ნიმუშად, რომელიც გამოხატავს წარსულში განმეორებად მოქმედებებს. კონსტრუქცია „used to + ინფინიტივი" კი წარსულში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განმეორებად მოქმედებათა მთლიან ერთობლიობას გადმოსცემს ისე, რომ არ გამოყოფს ცალკე მოქმედებას (Венгеров 1963, 61–62). მაგალითად:

He loved to walk up and down the alleys and **used to spend** a lot of time hanging around Hummel's Garage, on the corner there. (J. Updike, The Centaur)

The girls in the convent who had seen him act, or seen his photographs, **used to rave** about him. (E. O'Neill, Long Day's Journey into Night)

He had to stop in bed when he was ill, and eat chicken and custards and hot-house grapes: and he **would lie** there and sob, because they wouldn't let him do Latin exercises. (J. K. Jerome, Three Men in a Boat)

So sometimes Harris **would** just **send** his friends up for the butler to take care of them. (ibid.)

ბ. კომრი კონსტრუქციას „used to + ინფინიტივი" განიხილავს „როგორც „habitual aspect" (Comrie 1976, 25). სხვა ენათმეცნიერთა აზრით, კონსტრუქციები „used to + ინფინიტივი", „would + ინფინიტივი" მოქმედების მიმდინარეობის ხანგრძლივობის საშუალებათა კატეგორიაა. მათი ფაკულტატური გამოყენება უფრო სტილისტიკის ფაქტორებითაა განპირობებული, ვიდრე გრამატიკის (Акимова 1978, 84).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალგზისი მნიშვნელობის გადმოსაცემად ქართულ ენაში გვაქვს სპეციალური გრამატიკული ფორმა — ხოლმეობითის მწკრივი და აგრეთვე კონსტრუქცია „ხოლმე + +უწყვეტელი." მაგალითად:

'Pete, I often think of what your Dad **used to tell** me about teaching. It's rough,' he'd say, 'but you can't beat it for the satisfaction you get.' (J. Updike, The Centaur)

დროდადრო ქარი **ჩამოუშრბენდა** გზის პირს ჩაყოლებულ ნაძვებს და თოვლს **ჩამოჰყრიდა**. შემსუბუქებული ტოტები შრიალით სწორდებოდნენ. (კ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ცისკარი)

— თვეის დროზე... ეჰ. **ვწერდი ხოლმე**„ — განა გამოსაქვეყნებლად... არა. მსიამოვნებდა იმ ამბებისა და კაცის გახსენება და ვწერდი. (ვ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

Now and then we **would stop** and talk to him, to hear his voice roll in rich mispronunciation of the orotund. (W. Faulkner, Knight's Gambit).


კაცი ვერ **მოასწრებდა** ადგომას, ქორწილიდან **გამოიქცეოდა**, მომაკვდავი შვილის საფლავს **მიატოვებდა**, რომ ახალ გათენებულში ქუთაისში საბაზროდ მიმავალ გლეხებს ჩასაფრებოდა. (კ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ცისკარი).

— მარტო დათას ცხოვრების ეჭო **მწვდებოდა** ხოლმე ხანგამოშვებით: **ცოცხლობდა**, დაუნდობლად **ებრძოდა** თავს და **იყო** მუდამ მართალი კაცი. (ვ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

შრავალგზისი წარსული განუსაზღვრელისა და მისი შესატყვისი ქართული მწკრივების (ხოლმეობითის, უწყვეტლის, წყვეტილის, I თურმეობითის) გამოყენების სფეროა როგორც პერსონაჟთა მეტყველება, ისე ავტორის თხრობა.

სქემა 11

წარსული განუსაზღვრელის სემანტიკური მოდელი ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები.



§ 3. წარსული განგრძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ძართული შესატყვისები

1. ცალკეული მოქმედების წარსული განგრძობითი

ცალკეული მოქმედების წარსული განგრძობითი Past Continuous-ის ფორმის ვარიანტული მნიშვნელობაა. იგი დროის ლოკალიზების ტემპორალურ-ასპექტურ და მოქმედების წარსულზე განკუთვნების ტემპორალურ ნიშნებზეა დაფუძნებული. მაგალითად:

Up the road, in his shack, the old man was sleeping again. He was still sleeping on his face and the boy was sitting by him, watching him. The old man was dreaming about the lions. (E. Hemingway, The Old Man and the Sea)

'Come off it,' he said. 'He didn't have you in there for twenty-five minutes just to be cordial. Sometimes I don't trust you, Joseph. What were you talking about?' (J. Braine, Room at the Top)

Rudolph got off the train into the southern morning sunlight at Antikes. The car he had ordered from Hertz was waiting for him at the station. (I. Shaw, Beggarman, Thief)

We were talking softly out on the balcony. The moon was supposed to rise but there was a mist over the town and it did not come up and a little while it started to drizzle and we came in. Outside the mist turned to rain and in a little while it was raining hard and we heard it drumming on the roof. (E. Hemingway, A Farewell to Arms!)

წარსული განგრძობითი ამ მაგალითებში გამოიყენება ცალკეულ-კონკრეტულ მოქმედებათა გადმოსაცემად. მოქმედება მიმდინარეობს წარსულის კონკრეტულ მომენტში. ის მოქმედება, რომელიც წარსულის რომელიღაც მომენტს ემთხვევა და ჩვენგან მოშორებულია, ამ მომენტისათვის აქტუალურია.

ამ მნიშვნელობით წარსული განგრძობითის სემანტიკური შინაარსი სემათა შემდეგი შემადგენლობითაა წარმოდგენილი: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მოქმედების განფენილობაში ჩართვა, 3) მოქმედების პროცესუალობა, 4) მოქმედების ერთგზისობა, 5) დროში მოქმედების ლოკალიზება.

პირველი და მეორე სემა წარსული განუსაზღვრელის ფორმებთან თანამდებარეობით ხასიათდება. ამასთან ერთად ისეთი ლექსიკური საშუალებაც გამოიყენება, როგორიცაა ზმნიზედა still (მაგალითი 1). 1 და 2 სემა ვექტორული დროის ისეთ საშუალებებს ეხამება, რაგო-

რიცაა at that time, რომელიც ვექტორული ნულისადმი წინამავლობაზე არ მიუთითებს. სემა 3 კი ეხამება დროის ლექსიკურ ინდიკატორებს: for a minute. for an hour და ა. შ. და ისეთ საშუალებებს, რომლებიც დროში მოქმედების ხანგრძლივობაზე მიუთითებენ: long, for a long time, for a while.

სემა 4-ს, რომელიც ნეიტრალურ კონტექსტში ვლინდება. არ შეუძლია შეითანხმოს მრავალგზისობის, განმეორებადი მოქმედების გამომხატველი ლექსიკური საშუალებები.

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, მოქმედებები, რომლებიც წარსულის განგრძობითის ფორმით გადმოიცემა, კონკრეტულ, ცალკეულ პროცესებს გადმოგვცემს წარსულში. მათი გამოცალკევებული ხასიათი მოქმედების დროში ლოკალიზებით, კონკრეტულ სიტუაციასთან მისი მჭიდრო კავშირითაა განპირობებული. სწორედ ამიტომ ამ ფუნქციით წარსული განგრძობითი მხოლოდ ტემპორალურად და ასპექტურად ღირებულ ისეთ ელემენტებს ეწყობა, რომლებიც კონკრეტულობის ნიშანს არ ეწინააღმდეგება (მაგალითად, მოქმედების შესრულების დროის ზუსტ ან განგრძობითობის მაჩვენებლებს (მაგალითები 1, 2, 4).

წარსულ განგრძობითს ამ მნიშვნელობით ქართულ ენაში შემდეგი ფორმები შეესატყვისება:

One morning I was working. I sat in my pyjamas. My thoughts wandered and I thought of the sunny beaches of Brittany and the freshness of the sea. (W. S. Maugham, The Moon and Sixpence).

ერთ დილას ზამთარაძე თურქეთში მცხოვრებ ქართველი ტომების ამბავს **მეკითხებოდა, ვსაუბრობდით**. თუთაშხია გარეთ იყო გასული. დიდ პალატაში ავადმყოფები საუზმეს აპირებდნენ. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

ტრიქსემ საბეში შეხედა აიეტს, **უყურა**, დიდხანს **უყურა** და ცერრისხელა ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე. „ხელიდან წასულაო". ჩუმად გადაულაპარაკა აიეტმა მეუღლეს. (ო. ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა)

ღამიანად წავიდნენ ერთად სამღვენი. საღამოს დაბრუნდნენ. ორი ძროხა ამოიყვანეს თან, თავისი ბოჩოლებით, და კაი მშვენიერი ცხენი. დათას არ შეცდებოდა ამორჩევა. კაცი არ გამოჩენილა სალაყბოზე მათ შესახვედრად. შინიდან ცხვირი არ გამოუყვია არავის, ფარდების იქით იყვნენ ჩასაფრებული და იქიდან უკვირტინებდნენ ამბავს. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

I was sitting around my apartment a long time after Hill

left. I was trying to decide whether I should try and call Harry in Cannes. (J. Jones. The Merry Month of May)

დიდხანს დავყვებოდი ტყის აღმდგენელს და თითქოს მის დაღლილ თვალთა და ჩამხმარ ხელთა შუა ნახატარის ახალი ტყე იზრდებოდა, მაღლდებოდა, ულრან ტევრად იქცეოდა. (ლ. გოთუა. ნისლი ნახატარის ტყეში)

დიდი ხნის შემდეგ ჩემს ყურს მოსწვდა ვერსია, თითქოს, სახნავი გადადგომით კი გადადგა, მაგრამ თავის გამართლების იმედი **კარგა ხანს არ დაუკარგავს** — ზარაზნიას ნამოქმედარის გასაბათილებლად, ამგვარ საქმეებში გამოცდილი ადვოკატების თანადგომითა და დახმარებით, **ორი წელი უშრომია.** ამან მისთვის სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

თოფი საფანტით გავტენე და მშრალ ხევს აყევი. ნეტავ, მტყუანი და ფუჭ-ეჭვიანი გამოვმდგარიყავ... — ხმა ჩაეკარგა ბარათას, მიწა შოჩიჩქნა და **დიდხანს ახველა.** (ლ. გოთუა. ნისლი ნახატარის ტყეში)

როგორც ზემომოყვანილი მაგალითები ცხადჩენენს, წარსული განგრძობითის ფუნქციობის პირობები ამ მნიშვნელობით განსხვავებულია და ქართულში მას შეესატყვისება სამი მწკრივი: უწყვეტელი, წყვეტილი (უსრული ასპექტი) და I თურმეობითი. ამრიგად, ინგლისური ენის ერთ ფორმას ქართულში შეესატყვისება სამი მწკრივი. ამ მწკრივთა სინონიმური გამოყენება სხვადასხვა პირობაზეა დამოკიდებული: 1) ზმნის ლექსიკურ ხასიათზე. უზღვრადი და ორმაგი ასპექტური ბუნების ზმნები უწყვეტელსა და წყვეტილში (უსრული ასპექტი) უმთავრესად აღნიშნავენ მოქმედებას მიმდინარეობაში (მაგალითად, იჯდა და ელოდა, ვკერე, ვკერე და კერ შევკერე და ა. შ.), 2) დროის პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მოქმედება მიმდინარეობს. როცა მოლაპარაკე მისი შედეგითაა დაინტერესებული. ამ შემთხვევაში ზმნები I თურმეობითშიც გამოხატავს განგრძობითს, შეუწყვეტელ მოქმედებას, 3) უწყვეტლისა და წყვეტილის, უწყვეტლისა და I თურმეობითის, წყვეტილისა (უსრული ასპექტი) და I თურმეობითის თანამდებარეობით. ამ ფორმების მიერ გადმოცემულ მოქმედებათა ხასიათი ასპექტური ნიშნის — განგრძობითობის თვალსაზრისით ერთნაირია, ოღონდ ენობრივი გამოხატულებით განსხვავდება. უწყვეტლისა და წყვეტილისაგან (უსრული ასპექტი) განსხვავებით I თურმეობითში დამატებით შემდეგი სიმა წარმოჩინდება — „ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი კოხტაქტუალური რეტროსპექტულობა დროის პერიოდში, რომლის განმავლობაშიც მოქმედების განმეორებაა შესაძლებელი“ მაშინ, როდესაც უწყვეტლისა და წყვეტილის მწკრივები ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობით ხასიათდება, მასთან კონტაქტური რეტროსპექტულობის გარეშე.

ყველა ამ ფორმას ქართულ ენაში შეუძლია გადმოცეს სხვადასხვა ხანგრძლივობის პროცესი, რომელიც ინგლისურ ენაში Past Continuous-ით გადმოიცემა.

2. მრავალგზისი წარსული განგრძობითი

ფორმის ეს ვარიანტული მნიშვნელობა დაფუძნებულია დროში არალოკალიზებისა და მოქმედების წარსულზე განკუთვნების ნიშანთა შეხამებაზე. მრავალგზისობის მნიშვნელობას წარსული განგრძობითი სხვადასხვა ლექსიკური საშუალებისა და კონტექსტის დახმარებით გადმოცემს. ეს შემდეგი ტიპის სიტყვები და სიტყვათშეხამებებია: sometimes, often. seldom, constantly, every day, every week, every month და ა. შ. მაგალითად:

It was till many days had passed that the Princess began to accept the idea of having done, a little, something she **was not always doing**, or indeed that of having listened to my inward voice that spoke in a new tone. (H. James, The Golden Bowl)

But Stevens **was talking** about tobacco **again and again**.
(W. Faulkner, Knight's Gambit)

'Why don't you ever wear them?' I asked him. My voice with him **was** almost always accusing. (J. Updike, The Centaur)

She was nearly at term and even under the loosely flowing nightgown and robe she **was wearing**. the bulge was huge and clumsy. Rudolph had a pang of guilt when he watched her. (I. Shaw, Rich Man, Poor Man).

მრავალგზისი წარსული განგრძობითისათვის შემდეგი სიმებია რელევანტური: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ეგზტორული ნულის ჩართვა განმეორებადი მოქმედების დროის პერიოდში, მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტიდან მისი გამორიცხვით, 3) მოქმედების მრავალგზისობა, 4) მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტის ხანგრძლივობა. 5) დროში მოქმედების არალოკალიზება.

მრავალგზისი წარსული განგრძობითის რეალიზაციისათვის საჭიროა სასურველი კონტექსტი, ე. ი. განმეორებადი, ციკლური მოქმედების გამომხატველი ლექსიკური საშუალებები. სწორედ ეს ლექსიკური ინდიკატორები აძლევენ ფორმას მრავალგზისს მნიშვნელობას.

წარმოდგენილი მაგალითების ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარსული განგრძობითის ფორმას თვითონ არ შესწევს უნარი მრავალგზისი, განმეორებადი, ციკლური მოქმედება გადმოცეს, იგი შეიძლება

წარმოიქმნას მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში, კერძოდ კი: 1) თუ საანალიზო ფორმა რომელიმე მრავალგზისობის გამომხატველ სიტყვას იხმარებს, 2) მეორე მრავალგზისი მოქმედების ზეგავლენით, რომელიც რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარ ან დამოკიდებულ ნაწილშია წარმოდგენილი, რომელთანაც განსახილველი ფორმა სემანტიკურად მჭიდრო კავშირშია, 3) წინადადებაში შემასმენლის რამდენჯერმე განმეორებით.

ინგლისურ ენაში იმ საკითხთან დაკავშირებით, გამოხატავს თუ არა განგრძობითი ფორმები, კერძოდ კი წარსული განგრძობითი მრავალგზისს განმეორებად მოქმედებას, სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ავტორთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ „თანამედროვე ინგლისურ ენაში ამ კონსტრუქციის ძირითადი მნიშვნელობა (ზმნას +ახლანდელი დროის მიმღეობა) აქტუალური მოქმედების გამოხატვაა, რომელიც ლიტერატურულობასთან აუცილებლადაა დაკავშირებული" (Trnka 1930, 37). ანალოგიურ თვალსაზრისს ადგას ბევრი სხვა საზღვარგარეთელი ლინგვისტი. ასე. მაგალითად, ე. კრეიზინგა და ჰ. პოუტსმა წარსული განგრძობითის მნიშვნელობად გარდა განგრძობითობისა მრავალგზისობასაც თვლიან. საბჭოთა ენათმეცნიერთა ერთი ჯგუფი (იხ. Смирницкий 1959, 324; Бархударов. Штелинг 1973, 182—183 და სხვები) კი საპირისპირო თვალსაზრისს გამოთქვამს.

წარმოდგენილ საილუსტრაციო მასალაში წარსული განგრძობითის მრავალგზისი მნიშვნელობა ლექსიკური აქტუალიზატორების საშუალებით ვლინდება, რომლებიც მრავალგზისობას გრამატიკული თორმისაგან დამოუკიდებლად გადმოცემენ (ლექსიკური განპირობება). რაც შეეხება მეოთხე მაგალითს, იქ იტერატული მოქმედება გამოხატულია ზმნით to wear, რომელშიც მრავალგზისობის მნიშვნელობა თვით ზმნის სემანტიკაშია ჩადებული. ასეთი ზმნები ყოველგვარი დამატებითი ლექსიკო-გრამატიკული საშუალებების გარეშე გამოხატავენ იტერატულ მნიშვნელობას. to wear ტიპის ზმნები წარსული განგრძობითის ფორმაში მოცემული მოქმედების ბევრჯერ განმეორებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში განმეორების სემა მჭიდრო კავშირშია ზმნის სემანტიკასთან და არა თვით ზმნის გრამატიკულ ფორმასთან. ამიტომ სრულიად მართებულია იმ ანგლისტთა (ტრნკა. კრეიზინგა, პოუტსმა) წინააღმდეგ გალაშქრება, რომლებიც ზმნის განგრძობითი ფორმების საშუალებით მრავალგზისობის მნიშვნელობის გადმოცემას აღიარებენ.

ვნახოთ, რა ფორმები შეესატყვისება მრავალგზის წარსულ განგრძობითს ქართულ ენაში:

They were always stamping indignantly out of concert halls,

theatres, sport arenas and restaurants, and he, as the youngest, was always in the rear. (J. Cheever. Falconer)

მუშნი ზარანდია საინტერესო თანამოსაუბრე **იყო ყოველთვის,** შაგრამ ახლა, ათას ცხრაას ცხრა წელს იგი უკვე ისეთი მუშნი ზარანდია გახლდათ, როგორსაც, შეიძლება ითქვას, პირდაღებული ეუსმენდი. (ვ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

— მწიგნობართუხუცესის გოგია აბაშიძის ხელში მთელი საბუთები. მიმოწერანი, სიგელები, პატრუცაგები, დავთრები ისე იყო აწეწილ-დაწეწილი, რომ ბშირად რაიმე საჭირო ქაღალდის მოძებნას **მთელი თვე უნდებოდნენ.** (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

ხანდახან ქარისა **მოუკაკუნებდათ ხოლმე,** რა გაჭეთ ამდენი სალაპარაკოო. შემოსვლით კი არ შემოვიდოდა. (ო. ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა)

— შენ გენაცვალე, შენი ალერსი **რამდენჯერ მირწევია,** ახლა ამ ჩემს ქოხში შენს ნახვას მოველოდი. ხომ კარგად ბრძანდები შენ შეგენაცვალოს შენი სალომე! (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

Usually her mother was working at that time of day.
(H. Robbins, Where Love has Gone)

ბესიკი ღიმილით უსმენდა მამამისს და შენობას ათვალიერებდა. **ყოველდღე** ის მოუთმენლად **მოელოდა** თავის სამსახურის დღის დამთავრებას და **მოისწრაფოდა,** რომ მშენებლობა ენახა, შენობა მის თვალწინ დღითიდღე **იზრდებოდა, მთავრდებოდა** და ბესიკი **ყოველთვის,** როდესაც კი საღამოობით **შემოუვლიდა** სახლს, რაიმეს ახალს წაშოწყებულს ან დამთავრებულს აუცილებლად **ნახავდა,** კიდევაც რომ ვერ შეემჩნია, მამამისი მაინც **უჩვენებდა,** რაც გაეკეთებინათ ოსტატებს დღის განმავლობაში და შემდეგ ორთავენი ერთად მიდიოდნენ თავიანთ ნაქირაებ ბინისაკენ სასამხროდ. (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

— ჩვეულებრივ დღის ამ ნახევარში არასოდეს **მიმუშავია** და მიმძიმს ამაზე შეგუება — განაცხადა გოგია აბაშიძემ. (იქვე)

როგორც ვხედავთ, წარსულ განგრძობითს იტერატული მნიშვნელობით ქართულ ენაში შეესატყვისება მწკრივები: უწყვეტელი, ხოლმეობითი და I თურმეობითი (უარყოფით ფორმაში და უსრული ასპექტის).

წარსული განგრძობითის ფორმა ინგლისურში ქართული უწყვეტლისაგან განსხვავებით გადმოცემს რეგულარულად განმეორებად მოქმედებას ზუსტი დროის მითითების გარეშე.

3. პროსპექტული წარსული განგრძობითი

ინგლისურ ენაში წარსული განგრძობითი ფორმის გამოყენება უახლოესი მომავალი მოქმედებების გადმოსაცემად საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. მაგალითად:

'I wish you'd come and see and judge for yourself.'

'I was returning to New York in the morning, but if you will have breakfast with me, I think I might stay over'

(Th. Dreiser, An American Tragedy)

Cowperwood found himself confiding in Alleen. He was taking her with him to London. (Th. Dreiser, The Stoic)

Her husband, as usual, lighted his cigar, remaining apparently as busy with it as she with her agitation. 'You it makes you feel that you have nothing?' To which, as she made no answer, the colonel added: 'What in the world did you ever suppose was going to happen? The man's in a position in which he has nothing in life to do.' (H. James. The Golden Bowl)

'Then,' said Hooper, 'while we were driving along, you might be sitting on my right and I'd be giving you a massage. Maybe I'd have my fly open. Maybe not, though, because you might get ideas, which would undoubtedly cause me to lose control, and that would probably cause a massive accident that would leave us both dead.' (P. Benchley, Jaws)

პროსპექტულ წარსულ განგრძობითში შემდეგი სემები გამოიყოფა: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა, 2) პროსპექტულობა — მოქმედების წინ მიმართვა, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულს მიჰყვება და ვექტორულ ნულთან აუცილებლადაა კონტაქტში. 3) მოქმედების ერთგზისობა, 4) დროში მოქმედების ლოკალიზება, 5) მოქმედების პროცესუალობა.

სემა „მოქმედების ერთგზისობა" ვერ იხამებს მრავალგზისობის აღმნიშვნელ ლექსიკურ საშუალებებს, კერძოდ კი often, seldom, sometimes, every day და ა. შ. რაც შეეხება მეხუთე სემას — „მოქმედების პროცესუალობა" — იგი ფორმის აუცილებელი კომპონენტი არ არის და შეიძლება ჩაიხშოს სემით „პროსპექტულობა". ეს უკანასკნელი კი გულისხმობს პროცესის აუცილებელ კონტაქტურობას, ან ფორმის მიერ გადმოცემული დროის პერსპექტივის კონტაქტურობას ვექტორულ ნულთან. ეს მნიშვნელობა პროცესუალობის ძირითადი გრამატიკული სემანტიკიდან გამომდინარეობს (Тураева 1979, 157).

პროსპექტული წარსული განგრძობითის რეალიზაციისათვის საჭიროა ხელსაყრელი კონტექსტი: 1) მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები, 2) პოზიციური დროის აღმნიშვნელი შემდეგი ტიპის საშუალებები soon, the next day და ა. შ., 3) კონტექსტი, რომელიც პროსპექტულობის მნიშვნელობას აპროგრამებს.

წარსული განგრძობითი განსაზღვრულ კონოტატურ თანამნიშვნელობებს ამჟღავნებს: 1) მოქმედების დინამიკურობას, რომელიც ზმნის ლექსიკური ხასიათითაა განპირობებული, 2) მოქმედების განსაზღვრულობას, რომელიც ანტონიმია განუსაზღვრელობის, ჰიპოთეტიკურობის (რომელიც მომავლის ფორმებს თან ახლავს). მომავალი მოქმედების გამოხატვა წარსული განგრძობითის ფორმით გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკე დარწმუნებულია ამ მოქმედების შესრულებაში.

წარსულ განგრძობითს ამ მნიშვნელობით ნათლად გამოკვეთილი სტილისტური კონოტაცია ახასიათებს და მას პლასტიკურობის, ძალდაუტანებლობის ელფერი შეაქვს სასაუბრო მეტყველებაში (იხ. Brusendorf 1930, 225—248). ეს ფორმა უმთავრესად პირდაპირ ნათქვამში და ყველა სახის არასაკუთრივ პირდაპირ მეტყველებაში გვხვდება. ავტორის მეტყველებაში გამოყენებისას იგი მთხრობელსა და პერსონაჟთა შორის დაპირისპირების ნეიტრალიზაციას ახდენს.

წარსულ განგრძობითს ამ მნიშვნელობით ქართულ ენაში შეესატყვისება შემდეგი ფორმები:

It was nearly bedtime and when they awoke next morning land would be in sight. Since some of the passengers were leaving the ship next day at Pago-Pago they had had a little dance that evening and in his ears hammered still the harch notes of the mechanical piano. (W. S. Maugham, Rain)

ფარნაოზი ტახტზე დაიხარა, მომაკვდავს ოფლიან შუბლზე აკოცა და უთხრა, **წავალ** და დილით მკურნალს **მოგიყვანო**. (ო. ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა).

სადუნამ კი „ვოიჰ"-ის ამოძახილით მოითავა სიცილი და, ეს რა კარგი სალაპარაკო ვიშოვეო, გაიფიქრა და მაშინვე გარეთ გავარდა. ეზოში კუნუნა აბაშიძე წააწყდა და იმ წუთშივე ჰკითხა.

— გითხრათ ბესიკმა, როდის **მიემგზავრება** სპარსეთში?

— არა. არაფერი უთქვამს (აკ. ბელიაშვილი. ოქროს ჩარდახი)


რუსუდანი უარობდა, ცუდად **გახდები** წყენისაგან, მომჯობინდი და მერე წაიკითხეო, მაგრამ მეფე არ მოეშვა და ბარათი ძალით წაიკითხა. (კ. აბაშიძე, ლაშარელა)

როგორც ვხედავთ, წარსულ განგრძობითს ამ მნიშვნელობით ქართულში შეესატყვისება მყოფადისა და აწმყოს მწკრივი. ასეთ ტიპო-

ლოგიურ სხვაობას ამჟღავნებს ინგლისური და ქართული ენა პროსპექტულობის მნიშვნელობის გადმოცემისას წარსულში.

სქემა 12

წარსული განგრძობითის სემანტიკური მოდელი ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები



§ 3. წარსული პერფექტის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები

I. ექსკლუზიური წარსული პერფექტი

წარსული პერფექტის ძირითადი კატეგორიული ნიშანია — წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა. წინამავლობის მნიშვნელობა გრამატიკულადაა წარმოდგენილი თვით ფორმაში.

ინგლისელი ენათმეცნიერები ამ ფორმას განიხილავენ როგორც რელატიური დროის ფორმას. მოქმედების წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან შეფარდების მიხედვით გამოყოფენ ფორმის ვარიანტულ მნიშვნელობებს, რომელთაგან ძირითადი, წამყვანი მნიშვნელობა ექსკლუზიურია:

It was too bad that so intelligent a man **had made** such a fatal error in judgment so late in life. (M. Puzo, The Godfather)

I must say I really did not think anything **had happened**. I mean, what after all, could have happened. (J. Jones, The Merry Month of May)

It had already been a pretty rough day, according to my transistor radio. The day **had been** full of demonstrations in cities all over France. (ibid.)

Michael reluctantly explained what **had happered** the night Sonny was killed. (M. Puzo, The Godfather)

ექსკლუზიური წარსული პერფექტისათვის შემდეგი სემებია რელევანტური: 1) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ მოქმედების კონტაქტური რეტროსპექტულობა. 3) მოქმედების დასრულება ან აღკვეთა, 4) მოქმედების ერთგზისობა. 5) მოქმედების დროში ლოკალიზება / არალოკალიზება.

პირველი ოთხი სემის რეალიზება ნეიტრალურ კონტექსტში ხდება, ხოლო მეხუთე სემა — „მოქმედების დროში ლოკალიზება / არალოკალიზება" განისაზღვრება კონტექსტით.

ამ მნიშვნელობით წარსული პერფექტის ფუნქციობის მეტი სიცხადის განსახილველად საჭიროა, შევჩერდეთ მის სინტაქსურ დისტრიბუციაზე. ექსკლუზიური წარსული პერფექტისათვის დამახასიათებელია სინტაქსური რეალიზაციის სიფართოვე. განსახილველი ფორმა თანამედროვე ინგლისურ ენაში უფრო ხშირად გვხვდება დამოკიდებულ წინადადებებში, თუმცა იგი დამოუკიდებელ წინადადებებშიც გვხვდება.

ქართულ ენაში წარსულ პერფექტს ამ მნიშვნელობით შემდეგი ფორმები შეესატყვისება:

He said under oath that he **had** never **even seen** Bookwright before. (W. Faulkner. Knight's Gambit)

მან გვითხრა, რომ ბიძამისს თვითონ ჯიმბაზებიდან **ესწავლა** ფრენა. (ო. ჭილაძე. გზაზე ერთი კაცი მიდიოდა)

— მას შემდეგ რაც პირველად **დაგინახე**, მე ვაღიარე აბსოლუტური ჭეშმარიტება მშვენიერებისა. (ნ. დუმბაძე, მე, ბებია, ილიკო და ილარიონი)

— თქვენისთანა მუშტარი ჩემს კანტორას წინათ, მართლაც არ **ჰყოლია** და ამიტომ მაგ წინადადებამ მით უფრო დამაინტერესა. ეგ არის ამგვარი საქმეების წარმოებაში არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია. (ვ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

They **had already heard** about polo and they even believed it before they even saw it. (W. Faulkner. Knight's Gambit)

ეს ქვეყანა კი **უკვე** ისე **შეჰყვარებოდა**, ხანდახან თავზარი დაეცემოდა ხოლმე, რა მეშველებოდა, ასე რომ არ მომხდარიყოო. (ო. ჭილაძე. გზაზე ერთი კაცი მიდიოდა)

ფრიქსეს ვაჟების გაპარვა მარცხით კი დამთავრდა. მაგრამ სამაგიეროდ მათ უკვე ჭკვიის მარცხის სიწყალე. **გამოცადეს** დაბრკოლების სიავკარგე და, რაც მთავარია, **შეიტყვეს** ის, რაც ყველაზე მეტად ჰირდებოდათ. მეორე ქვეყნის არ არსებობა. (იქვე).

სწორედ მაშინ, როცა აღარავინ ელოდა ფრიქსეს ვაჟებ-ს გამოჩენას, ოთხ-ვენი ცოცხლები და უვნებელნი, თავისი ფეხ-თ დაბრუნდნენ შინ, ვანელებს იმდენი კარგ-ცა და ცუდიც **ჰქონდათ** უკვე ნათქვამი მეფის შვილიშვილებზე. აღარ იცოდნენ სწყენოდათ თუ გახარებოდათ მათი დაბრუნება. (იქვე).

ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ წარსულ პერფექტს ექსკლუზიური მნიშვნელობით ქართულ ენაში შეესატყვისება მწკრივები: II თურმეობითი, წყვეტილი (სრული) და უწყვეტელი. მკვეთრი მიჯნა II თურმეობითს და წყვეტილის (სრული ასპექტი) გამოყენებას შორის ამ მნიშვნელობით არ შეინიშნება. როგორც ცნობილია, ქართული ენის ნორმატული გრამატიკა წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობის გადმოსაცემად ძირითადად იყენებს II თურმეობითს. თუმცა ქართულ ენაში (სასაუბრო, საგაზეთო-პუბლიცისტურ და მხატვრულ ბელეტრისტულ მეტყველებაში) საკმაოდ ხშირად შეინიშნება წყვეტილის (სრული ასპექტი) მწკრივის სინონიმური გამოყენება ამ მნიშვნელობით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წყვეტილის (სრული ასპექტის) მწკრივი ისე, როგორც წარსული განუსაზღვრელი ინგლისურ ენაში, საკმაოდ ხშირად გამოიყენება წინამავლობის ნიშნის გადმოსაცემად. ამგვარად ინგლისურშიც და ქართულ ენაშიც შეინიშნება მნიშვნელობათა სიჭარბე წარსულში წინამავლობის ნიშნის გადმოცემისას. რაც ინგლისურ ენაში წარსული განუსაზღვრელისა და წარსული პერფექტის, ქართულში კი წყვეტილისა და II თურმეობითის სინონიმური გამოყენებითაა განპირობებული. ამიტომაცაა, რომ წარსული განუსაზღვრელისა და წყვეტილის მწკრივი ხშირად რელატიური მნიშვნელობითაც გვხვდება. წინამავლობის ნიშანი ამ ორი უკანასკნელი ფორმის მიერ ხშირად სინტაქსური საშუალებებით ან კიდევ დროის კავშირებით ექსპლიცირდება.

რაც შეეხება უწყვეტლის მწკრივს, ისიც გვხვდება ექსკლუზიური მნიშვნელობით, მაგრამ ეს მწკრივი განსხვავებით II თურმეობითისა და წყვეტილისაგან მოქმედების პროცესუალურ ხასიათზე მიუთითებს და დამატებით სემას — „მოქმედების პროცესუალობას" შეიცავს.

2. ინკლუზიური წარსული პერფექტი

წარსული პერფექტი ინკლუზიური მნიშვნელობით შედარებით იშვიათად გვხვდება. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კოხტაქტურობა ამ ფორმაში ისე ვლინდება, რომ ძას შეუძლია აღნიშნოს მოქმედება, რომელიც ჯერ კიდევ წარსულის მომენტამდეა დაწყებული და წარსულის მომენტსაც მოიცავს. ამ შემთხვევაში ნიშანი „წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა" იხშობა. მაგალითად:

For the first time since she **had come** to know him, she saw Michael angry. (M. Puzo, The Godfather)

He **had had** for a long time now the habit of hanging around in the barracks until the last minute before falling out for fatigue. (J. Jones, From Here to Eternity)

Of course by now McKenna **had** long **since been put** to bed. But Louisa had not answered my last remark. (J. Jones, The Merry Month of May).

Since Friday things **had not changed** so much on the St-Louis perhaps. (ibid.).

ინკლუზიური წარსული პერფექტი შემდეგი სემებით ხასიათდება: 1) მოქმედების წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში, 3) მოქმედების ერთგზისობა, 4) მოქმედების წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა, 5) მოქმედების დროში ლოკალიზება.

როგორც ჩანს, ინკლუზიური წარსული პერფექტი ექსკლუზიური წარსული პერფექტისაგან ორი სემით განსხვავდება: „წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში" და „მოქმედების დროში ლოკალიზება". ეს უკანასკნელი ნაწარმოებია სემისაგან „ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში".

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ინკლუზიური წარსული პერფექტის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო: ა) უზღვრადი ან ორმაგი ასპექტური ბუნების ზმნები, ბ) გარემოებითი სიტყვები, რომლებიც მოქმედების საწყის ფაზაზე მიუთითებენ: for the first time since, since Friday და ა. შ., ან გარემოებითი სიტყვები, რომლებიც მოქმედების ან მდგომარეობის ხანგრძლივობას გადმოცემენ: for a long time, long since და ა. შ.

ინკლუზიურ წარსულ პერფექტს შეესატყვისება ქართულ ენაში II თურმეობითის მწკრივი:

Thy had not met since they were young men; hardly more than boys, at the seminary. (W. S. Mangham, Catalina)

თავადმა სიამით მოავლო თვალი ძამას ხეობას. ფერდობზე მკვლები შეჰფენოდნენ მოწეულ ყანებს. სოფლებში აქა-იქ უკვე ლეწვა იყო გახურებული. ბაღებში და ვენახებში მწიფდა ხილ-ყურძენი. აღარც შემოდგომა იყო ცხრა მთას იქით. (ლ. გოთუა. ნისლი ნახატარის ტყეში).

On this Saturday Farragut and Marcia drove out to the country where Eben and Carrie lived. It had been more than year since the brothers had not met. (J. Cheever, Falconer)

ორკვირიანი მგზავრობა მელოდა. ვეჭვობდი, ეს დრო, იქნებ, არც კი მეყოს-მეთქი. სამ ქალაქში მჭონდა დანიშნული თათბირი, მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ ყველაფერს აღრე მოვრჩი და წასვლიდან მეათე დღეს თბილისს მოვედი. ზარანდია ჯერ არ დაბრუნებულიყო. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ქართულ ენაში, ისე როგორც ინგლისურში ამ მნიშვნელობის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო: 1) უზღვრადი და ორმაგი ასპექტური ბუნების ზმნები, 2) ლექსიკური საშუალებები, რომლებიც ვექტორული წულის მოქმედების განფენილობაში ჩართვას გამოხატავს for long, for an hour, for a month, for a minute, since და ა. შ.

3. მრავალგზისი წარსული პერფექტი

წარსულ პერფექტს მრავალგზისი მოქმედება ლექსიკური აქტუალიზატორების საშუალებით შეუძლია გადმოცეს. ყველაზე ტიპიურია მრავალგზისობის გამომხატველი ლექსიკური საშუალებები: always, seldom, frequently, many times, sometimes და ა. შ. მაგალითად:

Seated on the fallen trunk of a tree, he had promised for the twentieth time that if their marriage were not a success, she should be as free as if she had never married him. (J. Galsworthy, The Man of Property).

I had often seen Deifendorf naked in the locked room. (J. Updrike, The Centaur)

She had already written three or four times, first to tell him that she was married, well and happy. (W. S. Maugham, Catalina)

ამ მნიშვნელობით წარსული პერფექტის სემებია: 1) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული წულის მიმართ წინამავ-

ლობა. 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ კონტაქტური რეტროსპექტულობა დროის პერიოდში, რომლის დროსაც შესაძლებელია მოქმედების განმეორება, 3) მოქმედების მრავალგზისობა, 4) მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტის აღქმეთა. 5) დროში მოქმედების არალოკალიზება.

როგორც საილუსტრაციო მასალა გვიჩვენებს, მრავალგზისი მნიშვნელობის რეალიზაციისათვის წარსული პერფექტი საჭიროებს ლექსიკურ საშუალებებს, რომლებიც ციკლურ განმეორებად მოქმედებას აღნიშნავს. ეს მნიშვნელობა ხშირად სხვა ფორმათა (რომლებიც მრავალგზისობას აღნიშნავენ „would+ინფინიტივი", „used to+ინფინიტივი") თანამდებარეობაზეცაა დამოკიდებული.

მრავალგზისს წარსულ პერფექტს ქართულ ენაში შეესატყვისება:

The thought of my father-in-law, whom I **had not seen eight times** in my marriage life, but knew well enough to fear profoundly, was a subject so vast, however, I put it away from me altogether. (N. Mailer, An American Dream)

ადრეეც გაგონილი ჰქონდა, რომ სოლომონი იშვიათად იცვამდა ფარჩისა და სტავრის სამეფო ტანსაცმელს, თავისი მეფობის მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე სულ **ორჯერ თუ სამჯერ მორთულიყო** ამ სამოსელში. (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

ფარნაოზს გულში **ათასჯერ ჰქონდა** გადამეორებული, რაც აქ უნდა ეთქვა. რასაც, მისი წარმოდგენით, შავთვალა მალალოც უნდა აეღელვებინა, გაეხარებინა. (ო. ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა)

ეს მოხუცი გახლდათ ის, ვინც **მრავალჯერ მოუქნია** დანა, ზურგში ჩასაცემად, ჩვენს ქვეყანას. (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

სადუნა ყბამოუღლელად ლაქლაქებდა. ხანდახან თავგაბეზრებული დათიკა, რომელიც იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას, დატუქსვით **ეტყოდა** ხოლმე თავის თანამგზავრს:

— ნუ წაგვეჯახე, ბიჭო, ყურები, სულ შენ უნდა ილაქლაქო ამ გზაზე? იქნება ჩვენც გვინდა ვთქვათ რამე. (იქვე)

საილუსტრაციო მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ წარსულ პერფექტს ამ მნიშვნელობით ქართულში შეესატყვისება: II თურმეობითი, წყვეტილი, უწყვეტელი და ხოლმეობითი. როგორც ინგლისურში, ისე ქართულში მრავალგზისობის მნიშვნელობას ზმნის ფორმა კი არ გამოხატავს, არამედ სხვა კომპონენტები — განმეორებადი მოქმედების აღმნიშვნელი ლექსიკური საშუალებები, ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა, წინადადების სტრუქტურა და ა. შ.

4. რეზულტატური წარსული პერფექტი

წარსული პერფექტი აბლანდელი პერფექტის მსგავსად გადმოცემს მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებს — სუბიექტისა და ობიექტის მდგომარეობას, რომელიც დასრულებული მოქმედების შედეგია. მიზეზი და შედეგი შეიძლება გადმოიცეს ერთი ან რამდენიმე წინადადების ფარგლებში. მაგალითად:

'I don't like the picture — And besides when I came in you said I **hadn't changed** a bit.'

'Isn't it funny' 'Gloria said, 'when you came in the door you looked exactly like your picture. But when I kept looking at you it seemed as if your whole face **had changed**.' (M. Puzo, The Dark Arena)

Mrs. Septimus Small was the tallest of the four sisters; her good, round face **had gone** a little sour. (J. Galsworthy. The Man of Properly)

He found himself telling her about how he and Johnny **had grown** together in New York, about how he and Johnny had sung together on little club dates. (M. Puzo, The Godfather)

რეზულტატური წარსული პერფექტის სემებია: 1) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა, 3) მოქმედების დასრულება. 4) მოქმედების რეზულტატურობა, 5) მოქმედების ერთგზისობა, 6) მოქმედების დროში არალოკალიზება.

როგორც საილუსტრაციო მასალა გვიჩვენებს, ამ მნიშვნელობით წარსული პერფექტი ექსპლიციტურად და იმპლიციტურად გამოხატავს მდგომარეობას. დრო წარმოდგება როგორც წყვეტა-უწყვეტობის ერთიანობა.

წარსულ პერფექტს ზემოგანხილული მნიშვნელობით ქართულ ენაში II თურმეობითი შეესატყვისება. მაგალითად:

She was still at forty-three a comely and faithful companion, whose cheeks were faintly mottled, and whose grey blue eyes **had aquired** a certain fullness. (J. Galsworthy, the Apple Tree)

მართალია, ხნით უკვე ორმოც წელს უახლოვდებოდა, მაგრამ ეს მაღალი და წარმოსადეგი ქალი საოცრად **შენახულიყო**, ღაწვები ვარდისფრად **ატკეცოდა**, ხოლო გადახაზულ წარბებ ქვეშ ჩაბანდული ნუშისმაგვარი თვალები მომხიბვლელად უციმციმებდა. (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი).

My father **had turned** fifty just before Christmas: he had always said he would never live to be fifty. (J. Updike, The Centaur)

ფრიქსეს ვაჟები თაღის ქვეშ შეყუჟულიყვნენ, ერთი დღის ობლობას ოთხივენი **გაეცრიცა** და **დაეპატარავებინა**, მაგრამ ოთხივენი აღგზნებული იყვნენ, თითქოს უცებ, მოულოდნელად, გადაუდებელი საქმე გასჩენოდათ, ანდა იმედი, რომელსაც აღარ ელოდებოდნენ. (ო. ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა)

ქართული ენის ტიპოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ II თურმეობითი I თურმეობითის მსგავსად უნახავი აქტის მნიშვნელობას გადმოსცემს. ოღონდ I თურმეობითისაგან განსხვავებით იგი ისეთ უნახავ მოქმედებას გადმოსცემს, რომელიც წარსულში ზედრე მოქმედების წინამავალია. მაგალითად:

ამილახვარებს იმ ადგილებში მამულები ჰქონდათ, მოურავად შალიბაშვილი ეყენათ, ნიკა ერქვა. თურმე ერთი ოსის ქალი **შეჰყვარებოდა**, ქართველი კაცის ქვრივი, როსტომაანთ გომურებს ეტყოლნენ, ერთ ღამეს იქ **დაებარებინა** შალიბაშვილს თავისი საყვარელი. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

მოგზაურ სოვდაგარს განურჩევლად **შეეძინა**, რაც კი ხელში **მოხვედროდა**. (კ. გამსახურდია, მთვარის მოტაცება)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, II თურმეობითი უნახაობის ბრუნველობას გადმოსცემს როგორც ნაწილაკით „თურმე", ისე მის გარეშეც.

II თურმეობითის რელევანტური სემები ამ მნიშვნელობით შემდეგია: 1) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულთან მოქმედების კონტაქტური რეტროსპექტულობა, 3) მოქმედების უნახაობა, 4) მოქმედების დასრულებულობა, 5) მოქმედების ერთგზისობა, 6) მოქმედების დროში არალოკალიზება.

სემათა ამ ნუსხიდან ჩანს, რომ II თურმეობითი ამ მნიშვნელობით გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის უარყოფით ვექტორზეა მოთავსებული და ამ ღერძის ათვლის წერტილთან გაუთიშველია. სემა „მოქმედების უნახაობა" აღნიშნავს, რომ მოლაპარაკე არ იყო მონაწილე მომხდარი მოქმედებისა, მის შესახებ მან მხოლოდ სხვისგან გაიგო. ვნახოთ, როგორ გადმოიცემა ეს მნიშვნელობა ინგლისურ ენაზე:

ბესიკს მთელი ოჯახი ფეხზე დაუხვდა, **თურმე** მთელი ღამე არც მათ **სძინებოდათ** და სამგზავრო სურსათისა და ბარგიბარხანის მზადებაში იყვნენ გართულნი. (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

It appeared he had come home the night early. He had been out shooting some demonstration stuff. (J. Jones, The Merry Month of May)


Only it turned out he had been married Already. (N. Mailer, An American Dream)

The house was said to have been filled with people who had not appeared at night at all. (W. Faulkner, Knight's Gambit)

როგორც ვხედავთ, ამ მნიშვნელობით II თურმეობითის ზმნის შესატყვისი გრამატიკული ფორმა ინგლისურ ენაში არ არის. ამ მიზნისათვის გამოიყენება რთული კონსტრუქციები ზმნით to say პასივში და to appear, to turn out, they say მთავარ წინადადებაში, როცა დამოკიდებულში წარსული პერფექტის ფორმაა წარმოდგენილი.

სქემა 13

წარსული პერფექტის სემანტიკური მოდელი ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები



§ 6. წარსული პერფექტ-განგძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები

1. ექსკლუზიური წარსული პერფექტ-განგრძობითი

ძირითადი კატეგორიული ნიშანი წარსული პერფექტ-განგრძობითისათვის წარსული დროის სუბორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა და მასთან მიმართებაა. წინამავლობას თვით ზმნის გრამატიკული ფორმა გადმოსცემს. ეს ფორმა წარსულ პერფექტისაგან განსხვავებით პროცესუალობის მნიშვნელობის მატარებელია. იგი მოქმედებას განფენილობაში წარმოადგენს. მაგალითად:

So I was glad she called. Besides, I had been waiting to ask

her, what she thounght about what was going on. (J. Jones, The Merry Month of May)

Just as this happened the priest, who **had been saying** his Mass, came out of the church and seeing the accident hurried up to see if he could be of help. (W. S. Maugham, Catalină)..

With incredulous seething anger, Peter McDermott read Ogilvie's memo, slowly, for the second time. The memo **had been waiting** on his desk when he returned from the brief meeting with Warren Trent. (A. Hailey, Hotel)

ექსკლუზიური წარსული პერფექტ-განგრძობითის ძირითადი სემებია: 1) მოქმედების წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი მოქმედების კონტაქტური რეტროსპექტულობა, 3) მოქმედების პროცესუალობა, 4) მოქმედების ირთგზისობა, 5) მოქმედების აღკვეთა, 6) დროში მოქმედების ლოკალიზება.

წარსული პერფექტ-განგრძობითი, ისე როგორც წარსული პერფექტი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის უარყოფით ვექტორზე მდებარეობს და ამ ღერძის ათვლის წერტილთან გაუთიშველია. დროის განსაზღვრულობას განგრძობითობის მნიშვნელობა ქმნის.

როგორც სემათა სია გვიჩვენებს, წარსული პერფექტ-განგრძობითი წარსული პერფექტისაგან განსხვავება სემით „მოქმედების პროცესუალობა", რომელიც შემდეგი სახის ლექსიკურ საშუალებებს ეხამება: long, for days, for weeks, for months, for years, for three days, for six months, for two years, for an hour და ა. შ.

ეს ოპოზიცია ფუნქციობისას შეიძლება განეიტრალდეს. ნეიტრალიზაცია წარმოებს მაშინ, როცა ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობაში „მოქმედების შინაგანი ზღვრადობის" სემა არაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში პირველ პლანზე წარსული პერფექტ-განგრძობითის კონტაქტური მნიშვნელობა — მოქმედების აქტუალიზაცია გამოდის. წარსულ პერფექტს სემა „მოქმედების ხანგრძლივობა" მხოლოდ მაშინ შეიძლება ექნეს, თუ წინადადებაში წარმოდგენილი იქნება ლექსიკური აქტუალიზატორები — განგრძობითობის აღმნიშვნელი გარემოებანი.

ექსკლუზიურ წარსულ პერფექტ-განგრძობითს ქართულ ენაში შეესატყვისება II თურმეობითი და უწყვეტელი. მაგალითად:

They never saw him again for some time, though they knew that he was about the place, and on the following Sunday they found where he **had been digging** into the grave, with sticks and with his bare hands. (W. Faulkner. Knight's Gambit)

მოიხედეს. მოხუცი როდემი იქვე მაცხოვრის ხატის წინ **დამხობილიყო** და პირჯვრის წერით ლოცვებს ბუტბუტებდა. შვილებმა

წამოაყენეს მოხუცი ქალი და გაახსენეს, რომ შინ წასვლის დრო იყო. (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი).

ეს არის ვინც საკუთარი განდიდებისათვის **ებრძოდა** ჩვენს დიდებულ სოლომონ მეფეს, სოლომონს, რომელიც ათას რამდენი წელია იღვწის, რათა ფეხზე წამოაყენოს დავით ალმაშენებლის და თამარ მეფის მიერ ოდესღაც აყვავებული, მაგრამ ახლა მთლად გაჩანაგებული იმერთა მხარე. (იქვე).

It was yesterday morning that the letter had arrived for which Michael **had been waiting.** Mrs. Mark informed him that Catherine was a great deal better. She seemed, in fact, to be more or less normal. (I. Murdoch, The Bell).

ქალი, დაფიქრებული, კიბის საფეხურზე **ჩამომჯდარიყო** და მოუთმენლად გზისკენ იხედებოდა, სადაც ტრაქტორს უნდა გამოევლო. (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში).

მთელი საათი **ეგდო** უგრძნობლად გუშინ საღამოს და როდესაც გონს მოვიდა, კარგა ხანს ვერ შეძლო ადგომა. (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი).

ინგლისური ენის წარსულ პერფექტ-განგრძობითს ამ მნიშვნელობით უფრო ხშირად უწყვეტლის მწკრივი შეესატყვისება, ხოლო შედარებით ნაკლებად II თურმეობითი, რადგან ეს მწკრივი სემას „მოქმედების განგრძობითობა" მხოლოდ ლექსიკური აქტუალიზატორების დახმარებით იძენს.

2 ინკლუზიური წარსული პერფექტ-განგრძობითი

ინკლუზიური მნიშვნელობით ეს ფორმა გვხვდება მაშინ, როცა წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნული ჩართულია მოქმედების განფენილობაში. მაგალითად:

I **had been worrying** about my marvelous little Goddaughter ever since I had learned for sure what had happered to Harry in Cannes. (J. Jones, The Merry Month oi May).

They **had been expecting** him since before Angelo had gone in the Hotel. (J. Jones, From Here to Eternity)

წარსული პერფექტ-განგრძობითისათვის ამ მნიშვნელობით შემდეგი სემებია რელევანტური: 1) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ მოქმედების წინამავლობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში, 3) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა, 4) მოქმედების

პროცესუალობა, 5) მოქმედების ერთგზისობა, 6) დროში მოქმედების ლოკალიზება.

ამ მნიშვნელობის რეალიზაციისათვის წარსული პერფექტ-განგრძობითი საშიროებს სასურველ კონტექსტს: 1) უზღვრად და ორმაგი ასპექტური ხასიათის ზმნებს, 2) საშუალებებს, რომლებიც ვექტორული ნულის მოქმედების განფენილობაში ჩართვაზე მიუთითებენ. ექსკლუზიური წარსული პერფექტ-განგრძობითისაგან ინკლუზიური პერფექტ-განგრძობითი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია ვექტორული ნული ჩართოს მოქმედების განფენილობაში.

ინკლუზიურ წარსულ პერფექტ-განგრძობითს ქართულში შეესატყვისება:

All the people, on the top deck **had been listening** to Susan; but there were no signs of resentment on their faces. (J. Braine, Room at the Top).

მებორნეს **ჩასძინებოდა.** ტიტველი ფზეზე შემწვარი მწყემსი ბიჭები ბორანს ეშმაკებივით **დასეოდნენ** და გალმა-გამოღმა ასეირნებდნენ. (კ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ცისკარი)

მალე ბარათაც ხელცარიელი და გულმოკლული მობრუნდა. დაუმთავრებელ აივანზე ისევ ერთად შევიყარეთ. ბარათამ დიდხანს, თავის **ჭნევით უსმინა** მახათელის თხრობას. იგი დაბეჯითებით უხსნიდა საქმის ვითარებას, თან წამდაუწუმ იმოწმებდა მაყვალას. (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარ-ს ტყეში)

იოვანე უტყვი დაქვეითდა, გამყოლები და ჯორ-ცხენები წინ გაისტუმრა. ქვევიდან დიდხანს **უმზერდა** ყინცვისის გუმბათს. (იქვე).

Tom Hagen had been living in his home for three years and he asked Clemenza if the ophan boy had been involved. (M. Puzo, The Godfather)

გოგია არსად ჩანდა. სამაგიეროდ, მარცხენა კუთხეში ელიზბარ კარიჭაშვილი, სანდრო კახიძე და ვახტანგ შალითური კარგა ხანია **მოკალათებულიყვნენ.** (ვ. ანჩირეჯიბი, დათა თუთაშხია).

სამი წელიწადი **ხატა** მან ყინცვისის კედლები, თითქმის დაამთავრა... და ეს რაღა ბედენა იყო? მხოლოდ ერთი ანგელოზი აკლდა ყინცვისს. მაგრამ აქ სხვა იყო ჯავრისა და გაჯავრების მიზეზი. (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში).

დაიბარა მეფემ რაც პირველი თავადები არიან მთელ იმ იმერეთში, უნდა ვითათბიროთო, ჩვენ, ეს პირველი აზნაურები, სასახლის კიბეს არ მიგვაკარეს. საიდუმლო არ გაგვიმხილეს. ათი დღე **თათბირობდნენ** და ეს ბესიკა თუ ვიღაცა კვინტრიშა, სულ მეფეს **უჯდა** თურმე გვერდით. (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

ინკლუზიურ წარსულ პერფექტ-განგრძობითს ქართულში სამი მწკრივი შეესატყვისება: II თურმეობითი, უწყვეტელი და წყვეტილი (უსრული ასპექტი).

3. მრავალგზისი წარსული პერფექტ-განგრძობითი

წარსულ პერფექტ-განგრძობითს მრავალგზისობის მნიშვნელობა მხოლოდ ლექსიკური ინდიკატორების დახმარებით შეუძლია გადმოცეს. მაგალითად:

I **had been going** out **every night** since Monday. I had become quite occupied with the student Film Committee of the Odéor. (J. Jones, The Merry Month of May).

He **had been speaking** — **speaking** as they sat together on the out-of-the-way bench. observed during one of their of walks and kept for the previous quarter of the present hour well in his memory's eye. (H. James, The Golden Bowl)

He remembered how often he **had been waiting** for a minute or two on the landing to get his breath after the ascent. and how absurdly his impatience to see her had taken it away again. (W. S. Maugham, Catalina)

ამ მნიშვნელობით წარსული პერფექტ-განგრძობითის სემებია: 1) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა დროის პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესაძლოა მოქმედების განმეორება, 3) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა დროის პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესაძლოა მოქმედების განმეორება, 4) მოქმედების მრავალგზისობა, 5) ყოველი ცალკეული სეგმენტების აღკვეთა, 6) დროში მოქმედების ლოკალიზება / არალოკალიზება.

მრავალგზისი წარსული პერფექტ-განგრძობითი ფორმის ვარიანტია, რომლის რეალიზაციისას გადამწყვეტი როლი კონტექსტს ეკუთვნის. სემა 3 — „ვექტორული ნულის ჩართვა პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია მოქმედების განმეორება“ და სემა 2 — „მოქმედების მრავალგზისობა“ — კონტექსტითაა განპირობებული, მრავალგზისობის მნიშვნელობას თვით გრამატიკული ფორმა კი არ გამოხატავს, არამედ კონტექსტის სხვა საშუალებები. კერძოდ კი მოქმედების განმეორების გამომხატველი ლექსიკური საშუალებები: often, always, every day და ა. შ., ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა, შემასმენლის რამდენჯერმე განმეორება და ა. შ. მეექვსე სემის

რეალიზაციაც კონტექსტით განისაზღვრება და დამოკიდებულია იმაზე, თუ მოქმედება რამდენად განზოგადებული ხასიათისაა.

ამ ფორმის შესატყვისებია ქართულ ენაში:

He had been turning twenty ways, for impatiences all his own. And he was once in with him it was yet again as if he had come to him in his more the monastic cell to offer him light or food. (H. James, The Golden Bowl)

ეგარსლანი თავადაც ბურანში იყო და იმ უბედურს დღეს მომხდარ ამბებში ხეირიანად ვერ ერკვეოდა.

— პეფე შეიხ-ფეიზის ბაღში **მუდამ** მარტო **დაიარებოდა** და ლუზუპის მეტს მცველთაგან არავის **იახლებდა ხოლმე**. (გ. აბაშიძე, ლაშარელა)

კაროლინას არაერთხელ **ენახა** ეს საოცარი გაცხენება ლუკაიასი. (კ. გამსახურდია, მთვარის მოტაცება)

დათა თუთაშხია **ხანდახან მეტყოდა ხოლმე** — გამბედაობა ჩვეულება არისო. იმ მოკლე ხანში ისე დავეჩვიე ზედამხედველების შეყენებას, რომ ჩვენი საყვარელი ციხის უფროსი კაცი და უფრო ძვირფასი ზედამხედველი ცუგო დავინახე თუ არა, პირდაპირ მათკენ გავემართე. ნელა მივდიოდი და თან გასაღებს ვაჩხრიალებდი. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

ამრიგად, მრავალგზისს წარსულ პერფექტ-განგრძობითს ქართულ ენაში შეესატყვისება მწკრივები: უწყვეტელი, II თურმეობითი და იშვიათად, მაგრამ მაინც ხოლმეობითი. საერთოდ კი ეს უკანასკნელი ინგლისურ ენაში უმეტესად კონსტრუქციებით „used to+ინფინიტივი," „would+ინფინიტივი" გადმოიცემა.

4. რეზულტატური წარსული პერფექტ-განგრძობითი

რეზულტატური წარსული პერფექ-განგრძობითი ფორმის ვარიანტული მნიშვნელობაა, რომელშიც წარსული პერფექტისაგან განსხვავებით დამატებით ერთი სემაა წარმოდგენილი — „მოქმედების პროცესუალობა". რეზულტატური ფუნქცია მოქმედების იმპლიცირებას როგორც აღნიშნული მოქმედების შედეგის რეალიზაციას ითვალისწინებს. მაგალითად:

Margarit Strafford was still in London with Catherine. Catherine **had been having** insulin treatment and was continually under the influence of drugs. (I. Murdoch, The Bell)

His communication to her **had been growing** increasingly brief. (N. Sheldon. The Other Side of the Midnight)

ქართულში წარსულ პერფექტ-განგრძობითს ამ მნიშვნელობით შეესატყვისება II თურმეობითი და უწყვეტელი. მაგალითად:


After last night he realized that whatever might be ahead, more than anything else he wished Christine to be a part of it. The conviction **had been growing** on him; now it was clear and definite. (A. Hailey, Hotel).

ნაგვიანევი ადგილები თანდათან უამდებოდა, სიმაივნეები **უცხრებოდა**, სხეულის შიგნით არა **დაზიანებოდა** რა. მხოლოდ მარჯვენა თვალი ჰქონდა ისევ საშიშ მდგომარეობაში. (გ. აბაშიძე, ლაშარელა).

გადიოდა დღეები და კვირეები. წამლები და ახალგაზრდა ჯანსაღი სხეული თავისას აკეთებდნენ, მეფე ძალღონის მოპატებასა და ენერგიის მობრუნებას გრძნობდა (იქვე).

სქემა 14

წარსული პერფექტ-განგრძობითის სემანტიკური მოდელი ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები



წარსული დროის ფორმათა მნიშვნელობისა და ფუნქციობის ანალიზმა ინგლისურ და ქართულ ენებში და ფაქტიური მასალის კვლევამ შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა. წარსული დრო ინგლისურ და ქართულ ენაში თავისი მნიშვნელობით ერთნაირი არაა. ფუნქციური მიდგომის გამოყენება, რომელიც წარსული დროის ფორმათა გრამატიკულ მნიშვნელობათა კომპონენტურ-აზრობრივ ანალიზთანაა დაკავშირებული, ხელს უწყობს მოცემულ ფორმათა მრავალმნიშვნელობიანობის გამოვლენას ორივე ენაში.

წარსული დროის ფორმის პარადიგმული მნიშვნელობაა — საუბრის მომენტთან მოქმედების არაერთდროულობა, მისი დროის ისეთი პერიოდისთვის განკუთვნება, რომელიც სინამდვილეში უკვე მომხდარია, ჩაბარებულია წარსულს. „ეს არის წარსულის რეალური

ფაქტი, რომელიც ახლანდელთან დაკავშირებული არაა" (Бархударов, Штелинг 1973, 169).

წარსულის სფეროში უფრო ნათლად ვლინდება ენის სისტემის მიდრეკილება, რომ ობიექტური სინამდვილის პროცესების მკაფიო დროითი ლოკალიზაცია მოახდინოს. ამიტომ წარსული დრო ძლიერი გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც უფრო ნათლადაა გამოკვეთილი ვიდრე არაწარსული. ინგლისურ ენაში წარსული დროის კატეგორიული ფორმა ოთხი ასპექტ-დროის ფორმით გადმოიცემა: Past Indefinite, Past Continuons, Past Perfect, Past Perfect Continuous. ქართულ ენაში კი ეს დიფერენციაცია გამოიხატება წარსულის ხუთი მწკრივის საშუალებით: უწყვეტელი, წყვეტილი (სრული და უსრული ასპექტი), ხოლმეობითი, I თურმეობითი და II თურმეობითი.

ორივე შესაპირისპირებელ ენაში წარსული დროის კატეგორიული ფორმა მიუხედავად რაოდენობრივი განსხვავებისა მაღალი სემანტიკური პოტენციალის მქონეა და დიდ ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს. აქ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში მიიღება წინამავლობის (ანტერიორობის) ნიშანი, რომელიც ინგლისურსა და ქართულ ენაში გრამატიკულადაა გამოხატული.

წარსული დროის სემანტიკაში ძირითადი განსხვავება ამ ორ შესაპირისპირებელ ენას შორის ვლინდება მრავალგზისობისა და უნახავი აქტის გამოხატულების პლანში. ქართულ ენაში წარსული დროის სფეროში მრავალგზისი მოქმედების გამოსახატავად ენას მოეპოვება სპეციალური გრამატიკული ფორმა, ე. წ. ხოლმეობითის მწკრივი. ინგლისურ ენაში კი არ არის ზმნის გრამატიკული ფორმა, რომელიც ლექსიკური აქტუალიზატორების გარეშე გამოხატავდა მრავალგზისს მოქმედებას. განმეორებადი, რეგულარულად მომხდარი მოქმედების გამოსახატავად ინგლისური ენა იყენებს ზმნის ფორმას, რომელიც უნდა შეეხამოს რომელ-მე გარემოებითს სიტყვას (რომელიც განმეორებად, ციკლურ მნიშვნელობაზე მიუთითებს), ან კიდევ ეს მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცეს კონტექსტის სხვადასხვა საშუალებით. თუ ეს ორი უკანასკნელი პირობა წინადადებაში არაა წარმოდგენილი, მაშინ ეს მნიშვნელობა იკარგება. ინგლისურ ენაში განმეორებადი, რეგულარულად მომხდარი მოქმედების გამოსახატავად არის სპეციალური კონსტრუქციები „used to+ინფინიტივი" და „would+ინფინიტივი".

მეორე მნიშვნელობა — უნახაობა — ქართულ ენაში I და II თურმეობითის მწკრივების ერთ-ერთი ვარიანტული მნიშვნელობათაგანია. ინგლისურ ენაში კი სემა „მოქმედების უნახაობა" არ გადმოიცემა ზმნის სპეციალური გრამატიკული ფორმით. ამ მიზნისათვის გამოი-

ყენება რთული კონსტრუქციები ზმნით to say პასივში და to appear, to turn oul, they say და ა. შ. მთავარ წინადადებაში, როცა დამოკიდებულ წინადადებაში პერფექტის ფორმებია წარმოდგენილი. ამგვარად, იმ გარემოებას, რომ ინგლისურ ენაში უწახაობის აქტის კატეგორია არ არის, ლექსიკური საშუალებების გამოყენების აუცილებლობამდე მივყავართ, რაც ამ ენისათვის ჩვეულებრივი და გავრცელებულია.

ენათა შორის განსხვავება ნათლად იჩენს თავს პროსპექტული წარსული განგრძობითის რეალიზაციისას. პროსპექტულობის მნიშვნელობა ინგლისურ ენაში წარსული განგრძობითის ფორმით გადმოიცემა. ეს ინგლისური ენის სისტემის თავისებურებითაა განპირობებული, სადაც დროთა შეთანხმების მკაცრი პრინციპი მოქმედებს. ქართული ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იყენებს მყოფადისა და აწმყოს მწკრივებს.

ინგლისურსა და ქართულ ენებში წარსული დროის სემანტიკის შეპირისპირებითი ანალიზი საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ წარსულის ფუნქციათა ერთიანობაზე ამ ორ სხვადასხვა სისტემის ენაში. ფუნქციათა ეს ერთიანობა წარსულის ფორმათა სემანტიკური პოტენციალის სიახლოვეს ასახავს ორივე ენაში და წარსული დროის კატეგორიულ ფორმათა უნივერსალურ თვისებებზე მიუთითებს.

დასკვნა

ენების შეპირისპირება აზრობრივ მიმართებათა თვალსაზრისით ეფუძნება მათი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების შესწავლას. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ის განყენებული ზოგადი მნიშვნელობებია, რომლებსაც შესაპირისპირებელ ენებში ესა თუ ის გამოხატულება აქვს. ჩვენ ვიკვლევთ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიებს იმდენად, რამდენადაც მათი გამოხატვა ფორმალური ენობრივი (გრამატიკული) კატეგორიებით ხდება.

ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია გამოხატულების პლანისა და შინაარსის პლანის რთული ერთიანობაა. გამოხატულების პლანი ფორმდება ენობრივი საშუალებებით, რომლებიც ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნება — მორფოლოგიურს, სინტაქსურს, ლექსიკურს, სიტყვათმწარმოებლურს. კონტექსტში კი ენობრივ ერთეულთა სხვადასხვა კომბინაციებს ქმნის. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია კომპლექსური მოვლენაა, ენის სხვადასხვა დონის ელემენტებისაგან შემდგარი.

ენის მიღებულმა გაგებამ, როგორც სისტემურად ორგანიზებული ერთიანობისა, სადაც ყველა შემადგენელი ნაწილი ურთიერთკავშირ-

შია და ურთიერთგანპირობებული, გვაიძულა გვეკვლია, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან შესაპირისპირებელ ენათა სისტემები. ფუნქციურმა მიდგომამ კი საშუალება მოგვცა დაგვედგინა, ერთი და იგივე ენობრივი მოვლენის ფუნქციობის სხვადასხვა საშუალება შესაპირისპირებელ ენებში, რაც აღსაწერი ენების სტრუქტურულ თავისებურებათა უფრო ღრმა ანალიზის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ფუნქციურმა მიდგომამ მოგვცა საშუალება გამოგვევლინა საკვლევ ენებში ენობრივ საშუალებათა შიდასისტემური დისტრიბუცია და მათი რეალიზაციის სპეციფიკა.

შესაპირისპირებელ ენებში ზმნურ სისტემათა სხვაობის ერთ-ერთი მიზეზთაგანია ამ ენათა განსხვავებული მორფოლოგიური აგებულება. ქართული ენის აგებულება ცნობილია როგორც სინთეზური, ინგლისურისა როგორც ანალიზური. ინგლისური ენა განსაკუთრებით ზმნის სფეროში საკმაოდ მაღალი ხარისხის ანალიტიზმით ხასიათდება, თუმცა ფლექსიურ ფორმათა განსაზღვრული ხმარებაც ახასიათებს. ქართულ ენაში ზმნისთვის ფლექსიათა ფართო გამოყენებაა დამახასიათებელი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქართული იყენებს ჯგუფურ ფლექსიას, თუმცა ზოგჯერ ანალიტიკურ კონსტრუქციებსაც კი ხმარობს. ამიტომაა, რომ შესაპირისპირებელ ენებში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეინიშნება როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული ნიშან-თვისებები...

ორივე ენაში ერთია დროის გრამატიკული კატეგორიის არსი — მოქმედების საუბრის მომენტთან მიმართების გამოხატვა. განსხვავებულია გამოხატულების საშუალებები და დროთა ფორმების სემანტიკა.

ჩატარებული შეპირისპირების შედეგად შეგვიძლია გამოვიტანოთ ზოგადი დასკვნა, რომ ენებს შორის განსხვავება შეიძლება იყოს შემდეგი სახისა: 1) ერთი და იგივე კატეგორიის შიგნით დანაწევრება შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი , 2) გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც სინამდვილის სხვადასხვაგვარ დანაწევრებას ასახავს, შეიძლება სრულად არ ემთხვეოდეს შინაარსით, 3) ერთ ენაში შეიძლება იყოს კატეგორია, რომელიც მეორე ენას არ ახასიათებს.

ინგლისურ ენაში აბსოლუტურ დროთა ღერძი ორად იყოფა: წარსული — არაწარსული (ეგრეთწოდებული ახლანდელი). ქართულ ენაში ზმნის დროთა სისტემა სამ ფორმას შეიცავს: წარსული — ახლანდელი — მომავალი, რომლებიც ერთმანეთისაგან ერთი დიფერენციალური ნიშნით — მოქმედების საუბრის მომენტთან მიმართებით — განსხვავდებიან. ამ ოპოზიციის შიგნით ზემოაღნიშნულ ფორმათა დაყოფა შემდეგია: 1) სრული ასპექტის ზმნებისათვის — წარსული / მომავალი (არაწარსული), 2) უსრული ასპექტის ზმნებისათვის — წარ-

სული/ახლანდელი (არაწარსული). ინგლისური და ქართული ენისათვის აბსოლუტური დრო უნივერსალიაა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ ენებში სხვადასხვაგვარად ნაწევრდება. ინგლისურ ენაში მხოლოდ ერთი ოპოზიციაა (თუ ასპექტსა და დროთა მიმართებას აეცდებით). ქართულ ენაში კი, ასპექტიდან გამომდინარე, ორი ოპოზიცია გამოიყოფა.

თეორიული თვალსაზრისით საინტერესოა ნაწილობრივი ეკვივალენტობის შემთხვევები, როცა ადგილი აქვს გრამატიკული სემანტიკის მნიშვნელობათა არადიფერენცირებულობას ერთ ენაში მეორესთან შედარებით. ეს ხდება მაშინ, როცა ერთ ფორმას ერთ ენაში, რომელიც უფრო ფართო („არადიფერენცირებულ") ცნებას გამოხატავს, მეორე ენაში შეესატყვისება ორი ან რამდენიმე ფორმა. ამათგან თითოეული გამოხატავს უფრო ვიწრო, პირველ ენასთან შედარებით უფრო დიფერენცირებულ ცნებას. ინგლისურ ენაში სიტყვაფორმებში writes, is writing, has written, has been writing სამი ურთიერთგადამკვეთი კატეგორიაა წარმოდგენილი: დროის, ასპექტისა და დროთა მიმართების, რომლებიც ერთმანეთისაგან კომბინაციების სხვადასხვა ხასიათით განსხვავდება. ქართულ ენაში კი ახლანდელი დრო წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კატეგორიული ფორმით, რომელსაც ასპექტური კორელატი არ გააჩნია (მაგალითად, ვწერ, ვკითხულობ, ვხატავ, ვცეკვავ და ა. შ.). მოქმედების მიმდინარეობის ხასიათი სხვა ასპექტური სახესხვაობით — მოქმედებათა სახეებით გამოიხატება. ქართული ზმნის ახლანდელი დროის სიტყვაფორმის სემანტიკური არადიფერენცირებულობის ფაქტის საფუძველზე არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქართულ ენას არ შესწევს უნარი გამოხატოს ის მნიშვნელობები, რომლებიც ინგლისურ ენაში გრამატიკულად ოთხი სიტყვაფორმით გადმოიცემა. ქართული ენა ამ მიზნით სხვა ენობრივ საშუალებებს (გარემოებით სიტყვებს, ზმნიზედებს და ა. შ.) მიმართავს.

ინგლისურ და ქართულ ენებს შორის ზმნის სისტემაში ძირითადი განსხვავება ასპექტის კატეგორიაში ვლინდება. ასპექტი სრულიად განსხვავებული მოვლენაა ამ ორ ენაში. ინგლისურ ენაში არის ასპექტის გრამატიკული კატეგორია, რომელიც ქართულისაგან განსხვავებით სადაც სრული და უსრული სახის ასპექტია, ორი ერთმანეთის საპირისპირო კატეგორიული ფორმისაგან — არაგანგრძობითი და განგრძობითი ასპექტისაგან — შედგება. მაშასადამე, ინგლისურ და ქართულ ენებში ერთი და იგივე კატეგორიის შიგნით დანაწევრება განსხვავებულია. ასპექტის კატეგორია ამ ორ ენაში არაერთგვაროვან ერთეულებად ნაწევრდება. თუმცა ზოგიერთ ამ ერთეულს მონათესავე კატეგორიული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. ინგლისურ

ენაში არაგანგრძობითი ასპექტის ფუნქცია გაცილებით დიდია, ვიდრე სრული ასპექტისა ქართულ ენაში. რაც შეეხება ინგლისურ განგრძობითი ასპექტისა და ქართული უსრული ასპექტის მსგავსება განსხვავებას — ინგლისური განგრძობითი ასპექტი გარდა პროცესუალობისა კონკრეტულ მოქმედებასაც გამოხატავს მაშინ, როცა ქართული უსრული კონკრეტულობის მითითების გარეშე გადმოგვცემს დაუსრულებელ მოქმედებას, რომელიც აქ უფრო სრულ ასპექტს უკავშირდება.

ძალიან ხშირად ქართული ენის უსრული ასპექტის ფორმები ერთადერთი საშუალებაა ინგლისური ენის განგრძობითი ასპექტის ფორმათა სემანტიკის გადმოსაცემად. ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ზემოაღნიშნული ფორმები თავისი არსით ერთმანეთს ემთხვევა. ინგლისური განგრძობითი ასპექტის ძირითადი კატეგორიული მნიშვნელობაა მოქმედების როგორც მიმდინარე პროცესის წარმოდგენა. ქართული ენის უსრული ასპექტი კი მოქმედების დაუსრულებლობაზე მიუთითებს ისე, რომ არაფერს ამბობს მისი მიმდინარეობის ხასიათზე. მაშასადამე, ინგლისურ ენაში მოქმედების მიმდინარეობის ხასიათი არ გადმოიცემა მოქმედების დასრულება / დაუსრულებლობის დაპირისპირებით ისე, როგორც ქართული ზმნის სისტემაში ფორმალურ გამოხატულებას ვერ პოულობს ოპოზიცია არაგანგრძობითობა / განგრძობითობა. ამიტომაც ინგლისურ და ქართულ ენებში ასპექტის კატეგორიის შესაპირისპირებლად ამოსავალი გავიხადეთ ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია.

თანამედროვე ინგლისურ ენაში დროთა მიმართების გრამატიკული კატეგორია ორი კატეგორიული ფორმის — წინამავლობისა და ერთდროულობის — დაპირისპირებას ეყრდნობა, რომლებიც გრამატიკულ ფორმათა ოპოზიციის — არაპერფექტი / პერფექტის — სახით სრულდება ენაში. დროთა მიმართებას ინგლისურ ენაში და დროთა თანამდევრობას ქართულში მიუხედავად დიდი განსხვავებისა, მსგავსი ელემენტებიც აქვს (საენათმორისო შესატყვისობის ნაწილობრივი განსხვავებულობის შემთხვევა). ასე, მაგალითად, წარსული დროის ფარგლებში ქართული ენა ისე, როგორც ინგლისური განასხვავებს მოქმედებას, რომელიც წარსული დროის საორიენტა-

ციო ღერძის ვექტორული ნულის ერთდროულია (წარსული განუსაზღვრელი, წყვეტილი) და მოქმედებას, რომელიც ამ ვექტორული ნულის წინამავალია (წარსული პერფექტი, II თურმეობითი). მაშასადამე, ორივე ენა განსაზღვრულ ერთგვაროვნებას ამჟღავნებს ანტერიორობის გამოხატვისას, რომელიც ორივეგან გრამატიკულად, ე. ი. თვით ზმნის ფორმით გადმოიცემა.

ისეთი შემთხვევებიც გხვდება, როცა საანალიზო ენებში შესაპირისპირებელი გრამატიკული კატეგორიები ძირითად, პირველად მნიშვნელობაში არ ემთხვევა, ე. ი. მათ არა აქვთ მსგავსი ელემენტები (საენათმეცნიერო შესატყვისობის სრული განსხვავებულობა). ასე, მაგალითად, ინგლისურ ენაში ზმნის ასპექტ-დროის არცერთი ფორმა არ გადმოცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც აღნიშნავდა, რომ მოლაპარაკე მის შესრულებას არ ესწრებოდა. ამიტომაა, რომ ქართულის უნახავი აქტის კატეგორიას ინგლისურ ენაში შესატყვისი გრამატიკული ფორმა არა აქვს. ინგლისური ასპექტ-დროის ფორმებს (tenses) არ შეუძლიათ გადმოცენ უნახავი აქტის მოქმედება. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ უნახაობის კატეგორიის გამოხატვა ინგლისურ ენაში რაიმე სიძნელესთანაა დაკავშირებული. ინგლისურ ენაში ეს მნიშვნელობა გადმოიცემა ლექსიკურად to say ზმნით პასივში და to appear, to turn out, they say მთავარ წინადადებაში, როცა დამოკიდებულში პერფექტული ფორმებია წარმოდგენილი. უნახაობის კატეგორიის ამგვარი გამოხატვა ინგლისური ენისათვის ჩვეულებრივი და გავრცელებულია.

როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ასპეტ-დროის ფორმებს მაღალი სემანტიკური პოტენციალი ახასიათებს. ასპექტ-დროის ფორმათა სემანტიკური სტრუქტურების შეპირისპირებითი შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ მსგავსი სისტემური მახასიათებლების დროსაც კი, მათ ყოველთვის ერთნაირი ფუნქციები არა აქვთ.


ფორმათა სემანტიკაში ფუნქციური განსხვავება, რომელიც საერთოა ინგლისურისთვის და ქართულისთვის, ძირითადად ამ ფორმათა მეორად, სინტაგმურ მნიშვნელობებში შეინიშნება მაშინ, როცა ძირითადი პარადიგმული მნიშვნელობები, როგორც წესი, ამ ორ ენაში ერთმანეთს ემთხვევა.

ზმნის ასპექტ-დროის ფორმათა განხილულ ტიპოლოგიურ შესატ-

ყვისობათა სისტემა გენეტიკურად არამონათესავე და ტიპოლოგიურად არამსგავს ენებში — ინგლისურსა და ქართულში — წარმოდგენილია შემდეგი სახით, სქემა 15.

სქემა 15

ზმნის ასპექტ-დროის ფორმათა მნიშვნელობებისა და ფუნქციობის შეპირისპირებითი სქემა ინგლისურ და ქართულ ენებში



ასპექტ-დროის სისტემათა არაერთგვაროვნებამ და თავისებურებამ ინგლისურ და ქართულ ენებში გვიჩვენა, რომ ამ სისტემათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი მხოლოდ მათს დიფერენციალურ ნიშან-თვისებათა გამოყოფის შედეგადაა შესაძლებელი. ეს ნიშან-თვისებები ფორმის სისტემური მიმართებებითაა განპირობებული და ყოველი მათგანის პარადიგმული მახასიათებლის საფუძველია. სწორედ ეს ნიშან-თვისებები განსაზღვრავს ოპოზიციათა რაოდენობასა და ხასიათს ცალკეული ენის ტემპორალურ და ასპექტურ სისტემაში.

მიუხედავად ტემპორალურ-ასპექტურ სისტემათა და გამოგლენილ ბინარულ ოპოზიციათა არაერთგვაროვნებისა. შესაპირისპირებელ ენებში ჩატარებული შეპირისპირება საშუალებას იძლევა, დავასკვნათ, რომ ინგლისური ენის ასპექტ-დროს ფორმების (tenses) შინაარსის პლანი ქართული ენის მწკრივების შინაარსის პლანს ძირითადად ემთხვევა. განსხვავების შემთხვევაში გრამატიკული ფორმის მნიშვნელობის მოდიფიკატორებად ლექსიკურ აქტუალიზატორთა და სხვადასხვა კონტექსტურ საშუალებათა გამოყენებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა.

გრამატიკის სფეროში ამ ენათა შორის განსხვავება გრამატიკულ ფორმათა გამოყენების კანონზომიერებაშიც შეინიშნება. ასე, მაგალითად, ინგლისურ ენაში დროისა და პირობის დამოკიდებულ წინადადებებში, ასევე კავშირების if, even though, no matter how და ა. შ. შემდეგ არ იხმარება კონსტრუქცია „shall / will+infinitive" მაშინ, როცა ქართულ ენაში ზემოალნიშნული ტიპის დამოკიდებულ წინადადებებში მყოფადის მწკრივის ფორმა თავისუფლად გამოიყენება. ასევეა პროსპექტული წარსული განგრძობითის ფუნქციობა ინგლისურ ენაში, რომელსაც ქართულ ენაში აწმყოს ან მყოფადის მწკრივი შეესატყვისება და ა. შ.

სისტემიდან გადახრის აღწერილი შემთხვევები კანონზომიერი ხასიათისაა, რადგან ისინი ამ ორ ენას — ინგლისურსა და ქართულს — შორის არსებული ობიექტური განსხვავებულობიდან გამომდინარეობენ. გარდა ამისა, არის კიდევ ინდივიდუალური, შემთხვევითი ხასიათის გადახრებიც, რომლებიც, ცხადია, ჩვენი კვლევის კომპეტენციაში არ შედის.

ენათა შორის არსებული განსხვავებები ხშირად საენათაშორისო ინტერფერენციას იწვევს. ჩატარებულ ანალიზს შეუძლია ხელი შეუწყოს საენათაშორისო ინტერფერენციის შემთხვევათა დადგენას, რაც უცხოური ენის სწავლების მეთოდიკის შემდგომი დახვეწისა და სრულყოფის წინაპირობაა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ბაბუნაშვილი 1970 — ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ე. ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 — გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ. სონანტთა და აბლაუტთა სისტემა ქართველურ ენებში, თბ., 1965.

დავითიანი 1973 — დ ა ვ ი თ ი ა ნ ი ა. ქართული ენის სინტაქსი, ტ. I. თბ., 1973.

მაჭავარიანი 1974 — მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ. ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში: ქართ. ენათა სტრუქტ. საკითხები, ტ. 4, თბ., 1974.

ნათაძე 1975 — ნ ა თ ა ძ ე მ. ინგლისურ-ქართული თარგმნის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1975.

ნათაძე 1955 — ნ ა თ ა ძ ე ნ. მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 7, თბ., 1955.

ჟორდანია 1889 — ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ. ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია, სინტაქსი), თბ., 1889.

სარჯველაძე 1984 — ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

ფეიქრიშვილი 1974 — ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი ჟ. თურმეობითის მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში: ქართ. ენათა სტრუქტ. საკითხები, 4, თბ., 1974.

ფხაკაძე 1979 — ფ ხ ა კ ა ძ ე დ. აბსოლუტურ ზმნათა პირველი თურმეობითის ფუნქციები ძველსა და საშუალო ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტ-ის სერია, № 1, 1979.

ქავთარაძე 1956 — ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი. უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში: იმერულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. 8, თბ., 1956.

ქავთარაძე 1961 — ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი. ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში: ქართ. ენათა სტრუქტ. საკითხები, II, თბ., 1961.

შანიძე 1941 — შ ა ნ ი ძ ე ა კ. მწკრივის კატეგორია ზმნაში· აკ. ნ. მარის სახ. ენის, ისტ. და მატერიალური კულტ. ინსტ. მოამბე 10. 1941.

შანიძე 1973 — შ ა ნ ი ძ ე ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

შარაძენიძე 1974 — შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ. ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა, თბ., 1974.

ჩიქობავა 1943 — ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა. პერმანსიეის („ხოლმეობითის“) ისტორიის ადგილისათვის ქართული ზმნის უღლების სისტემაში; საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 4, № 1, 1943.

ძიძიგური 1956 — ძ ი ძ ი გ უ რ ი შ. ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, თბ., 1956.

ჭუმბურიძე 1967 — ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ზ, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში: ორიონი, თბ., 1967.

ჯანაშვილი 1906 — ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ. ქართული ენის გრამატიკა, ტფ. 4, 1906.

ჯორბენაძე 1975 — ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ. ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.

ჯორბენაძე 1980 — ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

Энгельс т. 20. — Энгельс. Ф. Анти-Дюринг. — Маркс К., Энгельс Ф. Соч., изд. 2-е, т. 20.

Ленин т. 18. — Ленин В. И. Материализм и эмпириокритицизм. Полн. собр. соч., изд. 5-е, т. 18.

Адмони 1964 — Адмони В. Г. Основы теории грамматики. — М., Л.: Наука, 1964.

Акимова 1978 — Акимова Т. Г. О ядре и периферии функционально-семантического поля аспектуальности во французском и английском языках. — В кн.: Вопросы сопоставительной аспектологии. — Л: Изд. Ленингр. гос. ун-та, 1978.

Алламуратов 1966 — Алламуратов Ж. О значении и употреблении форм прошедшего времени в английском языке. — Нукус: Каракалпакия, 1966.

Аракин 1979 — Аракин В. Д. Сравнительная типология английского и русского языков. — Л.: Просвещение, 1979.

Арутюнова 1961 — Арутюнова Н. Д. Рецензия на книгу: Bull W. Time, Tense and the Verb. Вопросы языкознания, 1961, № 6.

Ахманова 1966 — Ахманова О. С. Словарь лингвистических терминов. — М.: Советская энциклопедия, 1966.

Ахманова 1969 — Ахманова О. С. Основы компонентного анализа, — М.: Изд. Мос. гос. ун-та, 1969.

Балин 1969 — Балин Б. М. Немецкий аспектологический контекст в сопоставлении с английским. — Калинин: Изд. Калинин. гос. пед. ин-та, 1969.

Балли 1955 — Балли Ш. Общая лингвистика и вопросы французского языка. — М.: Изд. ин. лит., 1955.

Баранов 1972 — Баранов А. Г. К вопросу о значении перфекта прошедшего времени. — В кн.: Английская филология. Науч. труды Кубанского гос. ун-та, 1972, вып. 153.

Бархударов 1962 — Бархударов Л. С. Общелингвистические значения теории перевода. — В кн.: Теория и критика перевода. — Л.: Изд. Ленингр. гос. ун-та, 1962.

Бархударов 1964 — Бархударов Л. С. Еще раз к вопросу о развитии аналитического строя. — Иностр. яз. в высшей школе, 1964, вып. III.

Бархударов 1965 — Бархударов Л. С. О симметрии грамматических систем. — В кн.: Проблемы синхронного изучения грамматического строя языка. Тезисы докладов и сообщений. — М.: Изд. Моск. гос. пед. ин-та иностр. яз. им. Мориса Тореза, 1965.

Бархударов 1966 — Бархударов Л. С. К вопросу о бинарности оппозиции и симметрии грамматических систем. — Вопросы языкознания, 1966, № 4.

Бархударов 1973 — Бархударов Л. С. Русско-английские языковые параллели. — Рус. яз. за рубежом, 1973, № 2.

Бархударов 1975 (1) — Бархударов Л. С. Очерки по морфологии современного английского языка. — М.: Высшая школа, 1975.

Бархударов 1975(2) — Бархударов Л. С. Язык и перевод. — М.: Междунар. отношения, 1975.

Бархударов, Штелинг 1973 — Бархударов Л. С., Штелинг Д. А. Грамматика английского языка. — М.: Высшая школа, изд. 4-е испр., 1973.

Белич 1962 — Белич А. О синтаксическом индикативе и релятиве. — В кн.: Проблемы славянского языкознания. IV международный съезд славистов. Материалы дискуссий. — М.: Изд. АН СССР, 1962, т. II,

Бенвенист 1965 — Бенвенист Э. Уровни лингвистического анализа. — В кн.: Новое в лингвистике. — М.: Прогресс, 1965, вып. III.

Бенвенист 1974 — Бенвенист Э. Общая лингвистика. — М.: Прогресс, 1974.

Биренбаум 1981 — Биренбаум Я. Г. О форме будущего в грамматической категории времени английского глагола. — Научн. док. высшей школы, филол. науки, 1981, № 1.

Блумфилд 1968 — Блумфилд Л. Язык. — М.: Прогресс, 1968.

Бодуэн де Куртенэ 1963 — Бодуэн де Куртенэ И. А. Избранные труды по общему языкознанию. — М.: Изд. АН СССР, 1963, т. 1.

Бойко 1964 — Бойко В. Г. Об абсолютном и относительном значении формы перфекта настоящего времени в современном английском, немецком и шведском языках. — В кн.: Вопросы английского и немецкого языкознания и методики преподавания иностранных языков. — М.: Изд. Моск. гос. пед. ин-та им. В. И. Ленина, 1964, т. 210.

Бондарко 1961 — Бондарко А. В. По поводу теории синтаксического индикатива и релятива. — Учен. зап. Ленингр. гос. пед. ин-та им. А. И. Герцена, 1961, т. 225.

Бондарко 1967 — Бондарко А. В. К проблеме функционально семантических категорий (глагольный вид и аспектуальность в русском языке). — Вопросы языкознания, 1967, № 2.

Бондарко 1971(1) — Бондарко А. В. Грамматическая категория и контекст. — Л.: Наука, 1971.

Бондарко 1971(2) — Бондарко А. В. Вид и время русского глагола (значение и употребление). — М.: Просвещение, 1971.

Бондарко 1974 — Бондарко А. В. Понятийные категории и языковые семантические функции в грамматике. — В кн.: Универсалии и типологические исследования. — М.: Наука, 1974.

Бондарко 1976 — Бондарко А. В. Теория морфологических категорий. — Л.: Наука, 1976.

Бондарко 1978 — Бондарко А. В. Грамматическое значение и смысл. — Л.: Наука, 1978.

Бондарко, Буланин 1967 — Бондарко А. В., Буланин Л. Л. Русский глагол. — Л.: Просвещение, 1967.

Будагов 1963 — Будагов Р. А. Сравнительно-семасиологические исследования. — М.: Изд. Моск. гос. ун-та, 1963.

Будагов 1976 — Будагов Р. А. Человек и его язык. Изд. 2-е. — М.: Изд. Моск. гос. ун-та, 1976.

Бураков 1979 — Бураков Д. Б. Типологические категории и сравнительное изучение языков. Автореф. дисс. на соиск. учен. степ. д-ра филол. наук. — М., 1979.

Венгеров 1963 — Венгеров Г. И. Выражение повторности действия в прошлом посредством сочетания would с инфинитивом и used to с инфинитивом. — Учен. зап. 1 Моск. гос. пед. ин-та иностр. яз., 1963, т. 28, Вопросы романо-германской филологии, ч. I.

Виноградов 1972 — Виноградов В. В. Русский язык (Грамматическое учение о слове). Изд. 2-е. — М.: Высшая школа, 1972.

Вопр. сопост. аспек. 1978 — Вопросы сопоставительной аспектологии /Под ред. Ю. С. Маслова. — Л.: Изд. Ленингр. гос. ун-та, 1978, вып. 1.

Воронцова 1953 — Воронцова Г. Н. Значение перфекта (Present Perfect) в современном английском языке. Автореф. дисс. на соиск. учен. степ. д-ра филол. наук. — М., 1953.

Воронцова 1960 — Воронцова Г. Н. Очерки по грамматике английского языка. — М., Изд. иностр. лит., 1960.

Гак, Розенблит 1965 — Гак В. Г., Розенблит Е. Б. Очерки по со-

поставительному изучению французского и русского языков. — М.: Высшая школа, 1965.

Гак 1974 — Гак В. Г. Сопоставительное изучение языков и лингвистическая типология. — Рус. яз. за рубежом, 1974, № 3.

Гак 1975 — Гак В. Г. Русский язык в сопоставлении с французским. — М.: Русский язык, 1975.

Гак 1977 — Гак В. Г. Сравнительная типология французского и русского языков. — Л.: Просвещение, 1977.

Гак 1979 — Гак В. Г. Межъязыковые сопоставление и преподавание иностранных языков. — Иностр. яз. в школе, 1979, № 3.

Гальперин 1974 — Гальперин И. Р. Информативность единиц языка. — М.: Высшая школа, 1974.

Гамкрелидзе 1967 — Гамкрелидзе Т. В. Картвельский и индоевропейский: типология реконструированных языковых систем. — В кн.: Проблемы языкознания. — М.: Наука, 1967.

Гаркунова 1954 — Гаркунова З. П. Употребление временных форм в дополнительном придаточном предложении в современном английском языке. Автореф. дисс. на соиск. учен. степ. канд. филол. наук. — М., 1954.

Гегучадзе 1974 — Гегучадзе Л. Г. К вопросу последовательности времен в современном грузинском языке. Автореф. дисс. на соиск. учен. степ. канд. филол. наук. — Тбилиси, 1974.

Гоксадзе 1964 — Гоксадзе Л. С. Об усечении неполнозначных глаголов в разговорном английском языке. Автореф. дисс. на соиск. учен. степ. канд. филол. наук. — Тбилиси, 1964.

Голетиани 1970 — Голетиани Г. Г. Сопоставительная грамматика русского и грузинского языков. — Тбилиси: Изд. Тбил. гос. ун-та, 1970.

Головин 1962 — Головин Б. Н. Заметки о грамматическом значении. — Вопросы языкознания, 1962, № 3.

Городецкий 1969 — Городецкий Б. Ю. К проблеме семантической типологии. — М.: Изд. Моск. гос. ун-та, 1969.

Грам. рус. языка 1953 — Грамматика русского языка, т. I. — М.: Изд. АН СССР, 1953.

Грам. рус. языка 1970 — Грамматика современного русского языка, Отв. ред. Н. Ю. Шведова. — М.: Наука, 1970.

Гулыга, Шендельс 1969 — Гулыга Е. В., Шендельс Е. И. Грамматико-лексические поля. — М.: Просвещение, 1969.

Гумбольдт 1964 — Гумбольдт В. О. О сравнительном изучении языков применительно к различным эпохам их развития. — В кн.: Звегинцев В. А. История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях. — М., Просвещение, 1964.

Гухман 1966 — Гухман М. М. О единицах сопоставительно-типологического анализа грамматических систем родственных языков. — В кн.: Структурно-типологическое описание германских языков. — М., Наука, 1966.

Гухман 1968 — Гухман М. М. Грамматическая категория и структура парадигм. — В кн.: Исследования по общей теории грамматики. — М.: Наука, 1968.

Демченко 1971 — Демченко И. Г. Выражение временных отношений лексическими средствами. — Учен. зап. I Моск. гос. пед. ин-та иностр. яз., 1971, т. 63. Вопросы романо-германской филологии.

Дешериева 1975 — Дешериева Т. И. Лингвистический аспект категории времени в его отношении к физическому и философскому аспектам. — Вопросы языкознания, 1975, № 2.

Дешериева 1976 — Дешериева Т. И. К проблеме соотношения глагольных категорий вида и времени. — Вопросы языкознания, 1976, № 4,

Джанашвили 1906 — Джанашвили М. В. Грузинская грамматика. — Тифлис, IV.

Дзюба 1979 — Дзюба В. П. Соотношение форм, функций и семантики английского глагола (на материале категории вида). Автореф. дисс. на соиск. учен. степ. канд. филол. наук. — М., 1979.

Докулил 1967 — Докулил М. К вопросу о морфологической категории. — Вопросы языкознания, 1967, № 6.

Докучаева 1977 — Докучаева И. В. Употребление глагольных форм Perfect и Perfect Continuous в новоанглийском языке (XVIII—XX вв.). — Науч. труды Моск. гос. пед. ин-та иностр. яз. им. Мориса Тореза, 1977, вып. 110.

Долинина 1964 — Долинина И. Г. Типология выражения видо-временной категории. — Пальчик, 1964.

Долинина, Снегирева 1969 — Долинина И. Г., Снегирева З. Е. Типология вида. — Севастополь: Изд. Черномор. высш. воен. мор. училища им. П. С. Нахимова, 1969.

Есперсен 1958 — Есперсен О. Философия грамматики /пер. с англ. — М.: Изд. иностр. лит. 1958.

Ельмслев 1962 — Ельмслев Л. Можно ли считать, что значения слов образуют структуру? — В кн.: Новое в лингвистике. — М.: Изд. иностр. лит., 1962, вып. II.

Жабицкая 1975 — Жабицкая Н. Л. Историко-семасиологическое исследование существительных, выражающих понятие «время» в английском языке. Автореф. дисс. на соиск. учен. степ. канд. филол. наук. — Киев, 1975.

Жеребков 1970 — Жеребков В. А. Опыт описания грамматической категории времени в системе немецкого глагола. — Калинин: Изд. Калин. гос. ун-та, 1970.

Жорданиа 1889 — Жорданиа Т. Грузинская грамматика (этимология, синтаксис). — Тифлис, II, 1889.

Звегинцев 1962 — Звегинцев В. А. Очерки по общему языкознанию. — М.: Изд. Моск. гос. ун-та, 1962.

Звегинцев 1976 — Звегинцев В. А. Предложение и его отношение к языку и речи. — М.: Изд. Моск. гос. ун-та, 1976.

Иванова 1961 — Иванова И. П. Вид и время в современном английском языке. — Л.: Изд. Ленингр. гос. ун-та, 1961.

Ильиш 1948 — Ильиш Б. А. Современный английский язык. Изд. 2-е, испр., доп. — М.: Изд. иностр. лит., 1948.

Иртеньева 1958 — Иртеньева И. Ф. Present Perfect и его сравнение с Past Indefinite и русским прошедшим временем. — Иностр. яз. в школе, 1953, № 6.

Иртеньева 1956 — Иртеньева И. Ф. Грамматика современного английского языка (Теоретический курс). — М.: Гос. курсы иностр. яз 1956.

Исаченко 1960 — Исаченко А. В. Грамматический строй русского языка в сопоставлении с словацким. — Братислава: Изд. Словацкой Акад. наук, 1960.

Исаченко 1961 — Исаченко А. В. О грамматическом значении. — Вопросы языкознания, 1961, № 1.

Кацнельсон 1965 — Кацнельсон С. Д. Основные задачи лингвистической типологии. — В кн.: Лингвистическая типология и восточные языки. — М.: Наука, 1965.

Кацнельсон 1972 — Кацнельсон С. Д. Типология языка и речевое мышление. — Л.: Наука, 1972.

Климов 1973 — Климов Г. А. Очерк общей теории эргативности. — М.: Наука, 1973.

Климов, Алексеев 1980 — Климов Г. А., Алексеев М. Е. Типология кавказских языков. — М.: Наука, 1980.

Кобков 1975 — Кобков В. П. К вопросу о симметричности английской видо-временной системы. — Научн. док. высшей школы, филол. науки, 1975. № 5.

Кожина 1972 — Кожина М. Н. О речевой системности научного стиля сравнительно с некоторыми другими. — Пермь: Изд. Пермск. гос. ун-та им. А. М. Горького, 1972.

Колшанский 1979 — Колшанский Г. В. Проблемы коммуникативной лингвистики. — Вопросы языкознания, 1979, № 6.

Колшанский 1980 — Колшанский Г. В. Контекстная семантика. — М.: Наука, 1980.

Корнеева 1976 — Корнеева Е. А. Есть ли у английского глагола будущее время? — В кн.: Studia Germanistica. — Л.: Изд. Ленингр. гос. пед. ин-та им. А. И. Герцена, 1976.

Корнеева и др. 1974 — Корнеева Е. А. и др. Пособие по морфологии современного английского языка. — М.: Высшая школа, 1974.

Корсаков 1970 — Корсаков А. К. Категория вида в современном английском языке. Автореф. на соиск. учен. степ. д-ра филол. наук. — Тбилиси, 1970.

Косериу 1963 — Косериу Э. Синхрония, диахрония и история. — В кн.: Новое в лингвистике. — М.: Изд. иностр. лит., 1998, вып. III.

Кошевая 1972 — Кошевая М. Г. Типологические структуры языка. Сфера видо-временных значений. — Киев: Изд. Киевск. гос. ун-та, 1972.

Кошевая, Дубовский 1980 — Кошевая М. Г., Дубовский Ю. А. Сравнительная типология английского и русского языков. — Минск: Вышэйшая школа, 1980.

Кржижкова 1962 — Кржижкова Е. Некоторые проблемы изучения категории времени в современном русском языке. — Вопросы языкознания, 1962, № 3.

Кржижкова 1966 — Кржижкова Е. Первичные и вторичные функции и так называемая транспозиция форм. — В сб.: Travaux linguistiques de Prague. — Прага: Academia Prague, 1966, т. 2.

Крушельницкая 1961 — Крушельницкая К. Г. Очерки сопоставительной грамматики немецкого и русского языков. — М.: Изд. лит. на иностр. яз., 1961.

Кудрявский 1912 — Кудрявский Д. Н. Введение в языкознание — Юрьевъ, 1912.

Курилович 1962 — Курилович Е. Очерки по лингвистике. Сборник статей. — М.: Изд. иностр. лит., 1962.

Курилович 1976 — Курилович Е. Заметки о значении слова. — В кн.: Общее языкознание. Хрестоматия. — Минск: Вышэйшая школа, 1976.

Курс марксистско-ленинской филос. 1968 — Курс марксистско-ленинской философии. / Под ред. Хоменко Е. А., Яковлева М. И. — М.: Воениздат, 1968.

Лайонз 1978 — Лайонз Дж. Введение в теоретическую лингвистику. — М.: Прогресс, 1978.

Лихачев 1971 — Лихачев Д. С. Поэтика древнерусской литературы. — Л.: Наука, 1971.

Ломтев 1972 — Ломтев Т. П. Предложение и его грамматические категории. — М.: Изд. Моск. гос. ун-та, 1972.

Маковский 1971 — Маковский М. М. Теория лексической абстракции. — М.: Наука, 1971.

Маковский 1976 — Маковский М. М. Понятие лингвистического времени. — Иностр. яз. в школе, 1976, № 6.

Маковский 1980 — Маковский М. М. Системность и асистемность в языке. — М.: Наука, 1980.

Мартине 1960 — Мартине А. О книге «Основы лингвистической теории Луи Ельмслева». — В кн.: Новое в лингвистике. — М.: Изд. иностр. лит., 1960, вып. 1.

Мартине 1963 — Мартине А. Основы общей лингвистики. — В кн.: Новое в лингвистике. — М.: Изд. иностр. лит., 1963, вып. III.

Маслов 1959 — Маслов Ю. С. Глагольный вид в современном болгарском литературном языке (значение и употребление). — В кн.: Вопросы грамматики болгарского литературного языка. — М.: Изд. АН СССР, 1959.

Маслов 1962 — Маслов Ю. С. Вопросы глагольного вида в современном зарубежном языкознании. — В кн.: Вопросы глагольного вида. — М.: Изд. иностр. лит., 1962.

Маслов 1965 — Маслов Ю. С. Система основных понятий и терминов славянской аспектологии. — В кн.: Вопросы общего языкознания. — Л.: Изд. Ленингр. гос. ун-та, 1965.

Маслов 1978 — Маслов Ю. С. К основаниям сопоставительной аспектологии. — В кн.: Вопросы сопоставительной аспектологии. — Л.: Изд. Ленингр. гос. ун-та, 1978, вып. I.

Махароблидзе 1970 — Махароблидзе Г. А. Проблема сопоставительно-типологического анализа неродственных языков (на материале русского языка и грузинского). — Тбилиси: Мецниереба, 1970.

Метревели 1969 — Метревели Т. Д. Сопоставление категорий спряжения английского и грузинского глаголов. Автореф. дисс. на соиск. учен. степ. канд. филол. наук. — Тбилиси, 1969.

Мещанинов 1945 — Мещанинов И. И. Понятийные категории в языке. — Труды военного ин-та иностр. яз., 1945, № 2.

Мещанинов 1967 — Мещанинов И. И. Примыкание в различных синтаксических системах. — Вопросы языкознания, 1967, № 3,

Мигирин 1973 — Мигирин В. Н. Язык как система категорий отображения. — Кишинев: Штиинца, 1973.

Милейковская 1956 — Милейковская Г. М. О соотношении объективного и грамматического времени. — Вопросы языкознания, 1966, № 5.

Мостепаненко 1969 — Мостепаненко А. М. Проблема универсальности основных свойств пространства и времени. — Л.: Наука, 1969.

Мостепаненко 1966 — Мостепаненко А. М., Мостепаненко М. В. Четырехмерность пространства и времени. М.-Л.: Наука, 1966.

Мурьянов 1978 — Мурьянов М. Ф. Время (понятие и слово). — Вопросы языкознания, 1978, № 2.

Мучник 1971 — Мучник И. П. Грамматические категории глагола и имени в современном русском литературном языке. — М.: Наука, 1971.

Мыркин 1978 — Мыркин В. Я. Типы контекстов. Коммуникативный контекст. — Науч. док. высшей школы, филол. науки, 1978, № 1.

Никитевич 1963 — Никитевич В. М. Грамматические категории в современном русском языке. — М.: Учпедгиз, 1963.

Общее языкознание 1970 — Общее языкознание. Формы существования, функции, история языка. / Под ред. В. А. Серебренникова. — М.: Наука, 1970, вып. I.

Общее языкознание 1972 — Общее языкознание. Внутренняя структура языка. / Под ред. Б. А. Серебренникова. — М.: Наука, 1972, вып. II.

Общее языкознание 1973 — Общее языкознание. Методы лингвистических исследований /Под ред. Б. А. Серебренникова. — М.: Наука, 1973, вып. III.

Пешковский 1956 — Пешковский А. М. Русский синтаксис в научном освещении. Изд. 7-е. — М.: Учпедгиз, 1956.

Пиотровский 1960 — Пиотровский Р. Г. Очерки по стилистике французского языка. Морфология и синтаксис. Изд. 2-е, перераб., доп. — М.: Учпедгиз, 1960.

Поспелов 1952 — Поспелов Н. С. Категория времени в грамматическом строе русского глагола. — В кн.: Вопросы теории и истории языка. — М.: Изд. АН СССР, 1952.

Поспелов 1962 — Поспелов Н. С. О синтаксическом индикативе и релятиве. — В кн.: Проблемы славянского языкознания. IV международный съезд славистов. Материалы дискуссии. М.: Изд. АН СССР, 1962, т.II.

Поспелов 1965 — Поспелов Н. С. О разграничении прямого и относительного употребления форм настоящего времени в русском языке. — В кн.: Проблемы современной филологии. — М.: Наука, 1965.

Поспелов 1968 — Поспелов Н. С. О соотношении грамматических значений глагольных форм времени в русском языке. — В кн.: Проблемы современной лингвистики. — М.: Изд. Моск. гос. ун-та, 1968.

Праж. лингв. кружок 1967 — Пражский лингвистический кружок. /Под ред. Н. А. Кондрашева. — М.: Прогресс, 1967.

Принципы и методы семант. исслед. 1976 — Принципы и методы семантических исследований. — М.: Наука, 1976.

Прокопович 1982 — Прокопович Е. Н. Глагол в предложении. Семантика и стилистика видо-временных форм. — М.: Наука, 1982.

Расторгуева 1980 — Расторгуева Т. А. Варьирование и исторические изменения морфологической системы английского языка. Автореф. дисс. на соиск. д-ра филол. наук. — М., 1980.

Реформатский 1962 — Реформатский А. А. О сопоставительном методе. — Рус. яз. в нац. школе, 1962, № 5.

Рождественский 1968 — Рождественский Ю. В. О лингвистических универсалиях. — Вопросы языкознания, 1968, № 2.

Руденко 1940 — Руденко Б. Т. Грамматика грузинского языка. — Труды ин-та востоковедения № 32. — М.-Л.: Изд. АН СССР, 1940.

Рудометкина 1972 — Рудометкина М. И. Слова категории времени (на материале английского языка). Автореф. дисс. на соиск. учен. степ. канд. филол. наук. — Киев, 1972.

Селиверстова 1975 — Селиверстова О. Н. Компонентный анализ многозначных слов. — М.: Наука, 1975.

Серебренников 1957 — Серебренников Б. А. Всякое ли сопоставление полезно? — М.: Рус. яз. в нац. школе, 1957, № 2.

Серебренников 1960 — Серебренников Б. А. Категория времени и вида в финно-угорских языках пермской и волжской групп. — М.: Изд. АН СССР, 1960.

Серебренников 1976 — Серебренников Б. А. Сводимость языков мира, учет специфики конкретного языка, предназначенность описания. — В кн.: Принципы описания языков мира. — М.: Наука, 1976.

Скаличка 1966 — Скаличка В. К. К вопросу о типологии. — Вопросы языкознания, 1966, № 4.

Слюсарева 1976 — Слюсарева Н. А. Язык и речь — пространство и время. — В кн.: Теория языка. Англистика. Кельтология. — М.: Наука, 1976.

Смирницкий 1953 — Смирницкий А. И. Об особенностях обозначения направления движения в отдельных языках (К методике сопоставительного изучения языков). — Иностр. яз. в школе, 1953, № 2.

Смирницкий 1955 — Смирницкий А. И. Перфект и категория временной отнесенности. — Иностр. яз. в школе, 1955, № 1.

Смирницкий 1957 — Смирницкий А. И. Синтаксис английского языка. М.: Изд. лит. на иностр. яз., 1957

Смирницкий 1959 — Смирницкий А. И. Морфология английского языка. — М.: Изд. лит. на иностр. яз., 1959.

Совр. рус. яз. 1952 — Современный русский язык (курс лекций). / Под ред. В. В. Виноградова. — М.: Изд. Моск. гос. ун-та, 1952, вып. 2.

Солнцев 1977 — Солнцев В. М. Язык как системно-структурное образование. Изд. 2-е, доп. — М.: Наука, 1977.

Де соссюр 1977 — Де Соссюр Ф. Курс общей лингвистики. — В кн. Труды по языкознанию. — М.: Прогресс, 1977.

Степанов 1975(1) — Степанов Ю. С. Методы и принципы современной лингвистики. — М.: Наука, 1975.

Степанов 1975(2) — Степанов Ю. С. Основы общего языкознания. — М.: Просвещение, 1975.

Стиль и контекст. — Л. Изд. Ленингр. гос. пед. ин-та им. А. И. Герцена. 1972.

Структурно-типологическое описание современных германских языков /Отв. ред. В. Н. Ярцева — М.: Наука, 1966.

Сушкина 1970 — Сушкина А. П. О двух тенденциях в анализе глагольных времен современного английского языка. — Учен. зап. Ленингр. гос. пед. ин-та им. А. И. Герцена, 1970, т. 469.

Сыроваткин 1977 — Сыроваткин Н. С. Типологические основания сравнения родного и иностранного языков. — Калинин: Изд. Калин. гос. ун-та, 1977.

Тимофеев, Тураев 1974 — Тимофеев Л. И., Тураев С. В. Словарь литературоведческих терминов. — М.: Просвещение, 1974.

Трубецкой 1960 — Трубецкой Н. С. Основы фонологии. — М.: Изд. иностр. лит., 1960.

Тураева 1979 — Тураева З. Я. Категория времени. Время грамматическое и время художественное. — М.: Высшая школа, 1979.

Универсалии и типологические исследования. — М.: Наука, 1974.

Урманцев, Трусов 1961 — Урманцев Ю. А., Трусов Ю. П. О свойствах времени. — Вопросы философии, 1961, № 5.

Успенский 1965 — Успенский Б. А. Структурная типология языков. — М.: Наука, 1965.

Уфимцева 1966 — Уфимцева А. А. О типологическом изучении лексики. — В кн. Структурно-типологические описания современных германских языков. — М.: Наука, 1966,

Филин 1973 — Филин Ф. П. О структуре современного русского литературного языка. — Вопросы языкознания, 1973, № 2.

Хаймович, Роговская 1967 — Хаймович Б. С., Роговская Б. И. Теоретическая грамматика английского языка. М.: Высшая школа, 1967.

Хлебникова 1966 — Хлебникова И. Б. Оппозиции в морфологии. — Учеб. пособие — М.: Моск. обл. пед. ин-т им. Н. К. Крупской, 1969.

Холодович 1960 — Холодович А. А. Время, вид и аспект в современном японском языке. — Вестник Ленингр. ун-та, 1960, № 14. Серия истории, яз. и лит., вып. 3.

Чанишвили 1981 — Чанишвили Н. В. Падеж и глагольные категории в грузинском языке. — Л.: Наука, 1981.

Чейф 1975 — Чейф У. Л. Значение и структура языка. — М.: Прогресс, 1975.

Чикобава 1957 — Чикобава А. С. Сопоставительное изучение языков как метод исследования и как метод обучения. — М.: Рус. яз. в нац. школе, 1957, № 6.

Чикобава 1967 — Чикобава А. С. Грузинский язык. — В кн.: Языки народов СССР. т. IV. Иберийско-кавказские языки. — М.: Наука, 1967.

Чикобава 1974 — Чикобава А. С. О философских вопросах языкознания. — В кн.: Всесоюзная научная конференция по теоретическим вопросам языкознания. — М.: 1974, ч. I.

Чумбуридзе 1968 — Чумбуридзе З. Г. Будущее время в картвельских языках. — Автореф. дисс. на соиск. учен. степ. д-ра филол. наук. — Тбилиси, 1968.

Шантреп 1953 — Шантреп П. Историческая морфология греческого языка. — М.: Изд. иностр. лит., 1953.

Шахматов 1941 — Шахматов А. А. Синтаксис русского языка. Изд. 2-е. — Л.: Учпедгиз, 1941.

Шендельс 1962 — Шендельс Е. И. Взаимодействие между лексическими и грамматическими значениями. — Иностр. яз. в школе, 1962, № 4.

Шендельс 1966 — Шендельс Е. И. О сопоставительно-типологическом анализе в морфологии. — В кн.: Структурно-типологическое описание современных германских языков. — М.: Наука, 1966.

Шендельс 1970 — Шендельс Е. И. Многозначность и синонимия в грамматике. — М.: Высшая школа, 1970.

Широкова 1978 — Широкова А. Г. Теоретические предпосылки сопоставительного изучения грамматического строя славянских языков. — Вестник Моск. гос. ун-та. филология, 1978, № 6,

Шлейхер 1964 — Шлейхер А. Компендий сравнительной грамматики индоевропейских языков. — В кн.: Звегинцева В. А. История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях. — М.: Просвещение, 1. 64, ч. I.

Штелинг 1959 — Штелинг Д. А. О неоднородности грамматических категорий. — Вопросы языкознания, 1959, № 1.

Штелинг 1975 — Штелинг Д. А. Категория перфекта /неперфекта и грамматика текста. — Иностр. яз. в школе, 1975, № 5.

Штелинг 1978 — Штелинг Д. А. Семантика грамматических противопоставлений в современном английском языке. Автореф. дисс. на соиск. учен. степ. д-ра филол. наук. — М., 1978.

Шур 1974 — Шур Г. С. Теория поля в лингвистике. — М.: Наука, 1974.

Щерба 1947 — Щерба Л. В. Преподавание иностранных языков в средней школе. Общие вопросы методики. — М.-Л.: Изд. АПН РСФСР, 1947.

Щерба 1974 — Щерба Л. В. О частях речи в русском языке. — В кн.: Щерба Л. В. Языковая система и речевая деятельность /под ред. Л. Р. Зиндера и М. И. Матусевич. — Л.: Наука, 1974.

Эйнштейн 1955 — Эйнштейн А. Сущность теории относительности. — М.: Изд. иностр. лит., 1955.

Юсупов 1980 — Юсупов У. К. Проблемы сопоставительной лингвистики. — Ташкент: Фан, 1980.

Языки народов СССР, т. IV. Иберийско-кавказские языки. — М.: Наука, 1967.

Якобсон 1979 — Якобсон Г. К. К теоретическому обоснованию сопоставительного описания языков. — М.: Рус. яз. за рубежом, 1979, № 6.

Якошвили 1966 — Якошвили М. В. Изоморфизм временных кругов настоящего и прошедшего времени в английском языке. Автореф. дисс. на соиск. учен. степ. д-ра филол. наук. — Тбилиси, 1966.

Якошвили 1966 — Якошвили М. В. Изоморфизм временных кругов в системе глагола. Научн. докл. высшей школы, филол. науки, 1966, № 2.

Ярцева 1960 — Ярцева В. Н. О сопоставительном методе изучения языков. — Науч. докл. высшей школы, филол. науки, 1960, № 2.

Ярцева 1967 — Ярцева В. Н. Принципы типологического исследования родственных и неродственных языков. — В кн.: Проблемы языкознания. — М.: Наука, 1.67.

Ярцева 1968 — Ярцева В. Н. Взаимоотношение грамматики и лексики в системе языка. — В кн.: Исследования по общей теории грамматики. — М.: Наука, 1.68.

Ярцева 1976 — Ярцева В. Н. Типология языков и проблема универсалий. — М.: Вопросы языкознания, 1976, № 2.

Ярцева 1981 — Ярцева В. Н. Контрастивная грамматика. — М. Наука, 1981.

Allen 1966 — Allen R. L. The Verb System of Present Day American English. — The Hague: Paris: Mouton, 1966.

Anderson 1973 — Anderson J. An Assay Concerning Aspect. — The Hague: Paris: Mouton, 1973.

Akhmanova 1972 — Akhmanova O. C. Approaches to Contrastive Linguistics. — M., 1972.

Bain 1904 — Bain A. High English Grammar. New Edit. — London New York & Bombay, 1904.

Bauer 1970 — Bauer G. The English Perfect Reconsidered. — In: Journal of Linguistics, 1970, vol. 6, № 2.

Bendix 1966 — Bendix E. H. Componental Analysis of General Vocabulary. — In: International Journal of American Linguistics — Bloomington, 1966, vol. 32, № 2, pt. 2.

Bloomfield 1933 — Bloomfield L. Language. — New York, Holt, 1933.

Bolinger 1947 — Bolinger D. L. More on the Present Tense in English. — In: Language, 1947, vol. 23. № 4.

Bradley 1911 — Bradley C. B. Shall & Will on Historical Study. — In: Transactions of the American Philological Association, 42. — Boston, 1911.

Braroe 1974 — Braroe E. E. The Syntax and Semantics of English Tense Markers. — Stockholm, 1974.

Brugmann 1904 — Brugmann K. Kurse vergleichende Grammatik der indogermanischen Sprachen. — Strassburg. 1904.

Brusendorf 1930 — Brusendorf A. The Relative Aspect of the Verb in English. Grammatical Miscellary offered to O. Jespersen on the 70th Birthday. — Copenhagen, 1930.

Bull 1960 — Bull W. E. Time, Tense, and the Verb. A study in Theoretical Linguistics with particular Attention to Spanish. — Los Angeles: Univ. of California Press, 1960, vol. 19.

Burgschmidt 1974 — Burgschmidt E., Götz D. Kontrastive Linguistik. Deutsch-Englisch. Theorie und Anwendung. — München, 1974.

Callaghar 1970 — Callaghar M. Adverbs of Time and Tense — In: Papers from the 6th regional meeting of Chicago Linguistic Society (April 16-18). — Chicago, 1970.

Calver 1974 — Calver E. The Use of the Present Tense Form in English. — In: Der englische Aspekt, Darmstadt, 1974.

Charleston 1941 — Charleston B. M. Studies on the Syntax of the English Verb. — Berb: Franche, 1941.

Charleston 1955 — Charleston B. M. A Reconsideration of the Problem of time, Tense and Aspect in Modern English. — In: English Studies, 1955.

Chomsky 1965 — Chomsky N. Aspects of the Theory of Syntax. — Cambridge, 1965.

Clifford 1975 — Clifford J. F. Tense and Tense Logic. The Hague: Paris: Mouton, 1975.

Comrie 1975 — Comrie B. Aspect. An Introduction to the Study of Verbal Aspect and Related Problems. — Cambridge, 1976.

Coseriu 1970 — Coseriu E. Über Leistung und Grenzen der kontrastiven Grammatik. — In: Probleme der kontrastiven Grammatic. Sprachen und Gegenvart. Jahrbuch, 1969. — Düsseldorf, 1970.

Crystal 1966 — Crystal D. Specification and English Tenses — In: Journal of Linguistics, 1966, vol. 2, № 1.

Curme 1913 — Curme G. O. Has English a Future Tense? — In: Journal of English and Germanic Philology, 1913, № 12,4.

Curme 1932 — Curme G. O. Some Characteristic Features of Aspect in English. — In: Journal of English and Germanic Philology, 1932, 31, № 2.

Dijk 1977 — Dijk T. A. van. Text and Context: Exploration in the Semantics and Pragmatics of Discourse. — New York: Longman, 1977.

Dik 1979 — Dik S. C. Functional Grammar. — Amsterdam, 1979.

Di Pietro 1971 — Di Pietro R. J. Language Structures in Contrast. — Rowley, 1971.

Diver 1963 — Diver W, The Chronological System of the English Verb — In: Word, 1963, vol. 19, № 2.

Ellis 1966 — Ellis J. Towards a General Comparative Linguistics. — London: the Hague: Paris. 1966.

Filipovic 1971 — Filipovic R. The Yugoslav Serbo-grotian. English Contrastive Project. — In: Papers in Contrastive Linguistics, ed. by G. Nickel — Cambridge. 1971.

Fillmore 1972 — Fillmore C. J. Subjects, Speakers and Roles — In: Semantics of Natural Languages. — Dordrecht, 1972.

Finck 1923 — Finck F. N. Die Haupttypen des Sprachbaus. — Leipzig und Berlin, Teubner, 1923, b. 268.

Firth 1957 — Firth J. B. The Technique of Semantics. — In: Papers in Linguistics. — London, 1957.

Fisiak 1973 — Fisiak J. The Polish — English Contrastive Project. — In: Papers and Studies in Contrastive Linguistics — Poznan, 1973, vol. 1.

Francies 1958 — Francies W. N. The Structure of American English. — New York: Ronald, 1958.

Fries 1957 — Fries Ch. Teaching and learning English as a Foreign Language. — Ann Arbor, 1957.

George 1963 — George H. V. Report on a Verbform Frequency Count, — Monograph of the Central Institute of English. — Hyderabad, 1963, vol. 1,2.

Grasserie 1888 — Grasserie R. De la categorie du temps. — Etudes de grammaire comparée, — Paris, 1888.

Haarman 1976 — Haarman H. Grundzüge der Sprachtypologie — Stuutgart, 1976.

Halliday 1964 — Halliday M. A. K., McIntosh A, Strevens P. The Lingustics Sciences and Language Teaching. — London: Longmans, 1964.

Hansen 1975 — Hansen K. Reader zur Kontrastiven Linguistik. — In: Zeitschrift für Anglistik und Ameristicanistik. — Leipzig, 1975, Bd. 23, Heft 4.

Harris 1973 — Harris R. J., Brewer W. F. Deixis in Memory for Verb Tense. — In: Journal of Verbal Behavior, 1973, vol. 12, № 5

Hatcher 1974 — Hatcher A. G. The Use of the Progressive Form in English. — In: Der englische Aspekt. — Darmstadt. 1974.

Hill 1958 — Hill A. A. Introduction to Linguistic. S. Structures. — New York: Harcourt, Brace and Co, 1958.

Hirtle 1975 — Hirtle W. H. Time, Aspect and the Verb. — Qnebec: les presses de l'Univ. Laval, 1975.

Horàlek 1974 — Horàlek K. Obecnelingvistiké predpoklady konfrontace. — Československà rusistika, 1974, XIX, № 2.

Huddlestone 1969 — Huddlestone R. D. Some Observation on Tense and Deixis in English. — In: Language, 1969, vol. 45, № 5.

Huddlestone 1977 — Huddlestone R. D. The Sentence in Written English. — Cambridge, 1977.

Huddlestone 1977 — Huddlestone R. D. Past Tense Transportation in English. — In. Journal of Linguistics, 1977, vol. 13, № 1.

Hudson 1973 — Hudson R. A. Tense and Time Reference in Reduced Relative Clauses. — In: Linguistic Inquiry, vol. 4, № 2. — Cambridge, 1973.

Jakobson 1957 — Jakobson R. Shifters, Verbal Categories and the Russian Verb. — In: Selected Writings, II, Word and Language. — The Hague: Paris: Mouton, 1957.

Jakobson 1971 — Jakobson R. Zur Structur des russischen Verbums — In: Selected Writings. — Mouton: the Hague; Paris, 1971, vol. 2.

Jespersen 1949 — Jespersen O. A Modern English Crammar on Historical Principles, IV. — Copenhagen, London, 1949.

Jespersen 1943 — Jespersen O. Essentials of English Grammar. 5th impr. — London, 1943.

Jespersen 1965 — Jespersen O. The Philosophy of Grammar, — New York, 1965.

Johnson 1936 — Johnson O. E. Tense Significance as the Time of Action. Lang. diss. — Philadelphia 1936, № 21.

Joos 1965 — Joos M. The English Verb. Form and Meanings. — Madison-Milwaukee, 1965.

Kempson 1977 — Kempson R. M. Semantic Theory. — Cambridge, 1977.

Kruisinga 1926 — Kruisinga E. A Handbook of Present Day English — Groningen, 1926, pf. 2, vol. I.

Lado 1957 — Lado R. Linguistics across Cultures. Syntactic Structures. — Ann Arbor, 1957.

Lakoff 1970 — Lakoff R. T. Tense, and its Relations to Participants — In: Language. — Baltimore, 1970, vol. 46. № 4.

Leech, Svartvik 1975 — Leech G. N., Svartvik J. Communicative Grammar of English. — London: Longman, 1975.

Lektürekolleg zur Textlinguistik, 1977, Bd I. Einführung.

Lyons 1977 — Lyons J. Semantics. — London: New York: Melbourne, 1977, vol. II.

Marckwardt 1950 — Marckwardt A. Introduction to the English Language. — New York, 1950.

Martinet 1979 — Martinet A. Grammatical Functions: — In: Function and Context in Linguistic Analysis, 1979.

Maurice 1927 — Maurice W. Present, Past and Future Versus Perfect. — In: Zeitschrift für französischen und englischen Unterricht. — Berlin, 1927, Bd 26, Heft 7.

McCawley 1971 — McCawley J. D. Tense and Time Reference in English. — In: Studies in Linguistic Semantics — New York, 1971.

McIntosh, Halliday 1966 — McIntosh A., Halliday M. A. K. Patterns Of Language. — In: Papers in General, Descriptive and Applied Linguistics. — London: Longmans, 1966.

McKerrow 1922 — Mckerrow R. R. English Grammar and Grammars.. — In: Essays and Studies by members of the English Assosiation.— Oxford, 1922, vol. 8.

Morris 1972 — Morris T. The Simple Present Tense and its Relation to Time in Spoken English. — In: English Language Teaching. — London, vol. 26, №2.

Nesfield 1944 — Nesfield J. C. English Grammar. Past and Present. 2nd ed. — London, 1944.

Newmeyer 1975 — Newmeyer F. J. English Aspectual Verbs. — The Hague; Paris: Mouton, 1975.

Nickel 1971 — Nickel G. Contrastive Linguistics and Foreign Language Teaching. — In: Papers in Contrastive Linguistics, ed. by G. Nickel: Cambridge Univ. Press, 1971.

Nida 1975 — Nida E. A. Componental Analysis of Meaning. An Introduction to semantic Structures. — The Hague: Paris: Mouton, 1975.

Onions 1932 — Onions C. F. An Advanced English Syntax. 6th ed. — London: New York: Macmillan, 1932.

Ota 1963 — Ota A. Tense and Aspect in Present Day American English. — Tokyo: Konkyusha, 1963.

Palmer 1965 — Palmer F. R. A Linguistic Study of the English Verb. — London: Longmans, 1965.

Palmer 1977 — Palmer F. R. Semantics. A New Outline. — Cambridge—London—New York—Melburne, 1977.

Palmer 1969 — Palmer H. E. A Grammar of Spoken English. 3 rd ed. Rev. and Rewritten by K, Kingdom, — Cambridge, 1969.

Papers in Contrastive Linguistics/Ed. by G. Nickel. — Cambridge, 1971,

Paul 1956 — Paul H. Deutsche Grammatik. — Halle, 1956, Bd 2.

Poutsma 1926 — Poutsma H. A. Grammar of Late Modern English, pt. 2, The Paris of Speech. Section I. The Verb and Particles. — Groningen, 1926

Prior 1967 — Prior A. N. Past, Present and Future. — Oxford: Clarendon Press, 1967.

Prior 1968 — Prior A. N. Time and Tense, — Oxford: Clarendon Press, 1963.

Quirk. Greenbaum. Leech, Svartvik 1975 — Quirk R., Greenbaum S., Leech G., Svartvik J. A Grammar of Contemporary English. — London: Longman, 1975.

Reichenbach 1971 — Reichenbach H. The Direction of Time. — Berkley: Univ. of California Press, 1971.

Roberts 1954 — Roberts P. Understanding Grammar. — New York, 1954.

Roberts 1968 — Roberts P. Modern Grammar. — New York, 1968.

Ruin 1970 — Ruin I. A Study of the Function of the Present Perfect Tense in the English Tense System. — Stockholm, 1970

Schopf 1974 — Schopf A. Der englische Aspekt. — Darmstadt. 1974.

Slama-Cazacu 1961 — Slama-Cazacu T. Langage et contexte. Le problème du langage dans conception de l'expression et de l'interprétation par des organisation contextuelles. 's-Gravenhage, Moulon, 1961.

Sommer 1931 — Sommer F. Vergleichende Syntax der Schulsprachen (Deutsch, Englisch, Französisch, Griechisch', Lateinisch) mit besonderer Berücksichtigung des Deutschen. — Leipzig und Berlin, Teubner, 1931.

Stahl 1907 — Stahl T. Kritisch-historische Syntax des griechischen Verbus der klassisischen Zeit.. — Heidelberg, 1907.

Sweet 1950 — Sweet H. A. New: English Grammar. Logical and Historical. — Oxford: Clarendon Press, 1950. pt. 1.

Tesnière 1959 — Tesnière L. Elémenls de syntaxe structurale. — Paris, 1959.

Tregidgo 1974 — Tregidgo P. S. English Tense Usage: a Bull's Eye View. — In: English Language Teaching Journal, 1974, vol. 28, № 2.

Trnka 1930 — Trnka B. On the Syntax of the English Verb from Caxton to Oryden — Travaux du Cercle linguistique de Prague, 1930, № 3.

Verkuyl 1972 — Verkuyl H. J. On the Compositional Nature of the Aspects. — Doedrecht: Reidil., 1972.

Vogt 1971 — Vogt H. Grammaire de la langue géorgienne, — oslo-Norway, 1—71, 1971.

Weber 1954 — Weber H. Das Tempussystem des Deutschen und Französischen. Übersetzungs und Strukturprobleme. — Romanica, Helvetica, 1954, vol. 45.

Weinreich 1968 — Weinreich U. Languages in Contact. — The Hague: Paris: Moulon, 1968.

Weinreich 1970 — Weinreich H. Tense and Time. — In Archivum linguisticum 1 (New Series), 1970.

Wekker 1976 — Wekker H; C. The Expression of Future Time in. Contemporary British English. — Amsterdam: New York: Oxford, 1976.

Wendt 1911 — Wendt G. Syntax des heitigen Englisch. — Heidelberg, 1911.

The Yugoslav Serbo-Groatian-English Contrastive Project. Ed. by R. Filipovic. — Zagreb, 1969, vol. 1.

Williams 1976 — Williams C. E. Meaning Reference and Tense: — In: Analysis, vol. 36, № 3.

Zabroski 1970 — Zabroski L. Grundfragen der konfrontativen Grammatik. — In: Probleme der kontrastiven Grammatik. Sprachen der Gegenwart. Jahrbuch, 1969. — Düsseldorf, 1970.

ᲡᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

წინასიტყვაობა 3
შესავალი 3
§ 1. სხვადასხვა სისტემის ენათა შეპირისპირებითი შესწავლის თეორიული წინაპირობა 5
§ 2. კვლევის ზოგიერთი ზოგადთეორიული საკითხი 21

თავი I. ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და დროის გრამატიკული კატეგორია 42
§ 1. ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია 43
§ 2. დროის გრამატიკული კატეგორია . . 45
§ 3. დროთა მიმართებების გამოხატვა ლექსიკური საშუალებებით 49

თავი II. ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და ასპექტის გრამატიკული კატეგორია ინგლისურ და ქართულ ენებში . . 53
§ 1. ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში 55
§ 2. ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ქართულ ენაში 60

თავი III. თხრობითი კილოს ასპექტ-დროის სისტემა ინგლისურ და ქართულ ენებში . . 69
§ 1. ინგლისური ზმნის ასპექტ-დროის სისტემა 69
§ 2. ქართული ზმნის ასპექტ-დროის სისტემა . . 76
§ 3. ინგლისური ზმნის ასპექტ-დროის სისტემის ოპოზიციათა ანალიზი 83
§ 4. ქართული ზმნის ასპექტ-დროის სისტემის ოპოზიციათა ანალიზი 94

თავი IV. დროის ფორმების აბსოლუტური და რელატიური გამოყენება ინგლისურსა და ქართულ ენებში 103
§ 1. დროთა მიმართების კატეგორია ინგლისურ ენაში 105
§ 2. თანამდევრობის კატეგორია ქართულ ენაში 119

თავი V. ზმნის არაწარსული დროის ფორმების მნიშვნელობებისა და ფუნქციობის კანონზომიერებათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში 130
§ 1. არაწარსული დროის სემანტიკური შინაარსი 130
§ 2. ახლანდელი განუსაზღვრელის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები . 133
§ 3. ახლანდელი განგრძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები . 158
§ 4. ახლანდელი პერფექტის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები . . 168
§ 5. ახლანდელი პერფექტ-განგრძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები 177

თავი VI. ზმნის წარსული დროის ფორმების მნიშვნელობების და ფუნქციობის კანონზომიერებათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში 184
§ 1. წარსული დროის სემანტიკური შინაარსი 184
§ 2. წარსული განუსაზღვრელის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები . . . 187
§ 3. წარსული განგრძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები 197
§ 4. წარსული პერფექტის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები 205
§ 5. წარსული პერფექტ-განგრძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები . . 213
§ 6. დასკვნა 221
ლიტერატურა 228

გამომც. რედაქტორი დ. ო დ ი შ ა რ ი ა
სამხატვრო რედაქტორი თ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი
ტექნიკური რედაქტორი მ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი
კორექტორი ლ შ ე ა ნ გ ი რ ა ძ ე
გამომშვები გ. ქ ა ნ დ ა რ ი ა

ИБ № 3379

გადაეცა ასაწყობად 07 01.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.06.86, ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆ საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 15,25. სულგაბეჭდარება 15,5. საალრ.-საგამომც თაბ. 14,57 ტირაჟი 2000 უე 11134 შეკვ. № 375

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50
Издательство «Ганатлеба». Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.
1986

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33
Кутаисское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.